PRIME

# Time

N6 (307) ორშაბათი, 16 თებერვალი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015
Coca-Cola PROUD PARTNER



## სააკაშვილზე შესაძლოა, ძებნა გამოცხადდეს

„სააკაშვილი ყველა ვარიანტში დამნაშავეა“

„ან სააკაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჟვანიას ლიკვიდაციის პროცესს“...

ვახო კომახიძე: ჩაჩუას დასკვნაში პირდაპირ ეწერა: უკანა ტანი სუფთაა. არანაირი კვალი სქესობრივი ურთიერთობის არ იყო

## პირველად „პრაიმტაიმში“ – ვანო მერაბიშვილის მოადგილე დუმილს არღვევს!

ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ ლევან გვაზავასთან



„ვანო მერაბიშვილი და ოქრუაშვილი ერთად ისხდნენ მანქანაში... ჰაერში მოვახდინე გასროლა, რომ ისინი შემეჩერებინა“

EXCLUSIVE

რატომ სცემეს გირგვლიანის საქმის დანარჩენმა სამმა პატიმარმა გია ალანია?



ექსკლუზიური ინტერვიუ ბაჩანა ახალაიას ბრალდების მთავარ მოწმესთან

EXCLUSIVE

ინფრასტრუქტურის სამინისტრო სკანდალში ეხვევა

დააკავა თუ არა უწყების ბუღალტერი პროკურატურამ აეროპორტში

EXCLUSIVE

# კვირის სკანდალი

## ეროსის EXCLUSIVE თვითმკვლელობა მკვლელობით იცვლება









„ავტოფარეხთან გაჩერდა მანქანა, ტაქსის ტრაფარეტით, იქიდან გადმოვიდა ერთი ადამიანი და ჩავიდა დაბლა ავტოფარეხში. მისი მანქანიდან გადმოსვლისთანავე მეორე ადამიანმა მოხსნა ტაქსის ტრაფარეტი. პირი, რომელიც ავტოფარეხში შევიდა, იქიდან მალევე ამოვიდა. ერთ ადგილზე მივიდა და თქვა, თუ გაიგეთ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლაო?“



## რა სკანდალური განცხადების გაკეთებას გეგმავს გია სოსანაშვილის ოჯახი

ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე: „მე პირდაპირ იმ ადგილებზე გავიარე, სადაც მეორე დღეს იურის აფეთქება მოხდა, იქ რომ ყოფილიყო დამონტაჟებული, აუცილებლად ავფეთქდებოდი. წინა დღეს სუფთა იყო, თორემ ამუშავდებოდა. გამოდის, როდესაც მე დავტოვე საფლავი, მერე დაამონტაჟეს“

EXCLUSIVE

## ვის ემუქრება ჯოკია ბოდოკია და რა შემთხვევაში დაარღვევს ის დუმილს?! EXCLUSIVE



მან „საჭირო პირებს“ შეუთვალა: თუ არ გინდათ საქმის გარშემო სიმართლე ვთქვა და ხმაურიანი გვარები დავასახელო, აქედან გამიყვანეთო...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეროსის თვი
# მკვლელობი



## „ინფორმაცია, რომელიც საეჭვოა და რომელიც გადამოწმდება, უნდა გახდეს კვალიფიკაციის შეცვლის წინაპირობა“

# EXCLUSIVE



ნანა შონია

**ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე თვითმკვლელობის ვერსია შესაძლოა ამ კვირაში გადაკვალიფიცირდეს, გამოძიება მკვლელობის მუხლით წარიმართოს. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, გამოძიება, ამ ეტაპზე, ორ მნიშვნელოვან დეტალზე მუშაობს, რომელიც საქმის გარემოებას რადიკალურად ცვლის.**

კიწმარიშვილები თვითმკვლელობის ვერსიას თავიდანვე გამორიცხავდნენ, მისი გარემოცვაც. ახლა ოჯახი და ადვოკატი პროკურატურასთან შეხვედრისთვის ემზადებიან, რომელიც ამ კვირის დასაწყისში გაიმართება. ეროსი კიწმარიშვილის ძმა ზურა კიწმარიშვილი ამბობს, რომ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ საგამოძიებო ორგანოს მიაწოდეს, უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის მიერ გაჟღერებულ ე.წ. ტაქსის ეპიზოდთან საერთო არა აქვს.

პროკურატურამ აღნიშნულ ე.წ. ტაქსის ეპოზოდზე ნანა კაკაბაძე ორჯერ დაკითხა. კაკაბაძე არ გამორიცხავს, რომ ჭავჭავაძის 37 ბ-ში მომხდარ საქმეში, მისი ჩვენება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, საუბარია ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის ადგილზე, სადაც კონკრეტული პირები, ჟურნალისტებზე და გამომძიებლებზე ადრე მივიდნენ.

## „ყველაფერი შეიძლება მოხდეს... შესაძლებელია ნებისმიერი უეცარი თუ მოულოდნელი გადაკვეთის წერტილები აღმოჩნდეს“

**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:** გიდასტურებთ, რომ მთავარ პროკურატურაში ორჯერ ვიყავი დაბარებული, ხუთშაბათს და პარასკევს. მითხრეს, რომ კიდევ დამიკავშირდებიან და თუ დამირეკავენ აუცილებლად მივალ.

**- კონკრეტულად თუ შეგიძლიათ თქვათ რაზე მაიწოდეთ ინფორმაცია გამოძიებას?**

- იმაზე, რაც ჩემთვის გახდა ცნობილი და ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია მე პრესკო-



## „ავტოფარეხთან გაჩერდა მანქანა, ტაქსის ტრაფარეტით, იქიდან გადმოვიდა ერთი ადამიანი და ჩავიდა დაბლა ავტოფარეხში. მისი მანქანიდან გადმოსვლისთანავე მეორე ადამიანმა მოხსნა ტაქსის ტრაფარეტი. პირი, რომელიც ავტოფარეხში შევიდა, იქიდან მალევე ამოვიდა. ერთ ადგილზე მივიდა და თქვა, თუ გაიგეთ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლაო?“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თმკვლელობა
# თ იცვლება



**„დაკითხულია ერთი ადამიანი, არა მხოლოდ დაკითხულია, არამედ მის შესახებაც ცდილობს გამოძიება დამატებით დეტალების გარკვევას“**



**„ხევიაშვილი და ნანიტაშვილი აქამდე არ იყვნენ გამოძიების ინტერესის ქვეშ, აქედან გამომდინარე, ისინი დაკითხულნი არ არიან“**

ნფერენციაზეც გავაჟღერე. იმ ადგილზე, სადაც აღნიშნული ფაქტი მოხდა, პირველივე წუთებში, მანამ სანამ შემთხვევის ადგილზე ჟურნალისტები და გამომძიებლები მივიდოდნენ, ავტოფარეხთან გაჩერდა მანქანა, ტაქსის ტრაფარეტით, იქიდან გადმოვიდა ერთი ადამიანი და ჩავიდა დაბლა ავტოფარეხში. მისი მაქანიდან გადმოსვლისთანავე მეორე ადამიანმა მოხსნა ტაქსის ტრაფარეტი. პირი, რომელიც ავტოფარეხში შევიდა, იქიდან მალევე ამოვიდა. ერთ ადგილზე მივიდა და თქვა, თუ გაიგეთ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლაო?

**- სად მივიდა ის და თუ უთხარით გამოძიებას კონკრეტული სახელები და გვარები, ვინ იყვნენ ეს ადამიანები და რა შეხება ჰქონდათ მათ კიწმარიშვილთან?**

- იცით რა, მე ამ სახელების და გვარების შესახებ საგაზეთოდ ვერ ვისაუბრებ. რისი თქმაც შესაძლებელი იყო, მე ეს ინფორმაცია მივეცი გამოძიებას. რაც შემეძლო ყველაფერზე გავეცი პასუხი. ალბათ, საქმის დასრულების შემდეგ გამოჩნდება ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია რამდენად ღირებული იყო გამოძიებისთვის. ამ ეტაპზე ამაზე მეტ ინფორმაციას არც მე და არც თქვენ არავინ მოგცემთ.

**- ჩვენი ინფორმაციით გამოძიებამ აღნიშნულ საკითხზე კიდევ ორი პირი დაკითხა, თქვენ რამდენ ადამიანზე მიაწოდეთ ინფორმაცია?**

- მე არ მინდა, რომ გამოძიებას ხელი შევუშალო. ვილაპარაკო ის, რაც შემდეგ გახდება პრობლემა. მე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია, სრულად მივაწოდე გამოძიებას. ამის მერე რა მოხდა, რა ტარდება, ეს ჩემთვის უცნობია.

**ზურა კიწმარიშვილი, ეროსი კიწმარიშვილის ძმა:** ბოლო პერიოდში, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა საინტერესო დეტალები, რომელიც ჩვენ მიერ იქნა მიწოდებული მათთვის. ისინი ახლა სწორედ ამ საქმით არიან დაკავებული. ყოველდღე მიგვაქვს მიმართვა, თუმცა ჩვენთან შეხვედრა წინა კვირას ვერ მოხერხდა. კომუნიკაციის პრობლემა არ არსებობს, ვიცით, რომ აქტიურად არიან ჩართული და, ალბათ, დღეს შევძლებთ მათთან გასაუბრებას.

**- თუ ეს ვერსია დადასტურდა, რაც თქვენ მიაწოდეთ გამოძიებას, შეიძლება რომ კონკრეტული სახელები და გვარები გამოიკვეთოს?**

- მკვლელობის ვერსიაზე ჩვენ აქტიურად ვსაუბრობდით და ამაზე გამოძიებაც ამბობდა, რომ ისინი სხვადასხვა ვერსიებზე მუშაობდნენ. რაც შეეხება იმას, რაზეც ახლა მიდის მუშაობა, ეს ჩვენი აქტიური ჩართულობის შედეგია, სწორედ იმ მიზნით, რომ დანაშაულის კვალი აღმოჩენილიყო. გამოძიებას ჰქონდა რა საქმის კვალიფიკაცია ჩამოყალიბებული, ის მუშაობდა თვითმკვლელობის ვერსიაზე, თუმცა ამის უტყუარი ფაქტები დღემდე არ გააჩნია. ამის პარალელურად, ჩვენ ვფიქრობდით და ვაანალიზებდით რა თვითმკველობის ვერსიას, ვცდილობდით მოგვეპოვებინა რამე იმ მასალებში, რაც მათი მხრიდან გადმოგვეცა; ვფიქრობ, ამან გარკვეული ინტერესი გააჩინა, როდესაც ამ ახალი მიმართულებით მუშაობა დაიწყო, საინტერესო დეტალები გამოიკვეთა. გამოძიებას მივმართეთ, რომ კონკრეტული ადამიანების შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვებინა. ახლა მიდის ეს პროცესი, ვიცი, რომ დაკითხულია ერთი ადამიანი, არა მხოლოდ დაკითხულია, არამედ მის შესახებაც ცდილობს გამოძიება დამატებით დეტალების გარკვევას. მის გარდა არის კიდევ ორი ადამიანი, რომელიც, წესით, უნდა დაეკითხათ. ეს არ ეხება ნანა კაკაბაძის ეპიზოდს. ეს კიდევ ცალკეა, რომელიც ჩემთვისაც იმ დღეს გახდა ცნობილი, როდესაც ქალბატონმა ნანამ ეს ამბავი გააჟღერა. სხვას ვერაფერს გეტყვით, ვცდილობთ, რომ რაღაცნაირად მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია.

**- ბატონო ზურა, თქვენ ამბობთ, რომ სამი ადამიანია დაკითხული, თუ შეგიძლიათ გვითხრათ, არიან თუ არა ამ სიაში ბადრი ნანიტაშვილი და გია ხევიაშვილი?**

- არაფერი არ არის დასამალი, ისინი არ არიან. ხევიაშვილი და ნანიტაშვილი აქამდე არ იყვნენ გამოძიების ინტერესის ქვეშ, აქიდან გამომდინარე, ისინი დაკითხულნი არ არიან.

**- თუ იკვეთება სავარაუდო ეჭვმიტანილთა წრე იმ ვერსიაზე, რაზეც ახლა მუშაობს გამოძიება?**

- აქ არ არის ლაპარაკი მკვლელობაში ეჭვმიტანილებზე, აქ სხვაგვარად დგას საკითხი, დეტალებზე ამ ეტაპზე ვერ მოგცემთ ინფორმაციას. უბრალოდ, არიან ადამიანები, რომლებიც უნდა შემოწმდნენ, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლოა რაღაც სახის გადაკვეთა მოხდეს.

**- შესაძლოა, რომ ეს საქმე მცირე დროში გაიხსნას?**

- ვამბობ, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუმცა ამ წუთას, შესაძლოა მათ ჰქონდეთ საინტერესო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით; ისე, გამორიცხული არაფერია, ვნახოთ, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი უეცარი თუ მოულოდნელი გადაკვეთის წერტილი აღმოჩნდეს.

„პრაიმტაიმი“ ბადრი ნანიტაშვილს და გია ხევიაშვილს დაუკავშირდა.

**ბადრი ნანიტაშვილი:** მთავარ პროკურატურაში ჩემი დაკითხვა ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე არ მომხდარა. არავინ არ შემხმიანებია.

**- არც დაბარებული არ ხართ?**

- არა, არც დაბარებული ვარ.

**გიორგი ხევიაშვილი:** მე გავაკეთე ადრე განცხადება და სანამ არ დასრულდება გამოძიება, ვერ გავაკეთებ კომენტარს. ვერც თქვენთან და ვერც სხვასთან.

**- უბრალოდ, ერთი სიტყვით რომ გვითხრათ, დაიკითხეთ თუ არა პროკურატურაში.**

- კარგად ბრძანდებოდეთ.

**გაგი მოსიაშვილი, ადვოკატი:** პროკურატურასა და ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს შორის ურთიერთანამშრომლობა მიმდინარეობს. ჩვენი თხოვნით გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები იქნა ჩატარებული და ახლაც, გარკვეული მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს. მე იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ რაც გადამოწმდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც მოხდა, არ არის გამორიცხული, რომ საქმის კვალიფიკაცია შეიცვალოს. ამ ეტაპზე ჩვენ წინ ვერ გავუსწრებთ საგამოძიებო მოქმედებას. ჩვენ ამ კვირის დასაწყისში გვექნება შეხვედრა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებთან, სადაც უფრო მეტი რამე გახდება ცნობილი. წინა კვირას, იმის გამო, რომ საგამოძიებო ორგანო ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმებაზე მუშაობდა, ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა.

**- საუბარია მკვლელობის ვერსიაზე, რომელზეც თავის დროზეც საუბრობდა ოჯახი.**

- დიახ, ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ ინფორმაცია, რომელიც საეჭვოა და რომელიც გადამოწმდება, უნდა გახდეს კვალიფიკაციის შეცვლის წინაპირობა. რა შედეგი მოჰყვება, ამას, უახლოეს პერიოდში თითოეული ჩვენგანი ვნახავთ.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით „პრაიმტაიმი“ მთავარ პროკურატურას დაუკავშირდა, სადაც დაგვიდასტურეს, რომ ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

**ნათია სუხიაშვილი:** კიწმარიშვილის საქმეზე აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება, ამ ეტაპზე სხვა დეტალებზე ვერაფერს ვიტყვით.



ნანა კაკაბაძე

ბადრი ნანიტაშვილი

გაგი მოსიაშვილი

გია ხევიაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სააკაშვილზე შესაძლოა, ძებნა გამოცხადდეს




**ნანა შონია**

ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის საქმის ირგვლივ ხმაური არ ცხრება. თუმცა ამჯერად ამ ხმაურის ინიციატორი არა დაზარალებულების ოჯახები და გამოძიებაა, არამედ წინა ხელისუფლება. გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე დღეა, სააკაშვილი კიევში ადგილს ვერ პოულობს და აქტიურად ეკონტაქტება თავის გარემოცვას თბილისში. საქართველოს ხელისუფლებამ, სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნის დაწყების მოთხოვნით, ინტერპოლს უკვე მიმართა. თუ ინტერპოლი სააკაშვილზე ძებნას სწორედ ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას საქმეზე გამოაცხადებს, ეს სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასასრული იქნება. მსგავს შემთხვევაში სააკაშვილზე არა მხოლოდ უკრაინა, არამედ ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფო იტყვის უარს. როგორც ამბობენ, ექსპრეზიდენტი იმდენად შეწუხებულია ჟვანიას საქმის გამოძიებით, რომ ყველა მისაღებ თუ მიუღებელ ხერხებს ხმარობს მის შესაჩერებლად. სააკაშვილი რომ ყველაფერზე მიდის იმისთვის, რომ ჟვანიას საქმე არ გაიხსნას, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელ გამოსვლებში და მის განკარგულებაში მყოფი ადამიანების აქტიურობაში ჩანს. ფაქტია, რომ ჟვანია-უსუპოვის პირად ცხოვრებაზე, სააკაშვილის მხრიდან, ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე დაანონსებულმა პიკანტური ნაწილის გასაჯაროებამ შედეგი ვერ გამოიღო. საზოგადოება უფრო აქტიურად სვამს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რა გახდა ექსპრემიერის გარდაცვალების რეალური მიზეზი და დგას თუ არა ამ საქმის უკან ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი? სააკაშვილისა და მისი გუნდის ისტერია, მაშინ როდესაც გამოძიებას ჯერ საბოლოო შედეგები არ აქვს გამოქვეყნებული, ბევრისთვის თვითილუსტრაციის ტოლფასი გახდა. ფაქტია, რომ სააკაშვილი საფრთხეს გრძნობს და ეშინია, რომ გაასამართლებენ. ის უარს ამბობს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და ენერგიას არ იშურებს იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ამ თემის ირგვლივ იაქტიუროს. ფაქტია, რომ ბრალის წაყენების შემთხვევაში ინტერპოლი მას ქვეყანაში ჩამოიყვანს და ამ შიშის ნათელი მაგალითი მისი ადვოკატის, ოთო კახიძის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის, ამერიკელი კონგრესმენის მაიკლ ტერნერის, ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის, ელმარ ბროკის წერილებია. ისინი თხოვნით მიმართავენ ინტერპოლს და აცხადებენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან ქართულ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და სთხოვენ ინტერპოლს, გადახედონ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას. ახლა ჯერი ინტერპოლზე და ქართველი სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობაზეა. თუ გამოძიება შეძლებს და ინტერპოლს სათანადო მასალებს წარუდგენს, სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლა და გასამართლება ელოდება.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**

– მთელი ამ აჟიოტაჟის ძირითადი მიზანი არის ზურაბ ჟვანიას სახელის დისკრედიტაცია, რის შემდეგაც დაიწყება, საგამოძიებო პროცესის დისკრედიტაცია. რადგანაც საგამოძიებო პროცესი ემუქრება „ნაციონალების“ კეთილდღეობას, ამიტომაც მათ საზოგადოება უნდა დაარწმუნონ ჟვანიას არატრადიციულ ორიენტაციაში, რომ საზოგადოება არ იყოს აქტიური და მომთხოვნი იმისთვის, რომ საგამოძიებო პროცესი მალე დასრულდეს. მე საერთოდ არ მაინტერესებს, როგორი ორიენტაციის იყო ჟვანია, მე მაინტერესებს, დადგინდეს სიმართლე და მიმაჩნია, რომ ამ სიმართლის დადგენას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უშლიან ხელს. ასევე, ხელს უშლის პროკურატურაში რამდენიმე ძალოვანი, რომლებსაც საკუთარი ბიოგრაფია ჭუჭყიანი აქვთ. რაც შეეხება ექსჰუმაციას, ეს მნიშვნელოვანი საკვანძო ღონისძიებაა ასეთი ტიპის გამოძიების დროს. მე ამ საქმის ფილოსოფიურ მხარეზე ვამახვილებ ყურადღებას. მთელი ზეწოლა მიდის საზოგადოებაზე, რომ ამ საქმეზე ხალხმა ხელი ჩაიქნიოს. ჩვენ ძალიან ბევრი ვერსია მოგვისმენია სააკაშვილთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრის სიკვდილი ასე მარტივად არ იქნებოდა. რასაკვირველია, ამასთან დაკავშირებით მაშინდელი პრეზიდენტი საქმის კურსში იქნებოდა, ან სააკაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჟვანიას ლიკვიდაციის პროცესს ან, უკეთეს შემთხვევაში, შემდეგ გაიგო. ყველა ვარიანტში სააკაშვილი დამნაშავეა. ავიღოთ თუნდაც მარტივი დეტალი, ხარშილაძე გამოდის და ადასტურებს, რომ უსუპოვის გვამი ნამდვილად გაიტანეს და მერე ისევ შემოიტანეს შენობაში. ეს ხომ ადრე არ უთქვამთ, თუ ერთი ტყუილი იყო თავის დროზე ნათქვამი, იქნება ასი ტყუილი. ერთ შემთხვევაში გამოჩნდა და თვითონ აღიარებენ, რომ ეს ასე მოხდა, რატომ უნდა დავიჯერო მე მათი ნათქვამი? მათი არც ერთი სიტყვის არ მჯერა. ეს ემოციური ნათქვამი არ არის, ეს არის ლოგიკა. ფაქტია, ადამიანებმა გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და ირკვევა, რომ ამ მოქმედებათა ჯაჭვში, რასაც ის ლაპარაკობდნენ, თუნდაც ერთ რგოლში ყოფილა ტყუილი. იმისთვის, რომ სააკაშვილი გასამართლდეს, გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ამაში მონაწილეობა აქვს მიღებული. თუ სააკაშვილმა ამაში პიროვნულად მიიღო მონაწილეობა და ეს დამტკიცდა, ეს სხვა საქმეა.

**– ოჯახი პირდაპირ საუბრობს იმაზე, რომ სააკაშვილმა ჟვანიას სახით პოლიტიკური ოპონენტი მოიშორა?**

> **კახა ჩიტაია: „სააკაშვილი და მისი გუნდი აღელვებულია, ალბათ, რაღაცა აქვთ ასაღელვებელი“**

– გასაგებია, თუმცა არსებობს, სიტყვიერი და წერილობით გაცემული დავალებები. სიტყვიერი დავალების დადასტურება არის ძალიან რთული, ამიტომაც გამოძიებას ბევრი მუშაობა მოუწევს.

**ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:**

– საზოგადოების ინტერესი არის ამ საქმეზე რეალური სურათის მაქსიმალურად წარმოჩენა და გამოძიება. დღეს ეს საკითხი ქულების დაგროვებისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების საგანი ხდება, თუმცა ეს მართლმსაჯულებისთვის შესაძლოა, ნაკლებად საინტერესო იყოს. ორიენტაციას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. აქ მთავარია, რეალურად რამ გამოიწვია ამ ადამიანების სიკვდილი. ამის ირგვლივ უნდა იყოს მედია და საზოგადოება კონცენტრირებული. ფაქტია, რომ ორი ადამიანი გარდაიცვალა, ამ სპეკულაციებში რამ გამოიწვია სიკვდილი, მკაფიო პასუხი იკარგება. ამჟამინდელმა პროკურატურამ და წინა ხელისუფლებამ სინამდვილე იციან. ჩემთვის მნიშვნელოვანია, გავიგო, რით გარდაიცვალა ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი? როგორ გარდაიცვალა, მე მისი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს.

**– ჟვანიას ოჯახი პირდაპირ საუბრობს სააკაშვილის ინტერესებზე და იმაზე, რომ სწორედ სააკაშვილის დაკვეთით მოხდა ჟვანიას ლიკვიდაცია, რადგანაც მან მოიშორა მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე?**

– ეს არის ამ საქმის პოლიტიკური შემადგენელი. ძალიან ბევრი ადამიანის ინტერესში შეიძლება შედიოდა ჟვანიას არყოფნა. საინტერესოა, რას შვრება გამოძიება, ეს ვერსიები შესწავლილი აქვს? გამოძიებამ უნდა შეამოწმოს ყველა ვერსია და მან უნდა თქვას ყველაფერი. გაუგებარია, რატომ ჩქარობს პროკურატურა, დაანონსებული გახსნებით თვითონ აძლევს სხვა მხარეს სპეკულაციის საშუალებას.

**ვასილ მაღლაფერიძე:**

– დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ჟვანიას საქმის ირგვლივ ეს აჟიოტაჟი აწყობს იმ ხალხს, ვისაც კვალის დაფარვა უნდა. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ოჯახი აცხადებს, რომ საქმე თითქმის ბოლოშია და მალე გაიხსნება. ნებისმიერი ხერხი რომ გამოიყენება ადამიანის დისკრედიტაციისთვის, ეს მიუღებელია. მთელი საზოგადოება და მათ შორის მედიაც უნდა დაფიქრდეს, ხომ არ მივადექით იმ ზღვარს, როდესაც ადამიანების ღირსების შელახვა ცხოვრების წესად იქცა. ჩვენ უნდა დაველოდოთ გამოძიებას. უნდა მივეჩვიოთ, რომ ადამიანებისთვის ინტერვიუებით ბრალდებების წაყენება არ შეიძლება, მაგრამ ის, რომ სააკაშვილის მისამართით არსებობს უამრავი ეჭვი, ამას ყველა ვხედავთ და გამოძიებას ველოდებით. გამოძიებამ უნდა თქვას და სასამართლომ გამოიტანოს ვერდიქტი.

**კახა ჩიტაია, ყოფილი პარლამენტარი:**

– ფაქტია, რომ ბოლო დღეების ისტერიაა, საზოგადოებამ უარყოფითად მიიღო. როგორც ჩანს, გამოძიების მხრივ, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა და ამის გამოა ისტერია. ამ სიბინძურით „ნაციონალები“ ძაბავენ მდგომარეობას და ჩვენც კი, ზურას მეგობრები, იძულებული გავხდით, განცხადება გაგვეკეთებინა. ჩემთვის არაადეკვატური იყო ის გარემოება, რომ პროკურატურის მხრიდან წაყენებულ კონკრეტულ ბრალდებებზე, პასუხების მაგივრად მივიღეთ ეს სიბინძურე. ვფიქრობ, ზურას საქმეს ნათელი მოეფინება. მე არავის უდანაშაულობის პრეზუმფციას არ დავარღვევ, მაგრამ მაოცებს ის გარემოება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არ ჩატარდა უამრავი მტკიცებულების ჯეროვანი გამოკვლევა. „ნაციონალების“ მხრიდან ზურას სახელის მიმართ ვერანაირი პატივისცემა ვერ დავინახეთ. მთავარი კი, რაც მათ ვერ გაითვალისწინეს, იყო ის, რომ მათ გადაწყვეტილი ეგონათ ეს საქმე და ამაზე ლაპარაკი არ უნდა გაგრძელებულიყო. ეს მაშინ, როდესაც საზოგადოებაში უამრავი უპასუხო კითხვა არსებობს. დღეს რომ გამოდის სააკაშვილის იურისტი და ოპონირებას უწევს არსებულ სიტუაციას, იმ 9 წელიწადში რატომ არ აკეთებდა ამას? ეს ყველაფერი საზოგადოებაში იწვევს ეჭვებს, მათი კონტრარგუმენტები კი ამ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს. მთავარია, რა ვითარებაში გარდაიცვალა ყოფილი პრემიერი? ფაქტია, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი აღელვებულია, ალბათ, რაღაცა აქვთ ასაღელვებელი. თუ ისინი დაწრმუნებული არიან ვერსიაში, რომელიც გაცხადდა, მაშინ საინტერესოა რატომ ღელავენ? რამ გამოიწვია ასეთი გაბრაზება, ისტერია, ზიზღი, შიში? ისინი ზეწოლას ცდილობენ საზოგადოებაზე, რაც თავიდანვე განწირულია“.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ შეიქმნა მტკიცებულებები ზურაბ ჟვანიას მამათმავლობაზე?




მარიამ ნადირაძე

**„მე არ ვიცი, ვინ რას ლაპარაკობს. ზურაბ ჟვანია იყო ჩემი ახლო მეგობარი და ყველამ ძალიან კარგად იცის, იქ რა მოხდა. იყო უბედური შემთხვევა. იყო ფედერალური ბიუროს დეტალური დასკვნა და ოჯახი ამ დასკვნას იცნობს. ჩვენ ეს დასკვნა არ გამოვაქვეყნეთ გასაგები მიზეზების გამო, იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანის ბევრ, ძალიან ღრმა და ისეთ დეტალს... და ნამდვილად, ჩემთვის ზურაბის სახელი იყო წმინდათაწმინდა. თუ ვინმესთვის ეს არ არის ხელშეუხებელი, მათ შორის ვინმე ოჯახის წევრისთვის, ეს მათ სინდისზე იყოს. მე ძალიან მიყვარდა ზურაბ ჟვანია და მისი რეპუტაცია, მისი სახელი და მისი ხსოვნა არის ჩემთვის წმინდათაწმინდა. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველამ ყველაფერი იცის და ზღაპრები მოუყვნენ ერთმანეთს“, – ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის ოქტომბერში გააკეთა. მაშინ მან კარგად იცოდა, რომ მისი საპრეზიდენტო დღეები თითზე დასათვლელად რჩებოდა და როცა ის ქვეყნის ტერიტორიას დატოვებდა, ზურაბ ჟვანიას საქმე სულ სხვა სიმძაფრით წარიმართებოდა. ამ განცხადებით, როგორც ჩანს, ერთგვარი სიგნალი მისცა მათ, ვისაც საკუთარი „როლის“ ფარგლებში უნდა მოეხდინა ამ თემის განვრცობა...**

მოვლენები ასეც განვითარდა... თუ მანამდე მხოლოდ მინიშნებით საუბრობდნენ ყოფილი პრემიერის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე, ახლა მის ძმას, გოგლა ჟვანიას ღიად უწევს პასუხი კითხვაზე – თუ ზურაბ ჟვანია ჰომოსექსუალი იქნებოდა, მისთვის ეს არის თუ არა სიბინძურე?..

ცხადია, ამ თემისთვის ტაბუს მოხსნას ერთგვარი პროვოცირება გაუკეთა „რუსთავი 2“-ის ეთერით გამოქვეყნებულმა გამოძიების ფედერალური ბიუროს ე.წ. გასაიდუმლოებულმა დასკვნამ, რომლის შესახებაც ზემოშემოთავაზებულ ციტატაში თავის დროზე სააკაშვილიც საუბრობდა.

არადა, ფედერალური ბიუროს დასკვნას დაეყრდნო ჟურნალისტი ვახო კომახიძეც, როდესაც საზოგადოებას შესთავაზა სკანდალური ფილმი, „ტყვიის გარეშე“... 2013 წლის ოქტომბერში ვახო კომახიძეს უკვირდა, რა დასკვნაზე საუბრობდა სააკაშვილი და „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აცხადებდა: „თუ მართლა არსებობს „ეფბიაი“-ს ასეთი დასკვნა, გვაჩვენონ. მისი განცხადებიდან გამოდის, რომ ყველასთვის ცნობილი დასკვნის საწინააღმდეგო სხვა დასკვნა დადო ფედერალურმა ბიურომ? ასეთი რამ წარმოუდგენელია. როდესაც მის მთავარ დოკუმენტზე ფილმი გავაკეთე, მაშინ ამერიკის საელჩოში შევხვდი ფედერალური ბიუროს წარმომადგენელს და მისგან ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი დასკვნა და სხვა არ არსებობს. ვთქვათ, რომ მაინც არსებობს სხვა დასკვნა, რომელზეც სააკაშვილი მიგვანიშნებს, რისთვის სჭირდებოდათ ის, რომ სააკაშვილს საფლავში ჩაეტანა, როცა ის ამის გაკეთებას აშკარად არ აპირებს? როცა ფედერალური ბიურო საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი უკვე დაკრძალულები იყვნენ. ამიტომ, რაც ასეთი კვლევისთვის არის საჭირო, ამისთვის მასალას ვერ აიღებდნენ“.

მაგრამ დასკვნის ეს ნაწილი გამოქვეყნდა და აღმოჩნდა, რომ ის რეალურად არსებობს.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ვახო კომახიძე ამის შესახებ დღეს. შესაბამისად, ინტერვიუს სწორედ მასთან შემოგთავაზებთ:

**– თქვენ ამ დასკვნას კარგად იცნობთ. რას გვეტყვით მის იმ ნაწილზე, სადაც საუბარია, რომ აღმოჩენილია ჟვანიასა და უსუპოვის „დეენემი“ ზეწრებზე, ჭიქებზე, ხალათებზე და ა.შ...**

– ამას საერთო არაფერი აქვს რეალურ კვლევასთან. ეს არის წმინდა წყლის პროპაგანდა და აი, რატომ: ყოფილი ხელისუფლება ამ საქმეს ფაქტია, რომ აყალბებდა. გაყალბება შეიძლებოდა ჩადენილიყო ორი მიზნით – ერთი მხრივ, თუ ნამდვილად ჰქონდა ადგილი მამათმავლობის ფაქტს და მაშინდელმა ხელისუფლებამ ამის დამალვა მოისურვა, მეორე მხრივ კი, ამ გაყალბებებით სწორედ ამ მამათმავლობის ფაქტის დასადასტურებლად მტკიცებულებების შექმნას ცდილობდნენ... რეალურად მაშინდელმა გამოძიებამ ვერც ერთი ანაბეჭდი ვერ ამოიღო შემთხვევის ადგილიდან და ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ამბავი გახმაურდა. სწორედ ამ გახმაურების შემდეგ არის გაგზავნილი ამერიკაში ჭიქაც, სიგარეტიც და ა.შ. მათ გაგზავნილ მტკიცებულებებზე დაასკვნა ფედერალურმა ბიურომ, რომ ნამდვილად იყო მათზე ამ ადამიანების „დეენემი“, თუმცა, სულ სხვა საქმეა, როგორ შეიქმნა ეს ნივთმტკიცებები. ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რატომ არ აჩვენეს „ეფბიაის“ ეს ნივთები, მაშინ, როდესაც ის თავიდან იყო საქართველოში ჩამოსული... წარმოგიდგენიათ, ჭიქიდან არ ამოვიდა თითის ანაბეჭდი და ამოვიდა რატომღაც მარტო ნერწყვი. ჩემი აზრით, „დეენემი“ ამ საგნებზე გადატანილი იყო... სხვა მხრივ, ლოგიკა არ არსებობს იმაში, რატომ იქნა ერთსა და იმავე საგანზე ნაპოვნი მხოლოდ „დეენემი“ და ვერ იქნა ნაპოვნი ანაბეჭდი.

**– სხვათა შორის, შოთა უტიაშვილმა განაცხადა ამას წინათ, სრულიად მარტივად ხდება ნივთმტკიცებაზე „დეენემის“ გადატანაო...**

– რა თქმა უნდა, მათ კარგად იცოდნენ, ეს როგორ ხდებოდა. საიდან ეცოდინებოდათ, თუ მათ ეს პრაქტიკაში არ ჰქონდათ განხორციელებული? საყურადღებოა კიდევ ერთი

# როდის გადავიდა ჟვანიასა და უსუპოვის „დეენემი“ ნივთმტკიცებებზე?

დეტალი. „დეენემი“ აღმოჩენილი იყო რატომღაც მხოლოდ ერთ სიგარეტზე, იმ დროს, როდესაც ჟვანია ძალიან ბევრს ეწეოდა და ამას დაადასტურებს ყველა, ვინც მას იცნობს. იმ ხნის განმავლობაში, რა დროსაც გვთავაზობენ, რომ მან საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში დაჰყო, ძალიან ბევრი სიგარეტი უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, ბევრი დეენემით. არადა აღმოჩნდა მხოლოდ ერთი.

**– გამოდის, რომ თქვენ იზიარებთ ამერიკის ელჩის პოზიციას იმის შესახებ, რომ ფედერალურ ბიუროში ჩატარდა კვლევა იმ ნივთმტკიცებებზე, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ მიაწოდა...**

– ცხადია, ასე იყო და რა მიაწოდა სააკაშვილის გამოძიებამ ფედერალურ ბიუროს, ეს ღმერთმა იცის...

**– რაკი „ეფბიაი“-ს აქამდე გასაიდუმლოებული ნაწილის გასაჯაროება მაინც მოხდა, მოდით, ვისაუბროთ ამ კონტექსტში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზე, იქ რა წერია ამ თემასთან დაკავშირებით?**

– ჩაჩუას დასკვნაში პირდაპირ ეწერა: უკანა ტანი სუფთაა. არანაირი კვალი სქესობრივი ურთიერთობის არ იყო. ახსნას მაშინ ჩაჩუამ, რა იყო რეალურად. რამე რომ ყოფილიყო ამ ვერსიის გასამაგრებლად, ამ დასკვნაში არ ჩაწერდნენ? გაშვებული აქვთ ბევრი დეტალი. თუნდაც ასეთი: წყლის ნიჟარაში იყო გულის ამონაღები მასა ნაპოვნი. ამაზე გამოძიებას ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. როგორ ფიქრობთ, ეს ჟვანიას, ან უსუპოვის კვალი რომ ყოფილიყო, ამას არ გააკეთებდნენ? რაში დასჭირდებოდათ „დეენემების“ გადატან-გადმოტანა, „დეენემი“ პირდაპირ სახეზე ექნებოდათ. თანაც სულაც არ დასჭირდებოდათ ჰომოსექსუალური სცენის მოფიქრება, იმის დასადასტურებლად, რომ ეს ორი ადამიანი ნამდვილად იმ ბინაში დაიღუპა გაზის მოწამვლის შედეგად. პირდაპირ იტყოდნენ – აგერ, სამზარეულოში ისხდნენ, გაზით მოიწამლნენ, რასაც ადასტურებს ესა და ეს მტკიცებულებაო. მაგრამ ამას ვერ გააკეთებდნენ, იმიტომ, რომ არ იყო არც ჟვანიასი და არც უსუპოვის.

**– თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ფედერალური ბიუროს დასკვნის ამ სკანდალური ნაწილის გამოქვეყნება დღეს?**

– ეს ყველაფერი ნაციონალებს სჭირდებათ მხოლოდ იმისთვის, რომ შექმნან ილუზია, თითქოს რაღაც აქვთ სათქმელი და არ არიან დამნაშავენი.





ვახო კომახიძე: – ჩაჩუას დასკვნაში პირდაპირ ეწერა: უკანა ტანი სუფთაა. არანაირი კვალი სქესობრივი ურთიერთობის არ იყო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირველად „პ

მირიან ბოქოლიშვილი

ვანო მერაბიშვილის მოადგილე დუმილს არღვევს... პირველად „პრაიმტაიმში" გენერალი ლევან გვაზავა ბოლო დროის გახმაურებულ საქმეებზე საუბრობს. ვის აძლევს ხელს სამართალდამცავი უწყებების დისკრედიტაცია და რა სახის დაპირისპირება არსებობდა სააკაშვილის დროს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს შორის? ვინ დგას იური ვაზაგაშვილის აფეთქების უკან და რატომ ფიქრობს გენერალი გვაზავა, რომ კვალი რუსეთის სპეცსამსახურებთან მიდის? ამ ინტერვიუში მკითხველი უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მოადგილისგან შეიტყობს, იყენებდა თუ არა წინა ხელისუფლება შსს-ს დანაყოფებს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. სანამ ამ კითხვებზე პასუხებს იხილავთ, მანამდე გეტყვით, რომ გენერალი ლევან გვაზავა ამჟამად ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგას" წარმოადგენს, რომლის წარმომადგენლები, მათ შორის კრიმპოლის უფროსის ყოფილი მოადგილე, ირაკლი ფირცხალავა კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. გვაზავა ამ დაპატიმრებებს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს.



## ექსკლუზიური ინტერვიუ გენერალ ლევან გვაზავასთან

## ვანო მერაბიშვილის მოადგილე დუმილს არღვევს!

## EXCLUSIVE

**– ბატონო ლევან, პირველ რიგში გმადლობთ, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე... მოდით, საუბარი დავიწყოთ ყველაზე აქტუალური თემით... რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი თანამოაზრეების, მათ შორის ირაკლი ფირცხალავას დაკავება პოლიტიზებულია? რა გაძლევთ ამის საფუძველს?**

– ამის საფუძველს მაძლევს ბრალის დადგენილება, სადაც პირდაპირ ჩაწერეს პოლიტიკური მოტივი. თეთრზე შავით წერია, რომ ეს პირები არიან წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ლაპარაკობენ ნულოვან ტოლერანტობასა და არეულობაზეო, რაც სრული აბსურდია. ჩვენ არ ვართ ე.წ. 9-წლიანი პოლიციელები. უმეტესი ჩვენგანი ამ სისტემაში 15 წელი და კიდევ უფრო დიდი ხანია მუშაობს. გარდა ამისა, პროკურატურა ბრალის დადგენილებაში პირდაპირ წერს, რომ თითქოს ფირცხალავას აქვს კავშირები საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, უკრაინასთან, იქ მყოფ ძალოვნებთან, აპელირებენ, რაღაც აბსურდულ არეულობაზე და ა.შ. ეს შეიძლება ისაუბროს პოლიტიკოსმა, მაგრამ, როდესაც უცხოურ კავშირებზე წერს პროკურატურა და ამით ასაბუთებს დაპატიმრების აუცილებლობას, სხვა არაფერია, თუ არა ბრალის პოლიტიკური მოტივი.

## „ძალიან დიდი ძალაუფლება მისცეს კუდ-სა და სოდ-ს. სამწუხარო რეალობაა, რომ გარკვეულწილად ხდებოდა ამ სამსახურების პოლიტიკური ნიშნით გამოყენება"

**– რამდენად სწორი იყო სააკაშვილის ხელისუფლების დროს გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა... ხომ არ ფიქრობთ, რომ კრიმინალთან ბრძოლის ამ პოლიტიკამ არ გაამართლა?**

– არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ და კორუმპირებულ სახელმწიფოდ. კრიმინალური სამყაროს ლიდერების 70 პროცენტი სწორედ საქართველოდან იყო. ისინი აკონტროლებდნენ არამარტო დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, არამედ ქვეყნის ბიუჯეტებს, გავლენა ჰქონდათ პოლიტიკოსებზე, მთავრობებზე და ა.შ. რომ არა ნულოვანი ტოლერანტობა, ამ სატკივარს წელში ვერ გადავტეხდით.

**– და ამით ხსნით 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციას, რომელსაც ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ემსხვერპლნენ?**

– ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ჩვენ დავიწყეთ სპეცდანიშნულების რაზმის გადამზადება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. სისტემატურად მიდიოდა მათი ტრენინგები. ბუნებრივია, მათ რაც ისწავლეს, ისე იმოქმედეს. ანუ დაინახეს საფრთხე და გახსნეს საპასუხო ცეცხლი. ნებისმიერი ქვეყნის პოლიცია, მით უმეტეს სპეცრაზმი, ანალოგიურად მოიქცეოდა. ამ დროს პოლიციელებმა დაიცვეს არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ იქვე მყოფი მშვიდობიანი მოქალაქეები.





**– თუმცა ჩნდება კითხვა – რაში დასჭირდა სპეცრაზმს ასეულობით საბრძოლო ვაზნის გამოყენება?**

– როდესაც სპეცოპერაცია ტარდება, იქ ვაზნებს არავინ ითვლის. თითო მჭიდში 30 ტყვიაა, იქ მყოფმა სპეცრაზმელმა, ვინ რამდენი ისროლა, ამის რეგულირება იმ მომენტში წარმოუდგენელია. არსად არ წერია კანონში, ორი ტყვია უნდა ესროლო, თუ ათი. როდესაც ხედავ საფრთხეს, ხსნი ცეცხლს. ეს ელემენტარულია. მაინცდამაინც პოლიციელი უნდა მომკვდარიყო? არ მესმის, რა ლოგიკაა.

**– რაც შეეხება იური ვაზაგაშვილის აფეთქებას... როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა მოეკლა დაკავებულ სოსანაშვილს ვაზაგაშვილი?**







## „პოლიციის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ემსახურება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მტრის მიზნებს. ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, ვისგან ფინანსდებიან ეს ჯგუფები და ვის ინტერესებს ატარებენ"



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაიმტაიმში“



**„ვანო მერაბიშვილი და ოქრუაშვილი ერთად ისხდნენ მანქანაში... ჰაერში მოვახდინე გასროლა, რომ ისინი შემეჩერებინა“**

– ამას მე ვერ გეტყვით, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია, ვთქვა, რომ ვაზაგაშვილის ოჯახის შემდეგ ამ აფეთქებით დავზარალდით ჩვენ – მე და ჩემი მეგობრები. ჩვენ სამართლებრივ დავაში ვიყავით იური ვაზაგაშვილთან, საქმე სწორედ იქით მიდიოდა, რომ ეს სამოქალაქო დავა ჩვენს სასარგებლოდ დასრულებულიყო. სწორედ იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ სასწრაფოდ დაკითხეს კორტების სპეცოპერაციის საქმეზე არაერთი პირი და პრაქტიკულად ამას მოჰყვა ფირცხალავასა და სხვა ჩვენი მეგობრების დაკავება. ვსვამ ელემენტარულ კითხვას – რაში გვაწყობდა ჩვენ ვაზაგაშვილის აფეთქება? რაც შეეხება სოსანაშვილს, პირადად არ ვიცნობ. მასთან ახლო შეხება არც ფირცხალავას ჰქონია. ჩვენ ვიცნობდით, როგორც ერთ რიგით პოლიციელს. ამ აფეთქების შემდეგ სასწრაფოდ დაიწყო კორტების საქმის შეკერვა. მინდა გითხრათ, რომ ის პროკურორები, ვინც ამ საქმეს კერავენ, ადრე თუ გვიან, კანონის წინაშე აგებენ პასუხს. საზოგადოებაც მალე მიხვდება ყველაფერს.

**– მაშინ იქნებ გვითხრათ თქვენეული ვერსია... ვის აძლევდა ხელს ვაზაგაშვილის მოცილება?**

– მოდით, პირდაპირ გეტყვით – ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ხელს აძლევდა იმ ხალხს, ვინც ახლა გამოვარდა და წინა ხელისუფლებასთან ერთად ლანძღავს მოქმედ პოლიციელებსაც. ესენი არიან პრორუსული ძალები. დღეს ეს ხალხი ხელს იშვერს პოლიციისკენ, როგორც ყოფილი, ისე მოქმედი თანამშრომლებისკენ. აქვეყნებენ სხვადასხვა სიებს, უწოდებენ მკვლელებს და ავრცელებენ ათასგვარ სიბინძურეს. ეს არის ძირითადად ის ხალხი, ვისაც არ აწყობს ქვეყანაში ძლიერი პოლიცია, ძლიერი სამართალდამცავი სტრუქტურები და ყველანაირად ძირს უთხრიან ამას. შეიძლება, ვინმე კონკრეტულმა პოლიციელმა რაღაც ჩაიდინა და მან აუცილებლად უნდა აგოს პასუხი, მაგრამ მთელი ის კამპანია, რომელიც ახლა გაჩაღებულია პოლიციის წინააღმდეგ,



ემსახურება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მტრის მიზნებს. ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, ვისგან ფინანსდებიან ეს ჯგუფები და ვის ინტერესებს ატარებენ. გულახდილად გეტყვით, თუ ამ თემას დაუკავშირდა ჭიკაიძის განთავისუფლებაც, ძალიან შეცდნენ. თუ რომელიმე ჩვენგანი დამნაშავე იქნებოდა, ჭიკაიძე ნამდვილად ვერ დაგვიცავდა.

**– პირადად იცნობთ ჭიკაიძეს?**

– ის ჩემზე გაცილებით პატარაა, მაგრამ კარგად ვიცნობდი მის ოჯახს – მამამისსა და ცხონებულ დედამისს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა. მამამისი წლების განმავლობაში პოლიციაში მუშაობდა და ძალიან დიდ პატივს ვცემდი. ჭიკაიძეც უწესიერესი ახალგაზრდაა და როგორც ვიცი, მას დღესაც პატივს სცემს მთელი პირადი შემადგენლობა.

**– ახალ მინისტრზე რა აზრის ხართ?**

– ბედის ირონიაა, რომ ვახო გომელაური მოხვდა ბიძინა ივანიშვილთან, რადგან შესაძლოა, კორტებთან სწორედ ეგ ყოფილიყო. გომელაურიც სპეცრაზმში მუშაობდა და ისევე ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც ის ბიჭები, რომლებიც ახლა ციხეში გამოკეტეს. მე ვფიქრობ, მას ნამდვილად გული შესტკივა ბიჭებზე და ჩემი ვარაუდით, რაღაც სახით თანადგომას გამოხატავს იმ სპეცრაზმელების მიმართ, რომლებიც არაფერ შუაში არ არიან.

**– ცოტა ხნის წინ პატიმრობიდან განთავისუფლდა ემზარ კვიციანი... თქვენ იყავით პოლიციის ის მაღალჩინოსანი, რომელმაც კოდორში იმ ცნობილი მოვლენების დროს პირველად გაისროლა ჰაერში, რასაც მეორე მხრიდან მოჰყვა შეიარაღებული იერიში... ყოველ შემთხვევაში ასე წერია საქმის მასალებში, რომელიც ჯერჯერობით ეჭვქვეშ ოფიციალურად არავის დაუყენებია... რამდენად ადეკვატურად მოქმედებდა მაშინ ხელისუფლება?**

– დიახ, პირველი ჯგუფი ვიყავით, რომლებიც კოდორში შევედით. გზად დაგვაწიეს ინფორმაცია, რომ იქ კვიციანი და მისი ხალხი იყვნენ ჩასაფრებულები. ვანო მერაბიშვილი და ოქრუაშვილი ერთად ისხდნენ მანქანაში, მათ არ აცადეს სპეცრაზმს და თვითონვე წავიდნენ წინ. ამიტომ ჰაერში მოვახდინე გასროლა, რომ ესენი შემეჩერებინა, რადგან ვფიქრობდი, რომ ღონისძიება სპეცრაზმს უნდა ჩაეტარებინა. ამას მოჰყვა ცეცხლის გახსნა მეორე მხრიდან. საბოლოოდ, კვიციანი გაიქცა და გადავიდა აფხაზეთში, შემდეგ უკვე თქვენთვისაც ცნობილია, რა განცხადებებს აკეთებდა ის რუსულ ტელეარხთან.

**– ამბობენ, რომ შემდეგი გახმაურებული საქმე, რომელსაც პროკურატურა გახსნილად გამოაცხადებს, სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციას უკავშირდება... მართალია, პირადად თქვენ აფრასიძეების წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციაში არ მონაწილებდით, მაგრამ უშუალოდ ხელმძღვანელობდით გვამების „აღმოჩენის“ ოპერაციას... ცნობილია, რომ სამარხების გახსნის შემდეგ იქ ლევან კალაძისა და ერთ-ერთი გატაცებული გოგონას ცხედრების ნაცვლად, მე-19 საუკუნის ნეშტები დაგხვდათ...**

**„შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური აქტივით არ უნდა დააკომპლექტო. გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სისტემის სათავეში „კმარას“ წარმომადგენლები. ეს თავისთავად ახდენდა უწყების პოლიტიზებას“**

– ვაღიარებ, რომ ეს იყო ნაჩქარევი განცხადება, რადგან გვქონდა ინფორმაცია, რომ სწორედ იქ უნდა ყოფილიყო კალაძის ცხედარი. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. ერთ-ერთმა დაკავებულმა, რუსეთის მოქალაქე მურავიოვმა გვაცნობა, რომ მას ნამდვილად ჰყავდა ლევან კალაძე ნანახი აფრასიძეებთან. ეს მასალები მანამდეც იყო შსს-ში და ამიტომაც გვინდოდა ინფორმაციის გადამოწმება. შემდეგ დავრწმუნდით, რომ ეს პიროვნება სასჯელის შემსუბუქების მიზნით ცდილობდა თანამშრომლობას, რამაც პრაქტიკულად მცდარ კვალზე დაგვაყენა.

**– თქვენ იყავით ვანო მერაბიშვილის მოადგილე... შეგიძლიათ გვითხრათ, რა იყო იმდროინდელი შსს-ს მთავარი პრობლემა?**

– მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ისეთი უწყება, როგორიც არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიტიკური აქტივით არ უნდა დააკომპლექტო. გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სისტემის სათავეში „კმარას“ წარმომადგენლები. ეს თავისთავად ახდენდა უწყების პოლიტიზებას. ეს არის, როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლების შეცდომა. ყველამ თავი უნდა დაანებოს პოლიციას და პროფესიონალებს მისცენ მუშაობის საშუალება. შეცდომად ვთვლი, რომ თავის დროზე ძალიან დიდი ძალაუფლება მისცეს კუდ-სა და სოდ-ს. სამწუხარო რეალობაა და, ალბათ, ყველა აღიარებს, რომ გარკვეულწილად ხდებოდა ამ სამსახურების პოლიტიკური ნიშნით გამოყენება. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში მაშინვე დაიწყო იმის გამოკვლევა – რამდენი პატიმარი გადმოყარეს შევარდნაძის დროს ფანჯრებიდან. გახსოვთ, ალბათ, რომ ეს თემა სულ მუსირებდა – აი, დაკავებულებს შსს-ს შენობიდან ყრიან და ა.შ. აღმოჩნდა, რომ სულ ორი შემთხვევა იყო, როდესაც მართლა გადმოვარდნას ჰქონდა ადგილი და იქ არაფერი, გარდა გაქცევის მცდელობისა, არ ყოფილა. ეს რომ ნახეს, გაჩუმდნენ და ხმა აღარავის ამოუღია. ახლა დაახლოებით მსგავსი შინაარსის თემებით საქმეებს კერავენ და არავინ კითხულობს, რეალურად მოხდა თუ არა მსგავსი რამ. საბოლოო ჯამში, პოლიციელების ტალახში ამოსვრა სარგებელს არავის მოუტანს.

**– არსებობდა დაპირისპირება ძალოვანი უწყების პირველ პირებს შორის?**

– ჩვენ, პოლიციელები, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, გავლენების განსამტკიცებლად დაპირისპირებებს ადგილი ჰქონდა.





**„გომელაურიც სპეცრაზმში მუშაობდა და ისევე ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც ის ბიჭები, რომლებიც ახლა ციხეში გამოკეტეს. ვფიქრობ, მას ნამდვილად შესტკივა გული ბიჭებზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი



ნინო მჭედლიშვილი

**მას მერე, რაც პრეზიდენტის ქალიშვილი, ანა მარგველაშვილი და გიგი ჩიჩუა დაქორწინდნენ, პრესა წყვილთან ინტერვიუზე ნადირობს. სწორედ ამიტომ, როცა სრულიად შემთხვევით სხვა ინტერვიუზე მისულებს, „ჯდს“-ის სტუდიაში სასურველი რესპონდენტები დაგვხვდა, ყველა ხერხს მივმართეთ, რომ მათთან ახლოს მივსულიყავით.**

ანა და გიგა, ვალენტინობის დღისადმი მიძღვნილ გადაცემაში, „ბინა 18“-ში მიიწვიეს. ეს არის პირველი გადაცემა, სადაც შეყვარებული წყვილი გამოჩნდა. ცოტა ხნის წინ, პრესაში გაჩნდა ფოტო, სადაც ანას მუცელი ეტყობა. როგორც ამბობენ, ანა ბავშვს ელოდება. ამ ინფორმაციის გადამოწმება თავად წყვილთან ვერ მოვახერხეთ, ანას პირადმა დაცვამ მასთან არ მიგვიშვა. სამაგიეროდ, უამრავი ფოტოს გადაღება მოვახერხეთ, სადაც პრეზიდენტის შვილს მუცელი ჯერ ნამდვილად არ ეტყობა.

# ანა მარგველაშვილი და გიგი ჩიჩუა პირველად ტელეეთერში









**ჩვენ გიგის ძმას, მუსიკოს ლევან ჩიჩუას დავუკავშირდით:**

**- თქვენს ძმაზე და ანაზე მინდა გკითხოთ, ქალაქში ამბობენ, რომ ანა ორსულადაა. ამ ინფორმაციის გადამოწმება მინდა.**

**ლევან ჩიჩუა: არა, ჭორებია. არ არის ორსულად.**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# paparazzi





paparazzi

გადაცემის ჩაწერის დროს შევიტყვეთ ისიც, რომ წყვილი ჯერ ქორწილს არ გეგმავს. გიგი ამბობს, რომ საამისოდ ჯერ ძალიან ცივა.



# „ჭორია, არ არის ორსულად“





გადაცემიდან გაიგებთ, როგორ მიმართავს სიძე პრეზიდენტს და „ერთი ნახვით პრეზიდენტის სიძობის“ თუ სჯერა. ეს კითხვა მას იუმორისტმა თემო მჟავიამ დაუსვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ცვლილებებს გაატარებ

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**დავით ნარმანია არ აღმოჩნდა ის პიროვნება, რომელიც ლაღად აგრძნობინებდა თავს ხელისუფლებას თბილისში – ექსპერტების მსგავსს შეფასებებს პოლიტიკოსების მოთხოვნა მოჰყვება, რომლებიც მერიის მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ და პროკურატურისგან მერიის მაღალჩინოსნების საქმიანობის შესწავლას დაუყოვნებლივ მოითხოვენ.**

## ვის ემუქრება ჯოკია ბოდოკია და რა შემთხვევში დაარღვევს ის დუმილს?!



დედაქალაქის მერს წელიწადზე მეტი დრო ჰქონდა, საკუთარი შესაძლებლობები ეჩვენებინა, თუმცა, ოპოზიციის განცხადებით, ნარმანიამ საქმე მერის ვადამდელი არჩევნების თემის განხილვამდე მიიყვანა. ეს კი მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მისგან 2016 წლის არჩევნებამდე რაც შეიძლება მეტი საქმის გაკეთებას ითხოვდა. მან კი ქულების დაწერის სანაცვლოდ გუნდს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. პრობლემას საკმაოდ უცნაური სახელი და გვარი აქვს – ჯოკია ბოდოკია.

ბოდოკიას მერიაში დასაქმება ბევრისთვის პირველივე დღიდან გახდა მიუღებელი. მასზე გავრცელებული პირველი ინფორმაცია იყო ის, რომ ბოდოკია ნარმანიას თანასოფლელი და უახლოესი მეგობარი იყო. თუმცა ეს მხოლოდ შავი პიარი აღმოჩნდა, რეალურად, ის ვაკელია და ამით ყველაფერი ითქვა. ინფორმაციას ბოდოკიას დაბადებისა და გაზრდის ადგილის შესახებ მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გეგი ნიჟარაძე ავრცელებს: „ის თბილისელი ბიჭია, დაბადებული და გაზრდილი ვაკეში“...

„ვაკეში გაზრდილი ბიჭის“ შესახებ ცნობილი გახდა, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო დაკავებული ქრთამის აღებისთვის და იგივე დანაშაულზე მის კარიერაში 2010 წელიც მნიშვნელოვანი თარიღია. ამჯერად კი ბოდოკია დიდი ხნით გაეხვია, სულ მცირე, შარში, ისე კი საქმეს სერიოზული კორუფციის სუნი უდის. ის შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ დააკავა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე. ბოდოკიამ ერთ-ერთი კერძო კომპანიის წარმომადგენელს სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებისა და მშენებლობის პროცესში, მფარველობის გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 180 000 ამერიკული დოლარი მოსთხოვა, საიდანაც წინასწარ ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 50 000 ამერიკული დოლარი აიღო.

ბოდოკია ჯერჯერობით დუმილის უფლებას ინარჩუნებს, თუმცა, როგორც კულისებში ითქვა, მან „საჭირო პირებს“ შეუთვალა: თუ არ გინდათ საქმის გარშემო სიმართლე ვთქვა და ხმაურიანი გვარები დავასახელო, აქედან გამიყვანეთო.

მერიის მაღალჩინოსნები ღია განცხადებებში კორუფციულ გარიგებას გაემიჯნენ და განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, გამოძიებასთან ითანამშრომლონ.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, ბოდოკიას უფლებებს დავით ნარმანიას ძმა, ადვოკატი ირაკლი ნარმანია იცავდა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დედაქალაქის მერმა თავად უარყო. ჯოკია ბოდოკიას ადვოკატად გიორგი ყავლაშვილია. სხვათა შორის ირაკლი ნარმანიას სახელი და გვარი ადრეც დაუკავშირეს სკანდალს, როდესაც აღმოჩნდა, რომ ის პატიმრების წამებაში ექვმიტანილის, კობა თოდუას უფლებებს იცავდა. როგორც ამჯერად, ინფორმაცია დავით ნარმანიამ მაშინაც უარყო.

# EXCLUSIVE

**ნიკა მელია:**

– არის თუ არა ჯოკია ბოდოკიას ადვოკატი დავით ნარმანიას ძმა, ამის შესახებ ინფორმაციას ნამდვილად არ ვფლობ, თუმცა ფაქტია, რომ ჯოკია ბოდოკია ნარმანიას უახლოესი მეგობარი და მისი თანასოფლელია, კოკიდან. დავით ნარმანიამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მომხდარზე, გამოვიდეს და საზოგადოებას განუცხადოს, რა ნიშნით დანიშნა მან თავის დროზე ჯოკია ბოდოკია მაღალ თანამდებობაზე. თუ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა იყო, მერმა მინიმუმ ბოდიში მაინც უნდა მოუხადოს საზოგადოებას. ისე კი, ჩვენ თავის დროზე ხმამაღლა გავაპროტესტეთ ჯოკია ბოდოკიასა და კიდევ რამდენიმე ადამიანის თანამდებობებზე დანიშვნა, რადგან მათი წარსული არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ასეთი მაღალი თანამდებობები დაეკავებინათ. ბუნებრივია, მაშინ ნარმანიამ ჩვენი პროტესტი ყურად არ იღო და მაინც დანიშნა ისინი. შედეგიც სახეზეა.

**– კონკრეტულად რა დანაშაული ჰქონდა წარსულში ჩადენილი ჯოკია ბოდოკიას?**

– მას არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი და სხვადასხვა მუხლებით არის გასამართლებული, მათ შორის 2010 წელს ბოდოკია გასამართლებული იყო ქრთამის აღების ფაქტზე, იგივე დანაშაულზე იყო დაკავებული ის შევარდნაძის დროსაც, თუმცა შევარდნაძისდროინდელი დანაშაულის საქმე სასამართლოში არ მოიძებნა, რატომღაც. 2010 წლის ფაქტი კი ნამდვილად დაფიქსირებულია. ყველაზე სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ ჯოკია ბოდოკია არ არის ერთადერთი ადამიანი მერიაში, რომელიც ქრთამის აღებითაა დაკავებული. დღეს მერიას ძალიან ბევრი ჯოკია ბოდოკია ჰყავს და თუ ნარმანიას გადაწყვეტილების მიღების უნარი შესწევს მან, პირველ რიგში, დაკავებული ნიჟარაძე და მედულაშვილი უნდა გაათავისუფლოს თანამდებობებიდან.

## „ნარმანია ვერ არეგულირებს სიტუაციას, რადგან არის სრულიად უავტორიტეტო“



როგორც მელია ცხადებს, გამორიცხულია, ჯოკია ბოდოკიას დამოუკიდებლად ემოქმედა და 180 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით ქრთამი აეღო, რადგან მას თანამდებობა არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ დამოუკიდებლად გაეკეთებინა ის, რასაც ქრთამის მიმცემს დაჰპირდა. აქედან გამომდინარე, მისივე თქმით, ამ სქემაში ჩართული იყო ბევრი სხვა თანამდებობის პირი. პირველ რიგში, ნიჟარაძე და მედულაშვილი, რომლებიც გამოძიების დასრულებამდე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ოპონენტების აზრით, ამ საქმეში ასევე ჩართული იქნებოდა არქიტექტურის სამსახური, მერის მოადგილე მარგიშვილიც, რომლის თანხმობაც სჭირდებოდა ნებართვის გაცემას. მათივე განცხადებით, მაღალი თანამდებობის პირების გარეშე ჯოკია ბოდოკია ამ საქმეს სისრულეში ვერ მოიყვანდა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბოდოკია, უბრალოდ, შუამავალი იყო მეწარმესა და მერიის მაღალჩინოსნებს შორის, ახლა კი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ იყვნენ ეს მაღალჩინოსნები.

შეიძლება თუ არა ნარმანიას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს? ოპონენტთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯოკია ბოდოკიამდეც არაერთი ადამიანი იქნა მხილებული, პროკურატურა გამოძიებაზე ფეხს ითრევს, თუმცა მათ იმედი აქვთ, რომ აღნიშნული საქმეების გამოძიება მომავალში მაინც მოხდება.

„დედაქალაქის მერია დღესდღეობით უპატრონოდ არის დარჩენილი. დავით ნარმანიას განცხადება – ეს იყო შეშინებული, დამფრთხალი მერის თხოვნა, და არა მოთხოვნა, საკუთარი თანამშრომლების მიმართ, რომ არ აიღონ ქრთამი. მერიას ნარმანია არ მართავს, ის არის ადამიანი, რომელიც, უბრალოდ, რეზოლუციას ადებს რაიმე



## მან „საჭირო პირებს“ შეუთვალა: თუ არ გინდათ საქმის გარშემო სიმართლე ვთქვა და ხმაურიანი გვარები დავასახელო, აქედან გამიყვანეთო...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ს დავით ნარმანია მერიაში



## „მოადგილეების შეცვლა შეიძლება განხორციელდეს იმ მიზნით, რომ თქვან: აი, აქამდე ცუდი კადრები გვყავდა და ახლა ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ამომრჩეველი არ უნდა მოტყუვდეს“

საბუთს და კამერების წინ ჩნდება“, – ამბობენ ნარმანიას ოპონენტები

ბოდოკიას დაკავების შემდეგ მერიაში სერიოზული ცვლილებების განხორციელდება გარდაუვალი ხდება. თუმცა, როგორც ამბობენ, დავით ნარმანიას უწყებაში წმენდის ჩატარება ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა. უბრალოდ, ის ატესტაციის დასრულებას ელოდება. ცვლილებები მერის მოადგილეებსა და იმ სამსახურის ხელმძღვანელებს შეეხებათ, რომელთა საქმიანობის მიმართ ყველაზე მეტი კითხვის ნიშანი არსებობს. ოპონენტები კონკრეტულ პირებს ასახელებენ, ვის მოხსნასაც მერისგან ითხოვენ. გადასაყენებელ ჩინოვნიკთა სიაში მოხვდა ნარმანიას მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გეგი ნიჟარაძე, დავით მედულაშვილი და მერიის სოციალური სამსახური უფროსი გელა ჩივიაშვილი. სია საკმაოდ გრძელია. მერიის ყოფილი თანამშრომლის, ლევან ხაბეიშვილის განცხადებით, ჩივიაშვილი ნასამართლევი პირია, რომელსაც არ აქვს უფლება, მაღალი თანამდებობა ეკავოს. ხაბეიშვილის განცხადებით, ჩივიაშვილმა სოციალურად დაუცველთა დაზღვევისთვის გამოყოფილი თანხა მიითვისა.

ოპონენტები აღნიშნულ ინფორმაციებზე დაყრდნობით პროკურატურისგან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ. მათი განცხადებით, ტენდერების საკითხი აუცილებლადაა შესასწავლი... ისინი ვერც ერთ სამსახურს ვერ ასახელებენ, რომელიც მერიაში თუნდაც საშუალო დონეზე მაინც მუშაობს.

მათი განცხადებით, მერიაში ტენდერებს ვერ ატარებენ, ხელშეკრულებებს ვერ დებენ, ტენდერების მაგივრად გამარტივებული შესყიდვის წესით აფორმებენ, რითიც კანონს არღვევენ, რადგან გამარტივებული შესყიდვა უნდა გაკეთდეს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ამის აუცილებლობა კი არ არის. როგორც ოპონენტები ამბობენ, ისეთ შემთხვევებში ატარებენ გამარტივებულ შესყიდვას, რის შედეგადაც ქალაქისა და სახელმწიფოს თანხა იფლანგება და ამით პროკურატურა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს. მათი მოთხოვნაა პროკურატურამ შეისწავლოს მერიაში შესყიდვების, გამარტივებული შესყიდვების, ტენდერების საკითხები და აუცილებლად შემოწმდეს გაკეთებულის ხარისხიანობა.

კითხვაზე: მოსალოდნელია თუ არა მერის მოადგილეების შეცვლა? ოპონენტები ამბობენ, რომ ვინც არ უნდა შეიცვალოს, შეიძლება უარესი მოვიდეს უკვე არსებულის მაგივრად, რადგან მათ რესურსი არ აქვთ. „მოადგილეების შეცვლა შეიძლება იმ მიზნით განხორციელდეს, რომ თქვან, აი, აქამდე ცუდი კადრები გვყავდა და ახლა ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ამომრჩეველი არ უნდა მოტყუვდეს“, – აცხადებენ ისინი და აქვე აღნიშნავენ, რომ კადრების შეცვლა ყურადღების გადატანაა, რაც ძალიან ცუდი ტრადიციაა. მათი თქმით, მერიაში პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხია მოყვანილი სხვადასხვა თანამდებობებზე, ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა ძალებს, მათ სხვადასხვა პატრონები ჰყავთ და არ აქვთ ერთმანეთის მიმართ კოლეგიალური დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, მერიაში სამუშაო გარემო აბსოლუტურად არაპროდუქტიულია, მთავრობა ვერ მუშაობს, რადგან ერთმანეთშიც ვერ აქვთ ნორმალური ურთიერთობები.

მერიის საზოგადოებასთან სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, უწყებაში არანაირი ცვლილება არ იგეგმება, თუმცა აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება. როგორც ამბობენ, ცვლილებებს ნარმანიასგან გუნდი ითხოვს. მიზეზი 2016 წლის არჩევნებია. „ქართულ ოცნებას“ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის ყველაზე მეტი მუშაობა სწორედ დედაქალაქში დასჭირდება, რადგან, როგორც ექსპერტები ამბობენ, სახელისუფლებო გუნდს მხარდამჭერების მოგროვება ყველაზე მეტად სწორედ თბილისში გაუჭირდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები საარჩევნო კალენდარში ჩაჯდება და არ დადგება თავად დავით ნარმანიას პასუხისმგებლობის საკითხი.



**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი:**

– ნარმანიას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალეულობა გამოიკვეთება. ასეთ შემთხვევაში ვფიქრობ, ხელისუფლება მას მარტივად შეელევა, რადგან ამბობენ, მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირი ძალიან უკმაყოფილოა დედაქალაქის მერის საქმიანობით. ეშინიათ, რომ ნარმანია იქცევა ბარიერად თბილისში არჩევნების მოგების გზაზე. პრინციპში, მეც დავეთანხმები ამ აზრს, ვფიქრობ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს „ქართული ოცნება“ თბილისში მიიღებს ყველაზე ნაკლებ ხმას, ვიდრე ყველა დანარჩენ რეგიონში, თუკი რაიმე რადიკალური ცვლილება არ განხორციელდება. ნარმანია ისედაც იყო ივანიშვილისგან შემოთავაზებული „საჩუქარი“ თბილისელებისთვის, დანარჩენი კი მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული, გახდებოდა თუ არა ის მისაღები და სასურველი ფიგურა. მან ეს დღემდე ვერ შეძლო. ნარმანია ვერ აღმოჩნდა ის ფიგურა, რომელიც ხელისუფლებას ლაღად აგრძნობინებდა თავს თბილისში.

**– ანუ არ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა, ვადამდელი არჩევნების საკითხიც კი დადგეს?**

– თუ ვადამდელი არჩევნების საკითხი დადგება დღის წესრიგში, არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდეს არჩევნების მოგება.

**ნიკა მელია: „2010 წელს ბოდოკია გასამართლებული იყო ქრთამის აღების ფაქტზე, იგივე დანაშაულზე იყო დაკავებული ის შევარდნაძის დროსაც“**

# ინფრასტრუქტურის სამინისტრო სკანდალში ეხვევა



ასეთი ინფორმაციები იშვიათად ვრცელდება ხოლმე. ძირითადად მაშინ, როცა სკანდალი კულისებში „ველარ ეტევა“ და გარეთ გამოდის. მახსოვს, წლების წინათ პროკურატურამ ტრაპიდან მოხსნა კავშირგამბულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია. პროკურატურას მაშინ გონივრული ეჭვი გაუჩნდა, რომ ინჯია მიმალვას ცდილობდა. თუმცა, შემდეგ, როცა საქმეს მსვლელობა აღარ მიეცა, გონივრული ეჭვი უკვე სხვებს გაუჩნდათ და ითქვა, რომ ყოფილი მინისტრს საქმის ჩაფარცხვა 100 ათასი დოლარი დაუჯდა.

ახლა გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღის წინ აეროპორტში „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (სგწკ) ყოფილი მთავარი ბუღალტერი თამარ ფხოველიშვილი დააკავეს. გამოძიება მას მძიმე ბრალდებას უყენებს. ერთ-ერთი ინფორმაციით, საუბარია 2 მილიონი ლარის გაფლანგვაზე.

თუმცა, ოფიციალურად არც ერთი საგამოძიებო უწყება ქალბატონის ეროპორტში დაკავებას, ისევე როგორც საერთოდ მის დაკავებას, არ ადასტურებს. თუმცა, მოგვიანებით, უწყების ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ აღმოჩენილია ხარვეზები, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა განმარტა:**

„წყლის კომპანიის ხელმძღვანელობამ, სამინისტროში, პირადად ჩემს სახელზე, ოფიციალური სახით მონაცემები გადმოგზავნა. შევისწავლეთ ეს საკითხი და ჩავთვალეთ, რომ იყო დარღვევები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული დეპარტამენტს საქმის მასალები მიმდინარე წლის 4 თებერვალს გადავუგზავნეთ. გამოძიება მიმდინარეობს, რომლის ინტერესიდან გამომდინარეც, მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებთ“.



**დააკავა თუ არა უწყების ბუღალტერი პროკურატურამ აეროპორტში**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა საფრთხე ემუქრება სატელევიზიო რეიტინგებს

მედიაბაზარზე ახალი სკანდალი მწიფდება. სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ერთადერთი კომპანია მალე შესაძლოა კონტრაქტორების გარეშე დარჩეს. „პრაიმტაიმისთვის" ცნობილი ხდება, რამდენიმე წამყვანი ტელეარხის გაუხმაურებელი შეთანხმების შესახებ, რომლებიც აპირებენ საერთოდ უარი თქვან კომპანია „თივიემარ ჯორჯიას" მომსახურებაზე და საკუთარი რეიტინგი აღარ გააზომინონ. ამ ტელევიზიებს შორის არ არის „რუსთავი 2", რომელსაც ცქიტიშვილის კომპანიასთან რეიტინგის ნამდვილობაზე პრეტენზია არასდროს ჰქონია, იმ არხებისგან განსხვავებით, რომლებიც „თივიემარის" მიერ დათვლილ რეიტინგებს პერიოდულად უნდობლობას უცხადებდნენ, თუმცა იმის გამო, რომ ის ბაზარზე ერთადერთი მთვლელია, მასთან მაინც თანამშრომლობდნენ.

გახსოვთ, ალბათ, ბოლო სკანდალი, როდესაც ცქიტიშვილის კომპანია „მაესტროს" ყოფილმა დირექტორმა რეიტინგების გაყალბებაში ღიად დაადანაშაულა და ფაქტიც მოიყვანა, როცა „მაესტრო" 1 დღით გათიშული იყო და არხს იმ დღის რეიტინგები წარუდგინეს...

რეიტინგებით მანიპულირების ნიშნები ბოლო პერიოდში აშკარად გამოიკვეთა, სხვა არხის მიმართაც. ჯერ იყო და „მაესტროს" რეიტინგი „დაეცა", შემდეგ მას მიჰყვა „იმედი", რის ხარჯზეც „რუსთავი 2"-ის გასწვრივ „თივიემარის" ბადეში რეკორდული მაჩვენებელი გაუჩნდა...




კომპანია „თივიემარი", ფიფლმეტრების საშუალებით იღებს აუდიტორიის ქცევის შესახებ მონაცემებს, რომელსაც შემდეგ თავის კლიენტებს - ტელეკომპანიებს და სარეკლამო კომპანიებს უზიარებს. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, სარეკლამო კომპანიები შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა დროით და სად განათავსონ საკუთარი რეკლამა, რომელიც ტელევიზიის ერთადერთი შემოსავლის წყაროა.

დღესდღეობით, ამ კომპანიის კლიენტები საქართველოში მოქმედი 11 ტელევიზია და 18 სარეკლამო სააგენტოა. თუ კონფიდენციალური წყაროს მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდა და რამდენიმე ტელევიზიამ უარი თქვა „თივიემართან" თანამშრომლობაზე, რეიტინგების მთვლელი კომპანია, სარეკლამოებს რეიტინგს ველარ მიაწვდის, რაც იმას ნიშნავს, რომ სატელევიზიო ბაზარი სასიცოცხლო არტერიის გარეშე დარჩება. თუმცა, როგორც გავიგეთ, დროებით, რადგან ცქიტიშვილის კომპანია მალე შესაძლოა ტელერეიტინგების ახალმა მთვლელმა ჩაანაცვლოს.

# თიბისი ბანკმა სამთო ტურიზმის განვითარებისთვის განხორციელებული გარიგების გამო პრესტიჟული ჯილდო მიიღო

**პრესტიჟულმა ფინანსურმა გამომცემლობამ, Trade and Forfaiting Review, თიბისი ბანკის ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქცია, 2014 წელს, მსოფლიოში 15 საუკეთესო ტრანზაქციას შორის დაასახელა.**

ეს ტრანზაქცია გულისხმობდა გარიგებას, რომლის მიხედვითაც, თიბისი ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო აკრედიტივების მეშვეობით, „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიამ" შეძლო ხელოვნური თოვლის მწარმოებელი აპარატურის იმპორტი იტალიიდან, რისი დახმარებითაც, გუდაურსა და ბაკურიანში, ბუნებრივი პირობების მიუხედავად, სათხილამურო სეზონის ჩატარება იქნება შესაძლებელი.




საქართველოს სამთო კურორტების - გუდაურისა და ბაკურიანის ხელოვნური გათოვლიანების პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტთა რაოდენობის მატებას და შესაბამისად ადგილობრივი ბიზნესის განვითარებასა და დასაქმების გაზრდას.

„ჩვენ ვამაყობთ ამ მნიშვნელოვანი აღიარებით, რომელიც ვაჭრობის დაფინანსებისა და კორპორატიული ბანკინგის მიმართულებით მოვიპოვეთ. მოხარული ვართ, რომ ამ ტრანზაქციით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ტურიზმის განვითარებას საქართველოს ზამთრის კურორტებზე",- განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა **ვახტანგ ბუცხრიკიძემ.**

ჟურნალი Trade and Forfaiting Review საუკეთესო გლობალური ტრანზაქციების გამოსავლენად კონკურსს ყოველ წელს ატარებს. წელს ამ კონკურსზე მსოფლიო მასშტაბით 180 ტრანზაქცია იყო წარდგენილი. სწორედ ამ 180 ტრანზაქციას შორის შეირჩა 15 საუკეთესო.

თიბისი ბანკთან ერთად გამარჯვებული ბანკები არიან ისეთი ცნობილი საფინანსო ინსტიტუტები, როგორებიცაა: HSBC, RBS, Deutsche Bank, Citi, ING, Societe Generale, ABN AMRO და BNP Paribas.

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვისოლის“ მხარდაჭერით, საავტომობილო კონკურსი - „ოქროს საჭე“ გრძელდება

კონკურსი „ოქროს საჭე“ გრძელდება, რომელიც წლის საუკეთესო ავტომობილების გამოვლენას გულისხმობს. საავტომობილო ოსკარად წოდებულ კონკურსს ჟურნალი „აუტო ბილდ საქართველო“ კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით ახორციელებს. ამჯერად, კონკურს „ოქროს საჭეს“ ფარგლებში, „ჯიპი“-ს მხარდამჭერი ღონისძიება გუდაურში ჩატარდა, რომლის დროსაც „ჯიპი“-ს ახალი მოდელის დეტალური ტესტი შედგა. ტესტ დრაივი „აუტო ბილდ საქართველოს“ მთავარმა დირექტორმა შალვა ბუაჩიძემ და „ვისოლის“ გუნდის წევრმა, პროფესიონალმა მრბოლელმა შაკო ციხელაშვილმა ჩაატარეს. „ჯიპის ცენტრმა“ ტესტ დრაივზე უახლესი **Grand Cherokee**-ს, **Overland** ვერსია წარადგინა, **3.0** ეკო დიზელის ახალი ტექნოლოგიის ეკონომიკური ძრავით და **8** სიჩქარიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფით. „ეს არის „ოქროს საჭის“ კონკურსი, რომელიც არის ყოველწლიური და ემსახურება წლის საუკეთესო ავტომობილების გამოვლენას ყველა კლასში. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ახალი **Grand Cherokee**. ეს ავტომობილი „ოქროს საჭის“ კონკურსში მონაწილეობს. დღეს მოგვეცა საშუალება, რომ ქართულ რეალობაში, გუდაურში, თოვლში, გამოვცადოთ, გავტესტოთ, თუ როგორ დადის, რამდენად კარგი ყველგანმავალია. სპეციალურად ზამთრის საბურავები დავაყენეთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად მომზადებული ყოფილიყო ეს ავტომობილი. **Grand Cherokee**-ი არის კომფორტული, აქვს თითქმის ყველა ფუნქცია, რაც უნდა ჰქონდეს ყველგანმავალს. წლის საუკეთესო ავტომობილი ყველა კლასში თებერვლის ბოლოს გამოვლინდება. ვნახოთ, რამდენად აქვს შანსი ჯიპ **Grand Cherokee**-ს, რომ თავის კლასში საუკეთესო ავტომობილი გახდეს“,-განაცხადა შალვა ბუაჩიძემ.




კონკურსში მონაწილეობას წლის საუკეთესო ავტომობილები მიიღებენ, რომლებიც გადანაწილებული არიან 6 კლასში. რჩეული ავტომობილებისთვის ხმის მიცემის პროცედურა www.autobild.ge-ზე მიმდინარეობს. კონკურსი საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდება.

„ოქროს საჭის“ კონკურსში მონაწილე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების უახლესი მოდელებისთვის რეკომენდებული სწორედ უახლესი ევროპული სტანდარტის, უმაღლესი ხარისხის საწვავია, რომლის რეალიზაციასაც საქართველოში „ვისოლი“ „ეკოს“ პროდუქტების სახით, საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელის საშუალებით ახდენს. ზამთრის სეზონზე კი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ავტომობილის საბურავების ხარისხი. „ნოაკიანისა“ და „პირელის“ გამორჩეულად მაღალი ხარისხის საბურავები კი, ექსკლუზიურად „ვიანორში“ იყიდება, შესაბამისად, „ვისოლი“ მოხარულია, იყოს მხარდამჭერი საავტომობილო სივრცეში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებისა“,- განაცხადა „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა **ვასილ ხორავამ.**

Ⓐ

# „სმარტმა“ „ნატურალური ქართული პროდუქტების ფესტივალს“ უმასპინძლა

მზეკო ჟვანია

**გასულ კვირას „სმარტში“ „ნატურალური ქართული პროდუქტების ფესტივალი“ გაიმართა, რომლის ფარგლებში ყველა სახეობის ქართულ ხორცზე, ქართულ ყველზე, კალმახსა და „კოდას“ წარმოებულ კვერცხზე 15%-იანი ფასდაკლება ვრცელდებოდა. შესაბამისად, „სმარტის“ ერთგულ მომხმარებლებს თბილისის სუპერმარკეტებში საქართველოში წარმოებული, ჯანსაღი, უმაღლესი ხარისხის, ნატურალური პროდუქტების ფართო არჩევანის შეღავათიან ფასში შეძენა შეეძლოთ.**

„ნატურალური ქართული პროდუქტების ფესტივალის“ პრეზენტაციაზე ნაჩვენები იყო მცირე ფილმი, რომელიც აღწერს „სმარტის“ ქსელში არსებული ხორცის წარმოების, შენახვისა და კონტროლის ციკლს მიწოდებიდან რეალიზაციამდე.



„ძალიან ხშირად გვესმის თითოეულ ჩვენგანს, თუ რამდენად ეკოლოგიურად დაბინძურებულია ჩვენი გარემო. ყველას აინტერესებს რითი ვიკვებებით. ჩვენ გვიხარია, რომ „სმარტი“ არის ერთ-ერთი კომპანია, რომლის მთავარი კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მომხმარებელს მივაწოდოთ ყოველთვის ნატურალური, ახალი, ჯანსალი პროდუქტი. ჩვენ დღეს ვიწყებთ ფესტივალს „ქართული ნატურალური პროდუქტებისა“ და კიდევ ერთხელ გვინდა ჩვენს ერთგულ მომხმარებელს და ზოგადად საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ჩვენთან ყოველთვის არის ახალი ნატურალური ქართული ხორცი, არის ყველის ნაირსახეობა, არის თევზის პროდუქტები და ა.შ. ასევე მინდა გითხრათ, „სმარტმა“ გააკეთა მაღალტექნოლოგიური მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, სადაც მრავალსაფეხურიან გადამოწმებას გადის ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც სუპერმარკეტებში იყიდება. „სმარტი“ პირველივე დღიდან მხარს უჭერს ქართულ წარმოებას, მხარს უჭერს სოფლის მეურნეობას და ეს პროცესი იქნება შეუქცევადი. არასოდეს გაყინული პროდუქტი, გაყინული ხორცი „სმარტში“ არ გაიყიდება. ეს არის ჩვენი ბიზნესის კეთების მთავარი ამოცანა“,- განაცხადა ვისოლ ჯგუფის პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ.

„სმარტი“ გამორჩეულია ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტის ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანდარტებით. „ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირშია ზურაბ ჟვანიას საქმე ტელეკომპანია „202“-ის დახურვასთან?

**მარიამ ნადირაძე**

**ზურაბ ჟვანიას საქმე კიდევ ერთხელ დადგა გახსნის ზღვარზე... ეს ხმაური საერთაშორისო სკანდალში გადაიზრდება, თუ კვლავ მორიგ „ცხელ“ დრომდე გადაიდება. ეს, ცხადია, მხოლოდ პროკურატურის მარიფათზე არ არის დამოკიდებული... რაც შეეხება პოლიტიკურ ნებას, დიდი ალბათობით, ამ ნების სრულ გამოვლენამდე, სულ მცირე, წელიწად-ნახევარია დარჩენილი...**

ამასობაში კი ხმაური პიკშია, რასაც განსაკუთრებული სიმწვავე ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გამოქვეყნებულმა „ეფბიაი“-ს აქამდე გამოუქვეყნებელმა დოკუმენტებმა შემატა...

ჩანს, რომ არაორდინარული პოზიცია დღეს იმ მხარესაა, რომელიც თავის დროზე ჟვანიას საქმის საინფორმაციო უზრუნველყოფას განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვამდა.



ცნობილი ტელეწამყვანი, შალვა რამიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იხსენებს, რომ ამ საქმემ თავის დროზე ტელეკომპანია „202“-ის არსებობა შეიწირა.

**ჩვენს მკითხველს დღეს სწორედ მასთან ინტერვიუს შევთავაზებთ:**

– ტელეკომპანია „202“-ში გავიდა ვახო კომახიძის ფილმი „ტყვიის გარეშე“. თანაც გავიდა რამდენჯერმე. ამ ფილმის ეთერში გასვლის შემდეგ ჩვენთან მოვიწვიეთ ზურას მეუღლე, ნინო და ძმა, გოგლა. რამდენიმე გადაცემა მივუძღვენით ამ ფილმს. ამის გამო ძალიან შეწუხდნენ მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირები. ყველაზე მეტად კი სააკაშვილი. სხვათა შორის, ერთ-ერთ საუბარში ბატონი ზურას მეუღლეს ისიც კი უთხრა, შალვა რამიშვილი შენ გაშანტაჟებს, შენგან რაღაც სურსო. ეს მოხდა ხსენებული განხილვების შემდეგ. ასე რომ, მომდიოდა ხმები მაშინდელი ხელისუფლების სიბრაზის შესახებ, ჟვანიას საქმის ასეთი გაშუქების გამო, რასაც „202“ ეწეოდა.

**– ამ ამბავს მალევე მოჰყვა ტელეკომპანიის დახურვა?**

– ტელეკომპანია დაიხურა ზურას გარდაცვალებიდან რვა თვეში, მისი გარდაცვალების შესახებ ფილმის გაშვებიდან – სამ თვეში.

**– მხოლოდ ნინო ქადაგიძისა და მიხეილ სააკაშვილის ამ შინაარსის საუბარმა გაფიქრებინათ, რომ ტელეკომპანიის დახურვა ფილმის გაშვებასთან იყო კავშირში?**

– მარიკა ვერულაშვილმა დამირეკა და მითხრა, – მიშა შენზე გაბრაზებულია ამ ფილმის გაშვების გამოო. მე ვუპასუხე, გადაეცი მიშას, მისი ასეც... და ისეც-თქო!..

**– ეს გახდა შენსა და მიშას შორის განხეთქილების მიზეზი?**

– არ მინდა გავიხსენო, რა გახდა განხეთქილების მიზეზი. ფაქტია, რომ, რაც ის პრეზიდენტი გახდა, სულ სხვაგან გაუზერა. 2003 წლის ნოემბრამდე ის სულ სხვა ადამიანი იყო და ამის შემდეგ – სულ სხვა. ამ ადამიანს დღეს, როგორც ჩანს, მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა აქვს. ისეთიც კი, რომ ამბობს, რუსეთს უკრაინა დაიპყრობსო. ამიტომაც არ მინდა მასზე საუბარი. ჩემთვის ის არის წარსული – ზოგჯერ კომიკური, ზოგჯერ ტრაგიკული. მთლიანობაში კი სააკაშვილს ვუყურებ, როგორც წარსულს.

**– ბოლოს და ბოლოს, „202“-ის დახურვა პირდაპირ კავშირშია ჟვანიაზე ფილმის გაშვებასთან?**

– „202“-ზე შეტევას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მათგანი სწორედ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგამოძიებო ფილმის გაშვება იყო. მაშინ ამ ფილმს სხვა არც ერთი ტელევიზია არ გაუშვებდა, ვინაიდან ხელისუფლებას უკვე დამყარებული ჰქონდა კონტროლი თითქმის სხვა ყველა ტელევიზიაზე. მით უმეტეს, ამ ფილმის გაშვებას მოჰყვა თემის ძალიან საინტერესო განხილვები და ასეთი განხილვები ნამდვილად ვერ წარიმართებოდა სხვაგან.

**– ეს განხილვები, ალბათ, აბსოლუტურად საპირისპირო იქნებოდა იმ განხილვებისგან, რაც ბოლო დროს ერთ-ერთ ტელეკომპანიაში მოვისმინეთ, როდესაც იქ „ეფბიაის“ დასკვნის გასაიდუმლოებული ნაწილი გამოქვეყნდა...**

– „რუსთავი 2“-ის რამდენიმე ტელეწამყვანი და მისი დირექტორი მიხეილ სააკაშვილის პირადი რუპორია. შესაბამისად, მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი პარტიისა და მისი ლიდერის მცდელობა, როგორღაც რეანიმირდეს. ამიტომაც ამაზე კომენტარი ზედმეტია. ჩვენ ვხედავთ ერთი ხელმოცარული და საქართველოდან გაგდებული ძებნილი ვითომპოლიტიკოსის მცდელობებს, რაღაცნაირად მოახდინოს რეაბილიტაცია ამ ტელევიზიის საშუალებით და რამენაირი გზებით დაბრუნდეს, რაც შეუძლებელია. ამიტომაც, როცა ამ პრიზმით ვუყურებთ მოვლენებს, არც ამ ფაქტს სჭირდება ბევრი კომენტარი.

**– მაგრამ ფაქტია, რომ დოკუმენტის გასაიდუმლოებული ნაწილი გამოქვეყნდა, რაც აქამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო...**

– გამოქვეყნდა რო? ჩვენ ვნახეთ, რომ რაღაცებზე ილაპარაკეს მიშას რუპორებმა. ისინი კი იმდენ ტყუილს ამბობდნენ ამდენი წლის განმავლობაში, რატომ უნდა დავიჯეროთ მათი მაინცდამაინც ახლა? რატომ უნდა დაიჯერო პარტიული ორგანოს სიტყვები? მე ძალიან ცოტა მეგულება საქართველოში ისეთი ადამიანი, რომელიც მათ ინფორმაციას დაიჯერებს, ვინაიდან ამ ტელეკომპანიას არასდროს ჰქონია რაიმე კავშირი ობიექტურობასთან.

**„მარიკა ვერულაშვილმა დამირეკა და მითხრა, – მიშა შენზე გაბრაზებულია ამ ფილმის გაშვების გამოო. მე ვუპასუხე, გადაეცი მიშას, მისი ასეც... და ისეც-თქო!..“**

# რას სთ ვოვა

**მარიამ ნადირაძე**

**გიორგი მუხიგულაშვილი ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესზე ბრალდების მთავარი მოწმე იყო. ეს ის პროცესია, სადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდადებული პირებისთვის პრივილეგირებული პირობების შექმნისთვის განაჩენი გამოუტანეს.**

დღეს სწორედ მასთან შემოგთავაზებთ ექსკლუზიურ ინტერვიუს, სადაც მკითხველი აღმოაჩენს, რომ რესპონდენტი, ამ საქმის გარდა, სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც ფლობს.

დასაწყისში კი, შენიშვნის სახით, გეტყვით, რომ გიორგი მუხიგულაშვილი სასჯელაღსრულების სისტემის ყოფილი თანამშრომელია, პატიმრობა მას ერთი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მოუხდა, რომლის შესახებაც ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მაშინდელმა სამართალდამცველებმა მას ამ დანაშაულის საკუთარ თავზე აღება აიძულეს. თუმცა ეს ავარია არ იქნება ჩვენი ინტერვიუს თემა.

**მაშ ასე, რესპონდენტთან ინტერვიუს იმ ნაწილიდან დავიწყებთ, როდესაც ის მე-5 დაწესებულების ე.წ. „ფაშისტების კორპუსში“ მოხვდა:**

– ამ კორპუსში მელაძის დახმარებით მოვხვდი, ის ჩემი შვილის ნათლიაა. კამერაში სამნი ვისხედით. ერთ დღეს გამიყვანეს და მითხრეს, რომ ჩემთან საავადმყოფოდან ვოვა არუთინიანი უნდა შემოეყვანათ. მითხრეს, ჩვენებას არ იძლევა და თუ აალაპარაკებ, ამას დაგიფასებთო. უარი არ მითქვამს. სამაგიეროდ მოვითხოვე ტელევიზორი, ტელეფონი და სხვა პრივილეგიები. არუთინიანი საკმაოდ განათლებული ბიჭი იყო. უამრავ უცხო ენას ფლობდა, მათ შორის, არაბულსაც. პროფესიონალი ამფეთქებელი იყო. მასთან განსაკუთრებული საჭმელი შემოჰქონდათ, რესტორნებში ვერ ნახავთ ეგეთს. თან, სანამ მას მისცემდნენ, მის თვალწინ ჯერ თვითონ აგემოვნებდნენ საჭმელს, დასარწმუნებლად, რომ მოწამლული არ იყო.

**– რატომ ჰქონდათ ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება მის მიმართ?**

– ალბათ, შიშობდნენ, რომ შეიძლებოდა ვინმეს მისი მოკვლა მოენდომებინა. რამდენჯერმე გაიყვანეს სახაზინო ადვოკატთან. ამ დროს ადმინისტრაციული შენობის იმ ნაწილში არავინ არ უნდა ყოფილიყო. ეს ჩემი მოთხოვნა იყო. მე დავყვებოდი დაკითხვებზე. ხმას არ იღებდა. ბოლოს თანამშრომლებს ვურჩიე, ახალგაზრდა ადვოკატი შემოუყვანეთ, მოკლეკაბიანი და იქნებ ამან გაჭრას-მეთქი. ასეც მოიქცნენ. ამ გოგოსთან მეორე გაყვანაზე უკვე მიიღეს ჩვენება. მახსოვს, მასთან „ეფბიაი“-დანაც იყვნენ მოსულები. ამერიკაში წაყვანას და ათას პრივილეგიას სთავაზობდნენ. უარი თქვა. ამერიკელებს ვერ იტანდა. იმ სახელმწიფოს ბოროტების იმპერიას ეძახდა.

**– იმ ინციდენტის შესახებ გიამბოთ რამე, რაც ბუშთან შეხვედრის დროს მოხდა?**

– თქვა, რომ ცხვირსახოცში მაგრად გამონასკვა ხელყუმბარა, რომლის მხოლოდ დეტონატორი უნდა აფეთქებულიყო, რაც დიდ მსხვერპლს არ გამოიწვევდა. მხოლოდ ხმა ექნებოდა მძლავრი, რაც ყველას ყურადღებას აფეთქებისკენ გადაიტანდა და ამ დროს სნაიპერს უნდა ემოქმედა.

**– ანუ ორგანიზებულად იყო ეს ყველაფერი დაგეგმილიო?**

– კი, მაგრამ ოფიციალურ ჩვენებაში ყველაფერი მარტო საკუთარ თავზე აიღო.

**– გირგვლიანის საქმის ცნობილ პატიმრებთან როდის მოხვდით?**

– „ფაშისტების“ კორპუსზე ყოფნის დროს ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ ავჭალაში, სადაც ყოფილი თანამშრომლები იხდიდნენ სასჯელს, პატიმრებისთვის საუკეთესო პირობები შეუქმნიათ. ჩავრიე ხალხი და გადამიყვანეს იქ. მეტი თავისუფლებისთვის „აბსლუგაში“ გადაყვანა ვითხოვე. იქ სულ 12 კაცი ვიყავით. ყველას თავისი ვალდებულება ჰქონდა. მე პურის დარიგება მევალებოდა. ამ ოთხი პატიმრის ოთახები ღობით იყო გამოყოფილი დანარჩენების საცხოვრებლისგან, თუმცა „აბსლუგასთან“ არავითარი ბარიერი არ ჰქონდათ. ჩვენთან ხშირად შემოდიოდნენ. ნარდს ვთამაშობდით, ვსაუბრობდით. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ბიბილურიძესა და აფციაურს საერთოდ არაფერი აკავშირებდათ ამ საქმესთან. ისინი ნამდვილად სხ-

**რატომ სცემა გირგვლიანის საქმის დანარჩენმა სამმა პატიმარმა გია ალანია?**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავაზობდა „ეფბიაი“ არუთინიანს?

**„მერე მითხრა, რაც გინდა, მთხოვე, თავისუფლების გარდა, ყველაფერს შეგისრულებო. ლუდი მინდა-მეთქი. ცოტა ხანში ჩემი ოთახი გაივსო სხვადასხვა სახის სასმელებით – ლიმონათებით, ლუდით და არაყი „ფინლანდიით“...“**

**ექსკლუზიური ინტერვიუ ბაჩანა ახალაიას ბრალდების მთავარ მოწმესთან**




# EXCLUSIVE

**უყვიროდა ტელეფონში, შეასრულეთ, რასაც დაგვპირდით, თორემ ხომ არ გავიწყდებათ ჟვანიას საქმეო...**

ვის მაგივრად ისხდნენ იქ...

**– მელნიკოვს გულისხმობთ?**

– დიახ. ვგულისხმობ მათ, ვინც ოქროყანის სასაფლაოზე ალანიასთან ერთად იყვნენ რეალურად. ისიც ვიცი, რომ, შეთანხმების მიხედვით, ისინი ამდენი ხანი არ უნდა დაეტოვებინათ ციხეში. ამის გამო ერთხელ სერიოზული ჩხუბიც მოუვიდათ გია ალანიასთან. ფიზიკურადაც შეეხნენ მას.

**– თამაზ ბაკურიძე, რომელიც იმ დროს კოლონიის პატიმარი იყო, ამბობს, რომ ერთხელ გია ალანია ვიღაცას უყვიროდა ტელეფონში, შეასრულეთ, რასაც დაგვპირდით, თორემ ხომ არ გავიწყდებათ ჟვანიას საქმეო... ასეთი საუბრები მართლა ჰქონდა?**

– მეც მსმენია ასეთი საუბრები. მას ჰქონდა ასეთი სახის სატელეფონო ზარები სხვადასხვა დროს. ყველაზე პრივილეგირებული ამ ოთხს შორის სწორედ გია ალანია იყო. მისთვის კოლონიის ტერიტორიაზე სამუშაო ოთახიც იყო გამოყოფილი.

**– რას გულისხმობთ?**

– ერთი ადმინისტრაციის შენობა გარეთ იყო, სადაც ოფიციალურად იჯდა ხელმძღვანელობა, თუმცა კოლონიის ტერიტორიაზეც გაკეთდა ოთახები, რასაც ადმინისტრაციას ეძახდნენ, მაგრამ კოლონიის უფროსის, ტაბალუას ოთახში მუდმივად ალანია იყო. დილით გამოვიდოდა თავისი საცხოვრებლიდან, მთელ დღეს კაბინეტში ატარებდა, საღამოს კი ისევ ბრუნდებოდა სახლში... იქ მას უამრავი ადამიანი აკითხავდა.

**– მაინც ვინ?**

– მაგალითად, დავით ჩხიტუნიძე, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი...

**– რა იცით, რომ ის იყო?**

– ერთხელ გიამ დამიძახა, ოთახში სტუმრები ჰყავდა, მათ შორის თემურ ტაბალუა და კიდევ ვიღაც უცნობი. მთხოვა, ჩვენი მეგობარი სამინელ „პახმელიაზეა“ და შენ რომ იცი, ის „უხა“ მოუმზადე, მერე კი პირადად გაგაცნობო. მოვუმზადე ეს კერძი. „დეპეენკამ“ მითხრა, გეძახიან ბიჭებთანო. იმ უცნობმა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ მიჭამიაო, და სამი ასდოლარიანი მომაწოდა. უარი ვუთხარი. შენ, ალბათ, ამათი გეშინია და მე ამათზე მაღლა ვდგავარ, მე დავით ჩხიტუნიძე ვარ, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსიო. მაინც უარი ვთქვი ფულზე. მერე მითხრა, რაც გინდა, მთხოვე, თავისუფლების გარდა, ყველაფერს შეგისრულებო. ლუდი მინდა-მეთქი. ცოტა ხანში ჩემი ოთახი გაივსო სხვადასხვა სახის სასმელებით – ლიმონათებით, ლუდით და არაყი „ფინლანდიით“...

**– მზარეულად მაინცდამაინც თქვენ რატომ შეგარჩიეს? ასე გენდობოდნენ?**

– დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ეს ნდობა. ბოლოს უკვე მე ვაკონტროლებდი მთელ მათ სამზარეულოს. თუ ვინმე მოვიდოდა შემოწმებაზე და უნდა გავმასპინძლებოდი, წასვლის წინ, თუ რამე საჭირო პროდუქტი არ მექნებოდა, თავისუფლად შემეძლო, მათთან შევსულიყავი და ნებისმიერი დელიკატესი ამელო მათი მაცივრიდან. ერთ-ერთი მათგანი, ლაჭავა, გამოუსწორებელი ლოთი იყო. ყოველდღე თვრებოდა. გიამ მთელი სასმელი ჩემთან გამოიტანა და მითხრა, შენ გადაწყვიტე, როდის მისცემ მას დასალევსო. ასე რომ, ჩემთან იყო ე.წ. მარანი...

**– თქვენი შეწყალება გია ალანიას დამსახურება ყოფილა, როცა სასჯელი გაგინახევრეს...**

– ეს მოულოდნელად მოხდა. მანამდე იყო აგვისტოს ომი. ალბათ, 7 აგვისტო იქნებოდა, ადმინისტრაციის შენობაში დამიძახეს, სხვა პატიმრებთან ერთად. იქ დათა და ბაჩანა ახალაიები იყვნენ მოსულები. სათითაოდ შევყავდით და გვეკითხებოდნენ, გვიომია თუ არა, რა იარაღის მოხმარება ვიცოდით და რა ზომის ფორმას ვატარებდით. საბოლოოდ, თანამშრომლების გარდა, 7 პატიმარი ამოგვარჩიეს. ფორმებიც დაგვირიგეს და ავტომატებიც, რა თქმა უნდა, ტყვიების გარეშე. საბოლოოდ, ჩვენ არ გავუყვანივართ. მხოლოდ ის ოთხი გაიყვანეს ერთ საღამოს ჩუმად, თუმცა ორი კვირის შემდეგ დააბრუნეს. სულ მთლად ჭუჭყიანები იყვნენ. მათგან ვიცი, რომ მართლა იყვნენ საბრძოლო მოქმედებებში. არ ეგონათ, რომ უკან შემოაბრუნებდნენ. ძალიან უკმაყოფილოები იყვნენ. ამის შემდეგ, გავიგეთ, რომ მალე შეწყალება უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამ შეწყალებას ველოდით ისინიც, ვინც ომში წამსვლელთა სიაში ვიყავით. თუმცა ისიც ვიცი, რომ ეს სია ხელოვნურად გაზარდეს ამ შეწყალებისთვის. უფროსის მოადგილისგან გავიგე, რომ შეწყალება მე არ შემეხებოდა, – მუხა, შენზე ვერაფერი მოვახერხეთო. გია ალანიას ვუთხარი, იმან სადღაც დარეკა და მითხრა, ყველაფერი რიგზე იქნებაო. მართლაც, ცოტა ხანში პერსონალურად ჩემზე პრეზიდენტის სპეცგანკარგულება მოვიდა სასჯელის განახევრებაზე. აშკარა იყო, რომ გია ალანიას სერიოზული გავლენები ჰქონდა. ერთხანს ჩვენთან რაღაც შპს-ს შემოჰქონდა პროდუქტი. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მთხოვა, იქნებ უთხრა, ჩემი ნათესავი გეგუთიდან რუსთავში გადმოიყვანონ, იქით გვიჭირს ჩასვლაო. როგორც კი ვუთხარი გიას, ეს ბიჭი ერთ კვირაში გადმოიყვანეს რუსთავში...

**– თქვენს ჩვენებაში წერთ, რომ სამ თვეში ერთხელ მათთან „გუდვილის“ მანქანა მოდიოდა და პროდუქტს იქიდან იმარაგებდნენ...**

– მართლა იყო ასე. კურიერს შემოჰქონდა პრაისლისტი. დაახლოებით 1000 ლარის პროდუქტს იღებდნენ. ამ ფულს კი „გუდვილს“ გარეთ უხდიდნენ. მე ამათ ხელში ფული არ მინახავს, 20 ლარზე მეტი. ისიც, ალბათ, ტელეფონზე ჩარიცხვისთვის რომ არ შეეწუხებინათ გარეთ ვინმე.

**– მართლა 100-100 ათასი აიღეს ამ საქმეზე?**

– ეს მე ჩვენებაში არ დამიწერია. 100 ათასი კი არა, მილიონი რატომ არ ექნებათ აღებული... ახალთახალი მანქანები ჰყავდათ, გარეთ რომ გამოვედი და ეტყობოდათ, რომ სერიოზული სიკეთე მიიღეს. კოლონიაში რომ იყვნენ, იქაც მანქანა, რომელიც ალანიას ოჯახს ემსახურებოდა, შიგნით იდგა, კოლონიის ტერიტორიაზე. მერე გაიყვანეს და გარეთ დააყენეს, ეშინოდათ, სახალხო დამცველს არ ენახა. როცა მათი ოჯახის წევრები მოდიოდნენ, პირდაპირ მანქანით შემოჰყავდათ კოლონიის ტერიტორიაზე...

**– ცნობილი ქალები აკითხავდნენო, ჩვენებაში წერთ...**

– ცნობილი არავინ მოსულა, თუმცა, ალანიასთან ერთხელ მოვიდა ერთი გოგო. 15 წუთი გაჩერდა. საღამოს კი ცოლი მოვიდა და სერიოზული სკანდალი გაუმართა. მას შემდეგ ალანიასთან არავინ მოსულა. ლაჭავას კი ნამდვილად აკითხავდა ერთი და იგივე გოგო, დაახლოებით თვეში ერთხელ. ერთხელ უფროსის მოადგილის ოთახში სამი დღეც დარჩა...

**– გამოდის, რომ იმ პერიოდში კოლონიას ისინი მართავდნენ და არა ადმინისტრაცია...**

– გია ალანია მართლა მართავდა კოლონიას. ეტაპებსაც ის იღებდა, ფორმალურად მხოლოდ ერთი თანამშრომელი ესწრებოდა, მასთან ერთად, ეტაპის მიღებას.

**– მათი გასვლის შემდეგ თქვენი პრივილეგიები ისევ გაგრძელდა?**

– მე იმ დროს უკვე „აბსლუგის“ ბრიგადირი ვიყავი. მაქსიმალურად შევინარჩუნე ეს მდგომარეობა. პრაქტიკულად, მე მებარა ადმინისტრაციის გასაღებები. ფორმაც მქონდა ოთახში და საჭიროების შემთხვევაში, რაციაც...

**– ფორმა და რაცია რისთვის გჭირდებოდათ?**

– ზოგჯერ გარე პერიმეტრზეც მიწევდა გასვლა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომელი დათვრებოდა...

**– როგორ, პატიმარს ასე გენდობოდნენ?**

– კი, ასეც იყო. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ, თუ ვინმე მოვიდოდა შემოწმებაზე და უფლებამოსილი პირი ადგილზე არ იყო, ჩავიცვამდი ამ ფორმას და მე ვათვალიერებინებდი ტერიტორიებს. ამისთვის იყო საჭირო ეს ფორმა.

**– ამ ადამიანებთან ასე ახლოს თუ იყავით, როგორ აღმოჩნდით ბრალდების მოწმე?**

– გია ალანიაზე ძალიან ნაწყენი ვარ. როგორც კი ზონიდან გაიდნენ, მას საერთოდ აღარ მოუხედავს ჩემკენ. ბიბილურიძე და აფციაური კი იყვნენ შემოსულები. თავიანთი ნივთები დამიტოვეს. მხოლოდ ხატები და თეთრეული გაიტანეს. ფულსაც მაძლევდნენ, 1000 დოლარს, მაგრამ არ გამოვართვი. თავისუფლებაზე რომ გამოვედი, მაშინაც მნახეს. ყველგან ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას. გია ალანიას ორჯერ შევხვდი, სამსახურს მპირდებოდა, მაგრამ მომატყუა. მივხვდი, რომ მას მხოლოდ იქ ვჭირდებოდი და მიყენებდა...





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნუცა კუხიანიძე – „მინდა ამერიკაშ

## my View
### თამარ გონგაძე



**ნუცა ამ რუბრიკის ზუსტი რესპონდენტია, რადგან ის ბუნებრივად ასე ცხოვრობს, ჩარჩოს გარეშე და დინების საწინააღმდეგოდ. თავად დინების საწინააღმდეგოდ ცურვის საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს. გახსნილ გონებასთან ერთად გულის მოსმენა ჩარჩოდან აგდებს. განსხვავებული ტიპია. შინაგან თავისუფლებას მის ჩაცმულობაშიც ადვილად შეამჩნევთ. გლამურულ ღონისძიებებზე, სადაც ქალბატონებს თავზე სალონების ოხშივარი ასდით და კოქტეილის კაბებით იწონებენ თავს, ნუცა გრძელი ჟაკეტით, ვიწრო შარვლით და უბრალო „რეზინკით“ აწეული თმით გამოგეცხადებათ. ეს მისი სტილია. ის, რაც ადრეულ ასაკში ამერიკამ მისცა, მასში ჩალექილია. მისთვის უცხო არც სახლიდან ოთხი დღით გაპარვა ყოფილა და არც 14 წლის ასაკში შეყვარებულთან ერთად ცხოვრება. მაშინ ამ ყველაფერს პროტესტის სახელს არ არქმევდა. არც იცოდა, რომ „ამოვარდნილად“ იქცეოდა. უბრალოდ, ასე სურდა. გულისთქმას დღემდე ყურს უგდებს, თუმცა ამბობს, რომ 31 წლის ასაკში გონების პატივისცემა დაიწყო... ეს ახალი ეტაპია და მსახიობი ახლა ამით „კაიფობს“.**





„14 წლიდან მარტო, დამოუკიდებლად ვცხოვრობდი. იყო გადმოხტომები, სახლიდან გაპარვები, ოთხი დღით უმისამართოდ დაკარგვები... არავინ იცოდა სად ვიყავი. ეს ყველაზე დიდი გიჟობა იყო“

#### ამერიკა

**ნუცა კუხიანიძე:** დინების საწინააღმდეგოდ ცურვა გახსნილი გონების შედეგია, თუმცა ჩარჩოს გარეშეც არ არსებობს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად იღებ სიახლეს, ცვლილებას, სხვა აზრს... დანარჩენი ნიჭია. ნიჭი ჩარჩოში ვერ გაკავებს. შიგნიდან გჭამს და არ გასვენებს. სახელების დარქმევა და ჩარჩოში ჩაჯდომა მართლა არ მიყვარს. აზრს სპონტანურად გამოვთქვამ, მერე, ყოველთვის, როდესაც ვფიქრობ, იმ ნათქვამს ცალი მხარე არასდროს აქვს, არც ორი. ბევრად მეტი აქვს. მე ბუნებრივად ასეთი ვარ, თუმცა არსებობენ ნიჭიერი ადამიანები, თუნდაც პიარისთვის, თუნდაც რაღაცების დასამტკიცებლად რომ ცხოვრობენ ისე, რომ საზოგადოება ალაპარაკონ. ჩარჩოს ასეთი მკვეთრი ქმედებით აღწევენ თავს. ზოგს კარგად გამოსდის. ესაც ნიჭზეა. მხოლოდ ეპატაჟის იმედზე მყოფთ არ უმართლებთ.

ამერიკაში რომ წავედი 9 წლის ვიყავი და სამყაროსთან ბრძოლის პერიოდი დაიწყო. ეს, ალბათ, გარემომ და დიდმა სხვაობამ გამოიწვია. 1993 წელი იყო, არეული დრო, ჩემი ოჯახი ატლანტაში გაემგზავრა. მამა ექიმია და იქ მიიწვიეს. დღემდე იქ ცხოვრობენ მშობლები. იქაც, როგორც ყველა ტიპის საზოგადოებაში, თავისი წესები იყო. მე ეს ზეწოლა არ მომწონდა, რომ ვყოფილიყავი მაინცდამაინც ისეთი, როგორც ვიღაც ითხოვდა. იმისთვისაც პატარა ვიყავი, რომ პროტესტის სახე მიმეცა, თავისით გამოდიოდა ასე.

**– პიროვნულად ჩამოყალიბების დროს რა მოგცა იმ პერიოდის ამერიკამ?**

– ჯერ იყო სხვაობის შეგრძნება, ამერიკა სულ სხვა, უზამრაზარი და მრავალფეროვანი სამყაროა. მერე, პროფესიიდან გამომდინარე, ბევრი მოგზაურობა და სხვადასხვა ტიპის ხალხთან მომიხდა შეხვედრა. მსახიობები ბევრ სხვადასხვა საკუთარ თავს ვიგონებთ. იმის დიდი საშუალება ჯერ არ მომცემია, რომ ეს საკმაოდ აზრიანად გამეკეთებინა. პატარა ვიყავი და სპონტანურად ვაკეთებდი. ამის გააზრებული კეთება მგონია, რომ წინ მაქვს.

**– რა გიკეთებია ისეთი, რომ თინეიჯერს გეგონა, რომ თავისუფალი ხარ?**

– იყო გადმოხტომები, სახლიდან გაპარვები, ოთხი დღით უმისამართოდ დაკარგვები... არავინ იცოდა სად ვიყავი. ხან საქართველოში ვიქცეოდი ასე, ხან ამერიკაში. 14 წლიდან მარტო, დამოუკიდებლად ვცხოვრობდი. სადაც მინდოდა და როცა მინდოდა იქ ვიყავი. ეს ყველაზე დიდი გიჟობა იყო, რაც მიკეთებია. ბევრი და-ძმა მყავს. ისინი სულ სწავლობდნენ და ეს მომწონდა. სულ ვეუბნებოდი, ვერ ხვდებით ჩემთვის თქვენი ასეთი მოწესრიგებულობა რამდენად მაგარია-მეთქი. ამ დროს ისინი ჩემი მაგალითების მოყვანას იწყებდნენ, აი, შენ რომ ასე მოიქეციო... აქეთ ცდილობდნენ მობაძვას. ნუ ცდილობთ მე დამემსგავსოთ-მეთქი, ვაფრთხილებდი. მე ვარ მაგალითი იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთონ. ამაზე გიჟდებიან :)

„ათი წელია ერთად ვართ. გავიარეთ ყველანაირი პერიოდი. არ ვიცი, რატომ რჩებიან ადამიანები ერთად, ან რატომ შორდებიან ერთმანეთს. იყო პერიოდი ამერიკაში წავედი, გუკა აქ დარჩა. იმდენად ჩემიანი და ჩემი ნაწილია, რომ როცა გუკა არ არის, ძალიან მწყინდება“





**– რას აკეთებდი ასეთ ასაკრძალს?**

– ხან შეყვარებული ვიყავი, ხან ოჯახზე გაბრაზებული – მილიონი სისულელე... ამ ყველაფერმა ბევრი რამ მასწავლა და ბევრიც განაპირობა. პატარა რომ ხარ, მაშინ ვერ ფიქრობ ამ ყველაფრისგან გამოცდილებას რომ იღებ. არაფერს ვკრძალავ. ვისაც რა უნდა, ის უნდა აკეთოს. სულ ვცდილობ ჩემი შვილიც მაგ მიმართულებით წავიყვანო. ჩემს აზრზს კი შევთავაზებ, მაგრამ მინდა არჩევანი თვითონ გააკეთოს და თვითონ მიხვდეს, რა ჯობია. შრომის ფასი უნდა იცოდეს. არაფერი აკეთო, ასე არ გამოდის.

#### ლევან აბაშიძე

**– პატარას ლევან აბაშიძე გიყვარდა...**

– ახლაც მიყვარს, ვგიჟდები ისე...

**– იმ ბავშვური ემოციიდან რა გაქვს ჩარჩენილი?**

– ქალისთვის იდეალური კაცის ხატება თუ არსებობს, ჩემს წარმოსახვაში ასეთი ლევანია. დახვეწილი, სუფთა და ლამაზი, ოქროსფერი თმით, თეთრი პერანგით, ჯინსებით და დადებითი... ძალიან სხვანაირი იყო, ამოვარდნილი იყო იმ გარემოდან, რომელშიც იყო. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლაც ამოვარდნილი იქნებოდა ჩვენი რეალობიდან. ამ მიმართულებით ჩვენმა ქვეყანამ კი თავისი გააკეთა, მაგრამ ლევანს მაინც ვერაფერი დაჩრდილავდა. რომ არა ლევანთან შეხვედრა, ბევრი რაღაც სხვანაირად წავიდოდა. მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში ერთმანეთზე ჯაჭვურად არის გადაბმული. ადამიანს არჩევანის თავისუფლება აქვს, მაგრამ ასეთი შეხვედრები ჩვენს ცხოვრებას განაპირობებს.

#### „ნარკოტიკს ვერ ვეგუებოდი“

**– პატარა გათხოვდი, რასაც, ბუნებრივია, აკრძალვები მოჰყვა. როგორ გაუმკლავდი ამას?**

– კი, თუმცა გათხოვება კიდევ სხვა რამეა. ჩარჩოებიდან გამომდინარე ერქვა გათხოვება, თორემ 14-15 წლის რომ ხარ, გინდა შეყვარებულთან ერთად ყოფნა და მორჩა. ჩვეულებრივი, კლასიკური დრამატურგიული სცენარია. გიკრძალავენ და შენ მაინც აკეთებ. ბანალურია. თუმცა ის სიყვარული და განცდა – ყველაფერი ძალიან რეალური და ნამდვილია. ის მოვლენა დღესაც სათუთი და განსაკუთრებულია ჩემთვის. ყველა ჩემი ურთიერთობა ჩემთვის რაღაცას ნიშნავს. ის ხალხი ახლობლები არიან, ერთ ნავში ვსხედვართ. ვერაფერს იზამ, შენი ნაწილია.

ცუდი პერიოდი იყო. 90-იანი წლებიდან გამოსულ ჩემს თაობაში კარგ ტონად ითვლებოდა ბიჭები რომ ქუჩაში იყვნენ, კარგ ტონად ითვლებოდა, როდესაც კაიფობდი. იმ მომენტის რეალობა ეს სურათი იყო. ბევრი ჩემი ახლობელი შეეწირა ამ უბედურებას. არა მხოლოდ ფიზიკურად, გონებრივად შეწირულები არიან. ეს ჩემთვის არ იყო ორგანული და ყოველთვის ვაპროტესტებდი. ნარკოტიკს ვერ ვეგუებოდი. იყო კონფლიქტები, ჩხუბები, ღამეების თენება... არ იყო ადვილი. ვხვდებოდი, რომ ეს უპირველესად საშიში იყო. დღეს რომ ვიცი წამალზე, ამის მეასედი არ ვიცოდი 15 წლის ასაკში, მაგრამ ძალიან ვებრძოდი. სხვათა შორის, დღემდე აგრესიული დამოკიდებულება მაქვს მძიმე ნარკოტიკის მიმართ. ამის გამო აკრძალვები და დაჭერები იდიოტიზმი მგონია. ნორმალურ ქვეყნებში მოახერხეს ამ თემისადმი ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდეთ, თუნდაც ამაზე ილაპარაკონ. როდესაც საქმეს ვერ აკეთებ, ვერ ვითარდები, ქვეყანა რომ ამის საშუალებას არ გაძლევს, არ გაქვს ფული, რომ ელემენტალურ დონეზე ადამიანად იგრძნო თავი, ასეთ დროს კი არსებობს ნარკოტიკი, აი, ეს არის დამღუპველი. არჩევანი არ იყო თითქოს. როდესაც ნორმალურია ქვეყანა, ამის კეთება მხოლოდ შენ არჩევანზეა. როდესაც ასეთ გარემოში ხარ, უფრო ხელი გეწყობა იქით წახვიდე. თუმცა იყვნენ ძლიერი ადამიანები ვისზეც ეს არ მოქმედებდა.

**– თქვენი დაშორების მიზეზი წამალი იყო?**

– შეიძლება ქვეცნობიერში ეგეც იყო, მაგრამ ნანა ჯორჯაძემ გადამიღო ფილმში „27 დაკარგული კოცნა“. ამერიკაში წასვლაც მომიხდა და ასე აეწყო. ჩვენ ყოველთვის ახლობლური ურთიერთობა გვქონდა. ის უკვე გარდაცვლილია. ცხოვრება საბედნიე-



„სულ ვისთან ერთადაც ხარ, ეს საკუთარი თავია, ამიტომ კარგად უნდა იყო მასთან“







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი წავიდე, ვიმსახიობო, მომენატრა“





„ნარკოტიკს ვერ ვეგუებოდი. იყო კონფლიქტები, ჩხუბები, ღამეების თენება... არ იყო ადვილი. ვხვდებოდი, რომ ეს უპირველესად საშიში იყო. დღეს რომ ვიცი წამალზე, ამის შეასედი არ ვიცოდი 15 წლის ასაკში, მაგრამ ძალიან ვებრძოდი. სხვათა შორის, დღემდე აგრესიული დამოკიდებულება მაქვს მძიმე ნარკოტიკის მიმართ“

## EXCLUSIVE

**„ქალისთვის იდეალური კაცის ხატება თუ არსებობს, ჩემს წარმოსახვაში, ასეთი ლევან აბაშიძეა. დახვეწილი, სუფთა და ლამაზი, ოქროსფერი თმით, თეთრი პერანგით, ჯინსებით და დადებითი... ძალიან სხვანაირი იყო, ამოვარდნილი. რომ არა ლევანთან შეხვედრა, ბევრი რაღაც სხვანაირად წავიდოდა“**

როდ სხვა ვარიანტებს მთავაზებდა ხოლმე. მეც მაქსიმალურად ვიღებდი.

### გულით

**– შანსი, რომლის ხელიდან გაშვება გინანია.**

– ეს კითხვა მეც დამისვამს საკუთარი თავისთვის. რა იდიოტი ხარ, ნუცა, ეს კაცი ამდენს რომ გთხოვდა – ჩამოდიო, უარი რამ გათქმევინა-მეთქი? მე დაწყობილი გეგმების მეშინია. ხშირად, რომ განეწყობი, მერე თითქოს არ გამოდის. იმ მომენტში ეტყობა არ მინდოდა და უარს ვამბობდი შემოთავაზებაზე. მე გულს მივყვებოდი და არა პრაგმატულ გონებას. ეს კი ბევრ რამეში მიშლის ხელს. მე მაინც გულს ვუსმენ. თუმცა, ამ ბოლო დროს გონებას ვცემ პატივს. ვერ ვიხსენებ გონების კარნახით წავსულიყავი. გამოცდილება რასაც გიჩვენებს, ისე იქცევი. უნდა აწონ-დაწონო კიდეც, მაგრამ ეს პროცესი – გულის და გონების ბჭობა უნდა გაიარო.

**– და ახლა როგორი გახდი?**

– 31 წლის ვარ და ახლა ტვინის გადაწყვეტილებებით, ჩემს თავთან რაღაცების დამტკიცებით, დასკვნებით „ჩავკაიფდი“. მერე რაღაცები ისევ შეიცვლება. ბებია მეუბნება, ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო. მე მშვენივრად ვგრძნობდი ყველა ასაკში თავსო. 70 წლამდეა და ახლა ეს პერიოდი მოსწონს. სულ ვისთან ერთადაც ხარ, ეს საკუთარი თავია, ამიტომ კარგად უნდა იყო მასთან.

### გუკა

„ათი წელია ერთად ვართ. გავიარეთ ყველანაირი პერიოდი. მე მგონია, რომ ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ არის კრიზისული პერიოდი. დედაც მეუბნებოდა, მეც მქონდაო, ყველას აქვს. მართლა არ ვიცი, რატომ რჩებიან ადამიანები ერთად, ან რატომ შორდებიან ერთმანეთს. ჯერ ვერ გავიგე. ოდესმე, ალბათ, მივხვდები. თუ არ გინდა მიდიხარ ქმრისგან და თუ გინდა, მასთან რჩები. თუ თავს ატყუებ და ეს იცი, მაშინ უბედური ხარ. იყო პერიოდი ამერიკაში წავედი, გუკა აქ დარჩა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს არ იყო გათიშვა, 24-საათიანი კონტაქტი მაინც გვქონდა. გუკასგან გათიშვის პერიოდი არ მახსენდება. ვთქვათ, ორი კვირა გავითიშოთ ერთმანეთისგან, მაგრამ იცით რა? იმდენად ჩემიანია და ჩემი ნაწილია, რომ როცა გუკა არ არის, ძალიან მწყინდება. ის ჩემს დიდ ნაწილს ავსებს. მეც მძიმე ტიპი ვარ. ვიღაცამ ჟურნალში დაწერა ჩემზე, ძალიან მხიარული ნუცაო და მე გამიხარდა. შენ ხარ მხიარულიო, გუკამ „შეიცხადა“, იქეთ აჰყვა ვახოც – „შენ ყველაზე მძიმე ხარო“. ერეკლე დეისაძე გვყავდა სტუმრად. ერეკლე, შენც ასე ფიქრობ-მეთქი? ვკითხე. არა, მხიარული ხარო. გავბრაზდი, ისე, ხუმრობით. თუმცა ხანდახან აუტანელი ვარ. ტვინს რომ მივუშვებ, ცუდ ადგილებში ჩადის. დედაჩემის ზარსაც არ ვპასუხობ ამ დროს. აგზნებული ტვინი მაქვს, ძალიან ემოციური ვარ და ამ ფიქრებს გაუკვალავ ადგილებში გადავყავარ. ჩემს თავსაც სხვანაირად ვაფასებ. ურთიერთობაში საინტერესოობას ქმნის ის, რომ ორივეს – მე და გუკას სხვადასხვა ხასიათები გვაქვს. კონტრასტულები ვართ. მას თავისი აზრი აქვს, მე ჩემი და ეს სიცოცხლეს მმატებს“.

**– ბოლოს რა აჩუქეთ ერთმანეთს?**

– მე არასდროს მომწონს რასაც მჩუქნის და მეუბნება, აღარასოდეს საჩუქარს არ გაჩუქებო. ეს მწყინს და ვეხვეწები, გთხოვ, რაიმე მაჩუქე-მეთქი. ვითომ გავიზარდეთ, მაგრამ არა. ხანდახან პირველ კლასელებივით ვიქცევით.

> „ჩარჩოებიდან გამომდინარე ერქვა გათხოვება, თორემ 14-15 წლის რომ ხარ, გინდა შეყვარებულთან ერთად ყოფნა და მორჩა. ჩვეულებრივი კლასიკური დრამატურგიული სცენარია. გიკრძალავენ და შენ მაინც აკეთებ. თუმცა ის სიყვარული და განცდა – ყველაფერი ძალიან რეალური და ნამდვილია“

### კატო

**– რელაქსისთვის რას აკეთებ?**

– ჩემს შვილთან, რვა წლის კატოსთან ურთიერთობაა ჩემთვის რელაქსი. კატოც „გასულია“, თავისი სამყარო აქვს, თუმცა ყურადღებას ითხოვს. ხანდახან ამის თავი არ მაქვს. კიდევ ამერიკული სერიალების ყურება მარელაქსებს. ახლა „Game of froze“ მიყვარს.

**– დედობამ როგორ შეგცვალა?**

– ბევრად მეტი სიყვარულის გამოხატვა მიწევს. ეს გრძნობა მუდამ ჩემთან ერთადაა. სიყვარული შეიძლება გაგექცეს თუ შენი თავით და ეგოთი ხარ მოცული და სიყვარულს ყურადღებას არ აქცევ. შვილი რომ გყავს, ეგო გიკვდება, შენ ეგოს შანსი აღარ აქვს :) როდესაც შეგიძლია შენზე წინ სხვა ადამიანი დააყენო, ეს თვისება დასაფასებელია. ხშირად არის ჩემი და გუკას ეგოების შეჯახება. მაგრამ ეს ჩვენი ნაწილია. ჩემი ეგო გუკასთან და კატოსთან ტრიალებს. ჩვენი ტრადიცია? ჩვენ შემთხვევაში ეს ცნება არ არსებობს. აი, ამერიკაში ერთად დავდივართ ხოლმე. დედაჩემთან საახალწლო პერიოდში ვიყავით. თბილი ახალი წელი იყო. ჩვენს ოჯახში ბევრი ბავშვები არიან და დღესასწაულზე შევიკრიბეთ. ამიტომ მხიარული და ოჯახური ახალი წელი გამოვიდა, მე და გუკა კი ლოს-ანჯელესში შევხვდით. მოვწყდით ყველაფერს. ლოს-ანჯელესი არ გეგონება თუ დედამიწაზეა. სხვანაირი ადგილია. პალმებში ვიყავით, განსხვავებული ახალი წელი იყო.

### ბედნიერება

**– კარიერაში რა სიახლე გაქვს?**

– სამწუხაროდ, არაფერი. აქ არ გვაქვს დიდი არჩევანი. თუმცა რაც არის ყველაფერს არ ვთანხმდები. მინდა ამერიკაში წავიდე, იდიოტურ კურსებზე ვიარო, სულელურ სპექტაკლებში ვითამაშო, ვიმსახიობო. მომენატრა. ფილმში გმირს რომ ვერ ვასახიერებ, მერე ცხოვრებაში ვიწყებ თამაშს და ეს გარშემო მყოფთათვის დამღლელია.

**– ბედნიერება რა არის?**

– ბედნიერი ხარ, როდესაც შვილი ჯანმრთელი გყავს, როდესაც გარშემო გყავს ადამიანები, რომელთაც უყვარხარ. როცა საყვარელ საქმეს აკეთებ. ვერ ვარ ბედნიერი, როდესაც ჩემ გარშემო ადამიანები არ არიან ბედნიერები. მხოლოდ მე ვიყო კარგად, ასე არ ვარ.

**– სასწაულებს ამჩნევთ?**

– მიყვარს ის მომენტი, სასწაულს რომ დავიჭერ. მერე ფრთხილად ვარ, რომ შორს არ გამექცეს, ან არ გაბრაზდეს და არ დამენახოს. დიახ, ეს მიგრძნია.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საიდუმლო სეროზა ტრაპიზონში

მირიან ბოქოლიშვილი

**აჭარაში მართვის სადავეები შესაძლოა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აიღოს ხელში. ამის თქმის საფუძველს იძლევა უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერის, დავით ბაციკაძის ინფორმაცია, რომელიც ირწმუნება, რომ ნაციონალები, მურმან დუმბაძესთან და მედეა ვასაძესთან ერთად პოლიტიკურ გადატრიალებას გეგმავენ. მისივე ინფორმაციით, შეთქმულების სცენარი ტრაპიზონში, ლევან ვარშალომიძესთან გამართულ საიდუმლო შეხვედრებზე გაიწერა.**



> **მედეა ვასაძე: „მცდელობას არ მოვაკლებ, რომ მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგეს. თუ ამას საკუთარი ნებით გააკეთებს და ჩვენ დროს არ დაგვაკარგვინებს, ძალიან გონივრული იქნება“**

**აჭარის უმაღლეს საბჭოში სულ 21 დეპუტატია, აქედან 10 „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს, 8 – „ნაციონალურ მოძრაობას“, 2 – „თავისუფალ დემოკრატებს“, ერთი მანდატი კი უმრავლესობიდან პროტესტის ნიშნად წასულ მედეა ვასაძეს ეკუთვნის.**

**დავით ბაციკაძე, უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი, „ქართული ოცნება“:**

– შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, მურმან დუმბაძისა და მედეა ვასაძის ტანდემთან ერთად, აჭარაში გადატრიალებას გეგმავს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მურმან დუმბაძე 5 თებერვალს ტრაპიზონში შეხვდა ლევან ვარშალომიძეს. ბათუმში დაბრუნებული დუმბაძე აკეთებს განცხადებას, რომ იწყებს აქტიურ მოქმედებას და გეგმავს აჭარის პოლიტიკური რეალობის შეცვლას. ამ დროს მედეა ვასაძე უკვე გასული იყო უმრავლესობის რიგებიდან. პოლიტიკური რეალობის შეცვლას, რაშიც გულისხმობს უმაღლესი საბჭოსა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლების გადაყენებას, ის ვერ შეძლებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე. ანუ მივყვეთ მოვლენების განვითარებას: 5 თებერვალს დუმბაძე ხვდება ვარშალომიძეს ტრაპიზონში, 6-ში ბათუმში აკეთებს ამ განცხადებას, 7-ში ასევე ტრაპიზონში ვარშალომიძე იბარებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს და სპეციალურ თათბირზე აძლევს მითითებებს. ტრაპიზონიდან დაბრუნებული „ნაციონალები“ აკეთებენ ზუსტად იგივე განცხადებებს, რასაც მურმან დუმბაძე. 9 თებერვალს კი „ნაციონალური მოძრაობა“ უმაღლეს საბჭოში უკვე არეგისტრირებს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე ჩიტიშვილის გადაყენების საკითხს. პარალელურად, მედეა ვასაძე აქვეყნებს მურმან დუმბაძის დაწერილ ტექსტს, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს იმ ბრალდებებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები გვიყენებენ. ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო ადამიანი, რომ ამ ყველაფერს შორის კავშირი ვერ დაინახო. ფაქტია, რომ ეს ხალხი უნისონში მოქმედებს და ადგილი აქვს აჭარაში პოლიტიკური გადატრიალების მცდელობას. 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ უთხრა უარი, მურმან დუმბაძე კი ცდილობს ამ ძალის რეაბილიტაციას.

# EXCLUSIVE

> **დავით ბაციკაძე: „ნაციონალური მოძრაობა“, მურმან დუმბაძისა და მედეა ვასაძის ტანდემთან ერთად, აჭარაში გადატრიალებას გეგმავს**





> **„2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ უთხრა უარი, მურმან დუმბაძე კი ცდილობს ამ ძალის რეაბილიტაციას“**

**– ამჟამად უმაღლეს საბჭოში ნაციონალებს ჰყავთ 8 დეპუტატი, „ქართულ ოცნებას“ კი – 10... შესაძლებელია, რომ მალე ნაციონალები უმრავლესობაში მოვიდნენ აჭარაში?**

– ეს შესაძლებელია, თუ თავისუფალი დემოკრატების 2 წარმომადგენელი გაურიგდება „ნაციონალურ მოძრაობას“. დღევანდელი მდგომარეობით, ისინი არ აპირებენ ამ გეგმაში მონაწილეობას, თუმცა გამორიცხული არაფერია. მეეჭვება, რომ ალასანიას გუნდის წარმომადგენლები ნაციონალებს გაურიგდნენ, განსხვავებით მედეა ვასაძისგან. თუკი ნაციონალები უმრავლესობის მოპოვებას მოახერხებენ და მთავრობის თავმჯდომარის გადაყენებას შეცდებიან, ეს შექმნის ხელოვნურ კრიზისს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ვადამდელი არჩევნები.

შეხვდა თუ არა ტრაპიზონში ლევან ვარშალომიძეს? ამის გასარკვევად მურმან დუმბაძესთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. თუმცა „პრაიმტაიმი“ ესაუბრა უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მედეა ვასაძეს, რომელსაც ბაციკაძე ასევე ადანაშაულებს ნაციონალებთან კავშირსა და გადატრიალების დაგეგმვაში.

**მედეა ვასაძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:**

- ბაციკაძე არის შეშინებული. მას ეშინია, მის თანამდებობას არ შევეხოთ და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტიდან არ გადავაყენოთ. შემიძლია, მიგითითოთ ერთ-ერთ მასალაზე, სადაც მის შესახებ მოიპოვება გარკვეული ინფორმაცია. მოდით, ჯერ მისი ჯანმრთელობისა და ფსიქიკური მდგომარეობა შევაფასოთ და შემდეგ ვისაუბროთ პოლიტიკურ შეფასებებზე. ეს არის 2013 წლის მონაცემები.

**– რას გულისხმობთ?**

– თქვენ შეგიძლიათ, თავად გაარკვიოთ. როდესაც ამ ინფორმაციას გაეცნობით, მგონი, კითხვები აღარ გაგიჩნდებათ. რა გადატრიალებაზეა საუბარი, ცოტა სასაცილოა.

**– ბაციკაძე აცხადებს, რომ რეალურად თქვენ მურმან დუმბაძის მოსაზრებებს ახმოვანებთ, თავის მხრივ, მურმან დუმბაძე კი თანამშრომლობს ლევან ვარშალომიძესთან, რომელსაც, მისივე თქმით, ტრაპიზონში შეხვდა 5 თებერვალს...**

– ბატონი მურმან დუმბაძე საქართველოდან არ გასულა იმ დღეებში, როდესაც ბატონი ვარშალომიძე ტრაპიზონში იმყოფებოდა.

**– თქვენ რა იცით, ვარშალომიძე როდის იმყოფებოდა ტრაპიზონში?**

– ეს მე ვნახე სოციალური ქსელით. დევს ფოტო, სადაც სუფრაა გაშლილი და თარიღიც არის მითითებული. აბსურდია. არავინ დაიჯერებს, რომ მურმან დუმბაძე და მედეა ვასაძე გარიგებაში არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“. საქართველოს პარლამენტში პორტირებული ნაციონალების ხარჯზე იღებენ დადგენილებებს. ვისზე რა აქვთ სალაპარაკო.

**– შესაძლებელია, აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგოს უმრავლესობა და დადგეს მთავრობის იმპიჩმენტის საკითხი?**

– ჯერ ამაზე არ ყოფილა საუბარი. იმპიჩმენტს ძალიან რთული პროცედურა აქვს. მე პირადად მცდელობას არ მოვაკლებ, რომ მთავრობის თავმჯდომარე გადადგეს თანამდებობიდან, თუ ამას საკუთარი ნებით გააკეთებს და ჩვენ დროს არ დაგვაკარგვინებს, ძალიან გონივრული იქნება.

**– თუმცა შესაძლოა, ამას პოლიტიკური კრიზისი და შესაბამისად, ვადამდელი არჩევნები მოჰყვეს...**

– არც ამაში ვხედავ რაიმე პრობლემას. თუ რეგიონს სჭირდება ახალი არჩევნები, ეს უნდა გაკეთდეს კიდეც.

# ვინ გეგმავს გადატრიალებას აჭარაში?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირმა ინაშვილი: „სია, სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება“

EXCLUSIVE



ხათუნა მგალობლიშვილი

**„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი პირობას დებს, რომ თებერვლის ბოლოს გაასაჯაროებს მოქმედი ჩინოვნიკების სიას, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში მონაწილეობდნენ ქონების წართმევაში, ზეწოლას ახდენდნენ ბიზნესმენებსა და მედიის წარმომადგენლებზე, არბევდნენ აქციებს და აწამებდნენ პატიმრებს. სია დაზუსტების პროცესშია და მასში შემავალი კონკრეტული ადამიანების სახელები და გვარები იცვლება. ინაშვილის განცხადებით, რაზმაძისა და გრიგალაშვილის ამოშლის შემდეგ, სიას ხუთი ახალი გვარი მიემატა. შემადგენლობა ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, ერთ-ერთი მათგანი ბათუმის მოქმედი მერი გიორგი ერმაკოვია...**

**სიაში მოხვედრილთა დიდი ნაწილი კონტრდაზვერვის, ანტიტერორისტული ცენტრის, თავდაცვის სამინისტროების მაღალჩინოსნებზე მოდის, თუმცა, როგორც ირკვევა, ძალოვანი სტრუქტურების მიღმა ყველაზე მეტი „დამნაშავე“ შემოსავლების სამინისტროს ჰყავს და ბევრი მათგანი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პიროვნებაა.**

**ირმა ინაშვილი, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი:**

– სანამ თითოეული ადამიანი არ გადამოწმდება, რომელიც სიაშია და ყველაფერი არ დაზუსტდება, მანამდე არც სია გასაჯაროვდება და არც კონკრეტული სახელები და გვარები დასახელდება.

**– როგორც ცნობილია, სია ოცდათორმეტი კაცისგან შედგება...**

– ამ დღეებში კიდევ ხუთი ადამიანი დაემატა მას, ჯერ კიდევ მიმდინარეობს დაზუსტების პროცესი, სანამ ყველაფერი არ დაზუსტდება, მანამდე კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებ. არ მინდა ვინმეს დაუმსახურებლად რაიმე ზიანი მიადგეს.

**– როდისთვის გასაჯაროვდება სია?**

– სავარაუდოდ, თვის ბოლოს გავასაჯაროებთ.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ არჩილ კბილაშვილმა პასუხი უნდა აგოს გახმაურებული საქმეების არგამოძიებისა და მათი თაროზე შემოდების გამო. სარჩელის შეტანას ხომ არ აპირებთ ყოფილი პროკურორის წინააღმდეგ?**

– როდესაც პოლიტიკოსი, ჟურნალისტი ან უბრალოდ მოქალაქე საჯარო განცხადებას აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის პასუხისმგებელია თითოეულ სიტყვაზე. შესაბამისად, როდესაც მე კბილაშვილზე განცხადება გავაკეთე, რა თქმა უნდა, დავაყენე მისი პასუხისმგებლობის საკითხი. იმის გამო, რომ მთავარმა პროკურორმა არ შეასრულა საკუთარი ფუნქცია, დაემორჩილა ყოვლად მიუღებელ კოჰაბიტაციას და თაროზე შემოდო ათასობით საქმე, რომლის გამოძიებასა და გახსნას მთელი საზოგადოება ელოდებოდა, მან პასუხი უნდა აგოს.

**– ფიქრობთ, რომ მას ჰქონდა რესურსი აღნიშნული საქმეების გამოძიების?**

– ჩვენ გვჭირდება ისეთი სახელმწიფო მოხელეები, რომლებისთვისაც, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იქნება ადამიანის უფლებები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დინების საწინააღმდეგოდაც კი წავლენ. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ჩინოვნიკები, რომლებიც ემორჩილებიან ქართული სახელმწიფოსთვის საზიანო თეორიებს. კოჰაბიტაცია კი საზიანო იყო ქართული სახელმწიფოსთვის.

**– დღევანდელი პროკურატურის მოქმედებით კმაყოფილი ხართ?**

– როდესაც კბილაშვილისდროინდელ პროკურატურაზე ვსაუბრობ, ხაზი მინდა გავუსვა, რომ სულაც არ ვგულისხმობ მხოლოდ კბილაშვილს. არ ვამბობ, რომ მხოლოდ კბილაშვილი დაემორჩილა ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას, მხოლოდ ის არ იყო დამნაშავე, თუმცა სწორედ მან შემოდო თაროზე გამოუძიებელი საქმეები. კოჰაბიტაცია ახალი ხელისუფლების პოლიტიკა იყო, რომელიც ქართველ ხალხს თავზე მოახვიეს. რაც შეეხება ახალ პროკურატურას, ვფიქრობ, რომ ძველი, გახმაურებული საქმეების გამოძიება დაიძრა და ეს ძალიან კარგია. ვნახოთ, როგორ წარიმართება მომავალში საქმეები.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ სიას ხუთი კაცი შეემატა, კიდევ შეიძლება გაიზარდოს?**

– სია, სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ადამიანი გამოაკლდა. მაგალითად, ზუმბაძე და გრიგალაშვილი, რომლებმაც თანამდებობები დატოვეს.

**– როგორც ვიცით, სიაშია ბათუმის მოქმედი მერი ერმაკოვი...**

– კი, ნამდვილად დასახელდა და ის სიაშია, ჩვენ საზოგადოების ფართო ფენები გვაწვდიან ინფორმაციას.

**– მხოლოდ საზოგადოებისგან იღებთ ცნობებს?**

– პირველ რიგში, სწორედ საზოგადოებისგან ვიღებთ ინფორმაციას, განსაკუთრებით რეგიონებიდან, სადაც, ამ მხრივ, მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა. საზოგადოებიდან წამოსულ ინფორმაციას ეყრდნობა ეს სია, სწორედ ამიტომ მიმდინარეობს გადამოწმების პროცესი, არ გვინდა, სიაში მოყვნენ ისეთი ადამიანები, ვინც პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლნი აღმოჩნდებიან.

შემოსავლების სამსახური

**– ყველაზე მეტი რომელი უწყებიდან დასახელდა?**

– ძალოვანი უწყებების გარდა, სხვა სტრუქტურა თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ყველაზე მეტი არა, მაგრამ საკმაოდ დიდი რაოდენობა ასეთი ადამიანებისა შემოსავლების სამინისტროშია.

**– სიის დაზუსტების პროცესის დასრულების შემდეგი ეტაპი რა იქნება?**

– დაზუსტების შემდეგ, პირველ რიგში, სიას გავასაჯაროებთ, საზოგადოებას, ხელისუფლებას მივაწვდით ინფორმაციას და შემდეგ უკვე საზოგადოებისა და ხელისუფლების გადასაწყვეტი იქნება, როგორ უნდა იმოქმედონ. ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის მტრების ძიება, უბრალოდ, საზოგადოებაში უნდა იყოს ზნეობის ნორმები, ფასეულობები. დემოკრატიაც სწორედ ამ ფასეულობებზე დგას. თუ დავუშვებთ, რომ ზუმბაძისნაირი ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე გაუმწარეს ადამიანებს, კვლავ მაღალ თანამდებობებზე იმუშავებენ, ასე დემოკრატიულ სახელმწიფოსა და ნორმალურ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. ვიცი, რომ თავდაცვის, შემოსავლების სამინისტროში და სხვა სტრუქტურებშიც არაერთი პატიოსანი ადამიანი მუშაობს. ამ ადამიანებს არავინ არ არ შეეხება, მათი შრომა დაფასებული იქნება. აქ საუბარია იმ მაღალჩინოსნებზე, რომლებსაც ბოლო ათი წლის განმავლობაში კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულები აქვთ ჩადენილი.

**– ხელისუფლებისგან მოითხოვთ ამ ადამიანების განთავისუფლებას?**

– თავისთავად.

**– სიაში ბევრი ცნობილი პიროვნებაა?**

– ზოგი ცნობილია, ზოგიც – ნაკლებად. თავად ნახავთ, როდესაც სია გასაჯაროვდება.

**– აპირებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას სამართლიანობის აღდგენის პროცესში?**

– აუცილებლად, როდესაც სია გასაჯაროვდება და მას ხელისუფლებას მივაწვდით, ჩვენ ერთობლივად ვიფიქრებთ, როგორ შეიძლება დავიცვათ ქართული სახელმწიფო იმ ადამიანებისგან, რომლებიც უახლოეს წარსულში ადამიანებს საქმეებს უთითხნიდნენ და აწამებდნენ. მათ გამო ბევრმა უდანაშაულო ადამიანმა უსამართლოდ გაატარა ციხეში უამრავი წელი. დაუშვებელია ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც მოძალადე და მსხვერპლი თანაარსებობენ. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ და ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ეს არის დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი. ჩვენ კი თავს გვახვევენ, თითქოს დემოკრატია დამნაშავეების დაუსჯელობაა, თითქოს დამნაშავის დასჯის მოთხოვნა რადიკალიზმი და ექსტრემიზმია. არანაირი ექსტრემიზმი და რადიკალიზმი ეს არ არის. თუ გვინდა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ქვეყანა უნდა იყოს სამართლიან მართლმსაჯულებაზე დაფუძნებული.

**– ექსპერტების განცხადებით, როგორც კი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პროცესს დაიწყებს, თქვენი რეიტინგი მაშინვე დაეცემა...**

– ექსპერტებს, რომლებიც ასეთ განცხადებებს აკეთებენ, მინდა ვუთხრა, რომ ჩვენ პოლიტიკური ქულების დასაწერად არ ვიყენებთ სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების თემას. არსებობს არაერთი სხვა თემა ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის, რომელსაც წინა პლანზე წამოვწევთ. ჩვენ არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთ თემაზე ავაგოთ ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა. მეტსაც გეტყვით, თუ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყება, მზად ვარ, ხმებიც კი დავკარგო, ოღონდ ეს მოხდეს. ხმების მოსაპოვებლად ჩვენ არ ვსაუბრობთ და გარწმუნებთ, რომ რეიტინგთან ამას არანაირი შეხება არ აქვს. თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ამომრჩეველი არჩევანის გაკეთებისას აუცილებლად გაითვალისწინებს იმ პოლიტიკური ძალის დამსახურებას, მის შრომასა და ბრძოლას, რომელსაც წვლილი ექნება შეტანილი სამართლიანობის აღდგენის საქმეში. თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენს გუნდს რაიმე წვლილი ექნება შეტანილი ამ საქმეში, საზოგადოება ამას დააფასებს და ეს ჩვენს რეიტინგზე მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად იმოქმედებს.

**„ჩვენ არ ვაპირებთ, მხოლოდ ერთ თემაზე ავაგოთ ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა“**

**ირმა ინაშვილი: „არჩილ კბილაშვილმა თაროზე შემოდო ათასობით საქმე, რომლის გამოძიებასა და გახსნას მთელი საზოგადოება ელოდებოდა, ამის გამო მან პასუხი უნდა აგოს“**

**„ამ დღეებში კიდევ ხუთი ადამიანი დაემატა სიას, ჯერ კიდევ მიმდინარეობს დაზუსტების პროცესი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯემალ ღაღანიძის ცხოვრ









**my View**
ნინო მჭედლიშვილი

**ეკონომისტი მამისა და პედაგოგი დედის ოჯახში გაიზარდა. თეატრი დედამ შეაყვარა. სტუდენტობიდან დღემდე რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი სტაჟიანი მსახიობია. სპექტაკლი ითამაშა მაშინაც კი, როცა მამა სახლში ჰყავდა დასვენებული.**

დღეს ჯემალ ღაღანიძის ცხოვრების გზას გავუყევით.

### მაგალითები მშობლების ცხოვრებიდან

- სახლი, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, მამაჩემის აშენებულია. ჩვენ, წარმოშობით სამტრედიის რაიონიდან ვართ, იმერლები გახლავართ. მამა წამოსულა სოფლიდან და საბუღალტრო დაუმთავრებია თბილისში. სწავლის დამთავრების შემდეგ დუშეთში გაუნაწილებიათ, თავისი სპეციალობით. დედამ, გორში, პედაგოგიური გიმნაზია დაამთავრა და ისიც პედაგოგად გაანაწილეს დუშეთში, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფარში. იქ გაუცვნიათ ჩემს მშობლებს ერთმანეთი და დაოჯახებულან. თბილისში გადაწყვიტეს ცხოვრება. მაშინ დოლიძეზე ტყე იყო, მამამ სახლის საძირკველი რომ ჩაყარა, ეუნბენოდნენ, რას შვრები, სახლს ტყეში აშენებო. ოროთახიან სახლს აშენებდა მამა. საძირკველი რომ გათხარა, მოვიდნენ კოოპერატივის წარმომადგენლები და შესთავაზეს ტერიტორიის დათმობა, უკეთესი სახლი და დიდი ფართი შესთავაზეს. ამ სახლში გავჩნდით ორივე ძმა. მამა ცეკავშირის მთავარი ბუღალტერი გახლდათ. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. 80 წელს ერთი წელი აკლდა, რომ გარდაიცვალა. პატიოსანზე პატიოსანი ადამიანი იყო. ახლა რომ სასტუმრო „ჰოლიდეინია", მაშინ იქ საბავშვო ბაღი იყო. ჩემი თაობის გოგო-ბიჭები ამ საბავშვო ბაღში გავიზარდეთ. ჩუმად მომნათლეს, უფანჯრო ოთახში, რომ არავის დავენახეთ. მოგეხსენებათ, მაშინ ეკლესიაშიც ჩუმად დადიოდნენ, სამსახურის დაკარგვის ეშინოდათ. სკოლაც ახლოსვე გვქონდა, შორს სიარული არ მჭირდებოდა.

## „ვხუმრობდი ხოლმე, რაც კი ლამაზი ქალია, ყველა შენი დაქალია და ვისკენ გავიწიომეთქი"

**- განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ მშობლების მხრიდან?**

- დარიგება ნაკლებად გვჭირდებოდა შვილებს, უბრალოდ, ვუყურებდით როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი მშობლები, მათი ცხოვრება მაგალითი იყო ჩემთვის. რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ ჩემი მშობლების ცხოვრებიდან და მიხვდებით, რატომ იყვნენ სამაგალითონი ჩემთვის... დედისერთა მამიდაშვილი მყავდა. მოხალისედ წავიდა ომში. ორი წლის განმავლობაში წერილებს წერდა, მერე დაიკარგა. ბოლოს მოვიდა წერილი უკრაინიდან, რომ ჰოსპიტალში იწვა. გაქანებული სამამულო ომია უკრაინაში. მამიდაჩემმა აიტეხა, უნდა წავიდეო. მამაჩემი გვერდით ამოუდგა და წაჰყვა უკრაინაში. ბიძაშვილად ეკუთვნოდა, მამის და კი არ იყო. ჩავიდნენ უკრაინაში და გაწერილი დახვდათ საავადმყოფოდან. „ჯარისკაცის მამა" გამახსენდა, ეს ამბავი რომ გავიგე. ბოლოს კი გამოჩნდა ჩემი მამიდაშვილი... მეორე ამბავი თეატრს უკავშირდება, ხობში იხსნებოდა თეატრი სპექტაკლით, „კავკასიური ცარცის წრე". მამა საავადმყოფოში იწვა, იმ დღეს უნდა გამოგვეყვანა საავადმყოფოდან. მატარებელში ვჯდები, ხობში მივდივარ, ჩემი ძმა მამაჩემის გამოსაყვანად მივიდა საავადმყოფოში და უბედურება დატრიალდა. მამაჩემს ტრომბმა დაარტყა და გარდაიცვალა. დედას სუფრა ჰქონდა გაშლილი, მამის დაბრუნება უნდა აღენიშნათ. მე, რა თქმა უნდა, მოვბრუნდი. დედას ძლივს გავუმხილეთ ეს ამბავი. მეორე დილას დედამ დაგვიძახა მე და ჩემს ძმას და მითხრა, შენ ისეთ სამსახურში ხარ, შენ თავს არ ეკუთვნი. პარტნიორები გყავს, რეჟისორი, არ გეპატიება სპექტაკლი ჩააგდო, ამას აღარაფერი ეშველება, ჩვენ მივხედავთ, დაჯექი მატარებელზე და წადიო. აი, ასეთ სიტუაციაში წავედი ხობში და ვითამაშე სპექტაკლში. ჩემზე ამბობენ, რეკორდი აქვს მოხსნილიო. „კავკასიური ცარცის წრე" 650-ჯერ დაიდგა სცენაზე და ამდენივეჯერ მაქვს ნათამაშევი. არც ერთი არ გამიცდენია, გინესის რეკორდების წიგნში ვარ შესაყვანი... მამაზე კიდევ ერთი ამბავი მახსენდება. ძმაკაცი ჰყავდა ერთი, ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ერთად ნადირობდნენ, ერთი შეხედულებები ჰქონდათ ბევრ საკითხზე. მოკლედ, ერთხელ, ეს კაცი საყვარელს დააკვდა ზედ. იქნებოდა ასე 50 წლის. დარეკეს, ცუდად არისო, წავიდა მამაჩემი საავადმყოფოში და გარდაცვლილი დახვდა. ცოლი სახლში როგორ მიიღებდა, წარმოშობით ოფჩიდან იყო.

**- არ მითხრათ ახლა, რომ სახლში მოასვენა.**

- სწორედ ამის თქმას ვაპირებდი. მოასვენა ჩვენთან სახლში. და მეორე დილას გადაასვენეს ოფჩაში. ასეთ რამეებს რომ ვუყურებდი, რჩევა-დარიგება რად მინდოდა. მამაჩემი ჩემი და ჩემი ძმისთვის სინდისისა და პატიოსნების მაგალითი იყო.

## „სერგო ზაქარიაძე იყო მაშინ თეატრის დირექტორი. „ჯარისკაცის მამა" უკვე ნათამაშევი ჰქონდა. წავიდა მოსკოვში, ბრეჟნევთან მოითხოვა შესვლა და შევიდა. იქ გადაწყდა, რომ რუსთაველის თეატრის ხელფასები გაზრდილიყო"

### ვინ შეაყვარა თეატრი

**- დედა პედაგოგი იყო, მამა - ეკონიმისტი. თქვენ პროფესია როგორ აირჩიეთ?**

- დედას ძალიან უყვარდა ლიტერატურა, თეატრი, პატარები რომ ვიყავით მე და ჩემი ძმა, ფეხით დაგვატარებდა ხან მარჯანიშვილის და ხან რუსთაველის თეატრში. გავიდა წლები, მე უკვე მსახიობი ვიყავი და მოზარდმაყურებლის წამყვანმა მსახიობმა, დავით ცხაკაიამ გამომიგზავნა ორი მოსაწვევი ჩემთვის და დედასთვის. კი გამიკვირდა, დედა რა შუაში იყო, მაგრამ წავედით. სპექტაკლის შემდეგ ამ ადამიანმა სცენიდან ასეთი სიტყვები თქვა, სოფიკო მასწავლებლის დიდი დამსახურებაა, მე რომ დღეს მსახიობი ვარო. იქ გავიგე დედაჩემი მისი მასწავლებელი რომ იყო. გაანათეს დარბაზი, ადგა დედაჩემი, ტიროდა, საწყალი, მაყურებელი ტაშს უკრავდა. წარმოიდგინეთ. მოსწავლისთვის შეუყვარებია თეატრი და შვილისთვის მით უმეტეს.

### პირველი ხელფასი, პირველი სამსახური...

## „ექვიანი რომ ვყოფილიყავი, დაინგრეოდა ყველაფერი"




- ხელფასიც არ ერქვა ამას, რუსთაველის თეატრში 50 მანეთი გვქონდა, იმასაც იქვე სასადილოში ვხარჯავდით. თუმცა გვყოფნიდა, თუმნად სამი კაცი კარგად მოვულხენდით ხოლმე. სიმბოლური იყო ეს ხელფასი, დიდხანს არც ეს გვქონდა. ყველა სეზონი იწყებოდა წუწუნით, რომ ხელმოკლედ ვართ, რომ სადადგმო ფულიც არ არის. მერე გამოჩნდა ეს კაცი, ივანიშვილი, რომელმაც ხელი გაგვიმართა ამ მხრივ, მსახიობებსაც, სპორტსმენებსაც. გაგვიათმაგეს ხელფასები. თუმცა, მანამდეც მოგვიმატეს ხელფასები, ვერ დავუკარგავ, ბატონი, სერგო ზაქარიაძე იყო მაშინ თეატრის დირექტორი. „ჯარისკაცის მამა" უკვე ნათამაშევი ჰქონდა. წავიდა მოსკოვში, ბრეჟნევთან მოითხოვა









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# „ჩუმად მომნათლეს, უფანჯრო ოთახში, რომ არავის დავენახეთ“

EXCLUSIVE

**„გულახდილი კაცი ვარ და გულწრფელად გეტყვით. მეტს წავიკითხავდი. არ მეგონა ჩემი სპეციალობა ამდენს თუ ითხოვდა. მეგონა რეჟისორს უნდა მივნდობოდი მთლიანად, მხოლოდ ტექსტის დაზეპირება იქნებოდა საკმარისი“**

**„მამა საავადმყოფოში იწვა, იმ დღეს უნდა გამოგვეყვანა საავადმყოფოდან. მატარებელში ვჯდები, ხობში მივდივარ, ჩემი ძმა მამაჩემის გამოსაყვანად მივიდა საავადმყოფოში და უბედურება დატრიალდა. მამაჩემს ტრომბმა დაარტყა და გარდაიცვალა“**

შესვლა და შევიდა. იქ გადაწყდა, რომ რუსთაველის თეატრის ხელფასები გაზრდილიყო.

**- ისეთი პერიოდი თუ გქონიათ, როცა გინანიათ მსახიობობა რომ გაიხადეთ პროფესიად?**

- ყველაფრის მიუხედავად, ერთი წუთი არ მინანია. მე რომ თეატრში მივედი, სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. ყოველდღე სპექტაკლები იყო, ზეიმი იყო ყოველი დღე ჩვენთვის. ყველა სპექტაკლში დაკავებული ვიყავი. ჩემი სტაჟის მსახიობი ბევრ კინოში უნდა იყოს გადაღებული. ოცამდე ფილმში ვარ გადაღებული, მაგრამ ეს ცოტაა. ამის მიზეზი თეატრი იყო. გადაღებები ქალაქგარეთ იყო ძირითადად. იქ რომ წავსულიყავი, უარი უნდა მეთქვა თეატრზე. დასაკარგად მენანებოდა ჩემი მდგომარეობა თეატრში. იმ ფილმების გადაღებებიც, რომელშიც ნათამაშევი მაქვს, ქალაქთან ახლოს მიმდინარეობდა, რომ თეატრი არ გამეცდინა.

**„რობიკო ძალიან მკაცრია. არავითარი ნაცნობობა მასთან არ ჭრის. მედეა ჩახავას და კოტე მახარაძის ივიკო არ მიიღო თეატრში, გურამ საღარაძის შვილი, შოშია გაათავისუფლა თეატრიდან, ბევრი რამ ისეთი გააკეთა, ჩვენც რომ გაგვიკვირდა, მსახიობებს“**

**- ყველაზე მძიმედ ეკონომიკური თვალსაზრისით რომელი პერიოდი გახსენდებათ?**

- როგორც ყველას საქართველოში, ჩვენც 90-95 წლებში გვიჭირდა. არ იყო სინათლე, საჭმლის ფულიც კი არ გვქონდა. კომერციას მოვკიდეთ ხელი, ჯიხური გავხსენით სახლთან ახლოს, მაგრამ კრახით დასრულდა ჩვენი ბიზნესი... მძიმე იყო სამამულო ომის პერიოდი. ერთი პატეფონი გვქონდა, დედაჩემს გასაყიდად გაუტანია. გაუწყრა მამა, უკან დააბრუნებინა. გაჭირვება როგორ არ გვინახავს, მაგრამ სახლიდან არაფერი გაგვიყიდია, როგორლაც ვიტანდით. მეზობლები გვერდში ვედექით ერთმანეთს. დიდ ქვაბს გამოვიტანდით, ლობიოს მოვხარშავდით, ერთად ვვახშმობდით.

**სასიყვარულო გამოცდილება...**

- ცოტა გვიან დავიწყე თოხნა. 33 წლის ვიყავი ცოლი რომ მოვიყვანე.

**- რა დაიწყეთ?**

- (იცინის) თოხნა, შრომა, ასე ვეძახი მე ამ ამბავს. მსახიობი კაცი ვიყავი, კი ვიყურებოდი აქეთ-იქით, მაგრამ რაც ცოლი შევირთე, ოჯახის ერთგული ვარ. რასაც უყურებთ ამ სახლში, არაფერი ჩემი მშობლების არ არის, ყველაფერი თავად შევიძინე. გასტროლებზე რომ დავდიოდი, მეუღლისთვის ყოველთვის ჩამომქონდა საჩუქრები, ანტიკვარული ავეჯიც კი იქიდან მომქონდა.

**- სად გაიცანით მომავალი მეუღლე?**

- თეატრში გავიცანი. რუსთაველის თეატრში იტალიელი მომღერალი, მარინო მარინის კონცერტი გაიმართა. თბილისში ბუმი ატყდა. რეპეტიციიდან გამოვედი და ერთი ნაცნობი გოგო დამხვდა, გვერდით ედგა ჩემი მომავალი მეუღლე. ბილეთებს ვერ ვშოულობთო, შემომჩივლეს. მეორე დღისთვის დავიბარე და შევიყვანე თეატრში. მოვიხიბლე ელენეს გარეგნობით. მერე ჩემს სპექტაკლებზეც დავპატიჟე და ნელნელა დავახლოვდით. იმდენად ლამაზი იყო, მხატვრები ხატავდნენ. არაერთი პორტრეტი მაქვს მისი. აღმოსავლური ენები აქვს დამთავრებული და მუსიკალური ტექნიკუმი. ჩემი ქალიშვილი მის გზას გაყვა. ახლა პიანისტია და საზღვარგარეთ მოღვაწეობს.

**- ეჭვიანი იყავით?**

- ეჭვიანი რომ ვყოფილიყავი, დაინგრეოდა ყველაფერი. არც მე წავიდოდი გასტროლზე და არც ის გამიშვებდა, ნდობა რომ არ ყოფილიყო ჩვენ შორის. გასტროლზე თეატრთან ერთად მივდიოდი. თეატრის გოგოები ყველა ჩემი ცოლის დაქალები იყვნენ. ვხუმრობდი ხოლმე, რაც კი ლამაზი ქალია, ყველა შენი დაქალია და ვისკენ გავიწიო არ ვიცი-მეთქი.

**ბაბუა და შვილიშვილი სცენაზე**

**- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილს, შვილიშვილს...**

- მეტი გამოცდილება რა გინდათ, მე და ჩემი შვილიშვილი, სანდრო, ერთად ვდგავართ სცენაზე. არ მეგონა ჩემი სპეციალობით თუ წავიდოდა სანდრო. კარგად ცეკვავდა, სუხიშვილების სტუდიაში იყო და ანსამბლზე რომ მიდგა საქმე, თეატრი არჩია. თეატრალურის სტუდენტი იყო, ველარ შეუთავსა სწავლა და ცეკვა ერთმანეთს. გაგვიმართლა, რომ სანდრო რუსთაველის თეატრის მსახიობია. რობიკო ძალიან მკაცრია. არავითარი ნაცნობობა მასთან არ ჭრის. მედეა ჩახავას და კოტე მახარაძის ივიკო არ მიიღო თეატრში, გურამ საღარაძის შვილი, შოშია გაათავისუფლა თეატრიდან, ბევრი რამ ისეთი გააკეთა, ჩვენც რომ გაგვიკვირდა, მსახიობებს. ამდენად ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სანდრო დღესაც თეატრშია.

**- სპექტაკლში ერთად გიწევთ სცენაზე დგომა, ამ დროს, ალბათ, განსაკუთრებით ნერვიულობთ...**

- რა თქმა უნდა, საამაყოა და თან სანერვიულოც. ვუსურვებ იმდენი წელი იდგეს რუსთაველის თეატრის სცენაზე, რამდენი წელიც მე ვიდექი.

**- ბევრი უარყოფითი როლი გაქვთ შესრულებული...**

- ძალიან ბევრი. სომხებს მათამაშებენ ამ გაქანებულ იმერელს (იცინის). სხვათა შორის, უარყოფითმა როლმა გამიკვლია გზა დიდი სცენისკენ. „ბახტრიონში“ ვითამაშე „წიწოლა“. ლენა იყო ზინა კვერენჩხილაძე, კოტე მახარაძე მისი სატრფო. იქ იყო სცენა, სადაც ერთი ამბობს, - მთვარე ჩადის. მეორე პასუხობს, ისევ ამოვა. მე ქვეწარმავლის როლი მაქვს, ბუჩქებიდან უნდა ამოვყო თავი და ვუთხრა, თქვენთვის აღარ. სამჯერ იყო ეს სცენა. მესამედ რომ დავიძახე, - თქვენთვის აღარ-მეთქი, პარტერიდან წამოდგა ერთი კაცი და დამიყვირა, თავი დაანებე რა, კაცი არა ხარო (იცინის). გავბრაზდი, სად არის ადმინისტრატორი, გაიყვანოს მაყურებელი დარბაზიდან-მეთქი. გასაგდები შენ ხარ, ისე ითამაშე, კაცი გადარიე პარტერშიო, მითხრეს.

**- დასასრულ, შეცდომებზეც ვისაუბროთ, უკან რომ დაბრუნებულიყავით, რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?**

- გულახდილი კაცი ვარ და გულწრფელად გეტყვით. მეტს წავიკითხავდი. არ მეგონა ჩემი სპეციალობა, ამდენს თუ ითხოვდა. მეგონა რეჟისორს უნდა მივნდობოდი მთლიანად, მხოლოდ ტექსტის დაზეპირება იქნებოდა საკმარისი. ამიტომ მინდობილი ვარ რეჟისორზე, რომელიც ერუდირებულია. რობიკოს სიტყვა ყველაფერია ჩემთვის, ეპოქაც უკეთ იცის, ჩახედულია მასალაში.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სასამართლო ხელისუფლების ანატომია



**რა სისტემას გადააბარებს კოტე კუბლაშვილი თავის შემცვლელს?**

**19 ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი მოსამართლეებიდან 11 წარსულში პროკურატურაში, ან სხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდა**

მირიან ბოქოლიშვილი

**კოტე კუბლაშვილმა დღეების ათვლა უკვე დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს მალე უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს წარუდგენს. გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში დასამტკიცებლად კანდიდატი იმ 28 პირიდან უნდა შეარჩიოს, რომლებიც სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფების მიერ დასახელდნენ. ვნახოთ, ვისზე დადებს ფსონს სახელმწიფოს მეთაური და დაუჭერს თუ არა მხარს საკანონმდებლო ორგანო მის შერჩეულ კანდიდატს? მანამდე კი „პრაიმტაიმი" შეეცადა, გაერკვია, რა სისტემას უტოვებს კუბლაშვილი თავის შემცვლელს და ვინ არიან საქართველოს მოსამართლეები?**

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ინფორმაციით, ჯამში, 19 ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი მოსამართლეებიდან 11 წარსულში პროკურატურაში, ან სხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს 16 მოსამართლიდან 9 მოსამართლე საკუთარი პროფესიული კარიერის მანძილზე იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და სხვა ძალოვანი უწყების სისტემაში მუშაობდა. აქედან 5 მოსამართლე წარსულში უშუალოდ პროკურატურის სისტემაში მოღვაწეობდა. მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე), მიხეილ ჩინჩალაძე და ლევან მურუსიძე სასამართლო სისტემაში პროკურატურიდან გადმოვიდნენ. დანარჩენ მოსამართლეებს წარსულში სხვადასხვა პოზიციებზე აქვთ ნამუშევარი საჯარო და კერძო სექტორში, თუმცა უდავოა, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა სასამართლო სისტემაში მკვეთრად გაუმჯობესდა. ბოლო მონაცემებით, კონსტანტინე კუბლაშვილის წლიური ხელფასი 127 300 ლარს შეადგენს, მისი მოადგილეებს ანაზღაურება კი ასეთია: ზაზა მეიშვილი – 114 795 ლარი, ვასილ როინიშვილი – 97 025 ლარი, მიხეილ ჩინჩალაძე – 108 175 ლარი.

რაც შეეხება მეორე ინსტანციას... თბილისის სააპელაციო სასამართლოს 32 მოსამართლიდან 12 მოსამართლე წარსულში იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის სისტემაში მუშაობდა. მაგალითისთვის საკმარისი იქნება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის კარიერული გზის მიმოხილვა. ირკვევა, რომ ცერცვაძეს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს, როგორც პროკურატურის, ისე უშიშროების სისტემაში მოღვაწეობის. ის მოსამართლის პოზიციაზე 2007 წელს დაინიშნა, მანამდე კი 1999-2004 წლებში იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა, 2004 წელს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, 2005-2007 წლებში კი გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს ედგა სათავეში. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხშირად ზურაბ ადეიშვილის კადრად მოიაზრებენ, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, ირაკლი შენგელიას, რომელიც სასამართლო სისტემაში მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან მოხვდა, სადაც ის გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობდა.

**კონსტანტინე კუბლაშვილის წლიური ხელფასი 127 300 ლარს შეადგენს, მისი მოადგილეების ანაზღაურება კი ასეთია: ზაზა მეიშვილი – 114 795 ლარი, ვასილ როინიშვილი – 97 025 ლარი, მიხეილ ჩინჩალაძე – 108 175 ლარი**



პროკურატურიდან არა, მაგრამ ფინანსური პოლიციიდან გადმოიყვანეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე მერაბ გაბინაშვილი. 2006 წლამდე ის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი გახლდათ.

ძალოვანი უწყების კადრებით არის შევსებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოც. აღნიშნული ინსტანციის 4 მოსამართლეს სამსახურებრივი კარიერის მანძილზე ნამუშევარი აქვს პროკურატურის სისტემაში, ორი მოსამართლე კი შსს-ს სისტემაში მუშაობდა, თუმცა აქედან ერთ-ერთი 1991 წლამდე სხვა ძალოვან უწყებაში მუშაობდა, შემდეგ კი სასამართლო სისტემაში იწყებს სამსახურს.

თბილისის საქალაქო სასამართლო ქვეყანაში ყველაზე დატვირთული პირველი ინსტანციის სასამართლოა. სასამართლოს შემადგენლობაშია 84 მოსამართლე, აქედან სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 33, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 34 და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 17 მოსამართლე საქმიანობს. საქალაქო სასამართლოს 8 მოსამართლე, წარსულში ასევე შსს-სა და პროკურატურის სისტემაში მუშაობდა. ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში კი პროკურატურის სისტემიდან 3-3 მოსამართლე მოხვდა. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით მამისეიშვილი 2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურში გამომძიებლად. 2004-2005 წლებში საქმიანობას აგრძელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში გამომძიებლად. 2005 წელს (მაისიდან ნოემბრამდე) მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოში გამომძიებლად. 2005-2007 წლებში მუშაობდა შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ მამისეიშვილი 2013 წელს დაინიშნა.

რაც შეეხება მოსამართლეთა უმაღლეს განათლებას... ფიქსირდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლეთა მიერ მითითებული წლები არ ემთხვევა ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტის დაფუძნების თარიღს, ასევე ერთ-ერთი მოსამართლის რეზიუმეს მიხედვით მან 1998 წელს მიიღო იურისტის დიპლომი კერძო უნივერსიტეტისგან. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზის გადამოწმების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ მოსამართლის მიერ მითითებული უნივერსიტეტი 1995 წელს არის დაფუძნებული. იმ პერიოდში კი საქართველოში სრული უმაღლესი იურიდიული განათლება 5-წლიანი პროგრამისგან შედგებოდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ მოახერხა მოსამართლემ 1995 წელს დაფუძნებული უნივერსიტეტის დიპლომის აღება 3 წელში? „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ყველა მსგავსი ქმედება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უნდა იქნას გამოკვლეული.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

BUSINESS Time
www.primetimenews.ge

# ვის ჰბრალდება გაზის გაძვირება?



„ჩვენ ბევრი რამის დათმობა მოგვიწევს“

„ეს იყო არამიზანდასახული მოქმედებების შედეგი“



# პერსონა

## გიორგი კაპანაძე

„აქსისმა“ ბანკისგან საკუთარი ქონება უკან, 6,5 მილიონ დოლარად გამოისყიდა

# EXCLUSIVE

# დათმო თუ არა ფოთის პორტში საკუთარი წილი დავით იაკობაშვილმა კრემლის ზეწოლით?!

ლელა წიკლაური

როცა ცნობილი გახდა, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა ფოთის პორტის აქციათა წილი რუსულ „როსნეფტს“ დაუთმო, საქართველოში მაშინვე გაჩნდა კითხვა, რატომ?.. იაკობაშვილმა საკმაოდ მომგებიან ბიზნესში გაყიდა წილი და ოფიციალურად განაცხადა, რომ ბიზნესგარიგება პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე შედგა. ეს იმ ფონზე, როცა ექსპერტები იხსენებენ, რომ დავით იაკობაშვილი აქციათა პაკეტის დათმობამდე რუსეთში საკუთარ ბიზნესებთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობდა. იაკობაშვილი რუსეთში საქმიანობს და ამიტომ გაჩნდა საზოგადოებაში კიდევ მეორე კითხვა: ხომ არ დათმო ფოთის პორტის წილები ბიზნესმენმა კრემლის ზეწოლის ქვეშ. არის თუ არა რუსული „როსნეფტის“ ბიზნესგარიგება ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების პუტინისეული გეგმის ნაწილი და ყველაზე ეფექტური სცენარი. არღვევს თუ არა საქართველოს კანონმდებლობას ხელშეკრულება, რომელიც რუსულ „როსნეფტსა“ და იაკობაშვილს შორის გაფორმდა. აქცევს თუ არა ქვეყნის ხელისუფლება საკუთარ ტერიტორიას (აფხაზეთი იგულისხმება) ეკონომიკური ბლოკადის ქვეშ. დადგა თუ არა იმის დრო, რომ მთავრობამ ფოთის პორტის მიმდებარედ ალტერნატიული ტერმინალების შექმნაზე დაიწყოს ფიქრი. მოკლედ, კითხვები ჩნდება და მათზე პასუხები საინტერესოა.



**კახაბერ ჯაყელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**

– იმასთან დაკავშირებით, რომ ფოთის პორტის მთავარი ტერმინალები და ფოთის პორტის მთავარი სიმდიდრეები „როსნეფტის“ ხელში გადადის, უკვე ჩნდება კითხვები. ადამიანი ეკითხება თავის თავს, საით მიდის ჩემი სახელმწიფო და საით მივდივარ მე და რა იქნება მომავალში. მართვის როგორ მოდელს ირჩევს სახელმწიფო და მისი პოლიტიკური ელიტა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ „როსნეფტის“ ფოთში შემოსვლა – ეს უკვე ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების ეფექტური სცენარია ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მხრიდან. „რაკია“ იყო გარკვეული კაპიტალი, ნაციონალური ნიშნების გარეშე. „როსნეფტი“ კი არის გამოხატული კაპიტალი იდეოლოგიით, გამოხატული ინტერესებით და ეს უკვე არ არის თავისუფალი კაპიტალი... რუსეთი დღეს სახელმწიფო კაპიტალიზმს ქადაგებს. რუსეთში უკვე დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ ის არის უნიკალური ქვეყანა, სადაც ქურდების დიქტატურაა. ასეთ დროს ფოთში შემოდის „როსნეფტი“, ქურდების „ობშიაკით“, და უნდა მოგწყვიტოს მთელ მსოფლიოს. „როსნეფტმა“ ყველაზე დიდი ტერმინალები ჩაიგდო ხელში და გადაჭრა კარიბჭე დასავლეთისკენ. რუსული კომპანიის ფოთში შემოსვლა არის გავლენის მოპოვება აზერბაიჯანსა და რეგიონზე. კრემლი აზერბაიჯანსაც ეუბნება, რომ ის მომავალშიც განაგებს ამ მნიშვნელოვან ობიექტს. ყარსი-ახალქალაქით საქართველო დაუკავშირდა დასავლეთს და ეს კარგია, მაგრამ ახალი გადანაწილებით შესაძლოა, აზერბაიჯანი განაწყენდეს და აამოქმედოს გაზის გაძვირების ბერკეტი. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ დავით იაკობაშვილი ცუდად მოექცა საქართველოს. ის ბიზნესმენია და თავისი ბიზნესინტერესები აქვს. ამ შემთხვევაში ბიზნესსუბიექტებს ვერ ვეხებით, აქ მთავარია ობიექტები. ფოთის პორტი დასავლეთისკენ მისწრაფების ერთ-ერთი მთავარი კარიბჭეა. ამიტომ ის ღია უნდა იყოს. შუა აზიაში მოკვდება დასავლური ცივილიზაციისკენ მისწრაფების იმედი.

**პაატა შეშელიძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**

– მე მგონი, ეს თემა ზედმეტად გადაჭარბებულია. ეს ტერმინალი არც მთავარია და არც ერთადერთი. სიტუაცია ასეთია: კომპანია, რომელზეც ეს აქციები გაიყიდა კერძო პირის მიერ, არღვევს იმ კანონს, რომელიც აფხაზეთში მოღვაწე ორგანიზაციებს უკრძალავს საქართველოში საქმიანობას. ერთადერთ პრობლემას აქ ვხედავ, თუმცა მიმაჩნია, რომ თვითონ ის კანონიც კი, რომელიც აფხაზეთში ზღუდავს საქმიანობას, არასწორია. რადგან, თუ აფხაზეთი საქართველოა, მაშინ ჩვენ იქ არ უნდა ვუშლიდეთ საქმიანობას, არამედ ჩვენი კანონმდებლობის ქვეშ უნდა მოვაქციოთ, იზოლაცია არ უნდა გავუკეთოთ ამ მხარეს.

„თუ იაკობაშვილი შეგნებულად მიდის ზარალზე, ეგ მისი პრობლემაა. თუ აიძულეს, რომ ზარალზე წავიდეს, ეს გამოჩნდება“



გაგრძელება 24-ე გვ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათმო თუ არა ფოთის პორტში საკუთარი აქციების წილი დავით იაკობაშვილმა კრემლის ზეწოლით?!

23-ე გვერდიდან




20 წელია, შეგნებულად ვკრავთ ხელს იქ მცხოვრებ ადამიანებს და ეს ჩვენი მხრიდან გამოუსწორებელი შეცდომაა. ეკონომიკურ ბლოკადაში არ უნდა მოვაქციოთ ჩვენივე ქვეყანა. მომწონს თუ არ მომწონს ეს კანონმდებლობა, ეს ბიზნესგარიგება კანონს არ არღვევს. საკუთრება არის ხელშეუხებელი. ნებისმიერი წესიერი საზოგადოება უნდა სცემდეს პატივს ბიზნესგარიგებებს, მაგრამ ამავე დროს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ კერძო საკუთრება არ იქნას გამოყენებული სხვა ადამიანების კეთილდღეობის საზიანოდ. და თუკი ასეთი ფაქტი მოხდება, რეაგირების საშუალებაც უნდა მიეცეს. თუკი რუსულმა კომპანიამ შეიძინა, მაგალითად, ტერმინალი და შემდეგ ამ ტერმინალს იყენებს საზოგადოების საწინააღმდეგოდ, მაშინ, ქართული კანონმდებლობის საფუძველზე, თავისუფლად უნდა მიხვიდე და მოსთხოვო პასუხი. აქ მთავრდება მთელი ისტორია. რუსეთის ბევრი საკუთრებაა საქართველოში, მაგალითად, „რაო ეესი“ „თელასი“ და ა.შ., მაგრამ ომის დროსაც კი ვერავინ გაბედა, რომ საბოტაჟი მოეწყო და ელექტროენერგია გაეთიშა მოსახლეობისთვის. რომ გაეთიშათ, მივიდოდნენ ქართველი სამართალდამცველები, ჩაართევვინებდნენ და პასუხსაც მოსთხოვდნენ. შეიძლება მათ ეს საკუთრება დაეკარგათ კიდეც, იმიტომ რომ ის გამოყენებული იქნებოდა საზოგადოების საზიანოდ. ასე რომ, ჩვენ უნდა გავყოთ საკუ-







თრება და საკუთრების ბოროტად გამოყენება. საკუთრება უნდა იყოს ხელშეუხებელი, ბოროტად გამოყენება კი – დასჯადი. თუ დასჯის თავი არ აქვს, მაშინ ქვეყანას პერსპექტივაც არ აქვს. პირველი – უნდა გავარკვიოთ, რამდენად კანონიერად მოხდა გასხვისება; მეორე – რამდენად თავისუფალი იყო ბატონი იაკობაშვილი, როცა აქციების გასხვისების გადაწყვეტილებას იღებდა და რამე ზეწოლა ხომ არ იყო მასზე. ჩვენ არანაირი ხელჩასაჭიდი ფაქტი არ გვაქვს, რომ ეს ვამტკიცოთ, თუმცა იყო ამის შესახებ მინიშნებები. მიუხედავად ამისა, საკუთრება ხელშეუხებელია და ვისიც არ უნდა იყოს ის, უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ თუ ეს საკუთრება არის თუნდაც ერთი ადამიანის წინააღმდეგაა გამოყენებული, სამართალდამცავებს უნდა ჰქონდეთ რეაგირებისა და მისი დაცვის საშუალება.

**– რამდენად კანონიერად მოხდა გარიგება? რატომ გახდა ეს ეჭვის საბაბი?**

– ბატონი იაკობაშვილი გარიგებამდე ცოტა ხნით ადრე ამბობდა, რომ მის ბიზნესს რაღაც საფრთხეები ემუქრება და ის ვერ მუშაობს ისე, როგორც მიაჩნია, რომ უნდა მუშაობდეს. მას არ გაუშიფრავს, რა ფაქტორებს გულისხმობდა. არც ადრესატი დაუსახელებია, ვის მიმართ საუბრობდა კონკრეტულად. ამიტომ მისი ასეთი განწყობა იძლევა მხოლოდ დაფიქრებისა და ეჭვის საბაბს. მას ოფიციალურად პროტესტი არ გამოუთქვამს, ამიტომ უცნობია, სინამდვილეში რა ხდება და ჩვენც დაზუსტებით ვერ ვიტყვით ვერაფერს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი იაკობაშვილის საქმიანობა რუსეთში მიმდინარეობს, მას შემოსავლის წყარო სწორედ რუსული სამყაროდან აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ მასზე იყო გარკვეული ზეწოლა. სანამ ამის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ გაჟღერდება, ამ თემას ტაბუ უნდა დავადოთ.

**– ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ვარაუდები, რომლებიც ამ ბიზნესგარიგების ირგვლივ გამოითქმის, გადაჭარბებულია. თქვენ როგორ ფიქრობთ, იკვეთება თუ არა კრემლის პოლიტიკური მიზანი?**

– ფულის კეთება სჭირდება ყველას, ფულის კეთების საქმეში საზღვრები და ეთნიკური ნიშნები არ არსებობს. კორიდორი რომ არის და კარგი რომ არის, იმიტომ სჭირდება. სწორედ ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, პირიქით, ფული დაიხარჯოს და ინვესტიციები გაკეთდეს. ფულის კეთება არის ყველაზე კარგი პოლიტიკური მიზანი. თორემ სხვა პოლიტიკური მიზანი შეიძლება განხორციელდეს ერთი ბომბის ჩამოგდებით და გზების გადაკეტვით, რად უნდა ამას ბევრი ფიქრი. ჩამოაგდე ბომბი, გადაკეტე გზები და მთელი პოლიტიკური ამოცანა შესრულებულია. ამას ფულის ხარჯვა სულაც არ სჭირდება. ამაზე აქცენტების გაკეთება დროის ტყუილი ხარჯვაა. სხვა რამეს ვიტყოდი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო თვითონ არის კორიდორი, მაშინ ამ კორიდორების რაოდენობები უნდა გაზარდოს. ეს ტერმინალი არ უნდა იყოს ერთადერთი, გამორჩეული და განუმეორებელი. სხვა ადამიანებსაც – კერძო პირებს, ბიზნესმენებს უნდა მიეცეთ საშუალება, ფოთის ტერმინალის გვერდზე სხვა, ახალი ტერმინალი გახსნან. უნდა იყოს ბევრი ტერმინალი, კორიდორი, მაგისტრალი. უნდა იყოს არჩევანის თავისუფლება და იქ არის საშუალება. არავის არ უნდა ჰქონდეს პრივილეგირებული პლაცდარმი, რომ იქიდან ან ფასებზე ან სხვა რაღაცებზე თავისი პირობები გიკარნახოს. ამიტომ, თუ ვინმე დარდობს, უნდა გახსნას ეს სხვა მიმართულებები. ანაკლიიდან დაწყებული ბათუმამდე შეიძლება იყოს ორგანიზებული და შესაბამისად გამოყენებული პოტენციური სატვირთო გადაზიდვებისთვის საჭირო ტერმინალი. აგერ გაიხსნა თურქეთზე სატრანზიტო მიმოსვლა, სარკინიგზო მატარებლებს ვგულისხმობ. ყოველ შემთხვევაში, საფოსტო ვაგონებმა უკვე ჩაიარა. ამიტომ ასეც არ არის, რომ ერთი პატარა, 2-კილომეტრიანი ტერმინალი გვიწყვეტდეს საქმეს. უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ, მეტი არჩევანი უნდა მივცეთ ჩვენს მოქალაქეებს, პოტენციურ ინვესტორებს და აი, აქ არის რეზერვები.

**– როდესაც ამბობთ, რომ ფულის კეთებაა ყველაზე კარგი პოლიტიკური მიზანი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მომგებიანი წილი დათმო დავით იაკობაშვილმა?**

– მან წილი დათმო, ალბათ, იმიტომ, რომ დამატებითი ინვესტიციები და რესურსები მოეზიდა. შესაძლოა, მას იგივე წარმატებით გამოეცა აქციები, ან სესხი აეღო.

**– ვნახოთ, ჩადებს თუ არა ინვესტიციებს რუსული „როსნეფტი“...**

– იყო რაღაც შეთანხმება. რამდენად გრძელვადიანია ეს შეთანხმება და რამდენად იქნება გამოყენებული, დავინახავთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ახლა აქ დგას ფულის საკითხი, შემოსავლების საკითხი. თუ იაკობაშვილი შეგნებულად მიდის ზარალზე, ეგ მისი პრობლემაა. თუ აიძულეს, რომ ზარალზე წავიდეს, ეს გამოჩნდება. ამ ტერმინალის გვერდზე სხვა ტერმინალი გაიხსნება და ტვირთები წავა იმ ტერმინალში. არავინ არ არის ვალდებული, რომ მაინცდამაინც ამ ტერმინალით ისარგებლოს, ამიტომ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ალტერნატიული გზები.

**ემზარ ჯგერენაია, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**

– „როსნეფტმა“ იყიდა აქტივი, რომელიც მიმართულია სატრანსპორტო დერეფნის მართვისკენ. სომხეთის, მიმართულებებს აკონტროლებს და ის მას ძალიან სჭირდება დივერსიფიკაციისთვის. რა თქმა უნდა, პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, რადგან ის პუტინის კომპანიაა. და აზერბაიჯანმაც არა მგონია, გაზის ფასზე გადაიტანოს ეს თემა. ეს გარიგება მოხდა საქართველოს გვერდის ავლით და ის ვერ ჩაერევა, ეს ბიზნესია. ერთი რამ შეუძლია საქართველოს, რომ სტრატეგიულ ობიექტებში ოფშორული კომპანიები არ დაუშვას, მოსთხოვოს მათ გახსნილი და გამჭვირვალე ანგარიშები. ამ საკითხს ასე დრამატულად არ ვუყურებ, რომ დასავლეთისკენ კარიბჭე ჩაიკეტოს. „როსნეფტი“ საბოტაჟს ვერანაირად ვერ მოაწყობს. კარიბჭის დახურვა და ომის გამოცხადება საკმაოდ გაზვიადებულია. ჯერჯერობით მხოლოდ მესაკუთრე შეიცვალა. ამ მესაკუთრეს არ გამოუცხადებია, რას გეგმავს, ამიტომ დადებით ბენეფიტებზე ლაპარაკი გაგვიჭირდება. შეიძლება არც არაფერი გააკეთოს ახალმა მფლობელმა და, უბრალოდ, ტვირთების მოძრაობა გააგრძელოს, მიიღოს მოგება და მეტი არაფერი, ან, პირიქით, ჩადოს ინვესტიცია, ან გააღრმავოს საზღვაო დერეფანი, დატვირთოს. ჩვენ ახლა ყავაზე ვმკითხაობთ, ეს არ არის სწორი. ხაზს ვუსვამ, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური ელემენტები იკვეთება.




---

ლელა წიკლაური

**არის თუ არა კახა კალაძის ენერგეტიკული პოლიტიკა ბელეტრისტიკა. გაუშვა თუ არა ხელიდან ხელსაყრელი მომენტი ხელსაყრელი ხელშეკრულებების დასადებად ენერგეტიკის მინისტრმა. რა გამოეპარა მთავრობას და იყო თუ არა გაზის გაძვირების თავიდან აცილების შანსი. რა ბრალდება კალაძეს და რა ბრალდება ეროვნულ ვალუტას. ვინ აგებს პასუხს სამომხმარებლო კალათის გაძვირებაზე.**

მარჯვნივ წახვალ და გაზის ფასთან ერთად პროდუქტის ფასიც მოიმატებს, მარცხნივ წახვალ და გაზის ფასთან ერთად მასზე მიბმული წარმოებაც გაძვირდება, უკან დაბრუნდები და გაზი ისედაც ძვირი იყო, თანაც მძიმე პოლიტიკურ ფასსაც ვიხდიდით, წინ წახვალ და გაზის საფასურის ზრდა გარდაუვალი იქნება, მოკლედ, ეს ამბავი შესაძლოა, ასე დამთავრდეს. ხალხი, საბოლოოდ, იმ პოლიტიკურ პარტიას აირჩევს, ვინც მათ ახალ ოცნებებს დაჰპირდება. ამ სცენარის შესაცვლელად კი ხელისუფლებას ბევრი მუშაობა მოუწევს. ოქროს წვიმა არ წამოვიდა და გაზზსაც ოქროს ფასი ადევს. რა სჭირს ქართულ ლარს, რა სჭირს ქართულ ეკონომიკას და კიდევ, რა სჭირს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, რომ გაიძახის ყველაფერი კარგად არის და ცოტა ხანში გვეშველებაო.

ლარი რომ გაუფასურდა და დოლარი გაგვიძვირდა გაზის სადისტრიბუციო კომპანიებმა ბუნებრივ აირზე ფასის მოსალოდნელი ზრდა დააანონსეს და საკუთარი გადაწყვეტილება ლარი-დოლარის კურსის ცვლილებით ახსნეს - კომპანიები ბუნებრივ აირს დოლარში ყიდულობენ, მომხმარებელი კი გახარჯული აირის საფასურს ლარში იხდის. მოსახლეობა დისტრიბუტორებმა მაშინვე დაამშვიდეს და თქვეს, რომ მათ ტარიფს არ გაუზრდიდნენ. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, უბრალო მოკვდავი აბონენტებისთვის, გაზის გაზრდილ საფასურს პირდაპირ, თუ ირიბად, გაძვირებულ პროდუქტში გადავიხდით, რომლის ღირებულებაშიც დახარჯული ენერგომატარებლების ხარჯიც შედის.

მოკლედ, რაც არ უნდა ვთქვათ, გაზი მაინც გაძვირდება და მასთან ერთად გაძვირდება პური, რძის პროდუქტები, ხორცპროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი და სამომხმარებლო კალათის ყველა ის კომპონენტი, რომელიც ამ ქვეყანაში მზადდება, ან იმპორტის სახით შემოდის. გაძვირდება ყველაფერი საწვავის გარდა და კიდევ კარგი, რომ ამ შემთხვევაში მაინც გვიმართლებს. მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასი ეცემა. მართალია, სამყაროს ცივილიზაციის ეს კანონზომიერი თუ უნებლიე სიკეთე ჩვენზე გვიან გადმოდის ხოლმე, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ. საწვავი გაგვიიაფეს...

გაძვირდება გაზი, გაძვირდება ელექტროენერგიაც. თბოსადგურები, რომლებიც გაზზე მუშაობენ ტარიფს ელექტროენერგიაზეც გააძვირებენ. კერძო კომპანიების საქმეში, წესით, სახელმწიფო ვერ ჩაერევა. რამ გამოიწვია გაზის გაძვირების საკითხის დასმა. ეს იყო ლარის გაუფასურების თანმდევი პროცესი, თუ ჩვენთვის, ბუნებრივი აირის მთავარი მომწოდებლის – აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური სვლა. თავად სადისტრიბუციო კომპანიები ყველაფერს ქართულ ლარს აბრალებენ. კომერციულ მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მათ ჩადებული აქვთ პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ლარი-დოლარის კურსი მინიმუმ 10%-ით შეიცვლება, აქვთ უფლება, ბუნებრივი აირის საფასური გაზარდონ. საქართველო 100%-ით იმპორტირებულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული და შესაბამისად, ამ ენერგო-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის ბრალდება გაზის გაძვირება?



რესურსს დოლარში ყიდულობს. ამდენად, მოსალოდნელიც იყო, რომ გაზის სადისტრიბუციო კომპანიები წაგებაზე არ იმუშავებდნენ და ტარიფის გაზრდის საკითხს წამოჭრიდნენ.

ლარი – გაზს, გაზი – ელექტროენერგიას, ელექტროენერგია და გაზი – პროდუქტს, პროდუქტზე გაზრდილი ფასები – ყოფით ცხოვრებას გააძვირებს და ასე წავა დომინოს პრინციპით. მსყიდველუნარ დაქვეითებულ მოსახლეობას ბევრ რამეზე მოუწევს უარის თქმა, მოუხდება ქამრების შემოჭერაც და მადის დაოკებაც. „BUSINESS TIME" ექსპერტებს ესაუბრა.

**კახაბერ ჯაყელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**

– გაზის გაძვირება საქართველოში არა მარტო იმპორტირებული პროდუქტების გაძვირებას, არამედ საქართველოში შექმნილი ყველა პროდუქტისა და სერვისის გაძვირებას გამოიწვევს. გაზი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქტის თვითღირებულების შექმნის პროცესზე, ამიტომ მისი გაძვირება პირდაპირპროპორციულად აისახება პურის, რძის პროდუქტების, ასევე საქართველოში შექმნილი, გადატანილი, თუ ტრანსპორტირებული პროდუქციის გაძვირებაზეც. გაზის გაძვირება ქართულ ბაზარზე აისახება და ეს გარდაუვალია, რადგან ქართული ბაზარი დაკავშირებულია ამ ენერგომატარებლების ინდუსტრიის ფასებზე. მაგალითად, თუ ადამიანი ყიდის ასკილს და სხვა ალტერნატივა მას არ გააჩნია, მან ეს ასკილი იმ ფასად უნდა გაყიდოს, რომ გაძვირებული გაზის ფასი იყიდოს. გაზი არის მსოფლიოში ბიზნესის მამოძრავებელი, ე.წ. შავი ოქრო, დღეს მას უფერულ ოქროს უწოდებენ. გაზის ფასები მსოფლიო ბირჟებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, მით უფრო ისეთ უმცირეს და უპატარავეს ქართულ ეკონომიკაზე, სადაც ბიზნესზე მოქმედი ნებისმიერი ფაქტორი გავლენის მატარებელია. ასე რომ, გაზის გაძვირება გამოიწვევს დომინოს პრინციპით, ყველა პროდუქტის გაძვირებას, გარდა საწვავისა, რადგან მას ჰყავს თავისი პატრონი, ეს არის მსოფლიოში ლონდონის, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის ბირჟები, რომლებზეც გავლენას ახდენს საუდის არაბეთის ნავთობის გაყიდვების მზარდი და შეუჩერებელი ტემპები და ჩვენი ბენზინის მწარმოებლები და შემომტანები არიან ამ კვოტირებებზე ჩამოკიდებულნი. შესაბამისად, საქართველოში გვაქვს უნიკალური სიტუაცია, როცა ბენზინის ფასები იქნება გარკვეულწილად დაბალი, სხვა ყველა პროდუქტის ფასი კი დაიწყებს ზრდას, რაზეც იმოქმედებს უალტერნატივო საწვავის, გაზის გაძვირება და გაზი არ არის მხოლოდ საწვავი, ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ფაქტორი, დღეს, იმისა, რომ სტაბილურობა იყოს მსოფლიოში. ავიღოთ გერმანია, იქ გაზით გათბობის რაოდენობა არის 70%-ი და წარმოიდგინეთ ნებისმიერ ქვეყანაში გაზის გაძვირება რას გამოიწვევს. განსაკუთრებით საქართველოში, რომელსაც თავისი არაფერი არ გააჩნია ამ მიმართულებით.

**– საწვავზე ფასები შემცირდა, რამდენად დააბალანსებს ის მოსახლეობის გაზრდილ ხარჯებს.**

– რა თქმა უნდა, შეღავათი იქნება, დღეს ხალხი თავს, ამ მხრივ, ბედნიერად გრძნობს, შეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლდა, რადგან მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიაფდა. დღეს სატრანსპორტო გადაზიდვების ხარჯებიც შემცირდა და ეს კარგია. ერთი ოჯახის ზოგად სამომხმარებლო კალათაში ტრანსპორტის ხარჯები აღწევდა დაახლოებით 60%-ს. წარმოიდგინეთ, ჩემს ოჯახში მე ვმოძრაობ ჩემი ავტომობილით, ჩემი მეუღლე კი თავისით, საწვავის გაიაფების შემდეგ ორივეს ხარჯი, ცალ-ცალკე, დაახლოებით 20-25%-ით შეგვიმცირდა. ამ ფაქტორის გამო შესაძლოა, რომ პროდუქტზე ფასების გაძვირების ტემპი დრამატულად არ განვითარდეს.

**– პრემიერ-მინისტრმა თითი ენერგეტიკის მინისტრისკენ გაიშვირა და თქვა, რომ გაზის გაძვირების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, რა ხდება ბატონო კახა, რატომ იშვერს ღარიბაშვილი თითს კალაძისკენ.**

– გაზის გაძვირების საშიშროება დადგა, როცა ვერ გაფორმდა დროულად მომგებიანი კონტრაქტების გაფორმება. ხელსაყრელი დრო ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა, იმიტომ, რომ ძირითადად მთავრობა გადართულია სხვა საკითხებზე და ამ საკითხებს ჰქვია ბელეტრისტიკა, შესაბამისად, მას ხშირად ეპარება სათვალავიდან ის ფაქტი, რომ ის არის მაკროეკონომიკის მოტივატორი და ეკონომიკის განვითარების გარანტორი. როცა ასეთი რაღაცები ხელისუფლებას გამორჩება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც მათი ყურადღების მიღმა დარჩეს.

**– ანუ, საბოლოო ჯამში ვის შეიძლება მოვთხოვოთ პასუხი.**

– კალაძეს და ეს არის გარკვეულწილად არასწორი კონტრაქტების შექმნისა და მოლაპარაკებების დაგვიანების შედეგი. არასწორი მოლაპარაკებები კი ამ სფეროში ჩავარდნის შედეგია. შეიძლებოდა მიზანდასახულ გუნდს მოეპოვებინა დიდი ქულები, შეენარჩუნებინა ფასები, თუნდაც მოკლევადიან პერსპექტივაში, ერთი წლის პერიოდში და ეს იქნებოდა ვეებერთელა შვება საქართველოსთვის. ეს იყო დიახ, არამიზანდასახული მოქმედებების შედეგი. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, რომ ლარი ეცემა დოლართან მიმართებაში, ეს არის ტრაგედია ქართველი ხალხისთვის, რომელიც პატარა ხელფასებზეა დამოკიდებული. აშკარაა ისიც, რომ ამ ხელფასებმაც დევალვაცია განიცადეს, მათი მსყიდველუნარიანობა ვარდება, შესაბამისად, ხალხი ნელ-ნელა რჩება არა მარტო გაოგნებული, არამედ ისმის შეკითხვებიც: ხომ არ მოდის საქართველოში კიდევ ერთი დიდი ქაოსი, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე გადავიტანეთ. არის განცდა, ხომ არ მივდივართ სერიოზული ეკონომიკური და სოციალური ქაოსისაკენ, იმიტომ, რომ ფასების ამგვარი განვითარება, ამგვარი ინფლაციის ტემპები, მიგვიყვანს დათმობამდე. ჩვენ ბევრი რამის დათმობა მოგვიწევს.

**– რამდენად გაგვიძვირდება სამომხმარებლო კალათა და დაეწევა თუ არა მას საარსებო მინიმუმი.**

– ზოგადად თუ ავიღებთ სამომხმარებლო კალათას, ქართველების მადის მიხედვით და არა იმას, რაც არის სტატისტიკის სამსახურის მიერ დადგენილი, მაშინ ჩვენ გვექნება სამომხმარებლო ფასების ძალიან სერიოზული გაძვირება. ანუ სამომხმარებლო კალათა შეიძლება მალე ორმაგი ღირებულება დაუჯდეს ადამიანს. თუ კალათა გაძვირდა დაახლოებით 20-25%-ით ადამიანები გადავლენ კალორიების შემცირებაზე ან ჯანმრთელი კვებიდან სუროგატულ კვებაზე. დღეს მე ვიცი ბაზრობების ბროკერებს რომ დაელაპარაკო, უმჯობესია ჩამოიტანო კონსერვი, მაგალითად, თევზის, რომელიც იაფია და კარგად იყიდება და მილიონობით გაგეყიდება, ადამიანები გადავლენ 70-თეთრიან კონსერვის ჩამოტანაზე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაზის გაძვირებამ დომინოს ეფექტი იქონია სოციალური სფეროს გაუარესებაზე. საბოლოო ჯამში ამ ადამიანების განკურნება ბიუჯეტს ძვირი დაუჯდება და ჩვენ აქ ვხედავთ ხელისუფლების არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორ ყვლეფს ბიუჯეტს და ქვეყანას, საბოლოოდ ყველაფერი ბიუჯეტის ასანაზღაურებელი ხდება და ბიუჯეტი როგორ აანაზღაურებს, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. საბოლოოდ ჩამოყალიბდება სოციალურად გაავებული მასა, რომელიც ნებისმიერ ახალ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ახალ ოცნებას შეჰპირდება, წაჰყვება. რისკენ მივდივართ ნელ-ნელა, რომ საქართველოში იბადება ახალი რევოლუციური სიტუაცია და მისი მამოძრავებელი იქნება დღევანდელი ინფლაცია, ფასების ზრდა. ჯანმრთელობაც გაძვირდა დღეს საქართველოში, რადგან მთელ რიგ წამლებზე ფასმა მოიმატა და თან 20-25%-ით, რაც საგანგაშოა.

## „ეს იყო არამიზანდასახული მოქმედებების შედეგი"

**პაატა შეშელიძე, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:** გაზის გაძვირება, უნდა გავარკვიოთ რას გულისხმობს. მომწოდებელთან კონტრაქტი გაფორმებულია უცხოურ ვალუტაში და ეს კონტრაქტები უცვლელია. იქ არაფერი არ შეცვლილა. იცვლება ვითარება მომხმარებლისთვის, რომელიც ამ გაზს ყიდულობს ლარში; შესაბამისად, საკითხი არა საერთაშორისო კონტრაქტების გადახედვას უნდა ეხებოდეს, არამედ შიდა მომსახურების გადახდის ცვლილების საკითხს, ანუ მომწოდებელს ვალდებულებები ამერიკულ დოლარში აქვს, შემოსავლები კი ლარში, ამიტომ მას სჭირდება დანახარჯების კომპენსაცია. ეს დევალვაციის გარდაუვალი შედეგი იყო. შეიძლება გაძვირდეს ელექტროენერგიაც, იმიტომ რომ ზამთარში ჩვენ უცხოეთიდან ვყიდულობთ ელექტროენერგიას და შესაბამისად, მოგვიწევს უცხოურ ვალუტაში გადახდა. ჯერ ელექტროენერგიაზე არ დასმულა საკითხი, მაგრამ შეიძლება ეს საკითხიც მალე დადგეს. გარდა ამისა თბოელექტროსადგურებიც მუშაობენ გაზზე და მათი დანახარჯებიც მიბმულია ლარის თემაზე. სწორედ ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ საკითხი ელექტროენერიის გაძვირების მიმართულებითაც დადგეს. ჯერჯერობით ამის გახმოვანებისგან თავს იკავებენ, ცდილობენ ერთბაშად არ გაგვახარონ სიახლეებით, ან სხვა რესურსები მოძებნეს კომპენსირებისთვის. ამიტომ, როდესაც ლარის დევალვაციის თანამდევ საკითხებზე ვსაუბრობდით, ან ყურადღება არ მიაქციეს, ან დაივიწყეს, ან ფეხებზე დაიკიდეს. მოკლედ, რომ შევაფასოთ გაზზე და ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა, პირდაპირ დაკავშირებულია ლარის დევალვაციასთან, მის გაუფასურებასთან და იმასთან, რომ მომწოდებლებსა და სადისტრიბუციო კომპანიების დანახარჯები გაეზარდათ და ისინი შეეცდებიან ეს ტვირთი გადაანაწილონ მოსახლეობაზე. ეს შეიძლება ჩვენი გადასახდელი იყოს ირიბად, რადგან ხელისუფლებამ შესაძლოა სუბსიდირება განახორციელოს, მაგრამ ჩვენ ვხდებით მაინც ირიბი გადამხდელები, რადგან სუბსიდირება მაინც ბიუჯეტიდან მოხდება, რომელიც ჩვენი გადასახადებით ივსება. ყოველ შემთხვევაში გადასახადების გადამხდელის ხარჯზე მოხდება, სხვა სახსრები სახელმწიფოს არა აქვს.

**– ჩვენ ახლა ვისაუბრეთ გაზის გაძვირების მიზეზებზე, მაგრამ რა შედეგები იქნება, ჩვენ შეიძლება გაძვირებული ტარიფით არ ვისარგებლოთ, მაგრამ გაძვირებულ პროდუქტში ირიბად მაინც გადავიხდით გაზრდილ გადასახადს.**

– ნებისმიერი მეწარმე შეეცდება თავის გაზრდილი დანახარჯები სხვას დააკისროს. თუ პურის მცხობელს გაუძვირდება გაზი, ის შეეცდება, რომ დანახარჯები ასახოს პურის ფასში, თუ ის დღეს მზად არის ერთი შოთის პური 70 თეთრად გაყიდოს და მისთვის ეს მომგებიანია, გაძვირების შემდეგ მან თონის პური 75, 80 ან შესაძლოა 85 თეთრადაც გაყიდოს, სხვა საკითხია რამდენად გავაგრძელებთ, ჩვენ, მომხმარებლები გაძვირებული პროდუქციის შეძენას, რამდენად მზად ვიქნებით ახალი შემოთავაზებული ფასი მივიღოთ, მაგალითად, სიგარეტის შემთხვევაში იშვიათად არის, რომ მოხმარება შემცირდეს. ხშირ შემთხვევაში სიგარეტის ფასი იზრდება და მოხმარება არ მცირდება. ერთი სიტყვით, მოგვიწევს შემოსავლების ახლებურად გადანაწილება, რომ მოვერგოთ ახლებურ გარემოებას.

## „გაზის გაძვირება დომინოს პრინციპით, ყველა პროდუქტის გაძვირებას გამოიწვევს"

**– მადის შემცირება რომ მოგვიწევს, ეს ფაქტია. რაზე გაძვირდება ფასი?**

– ყველა პროდუქტს, რომელიც წარმოების პროცესში გაზის გამოყენებას მოითხოვს, გაეზრდება დანახარჯები, ამიტომ ბევრი გაზრდილ ფასებს შემოგვთავაზებს. კომპანიების ნაწილი მომხმარებლებზე გადაანაწილებენ დანახარჯებს. ზოგი გაკოტრდება, ზოგი გადარჩება, ზოგიც მინიმალური მოგებით იარსებებს, ზოგი წინ წავა და ა.შ.

**– აქციზის ფასი გაიზარდა სიგარეტსა და ლუდზე და ალკოჰოლურ სასმელებზეც, ამ შემთხვევაშიც მომხმარებელი ზარალდება, ან დასაქმებული, რომელმაც შესაძლოა სამსახური დაკარგოს, რადგან მწარმოებელმა ზარალის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა, წარმოება შეამციროს, ან ეს ბუნებრივი პროცესი გახდეს, თუკი გაყიდვები შემცირდება.**

– აქციზის ფასი ალკოჰოლურ სასმელებზე გაძვირდა და ორჯერ გაძვირდა სიგარეტზე. ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები ხარჯებს გადაიტანენ მომხამრებელზე, სიგარეტის შემთხევაში კვლევები გვიჩვენებს, რომ რაც არ უნდა გაძვირდეს მომხმარებელი ნაკლებად ამბობს მოწევაზე უარს და მომწოდებლისთვის ძალიან იოლია ხარჯების მათზე დაკისრება. გაზრდი ფასს და მაინც იყიდიან. ასე რომ, ხარჯის სიმძიმეს მწარმოებელი და მომწოდებელი მაინცდამაინც ვერ გრძნობს, მაგრამ შესაძლოა, ადამიანებმა თქვან ძვირადღირებულ სიგარეტზე უარი და გადავიდნენ ნაკლებფასიანი პროდუქტის მოხმარებაზე და ეს მათ ჯანმრთელობაზე აისახება. რაც შეეხება ალკოჰოლურ სასმელებს ადამიანები გადახედავენ საკუთარ ხარჯებს და აქაც ისინი ალტერნატიული იაფი პროდუქტის მოხმარებაზე გადავლენ. უარს იტყვიან აქციზურ პროდუქტზე და გამოიყენებენ ოჯახში ჩამოსასხმელ იაფ ალკოჰოლურ სასმელებს, აქ საუბარია საშუალო შემოსავლიან ადამიანებზე. ტენდენცია აქეთ იქნება. რაც შეეხება ლუდს, მისი პოპულარობა იზრდება, ხარისხიანი ლუდი ძვირია, ლუდზე აქციზის გაზრდა მოხმარებას შეამცირებს, რადგან აქ სხვა ალტერნატივა, იაფი პროდუქტის სახით არ არსებობს ოჯახში, მას ნაკლებად ამზადებენ.

**„ხომ არ მოდის საქართველოში კიდევ ერთი დიდი ქაოსი, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე გადავიტანეთ. არის განცდა, ხომ არ მივდივართ სერიოზული ეკონომიკური და სოციალური ქაოსისაკენ"**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პერსონა

ლელა წიკლაური

# „აქსისმა“ ბანკისგან საკუთარი ქონება უკან, 6,5 მილიონ დოლარად გამოისყიდა



**სად იყო ტრამპი და საუბრები „ტრამპ თაუერზე“, როცა თბილისში, ჯერ კიდევ 8 წლის წინ, ომამდე ცათამბჯენ „აქსის თაუერსის“ მშენებლობა დაანონსდა. პროექტის განხორციელება დაიწყო და დაიწყო ომიც საქართველოში, დაიწყო მსოფლიოში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიც. ასე რომ, კომპანია „აქსისს“, რომელიც პროექტის ავტორი და დამფინანსებელი იყო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თუმცა დეველოპერული კომპანია „აქსისი“ გადაურჩა კრიზისებს, ბაზარზე სხვა სამშენებლო კომპანიებისგან განსხვავებით დარჩა მყარად და დღეს იგი „აქსის თაუერსის“ მშენებლობის განახლებას, უკვე თანაინვესტირების ფონდთან ერთად აანონსებს.**

პროექტზე საუბრისას თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელმა გიორგი ბაჩიაშვილმა განაცხადა, რომ ახალი წამოწყება და თანაინვესტირების ფონდის მორიგი ინვესტიცია, საქართველოს ბაზარს უძრავი ქონებისა და ტურიზმის მიმართულებით გააქტიურებს.

**გიორგი ბაჩიაშვილი, საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი:** „აქსის თაუერსი“ გახდება თანამედროვე ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. „აქსის თაუერსი“ თანამედროვე თბილისის ახალ სავიზიტო ბარათად იქცევა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფონდის ეს კონკრეტული ინვესტიცია მოემსახურება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, კერძოდ, კომერციული უძრავი ქონების ბაზრის გაჯანსაღებას; ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

**გიორგი კაპანაძე, გენერალური დირექტორი:** ეს ახალი პროექტი არ არის, ეს არის „აქსის თაუერსი“, რომელიც ყველასთვის ცნობილია, რადგან თავის დროზე ამ პროექტის ირგვლივ დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი იყო. გასაგები მიზეზების გამო 2008 წლის ომისა და მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების გამო შეჩერდა მისი მშენებლობა, ბანკმა, რომელშიც უზრუნველყოფის სახით იდო ეს აქტივი, თავის დროზე გადაიფორმა და რამდენიმე წელი მათ საკუთრებაში იყო. თუმცა 2013 წელს მოვახერხეთ და თავიდან ვიყიდეთ ეს აქტივი 6,5 მილიონ დოლარად. მას შემდეგ შევხვდით თანაინვესტირების ფონდს, შევთანხმდით და თანაბარი ინვესტიციით ვმონაწილეობთ ამ პროექტში. დღეისათვის ჩვენ უკვე განხორციელებული გვაქვს ამ პროეტში 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია, თანაინვესტირების ფონდს ამ დროისთვის განხორციელებული აქვს 3,5 მილონ დოლარზე მეტი ინვესტიცია. პროექტი, ჯამში, 83 მილიონი ჯდება და მხარეები საკუთარი პორტფელიდან თანაბრად გავინაწილებთ ინვესტიციის მოცულობას. პროექტის ფუნქციებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, ჩვენ აპრილში ვგეგმავთ პრეზენტაციას, სადაც ინფორმაცია დეტალურად გახდება ცნობილი. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ფუნქციებით ძალიან მდიდარია ეს პროექტი. სხვას ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ეს არის 40-სართულიანი ობიექტი, რომლის ოთხი სართულიც მიწისქვეშ იქნება. პროექტი დაასაქმებს 1000-მდე ადამიანს, ჩვენ მიერ დაქირავებული კომპანიები კი ერთი ამდენს.



**– რა პირობებზე შეთანხმდით თანაინვესტირების ფონდთან.**

– თანაბარი პირობებით ვმონაწილეობთ და პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენ გამოვისყიდით წილს თანაინვესტირების ფონდიდან. ფუნქციებზე ვერ ვლაპარაკობთ, მაგრამ არქიტექტურა არ შეცვლილა. იგივე დიზაინი დარჩა, იქნება, ლამაზი, მნიშვნელოვანი შენობა, ერთგვარი „ლენდმარკი“ თბილისისთვის.

**– „აქსისს“ უკვე აქვს თავისი, არც თუ პატარა ისტორია. კრიზისულ პერიოდში მოგიხდათ ბევრი პროექტის გაჩერება, გყავდათ უკმაყოფილო კლიენტებიც, რა პროცესშია თქვენ მიერ დაწყებული მშენებლობები, თუ გამოინახა ფულადი რესურსი ძველი პროექტების დასამთავრებლად.**

– ბაზრის ლიდერი ვიყავით ყოველთვის და ახლაც ვართ. მაგრამ ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა რადიკალურად შეცვალა ბიზნესის კეთების სტრუქტურა. არა მარტო ჩვენს კომპანიაში, არამედ ბაზარზეც. ადრე თუ წინასწარ გაყიდვებზე იყო დამოკიდებული უკლებლივ ყველა, ახლა წინასწარ უნდა გქონდეს ფინანსური რესურსი მოპოვებული. მე მინდა შევეხო იმ ძველ პროექტებს, რომლებიც 2008 წლამდე იყო დაწყებული და გაიწელა. ჩვენც არანაკლებ დავზარალდით. პრაქტიკულად ერთ ნავში ვზივართ ჩვენ და ჩვენი მომხმარებლებიც. თუმცა სასიხარულო ის არის, რომ ყველა ის პროექტები, რომლებიც 2008 წლიდან მოგვდევს, უკვე დაფინანსდა, ან მიღებულია გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ. ყველა ჩვენს ვალდებულებებს ვისტუმრებთ წელს. რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ მუშაობას ახალ პროექტებზეც.

**– დღეს ბაზარზე რთული სიტუაციააა. ენდო ქართულ კომპანიას, გახდე მისი პარტნიორი და თან ჩადო ფული პროექტებში, ამას დამსახურება სჭირდება.**

– ჩვენ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, უკვე განვახორციელეთ 12 მილიონ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჩვენს პროექტებში და უკვე დაგეგმილი და შეთანხმებულია 8 მილიონი დოლარის ინვესტიცია უახლოესი 8 თვის განმავლობაში.

**– როგორ დარჩით ლიდერი ბაზარზე, მაშინ, როცა ომისა და ფინანსური კრიზისის და კიდევ მთელი რიგი სუბიექტური მიზეზების გამო, ქართული ბაზრიდან ბევრი სამშენებლო თუ დეველოპერული კომპანია გაქრა, ზოგიერთი სასამართლოში დღემდე დაობს საკუთარ კლიენტებთან, მოკლედ, რა იყო ყველაზე მთავარი თქვენთვის კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის დროს და რა იყო თქვენი საქმიანობის მასტიმულირებელი.**

– ეს არის, პირველ რიგში, ის, რომ ჩვენი პროექტები არის მომგებიანი და რენტაბელური, მიუხედავად კრიზისებისა, დარიცხული პროცენტებისა და გაწელილი მშენებლობებისა, მაინც, ბანკები და ინვესტორები ჩვენი პროექტებით ინტერესდებიან. ასევე, ძალიან დიდი აქტივი გვქონდა კომერციული ფართების სახით, რომლის ღირებულებაც შეიძლება დღეს 3-4-ჯერ აღემატებოდეს საცხოვრებელი ბინის კვადრატული მეტრი ფართის ფასს. ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს იყო ჩვენი კონტრაქტები და ჩვენი კომპეტენცია. ჩვენ გუნდზე გადაიარა მთელმა სირთულეებმა. სწორედ ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმმა და გამოცდილებამ უზრუნველყო ის, რომ ერთ ენაზე ველაპარაკეთ პარტნიორებს, ბანკებს, ინვესტორებს, ასევე სამშენებლო ნაწილში ინჟინრებს, მშენებლებს და ა.შ. ჩვენ ერთ გუნდად ვიმუშავეთ. თუ გუნდში რაღაც ირღვევა, პრობლემებიც აქედან იწყება.

**– თქვენ კომპანია „აქსისის“ მენეჯმენტში ხართ, გიკავიათ გენერალური დირექტორის პოსტი. კომპანიის წარმატებისთვის ეს საკმარისია? როგორი მმართველი ხართ. როგორია „აქსისში“ თქვენი მართვის სტილი. რა არის ის, რასაც წარმატება მოაქვს, თქვენს მიმართ ეს კითხვა ამ შემთხვევაში ნამდვილად ლეგიტიმურია.**

– უნდა იყო მოქნილი, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს. გარემო იმდენად სწრაფად იცვლება და დინამიკურია, რომ თუ ვერ ახერხებს ბიზნესი სწრაფად ადაპტირებას, უბრალოდ, ჩამორჩება პროცესებს და სწორედ ეს იყო ჩვენი წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი. მთავარია მოქნილობა და სწრაფი რეაგირების უნარი.

**– დღეს, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად აქვს შანსი დეველოპერულ ბიზნესში ჩართულ კომპანიებს, იყვნენ მომგებიანები. არის თუ არა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე?**

– ბაზარი ვითარდება, მოთხოვნა არის პრაქტიკულად ყველა მიმართულებაზე. წინა პერიოდისგან განსხვავებით, არის შეცვლილი მიდგომები. ადრე ძალიან ადვილი იყო ბაზარზე შემოსვლა, გასვლა კი რთული, მათთვის, ვინც ველარ ასრულებდა ვალდებულებებს. ძალიან ადვილი იყო შემოსვლა იმიტომ, რომ იტყოდი, მე ამ პროექტს ვაშენებ და მერე ფული შემოგდიოდა. ახლა პირიქით არის, დღეს დაფინანსების მოძიებაა და ვერაფერსაც ვერ მიიღებ თუკი კომპეტენცია, გამოცდილება არა გაქვს და ა.შ. რაც შეეხება უძრავი ქონების გაძვირებას, ასეთი ტენდენცია არ არის, რადგან არ გაძვირებულა სამშენებლო მასალები.

**– თქვენი აზრით, რამდენად მოქნილია დღეს სამშენებლო კოდექსი და რამდენად მოქნილი იქნება ახალი დოკუმენტი. არის თუ არა ის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, რა ხარვეზებს გაუსვამდით ხაზს პირადად თქვენ.**

– კარგია, რომ სამშენებლო კოდექსი მუშავდება, რადგან ბევრი მშენებლობა ვიცი, სადაც ელემენტარული ნორმების დაცვა არ ხდება. მაგალითად, 20-სანტიმეტრიანი ბეტონის ბლოკით შეიძლება კედელი გაკეთდეს და იმას დათბუნება არ გაუკეთდეს და მერე მოსახლეობას აქვს პრობლემა ზამთარში, შემდეგ სველდება ეს კედლები და ძალიან ძვირი უჯდებათ გათბობა. ვიცი მშენებლობები, მაგალითად, სადაც სავენტილაციო შახტებსაც არ აკეთებენ, რაც, უბრალოდ, წარმოუდგენელია და ეს ყველაფერი ხდება ჩვენს დროში, აი, ახლა. ამიტომ, ვისაც კარგი პროდუქტის შექმნა უნდა, ისინი ვარდებიან არამომგებიან სიტუაციაში, ეს სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. მაგალითად, დღეს ასეთი პრაქტიკაა, რომ დღეს არხმშენინსპექცია მოვა და დაათვალიერებს გარეგნულ იერს, ობიექტს. მაგალითად, ფანჯრების ზომებს და ფარულ სამუშაოებს ვერავინ ამოწმებს, პროექტში მე შეიძლება მედოს, რომ გარკვეული არმატურა უნდა გამოვიყენო, მაგრამ არ გამოვიყენო, და როცა ბეტონს ჩავასხამ, ვერავინ გაიგებს შიგნით რამდენი არმატურაა რეალურად ჩასმული. ახალი კოდექსის მიხედვით, რამდენადაც მე ვიცი, უკვე დეველოპერები ვიქნებით ვალდებულები დავიქირაოთ კერძო, დამოუკიდებელი კომპანია და ის გაუწევს ამას მონიტორინგს.

**– ბიზნესის ხელშეწყობა, დღეს, ეს არის მთავრობის მთავარი გზავნილი ბიზნესის მიმართ, გრძნობთ თუ არა ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობას, როგორც ერთ-ერთი რიგითი ბიზნესმენი.**

– ბიზნესს განსაკუთრებული ხელშეწყობა არ სჭირდება, ბიზნესს სჭირდება სტაბილური გარემო და ის თვითონ ვითარდება. ზედმეტი რეგულაციები ხელის შემშლელი იქნება, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკისთვის. ზედმეტი ბიუროკრატია არაფრით არ შეიძლება. უნდა იყოს ის ელემენტარული, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ელემენტარულ ზომებს. ზედმეტი ბიუროკრატიული ფაქტორი ახლა იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი. სტაბილურობა მოგვცემს ჩვენ იმის საშუალებას, რომ განვვითარდეთ სწრაფად.

**– როგორია მოთხოვნა თქვენს უძრავ ქონებაზე. ხომ არ აისახა ლარის კურსის გაუფასურება კომპანიის გაყიდვებზე.**

– ჩვენს კომპანაიში 2010 წლიდან გამოიკვეთა ზრდა, უკვე მივუახლოვდით იმ მაჩვენებელს, რომელიც გვქონდა კრიზისამდე, როგორც გაყიდვების, ასევე მშენებლობების მოცულობის მხრივაც. მოთხოვნა ჩვენთან ძალიან დიდია, თბილისში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 17 კვადრატული მეტრი, როცა აღმოსავლეთ ევროპაში 34-ა. გარდა ამისა, ეს 17 კვადრატული მეტრი ავარიული შენობებია. ან ეს არის ძველი ხრუშოვკები, ან სტანდარტული საცხოვრებელი გეგმარებები, რომელიც არაკომფორტულია. კულტურაც იცვლება ნელ-ნელა. საბჭოთა პერიოდში ლამის 4 თაობა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. დღეს კი, როცა უკვე ახალგაზრდა სამსახურს შოულობს და საკუთარი შემოსავალი უჩნდება, ცალკე უნდა ცხოვრება. ასე რომ, მოთხოვნა უძრავ ქონებაზე საკმაოდ დიდია. ჩვენ ვერც კი ვასწრებთ უძრავი ქონების მიწოდებას ბაზარზე. ამასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში ბანკების საპროცენტო განაკვეთებიც მცირდება და შესაძლებელს ხდის უფრო მეტმა ადამიანმა გაიუმჯობესოს ცხოვრება და მსყიდველუნარიანობის სტიმულატორიც ხდება. დღეს ჩვენი მომხმარებლის 95%-ი ადგილობრივია და ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

# ჭავჭავაძის გამზირზე ტყუპი ცათამბჯენის მშენებლობა განახლდა






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საწვავი 50 თეთრით გაიაფდება?!

მირიან ბოქოლიშვილი

**ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე „ქართული ოცნება“ საზოგადოებას არწმუნებდა, რომ თითო ლიტრი საწვავის ფასიდან გარკვეული თანხა (სახელდებოდა 1 ლარი) „ნაციონალური მოძრაობის“ ჯიბეში მიდიოდა. ახალ ხელისუფლებას მოგვიანებით ხშირად ახსენებდნენ წინასაარჩევნო დაპირებას საწვავის ფასის შემცირებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, 1 ლიტრი საწვავიდან მოპარული 1 ლარი უკვე იუმორის თემადაც კი იქცა, თუმცა საქმე, რომელიც შესაძლოა, მალე სკანდალის საფუძველი გახდეს, სრულებითაც არ არის იუმორისტული. როგორც ამბობენ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური საკმაოდ სერიოზულ კორუფციულ სქემას იკვლევს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ამ სქემის გაშიფვრის შედეგად საწვავის ფასი, მართლაც მნიშვნელოვნად შემცირდეს, სავარაუდოდ, 40-50 თეთრით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2012 წლიდან დღემდე ნავთობპროდუქტებზე ფასები 50-60 თეთრით უკვე ისედაც შემცირდა, შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ საბოლოოდ თითო ლიტრიდან „მოტეხილი“ 1 ლარი არათუ იუმორი, არამედ ჩვეულებრივი რეალობა იყოს.**

## კორუფციული სქემის გასაშიფრად საგამოძიებო სამსახური ხელოვნურად შექმნილ კომპანიებში შევიდა



## „ნავთობიმპორტიორებს, დიდი ალბათობით, კარტელურ გარიგებაში ამხელენ“

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს კომპანიებში, რომლებსაც შეგვიძლია, ვუწოდოთ შუამავალი კომპანიები ნავთობპროდუქტის იმპორტიორებსა და საცალო ბაზრობას შორის. ეს კომპანიებია: „ბინული 1“, „უნიგრუპი“, „ბითიაი“, „ინტერპლუსი“ შპს „პორტალი“ და „ელოილი“.

ცნობილია, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე ძირითადად 5 კომპანია დომინირებს, ესენია: „ვისოლი“, „სოკარი“, „რომპეტროლი“, „ლუკოილი“ და „გალფი“. სწორედ ეს კომპანიები წარმოადგენენ იმპორტიორ კომპანიებს. ამბობენ, რომ წლების განმავლობაში მათ შორის თამაშის წესებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი განსაზღვრავდა, რომლის მფლობელობაში გახლდათ კომპანია „გალფი“. როგორც ჩანს, კარტელური გარიგება კეზერაშვილის შემდეგაც შენარჩუნდა, ყოველ შემთხვევაში ამ თემაზე საუბარია კონკურენციის სააგენტოს შუალედურ დასკვნაში, რომელიც პრემიერ-მინისტრს წარედგინა. ამ დასკვნის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმცა „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა დოკუმენტის შინაარსი.

მოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ იმპორტიორ კომპანიებს თავადვე აქვთ დაფუძნებული ე.წ. საშუამავლო კომპანიები, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე ნავთობის გადანაწილებას ახდენენ. ხელოვნურად შექმნილი ბარიერი თავისთავად აისახება საწვავის ფასებზეც. ანუ მაგალითად: თუ „ლუკოილის“ მიერ რუსეთიდან შემოტანილი საწვავი პირდაპირ საცალო ბაზარზე მოხვდება, ბენზინგასამართ სადგურებში საწვავის ყიდვა გაცილებით ნაკლები დაგვიჯდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ საცალო ქსელში საწვავი იგივე „ლუკოილის“ მიერ დაფუძნებული საშუამავლო კომპანიის გავლით ხვდება, რაც ბუნებრივად ზრდის საწვავის ფასს. ექსპერტების თქმით, ეს კორუფციული სქემა ჯერ კიდევ დავით კეზერაშვილის დროს დაინერგა და ნავთობპროდუქტების ბაზარზე ძირითადი მოთამაშეების გამდიდრებას ემსახურებოდა, ამ სისტემის დანგრევის შემთხვევაში კი შესაძლოა, საწვავის ფასმა 2012 წელთან შედარებით მართლაც 1 ლარით დაიკლოს.

სავარაუდოდ, სწორედ ამ სქემის გაშიფვრას გეგმავს საგამოძიებო სამსახური, რომელმაც ე.წ. შუამავალი კომპანიებიდან ფინანსური დოკუმენტაცია უკვე ამოიღო, თუმცა მანამდე საგამოძიებო უწყება თავად ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანიის, „გალფის“ საქმიანობითაც დაინტერესდა. დავით კეზერაშვილის ყოფილ კომპანიაში ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით დაიწყო, რაც გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში არც „გალფის“ და არც შუამავალი კომპანიების ირგვლივ დაწყებულ გამოძიებაზე დეტალურ კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა კონკურენციის სააგენტოს შუალედური დასკვნით იკვეთება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ნიშნები, რაც გულისხმობს: შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას (ფიქსირებას); წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვას; ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას; გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენებას, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება; გარიგების პირობად გარიგების მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრებას, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან; მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესებას, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

„მოცემული მუხლის შინაარსი ცალსახად მიუთითებს, რომ ნავთობიმპორტიორებს, დიდი ალბათობით, კარტელურ გარიგებაში ამხელენ. მიგვაჩნია, რომ მოკვლევა, რომელსაც აწარმოებს კონკურენციის სააგენტო, ინვესტორებისთვის არის უმნიშვნელოვანესი, რადგან შესაბამისი სანქციების დაწესება ბაზარზე მოთამაშე სუბიექტებისთვის იქნება ნათელი მაგალითი იმისა, რომ ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიცია არ იქნება ხელოვნურად შეზღუდული. მისასალმებელია, რომ მოკვლევის პროცესში მეთოდოლოგიურად მუშავდება და ფასდება ყველა მოსაზრება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ბაზრის სუბიექტთა მოქმედებასა და ბაზარზე არსებული ფასწარმოქმნის საკითხებს. ამდენად იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში „კონკურენციის სააგენტო“ საზოგადოებას კვლევის შედეგებს წარუდგენს, რომელიც ამ საკითხთან მიმართებაში ყველა არსებულ კითხვას გასცემს პასუხს“, – აცხადებს ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ მაღალდაძე.

**ირაკლი ლექვინაძე, ექსპერტი:**

„შემოსავლების სამსახურს აქვს როგორც გეგმური, ისე არაგეგმური შემოწმებები. ეს მაშინ, როდესაც კონკრეტული კომპანიების მიმართ ჩნდება გარკვეული კითხვები. მიმართულია თუ არა ეს მოკვლევა საწვავის ფასებთან, გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა. სავარაუდოდ, ამ კომპანიების საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები იყო, რადგან ამ სფეროში ბაზარი იყო შეზღუდული. ეჭვები არსებობდა, რომ ძირითადი მოთამაშეები ერთმანეთთან კარტელურ გარიგებაში იყვნენ.



ალბათ, ეს გამოძიება ამ კითხვებსაც გასცემს პასუხს“.

საგამოძიებო უწყებამ შუამავალ კომპანიებში გამოძიება, სავარაუდოდ, კონკურენციის სააგენტოს შუალედური დასკვნის საფუძველზე დაიწყო, თავად კონკურენციის სააგენტომ კი მოკვლევის შესახებ დავალება პირადად პრემიერ-მინისტრისგან მიიღო.

ირაკლი ღარიბაშვილი ნავთობპროდუქტების ფასით უკმაყოფილოა.

„გასული წლის მეორე ნახევარში მსოფლიო ბაზარზე დაიწყო ფასების მნიშვნელოვანი შემცირება და დღეის მდგომარეობით გვაქვს დაახლოებით 60%-იანი კლება. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, რა თქმა უნდა, ადეკვატური ასახვა უნდა ჰქონოდა ქართულ ბაზარზე, მაქსიმუმ, 1-2 თვეში. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილების საბაბი გახდა და კითხვები გააჩინა. ფაქტი ერთია, რომ ნავთობიმპორტიორი კომპანიების ფაქტობრივი საოპერაციო ხარჯები არ გაზრდილა. შემცირდა საერთაშორისო ბაზრებზე შეძენილი ნავთობის ფასი, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუგებარი რჩება, ამ ფასთა სხვაობის ეფექტით რატომ ვერ ისარგებლა ადგილობრივმა მომხმარებელმა“, – განაცხადა პრემიერმა.




## რა წერია კონკურენციის სააგენტოს სკანდალურ დასკვნაში?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რომელმა კითხვამ ააღელვაა ალენ დელონი პრესკონფერენციაზე?

**my View**
**თამარ გონგაძე**

ბევრი იშაყირეს, უაზროდ იქილიკეს და ენა მოიფხანეს, მე კი ზუსტად ვიცი, რომ მსოფლიო ლეგენდის თბილისში ვიზიტის შესახებ წიგნად თავმოყრილ მოგონებებში თუ ვერა, შვილს მაინც სიამაყით მოვუყვები, ალენ დელონის პრესკონფერენციაზე ვარ ნამყოფი და მისთვის კითხვა მაქვს დასმული-მეთქი. 80 წლის ფრანგი ვარსკვლავი ჩვენს ქვეყანას ორი დღით სტუმრობდა. აქამდე არ მომიწვიეთ და რა მექნაო, ხუმრობით გვითხრა. არაფრანგულად ემოციური და ექსპრესიული ტიპია. უფრო იტალიური ტემპერამენტით და ქარიზმით. პრესკონფენეციაზე შემოსვლისთანავე მოაფრქვია დარბაზს დადებითი ენერგეტიკა. კითხვებს არტისტულად პასუხობდა. ერთი კითხვა, რომელიც ყველას გვიტრიალებდა თავში ჩვენთან გავრცელებულ „მითს" შეეხებოდა, რომლის თანახმად, თითქოს დელონმა დეპრესიის პერიოდში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები წაიკითხა და მდგომარეობიდან გამოვიდა. მართლა მითი აღმოჩნდა. მომეჩვენა, რომ რომი შნაიდერზე კითხვამ ცოტა ააღელვა. ამ წყვილს მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს წყვილად მივიჩნევ. ისაუბრა ქალიშვილზე, ფილმებზე, თავის გამოცდილებაზე. „ძალიან მიყვარს, როდესაც მეუბნებიან, გვიხარია, ცოცხლად რომ გხედავთო", – იხუმრა მსახიობმა. პირველი კითხვა კი ფრანგ მსახიობს „პრაიმტაიმმა" დაუსვა.

**– რა იცოდით აქამდე საქართველოს შესახებ და როგორი იყო თქვენი ემოცია, როდესაც პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტის წაყვანის შეთავაზება მიიღეთ?**

– პირველად ვარ საქართველოში და მასზე არაფერი ვიცოდი. ეს მე არ უნდა მისაყვედუროთ, არასდროს, არასდროს დავუპატიჟებივარ. ემოციას რაც შეეხება, შეკავებული ემოცია მქონდა. მე მოვდიოდი მხოლოდ პაატასთვის. მის გარდა არავინ და არაფერი ვიცოდი საქართველოზე. ვიცოდი მხოლოდ ექსპრეზიდენტი, შევარდნაძე, რომელმაც ვენაში გორბაჩოვთან ერთად პრიზი გადმომცა. სულ ეს არის რა შეხებაც მქონდა ქართველებთან. ძალიან მიყვარს ოპერა, მე ის ლუკინო ვისკონტისთან ერთად აღმოვაჩინე. ის ასევე ოპერის რეჟისორიც იყო. მსოფლიოს კალასი მან გააცნო. ოპერა იტალიაში აღმოვაჩინე და შევიყვარე. მაშინ პაატა ხუთი წლის იქნებოდა.

**– აქ ასეთი ინფორმაცია იყო, თითქოს თქვენ ქართველი კლასიკოსი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას გაეცანით და დეპრესიიდან გამოგიყვანათ. ეს რეალობაა?**

– ეს მცდარი ინფორმაციაა. ვწუხვარ, რომ ეს გამოგონილი ისტორიაა. ასე ითქვა, რომ ვაჟა-ფშაველას წყალობით თითქოს მე ქართულადაც ვლაპარაკობდი.

**– ქართულ კინეტოგრაფიაზე გსმენიათ რაიმე?**



## „ქალიან მიყვარს, როდესაც მეუბნებიან, გვიხარია, ცოცხლად რომ გხედავთო"

## „საქართველოზე არაფერი ვიცოდი. ეს მე არ უნდა მისაყვედუროთ, არასდროს დავუპატიჟებივარ. მე მოვდიოდი მხოლოდ პაატასთვის. მის გარდა არავინ და არაფერი ვიცოდი საქართველოზე. ვიცოდი მხოლოდ ექსპრეზიდენტი, შევარდნაძე"



## „ბევრი ქალი იყო ჩემ გარშემო. მათ შორის მსახიობები. ეს ქალბატონები, როგორც წესი, 8-10 წლით უფროსები იყვნენ. მათი წყალობით გავხდი ის, ვინც ვარ"

– არ ვიცნობ და ეს ძალიან ცუდია.

**– რა არის იმისთვის საჭირო, რომ ადამიანი წარმატებული გახდეს?**

– წარმატებას რომ მიაღწიო, უნდა აკეთო ის, რისი კეთების სურვილიც გაქვს. ჩემი პრივილეგია ის იყო, ვაკეთებდი იმას, რაც ძალიან მიყვარდა. თუ ნამდვილად გიყვართ ის, რასაც აკეთებთ, უკვე „იძულებულიც" ხართ, რომ წარმატება გქონდეთ.

**– ფილმოგრაფიიდან რომელ კინოროლს გამოყოფთ?**

– ყველა ნანახი გაქვთ? მიყვარს „აუზი", „როკო და მისი ძმები", „სამურაი", „ორნი ქალაქში". არ არის როლი და პერსონაჟი, რომელიც არ მყვარებია, ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებდი. პირველად ფილმში 1957 წელს გადამიღეს. გინდათ წარმოიდგინოთ როგორ მიყვარს ეს საქმე? 58 წლის შემდეგ დღემდე ასეთი ინტერესია ჩემ მიმართ. ამას ბევრი ადამიანი ვერ დაიტრაბახებს. ეს ისეთი პროფესიაა, რომელსაც პენსია არ აქვს. სიკვდილის ბოლო წუთებამდე ვთამაშობთ, თამაში სიცოცხლეა, ამიტომ ბოლომდე ვთამაშობთ.

**– მსახიობი, სცენარისტი, პროდიუსერი, რომელია გამორჩეული ამპლუა თქვენთვის?**

– ყველა ამპლუაში კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**– ამბობდნენ, პროდიუსერებს დელონი ბევრჯერ დაუწუნიათ იმის გამო, რომ ის ზედმეტად ლამაზი იყოო.**

– ალბათ, უფრო ჩემი ხასიათის ეშინოდათ. არსებობს სამი ტიპის რეჟისორი – გენიოსები, საშუალონი და არარაობები. არარაობები სჭარბობენ გენიოსებს. მე მათთან მიმართებაში საშინელი ვარ.

## „ასე ითქვა, რომ ვაჟა-ფშაველას წყალობით თითქოს მე ქართულადაც ვლაპარაკობდი"

**– რომელმა რეჟისორმა მოახდინა თქვენზე გავლენა?**

– კლემანმა, ვისკონტიმ, მელვილმა.

**– ქალიშვილს ანუშკას, რომელიც მსახიობია, ეხმარებით, ალბათ, არა?**

– 24 წლისაა და მას უკვე ბევრი დავეხმარე, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. ერთხელ მკითხეს, არ ღელავთ, რომ თქვენი ქალიშვილი იგივე პროფესიას გაჰყვაო? ეს არანაირ უხერხულობას არ მიქმნის. ადამიანი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ პროფესიას ფლობს. ის საფრანგეთში ცნობილია. ერთად ვითამაშეთ სპექტაკლში, რომელიც პოპულარული გახდა ევროპაში. ახლა რისი კეთებაც მინდა, ეს ჩემს ქალიშვილთან ერთად სცენაზე თამაშია. მას სცენაზე რეპლიკას ვეუბნებოდი, მაგრამ შინაგანად ის განცდა



მქონდა, ეს ხომ ჩემი ქალიშვილია-მეთქი?! ჩემს პროფესიაში რაც შეიძლება დაგემართოდ, ეს ყველაზე ლამაზი განცდაა.

**– რომი შნაიდერისადმი მიძღვნილი თქვენი წერილი წლებია პოპულარობით სარგებლობს.**

– გმადლობთ. რომი შნაიდერი ყოველთვის ჩემს ცხოვრებაში და ჩემს გულშია. ის ჩემი ცხოვრების ნამდვილი პირველი ქალბატონია.

**– თანამედროვე კინოზე რას იტყვით?**

– არ მიყვარს. მე მიყვარდა წითელი სავარძლებით მოწყობილი კინოდარბაზი, სადაც შუქი ქრებოდა, შეყვარებულ გოგონასთან ერთად ვუყურებდი ფილმს და ვოცნებობდი. ახლა კინოდარბაზში აღარ ვოცნებობ.

**– თქვენთვის იდეალური ქალი როგორია?**

– იდეალური ქალი არის ის, ვინც მიყვარს. დღეს არ მყავს საყვარელი ქალი. სამხედრო სამსახურიდან რომ დავბრუნდი, 23 წლის ვიყავი. ყველა აღნიშნავდა, რომ ფიზიკურად არამიშავდა. ბევრი ქალი იყო ჩემ გარშემო. მათ შორის მსახიობები. ეს ქალბატონები, როგორც წესი, 8-10 წლით უფროსები იყვნენ. მათი წყალობით გავხდი ის, ვინც ვარ. მათ ყველაფერი მომცეს. ასე რომ არ გამმართლებოდა ცხოვრებაში, დღეს აქაც არ ვიქნებოდი.

## „რომი შნაიდერი ყოველთვის ჩემს ცხოვრებაში და ჩემს გულშია"



## „ახლა რისი კეთებაც მინდა, ეს ჩემს ქალიშვილთან ერთად სცენაზე თამაშია"









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პაატა ბურჭულაძე: „იუბილეს ყველა მე მილოცავდა, მე კი მთელ საქართველოს ვულოცავ“



**my View**

**თამარ გონგაძე**



## ლიანა ისაკაძე: „გამოვიდა, რომ სამაგიერო გადავუხადე“

**EXCLUSIVE**



## პაატა ბურჭულაძე: „თუ პასპორტში არ ჩაიხედავ, 60 წელი არაფერია“

**სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასმა“ მსოფლიო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, 12 თებერვალს, ნამდვილად მაღალი რანგის საიუბილეო კონცერტი მოუწყო. 15-მდე ქართველი და უცხოელი მსოფლიო ვარსკვლავი სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გაერთიანდა. მაყურებელი საოპერო მომღერალთა ნამდვილ ზეიმს შეესწრო. თითოეული მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე ათი ათასობით მაყურებელს კრებს. ფოიერვერკულ კონცერტში მონაწილეობდნენ: ნინო მაჩაიძე, მაყვალა ქასრაშვილი, იანო თამარი (ალიბეგაშვილი), ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, მარიკა გულორდავა, თეონა დვალი, ნანა მირიანი (ქავთარაშვილი) და უცხოელი პრიმადონები: ოლგა ბოროდინა და ირინა მაკაროვა. ამ ადამიანების ერთად შეკრება ნებისმიერი რანგის თეატრს უჭირს. ისინი პაატას იუბილემ შეკრიბა. მათი ერთობლიობა ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა. კონცერტზე დაუკრა ლიანა ისაკაძემ. კონცერტზე ასევე იმღერეს მარიამ როინიშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ. სპორტის სასახლის ინტერიერი ვიოლინოს გასაღების ფორმის 600 კვადრატულმა მეტრის სცენამ, ეკრანებიანმა ორიგინალურმა დეკორაციამ, სპეციფიკურმა განათება-გახმოვანებამ სრულიად შეცვალა. კონცერტის კონცეფცია იყო შემდეგი – ქართველი და უცხოელი პრიმადონები მსოფლიო ბანს 60 წლის იუბილეს ულოცავდნენ.**

სპეციალურად ამ დღისთვის გაერთიანდა ორი სიმფონიური ორკესტრი, ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ე.მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. გაერთიანებულ ორკესტრს ორი მაესტრო უდირიჟორებს - ჯანლუკა მარჩანო და ნიკოლოზ რაჭველი. ევგენი მიქელაძის სახელობის პრიზი სპეციალურად იუბილარისთვის შეიქმნა და ის ნიკოლოზ რაჭველმა გადასცა. ასევე კონცერტის ფინა-



ლში მიუძღვნა ლალიძის „განთიადი“, რომელიც ანიტა რაჭველიშვილმა იმღერა.

136 პრემიისა და პრიზის მფლობელი იუბილარი საოცარი თავმდაბლობით იჯდა პარტერში. ის ასეთი პომპეზურობის დიდი მოწინაამღდეგე იყო.

კონცერტს ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. რვა ათასი მაყურებელი კონცერტზე დროულად გამოცხადდა, მათი სასახლეში შეშვება კი შეფერხებით მიმდინარეობდა, რამაც ქაოსი და ჭყლეტვა გამოიწვია. ამის გამო კონცერტის ორგანიზატორმა და „არტპალასის“ პრეზიდენტმა, გია ანდღულაძემ მაყურებელს სცენიდან მოუბოდიშა. კონცერტის დაწყებამდე ალენ დელონს ორგანიზატორების გადაწყვეტილება გაუპროტესტებია, რომლის მიხედვითაც პლაზმურ ეკრანებზე მისი ახალგაზრდობის დროინდელი კინოკადრები გადიოდა. 80 წლის მსახიობის აზრით, მისი ახალგაზრდობის სურათების ფონზე დღევანდელი გარეგნობა ძლიერ შეუსაბამობაში იქნებოდა. თუმცა





### ბუბა კიკაბიძე: „ნაღდი თბილისელი კაცია. უნიჭიერესი ადამიანი, დიდი ქველმოქმედი, მოთევზავე და მოქეიფე, კარგი ბიჭია. 40 წლის ბიჭივით გამოიყურება“

ამას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ სცენაზე არტისტული და მანერული ყოფილიყო. სცენიდან დაცვას თვალი ჩაუკრა, მიმიკებით მოძრაობდა. პუბლიკამ აღაფრთოვანა, რომლის დიდი ნაწილი სწორედ მის სანახავად იყო მისული. მან პაატას შემოქმედებასა და ქველმოქმედებაზე ისაუბრა. ფრანგი ვარსკვლავის საუბარს პიანისტი დათუნა ალადაშვილი გვითარგმნიდა. წამყვანმა ალენმა გვამცნო, რომ დიდი ხანია ესმის ჩვენი ქვეყნის შესახებ. პაატას დიდი წვლილი მიუძღვის, რომ მსოფლიომ საქართველო გაიცნო. თქვენი წყალობით საოპერო თეატრებში ქართველი მომღერლების დიდი მოთხოვნილებააო.

**დათუნა ალადაშვილი:** ფანტასტიკური პიროვნება აღმოჩნდა ალენი. მარტივი იყო მასთან ერთად მუშაობა. დიდ ენერგიას გამოსცემს.

**– რას გეჩურჩულებოდა სცენიდან გასვლისას?**

– მომღერლების შესრულებას განვიხილავდით. ეს ნამდვილად იყო ისტორიული საღამო.

კონცერტის დასასრულს მედია დელონის საგრიმიოროს კართან გამაგრდა, დიდი ჩასაფრებით. ვარსკვლავმა კარი რომ გააღო და მიკროფონების თავდასხმაში მოჰყვა, გაოგნებული შებრუნდა ოთახში და კარი მოხურა. სელფების და კომენტარების მოლოდინი ამაო გადმოდგა. დელონი დაცვამ კორიდორის გაკეთებით გაიყვანა.

იუბილარი ბედნიერი ჩანდა.

**პაატა ბურჭულაძე:** იუბილეს ყველა მე მილოცავდა, მე კი მთელ საქართველოს ვულოცავ. ამ კონცერტზე, ხელოვნების და გემოვნების ზეიმი იყო. სცენაზე ფანტაზია ვიხილეთ. ამ ყველაფრის გვირგვინი ალენ დელონი იყო, მაგრამ მიხარია, რომ ამ ზეიმის 99 პროცენტი ქართველი ხელოვანები იყვნენ. საქართველო თავისი ხელოვნებით იპყრობს მსოფლიოს.

**– რა ასაკია 60 წელი?**

– თუ პასპორტში არ ჩაიხედავ, 60 წელი არაფერია.

**ლიანა ისაკაძე:** მე რომ სამოცი წლის გავხდი, პაატამ მიიღო მონაწილეობა ჩემს საიუბილეო კონცერტში მიუნჰენში. გამოვიდა, რომ სამაგიერო გადავუხადე.

**ანიტა რაჭველიშვილი:** მილანიდან სპეციალურად ბატონი პაატას კონცერტისთვის ჩამოვფრინდი და ორ საათში მივფრინავ.

**ნიკოლოზ რაჭველი:** პაატა ბურჭულაძეს შეიძლება ბევრი რამ უსურვო, მაგრამ ჩვენი ფანტაზია იმას არ ეყოფა, რაც მას ღმერთმა აჩუქა, ეს სახალხო სიყვარულია, არა მხოლოდ თანამემამულეების, არამედ მთელი მსოფლიოს. ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ მის სახელს უკავშირდება ქველმოქმედება თავისი ფონდით – „იავნანათი“ და მახათას მთის ტაძრის მშენებლობა. ეს მაგალითს გვაძლევს ყველას, ვინც თავის ქვეყანაში ცნობილი ხდება ხელოვნებით. ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს.

**ბუბა კიკაბიძე:** მე და პაატას დიდხნიანი მეგობრობა გვაკავშირებს. ნაღდი თბილისელი კაცია. უნიჭიერესი ადამიანი, დიდი ქველმოქმედი, მოთევზავე და მოქეიფე, კარგი ბიჭია. 40 წლის ბიჭივით გამოიყურება. ვუსურვებ იმდენი ხანი ემღეროს, რამდენიც მოუნდება.















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნაციონალების შავი პიარი



„ნაციონალური მოძრაობა“ და თავისუფალი დემოკრატები თავდაცვის მინისტრს სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. გიგა ბოკერიას განმარტებით, თავდაცვის უწყებას ახლა პრორუსული ორიენტაციის მინისტრი ხელმძღვანელობს.

**უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია ჯანელიძის გადადგომას ითხოვს. მისი განმარტებით:**

„ჯანელიძემ ბურჯანაძის თანამებრძოლი მიიყვანა სამინისტროში, რომელსაც საქართველოსთვის საზიანო ხედვები აქვს. ამის შემდეგ შეურაცხყო სამხედრო, რომელიც უკრაინაში გმირულად დაიღუპა. ახლა ის ცდილობს, რომ დოკუმენტებიდან ამოიღოს ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემა, როგორც პრიორიტეტი. ამ ადამიანის თანამდებობაზე ყოფნა საფრთხის შემცველია საქართველოსთვის.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ნაციონალური მოძრაობა ახალ ხელისუფლებას პრორუსობაში სდებს ბრალს. ეს მათი სტრატეგიაა, ისე წარმოაჩინონ, თითქოს ნაციონალები ერთადერთი პროდასავლური ძალაა საქართველოში.

ნაციონალების ამ პოზიციასა და შეხედულებას სერიოზული ექსპერტები არ იზიარებენ. მათი გამარტებით, თავდაცვის გეგმებში ცვლილებები არ არის... და თუკი ბაზასთან დაკავშირებით რაიმე გადაიდო ან დროში გაიწელა, ეს მხოლოდ უკრაინული მოვლენების გამო. დასავლეთს არ სურს, ზედმეტად დაძაბოს ურთიერთობა რუსეთთან და ფრონტის ხაზი აქაც გახსნას.

- თავდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ყველაფერი გეგმურად მიდის და რომ ბაზასთან დაკავშირებით შემფასებელთა ჯგუფის ჩამოსვლა დაგეგმილია, თუმცა ზუსტი დრო ცნობილი ჯერ არ არის. ექსპერტების განმარტებით, ვინც არ უნდა იყოს ახლა თავდაცვის მინისტრი ან პრემიერი, ბაზის თემა მარტივი არ იქნებოდა.

**თავდაცვის მინისტრმა მოგვიანებით, „მაესტროში“ ისაუბრა იმ ცილისმწამებლურ კამპანიაზე, რომელიც მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ მიმდინარეობს.**

“ჯარი არის დეპოლიტიზებული და მისი პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა არის ნაბიჯი უკან ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში. სავარაუდოდ, ამ ძალებს აშფოთებთ ის პროცესები, რაც მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალებში. მიმდინარეობს პროცესები მხოლოდ ოპტიმიზაციის კუთხით, მათ შორის ორგანიზაციული და საკადრო ოპტიმიზაციის კუთხით. შესაბამისად, ამ ძალებს მინდა ვურჩიო, რომ მათ მღელვარების საფუძველი ნამდვილად არა აქვთ. თუ რაიმე საკითხია, ჩვენ ღია ვართ მათთვის. შეგვიძლია, მრგვალ მაგიდასთან დავსხდეთ, მოსაზრებები გავცვალოთ. ასეთ რეჟიმში თავდასხმები და მიზანმიმართული კამპანია ყოვლად მიუღებელია პირველ რიგში ჯარისთვის, აქ ჩემს დისკრედიტაციაზე არ არის საუბარი“ - **აღნიშნა მინისტრმა.**

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მთავრობის მიზანია, გაარღვიოს დაუსჯელობის მანკიერი წრე“



Suche

DIE WELT

DIE WELT Jetzt testen

Home Politik Wirtschaft Geld Sport Wissen Panorama Feuilleton ICON Reise PS WELT Regional Meinung Videos Markt

> Politik > Ausland > Georgien: Premier Garibaschwili über die Ukraine-Krise

DIE WELT — DIE WELT Digital 2 Monate für nur 0€! — Kostenlos testen!

"Wir müssen den Kreis der Straflosigkeit brechen"

Der georgische Premierminister Irakli Garibaschwili will sein Land Richtung Europa führen. Dafür ließ er sogar einen alten Freund festnehmen. Doch die Ukraine-Krise blockiert seine Pläne.

17 — Empfehlen 3 — Twittern 3 — g+1 0

Von Julia Smirnova
Korrespondentin

MEISTGELESENE ARTIKEL

JVA Rothenfeld
Häftling spricht von Aufstand wegen Uli Hoeneß

Verhandlungsmarathon
Übermüdeter Hollande löst gewisse Verwirrung aus

Abgase & Feinstaub
Wo die Luft in Deutschland am schlechtesten ist

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანული გამოცემა Die Welt-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაზე გავლენის შესახებ დასმულ კითხვასაც პასუხობს.

ჟურნალისტის კითხვაზე, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ ახდენს გავლენას პოლიტიკაზე, ღარიბაშვილი პასუხობს: „რას გულისხმობთ გავლენაში? ის არის დიდი ოჯახის, ქართული ოცნების კოალიციის დამფუძნებელი. მე დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ზოგჯერ ვიღებ რჩევებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის - ივანიშვილისგან. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, მე მასთან 10 წელი ვიმუშავე. ბუნებრივია, როცა კონსულტაციისთვის მიმართავ ისეთ ადამიანს, რომელსაც სწორი რჩევის მოცემა შეუძლია. მას კარგი რეპუტაცია აქვს, ის 20 წლის განმავლობაში უდიდესი მეცენატი იყო საქართველოში“.

ღარიბაშვილის თქმით, ყოფილ პრემიერს კონსულტაციებისთვის მიმართავს და მისგან რჩევებს ძირითადად სტრატეგიულ საკითხებზე იღებს, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება.

Die Welt-ის ჟურნალისტი საქართველოს პრემიერს კითხვას გასულ წელს მთავრობის რამდენიმე წევრის გადადგომაზეც უსვამს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქართული დემოკრატია საფრთხეშია, რასაც ღარიბაშვილი შემდეგნაირად პასუხობს: „არ შემიძლია ამის კომენტირება, ეს სასაცილოა. ეს ბრალდება არის პოლიტიკური და არა ობიექტური. პირიქით, ჩვენ საქართველოში დემოკრატია გავაძლიერეთ“.

გერმანული გამოცემის ჟურნალისტი ღარიბაშვილს სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებაც ეკითხება. “მე არ ვარ მოსამართლე და არ შემიძლია ეს გადავწყვიტო. ჩვენი მთავრობის მიზანია, გაარღვიოს დაუსჯელობის მანკიერი წრე. როდესაც შს მინისტრი ვიყავი, ჩემი პირველი მოადგილის დაპატიმრებას დავეთანხმე, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ვინც დანაშაულს სჩადის, პასუხი უნდა აგოს”, - აცხადებს პრემიერი.

ამასთანავე, გერმანული გამოცემა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს სურს, თავისი ქვეყანა ევროპის მიმართულებით წაიყვანოს. „ამისთვის მან თვით ძველი მეგობარიც დააჭერინა. მაგრამ უკრაინის კრიზისი ბლოკავს მის გეგმებს“, - წერს Die Welt, რომელიც ღარიბაშვილთან ინტერვიუს აქვეყნებს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ზაზა ალთუნაშვილი: „დეტონატორი კი არა, ხელყუმბარა აფეთქდა“

**იური ვაზაგაშვილის აფეთქების საქმეზე ექსპერტ ზაზა ალთუნაშვილთან მხოლოდ აფეთქების მექანიზმზე ვისაუბრებთ და მკითხველი თავად მიხვდება, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. ზაზა ალთუნაშვილი მიიჩნევს, რომ ეს საქმე გასულ წლებში გამოძიებული საქმეებისგან იმით განსხვავდება, რომ პროკურატურამ ის ნივთმტკიცებებით გახსნა და არამხოლოდ ვინმეს ჩვენებებზე დაყრდნობით:**

– ეს იყო საბრძოლო დანიშნულების ხელყუმბარა „ეფ-1“, რომელიც ქარხნული წარმოებისაა. საერთოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა შედგება ასაფეთქებელი მუხტისგან (ხელყუმბარის ლითონის კორპუსი და მასში მოთავსებული ფეთქებადი ნივთიერება, ტროტილი), რომლის აფეთქებისთვისაც აუცილებელია დეტონაცია, რასაც იწვევს დეტონატორი. შესაბამისად, დეტონატორი კი არა, ხელყუმბარა აფეთქდა. ამ დროს ადამიანისთვის დამაზიანებელია კორპუსის ნამსხვრევები, რომლის გატყორცნის სიჩქარე არის 700-720 მეტრი წამში.

**– თუმცა სასწავლო ხელყუმბარების გამოყენებისას დეტონატორი ფეთქდება მხოლოდ...**

– ეს იმიტომ, რომ კორპუსში ასაფეთქებელი ნივთიერება არ არის...

**– ანუ ვერსია იმის შესახებ, რომ ტალღა, რომელმაც იური ვაზაგაშვილი გადააგდო, დეტონატორის აფეთქებამ გამოიწვია, მცდარია?**

– დეტონატორი არ წარმოქმნის ტალღას. დარტყმის ტალღას წარმოქმნის ხელყუმბარის აფეთქება.



# დავით საგანელიძე vs ზაქარია ქუცნაშვილი



დავით საგანელიძეს საკუთარი გუნდი უკვე მერამდენედ უპირისპირდება. „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილ წევრს „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგების შემდეგ ველარავინ ცნობს და დავით გამყრელიძისგან პასუხს მოითხოვენ – ყველას აინტერესებს, ასეთი ამბიციებით იყო მაშინაც შეპყრობილი საგანელიძე თუ „ოცნებამ“ დააავადა?..

წინა რაუნდი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა მაშინ საგანელიძეს, როგორც ამბობენ, პირადად ბიძინა ივანიშვილთან მოუწია ახსნა-განმარტებების გაკეთება და იმის მტკიცება, რომ გუნდში პრობლემას მისი ფიგურა არ ქმნის. არადა პირად საუბრებში „ოცნების“ წევრები წუწუნით ამტკიცებდნენ, რომ საგანელიძე ყველა საკითხის გარკვევაში ცდილობს საკუთარი აზრის ჩაჩრას და რაც მთავარია, გარანტირებულად ითხოვს, რომ მისი რჩევები თუ მოსაზრებები გაიზიარონ.

ამჯერად დაპირისპირება საგანელიძე-ქუცნაშვილს შორის დაიწყო და ის უკვე „ბრძოლა წესების გარეშე“-ს ემსგავსება. არადა სულ ორიოდე დღის წინ ისინი ერთად იმყოფებოდა საზღვარგარეთ ვიზიტით და იქ საგანელიძეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ქუცნაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას უმიზნებდა. ოცნებების გამჟღავნების შემდეგ საგანელიძემ ქუცნაშვილს კრიტერიუმები დაუწუნა და განაცხადა, რომ ბატონი ზაქარიას პიროვნება ვერაფრით დააკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რასაც უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურისგან ითხოვს. ორთაბრძოლაც სწორედ აქ დაიწყო და საერთო დაპირისპირებაში გადაიზარდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივანმა, გია ვოლსკიმ ზაქარია ქუცნაშვილს დაუჭირა მხარი.

**გია ვოლსკი:** „თუკი პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ზაქარია ქუცნაშვილს წარადგენს, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ქუცნაშვილი ამ თანამდებობაზე რომელიმე პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშ არ მოექცევა“.

მხარდაჭერით გათამამებულმა ქუცნაშვილმა თავდასხმა გააგრძელა და აღიარა, რომ გუნდში პრობლემაა და მიზეზი ერთი კონკრეტული პერსონის გამო ხდება: „გუნდში პრობლემებია, მაგრამ ეს ერთი პერსონის პრობლემაა და არა მთელი გუნდის“.

**პასუხი საგანელიძის მხრიდან კიდევ უფრო გამომწვევი იყო:** „სამწუხაროდ, ზაქარია ქუცნაშვილს იმდენად უნდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა, ხშირ შემთხვევაში თავის თავს აძლევს უფლებას, თქვას იმდენი სიცრუე და სისულელე, რომ მერე თვითონ ვარდება მძიმე სიტუაციაში“.

ეს არ არის დასასრული. დავით საგანელიძე ქუცნაშვილს ფრაქციიდან გარიცხვით არა, მაგრამ ცხვირ-პირის წამტვრევით ემუქრება და პირობას დებს, რომ ზოგიერთებს „მორალურ საქციელზე პასუხი მოეკითხება“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზურაბ ზვიადაურის პოლიტიკურ

my View
ნინო მჭედლიშვილი

**ჟურნალისტებს მისი ინტერვიუს ფუფუნება ხშირად არ გვაქვს. ზურა ზვიადაური თვლის, რომ ჯობია საქმე აკეთოს, ვიდრე ტელეშოუებში, დებატებში მიიღოს მონაწილეობა ან პრესის წარმომადგენლებს შეხვდეს. ამბობს, რომ საამისოდ ნერვებიც არ უწყობს ხელს. მის სიხისტეში, ცოტა ხნის წინ, პარლამენტში მომხდარი ინციდენტის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. დედის გინების პასუხი, მოღერებული მუშტი და ფრენა სხდომათა დარბაზის რიგიდან რიგში ოლიმპიური ჩემპიონისგან ყველა ტელევიზიამ არაერთი რაკურსით გააშუქა. პოლიტიკა მისთვის თავსატეხი აღმოჩნდა. ნეპოტიზმის ბრალდება მის სახელთან დაკავშირებით არაერთხელ გაისმა. მაშ ასე, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი, ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი ზურაბ ზვიადაური „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს პასუხობს.**

**– ზურა, ცოტა ხნის წინ თურქეთიდან დაბრუნდი, სპორტის სხვა სახეობაში, ფეხბურთშიც სცადე ბედი, როგორ შეგარჩიეს დეპუტატები?**

– სპორტის კომიტეტს დაევალა გუნდის შერჩევა. კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი გახლავთ, ოლიმპიური ჩემპიონი. მან შეარჩია გუნდი, რომელიც თურქეთში უნდა წასულიყო ამხანაგურ შეხვედრაზე. ზოგმა უარი თქვა ამ აქციაში მონაწილეობაზე, ზოგმა ტრავმა მიიღო ვარჯიშის დროს.

**– წინასწარ ემზადებოდით ამ შეხვედრისთვის?**

– რა თქმა უნდა, უბრალოდ, ცოტა გვიან, შეხვედრამდე ორი კვირით ადრე დავიწყეთ მომზადება. მეც გვიან ჩავერთე ვარჯიშებში. თავიდან გადაწყვეტილი იყო მეკარე ვყოფილიყავი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მოძრავი აღმოვჩნდი გუნდში და მარცხენა ნახევარმცველის სტატუსი მომანიჭეს. მართალი გითხრათ, ფეხბურთში დიდად ვერ ვერკვევი. ამიტომ, შესაბამისი ვარჯიში ჩემთვისაც ისეთივე აუცილებელი იყო, როგორიც სხვებისთვის.

**– თამაშის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, მოწინააღმდეგე გუნდები უკეთ მომზადებულან...**

– ჩვენ როგორც გვითხრეს, ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ დეპუტატებს. დავეყრდენით მათ ინფორმაციას და მხოლოდ დეპუტატები წავედით. ეს იყო პირველი შემთხვევა, მსგავს ტურნირში მონაწილეობის გამოცდილება მანამდე არ გვქონია. სულ სხვა სურათი დაგვხვდა იქ. ფეხბურთელებთან, ყოფილ ფეხბურთელებთან მოგვიწია პაექრობამ. გაფორმებული იყვნენ, ვითომ პოლიტიკოსებად, პოლიტიკოსების თანაშემწეებად. პირველივე დღეს, გაცნობის დროს, რომ ვნახეთ ვისთან გვექნებოდა საქმე, მათი საბუთები მოვითხოვეთ, შეხვედრის ორგანიზატორებმა გვთხოვეს, თამაშს ნუ ჩაგვიშლითო. ვეცით პატივი, მაგრამ როცა პირველივე შეხვედრაზე „ბურთი თავზე დაგვახიეს“, 5:1 წავაგეთ უნგრეთთან, ინტერნეტით დავიწყეთ მოძიება, გარკვევა ვისთან გვქონდა საქმე. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ დეპუტატები. მეორე შეხვედრა შედარებით მობილიზებულად ჩავატარეთ და 3:2 წავაგეთ პოლონეთთან. მეკარის, სოსო ვახტანგაშვილის, გორის მაჟორიტარის უმოძრაობის ბრალი იყო ეს წაგებაც. პირველ დღეს კარში გია ცაგარეიშვილი იდგა. სხვათა შორის, რამდენჯერმე გადაგვარჩინა გოლს.

**– ერთი გოლი შენც გაიტანე მოწინააღმდეგის კარში...**

– (იღიმება) ჰო, მეც მხვდა წილად გოლის გატანის შანსი. ყოფილმა ფეხბურთელმა, დათო ლორთქიფანიძემ მომცა პასი. სხვათა შორის, დათო საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ამ ტურნირზე. ორი შეხვედრა ჩავატარეთ და ოთხ გუნდში მეოთხე ადგილზე გავედით. არა უშავს, შემდეგში უკეთ მოვემზადებით. მე, როგორც ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი, სათავეში ჩავუდექი წამოწყებას, რომ კვირაში ორი დღე ვივარჯიშოთ და შემდეგი წლისთვის მოვემზადოთ. საქართველოშიც მოვაწყობთ მსგავს ტურნირებს, სამინისტროებსაც მოვიწვევთ, გვექნება ამხანაგური შეხვედრები.

**– სპორტული გეგმები გქონია, ახლა პოლიტიკურ გეგმებზე მიამბე. როგორ ფიქრობ, გაამართლა სპორტსმენების ჩართულობამ პოლიტიკაში?**

– რას გულისხმობ?

**– ჩვენს ბოლო ინტერვიუში ამბობდი, რომ პოლიტიკა შენი საქმე არ არის.**

– იმავე აზრზე ვარ დღესაც. 23 წელიწადი ვიჭიდავე და ვფიქრობ, ჩემი საქმე ძიუდოა. მაგრამ ის მანდატი, რომელიც ხალხმა მომცა, არ მაძლევს უფლებას, მათთვის არ ვიმუშაო. მაქსიმალურს ვაკეთებ, რომ გვერდში დავუდგე ჩემს რაიონს, ახმეტას და ახმეტელებს. მაქსიმალურს ვაკეთებ იმისთვის, რომ მთავარი პრობლემები აღმოვფხვრათ რაიონში.

**– დღეს რა არის ახმეტელების მთავარი პრობლემა?**

– დღეს მთელ ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემაა და არც ჩემი რაიონია გამონაკლისი ამ მხრივ. დიდი გაჭირვებაა ახმეტაში. სოციალურად დაუცველ ადამიანებს გვერდში ვუდგავარ. ამ მხრივ მეხმარება ჯანდაცვის სამინისტროს ახალი პროგრამაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

**– ხშირად გადანაშაულებენ იმაში, რომ შენ კადრებს ნიშნავ რაიონში თანამდებობებზე.**

– ეს სისულელეა. რაც ხელისუფლებაში მოვედი, მის მერე ისმის ჩემ მიმართ ცილისმწამებლური ფრაზები, რომ ზვიადაური ნეპოტიზმით არის დაკავებული, თავისიანებს ნიშნავს თანამდებობზე, უხეშად ერევა კადრების ცვლილებებში. ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში იყვნენ „გადამჯდარი“ ახმეტაზე, „სისხლს წოვდნენ“ გაჭირვებულ მოსახლეობას და „ჭამდნენ“ რაიონს. მე არავის დანიშვნის უფლება არ მაქვს, ჩვენ კოალიციასთან ერთად ვნიშნავდით ადამიანებს თანამდებობებზე. კოალიციაში ექვსი პარტიაა. რამდენიმე თვეში „რესპუბლიკური პატრია“ გამოეყო კოალიციას და ჩადგა ოპოზიციაში.

**– სწორედ „რესპუბლიკური პარტია“ გადანაშაულებს ნეპოტიზმში.**

– „რესპუბლიკურ პარტიასთან“ ცუდი დამოკიდებულება არ მაქვს. კონკრეტულ პიროვნებებთან მაქვს პრეტენზია, რომლებიც ჩირქს მცხებენ. ძალიან მარტივია პოლიტიკოსმა თავი იმართლო და თქვა, რომ ტყუილია რასაც ჩემზე ამბობენო. ამიტომ ჰკითხეთ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს, რა ხდება რაიონში, ვინ არის ზვიადაური, რას აკეთებს ის ახმეტაში და ვინ არის ზაქრო ქინქლაძე, მეტსახელად „ჯორი“. ხომ ხარ ჟურნალისტი, ჩაბრძანდი რაიონში და გამოკითხე მოსახლეობა.

**– ზაქრო ქინქლაძე შენ გაათავისუფლე თანამდებობიდან?**

– როგორ გეკადრებათ, ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვიყავით. როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით ზაქრო ქინქლაძე საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნა. ამავდროულად ბექა ბაიდაური დაინიშნა გამგებლად...

**– რომელიც შენი მეგობარია...**

– ამ პრინციპით თუ მივუდგებით მე და ზაქროც მეგობრები ვიყავით. მე ყველასთან ვმეგობრობდი, ვინც ჩვენი გუნდის წევრი იყო. რაიონი პატარაა, ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას მეგობარია. ამას ვერ ავცდებით, ვიღაც მეგობარია, ვიღაც ნათესავია. მაგრამ დაცული მაქვს კანონი, ადამიანური პრინციპები, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო. საკრებულოს წევრებმა დაინახეს როგორ მოქმედებდა ზაქრო ქინქლაძე. მან მოინდომა გამგეობა ხელში აეღო და ბაიდაურს უჩივლა. ინკოგნიტო წერილი შეიტანა პროკურატურაში, რომ ბექა ბაიდაურს პასპორტში გადაკეთებული ჰქონდა ასაკი და ეს იყო კანონდარღვევა. ბაიდაური საქართველოს სამგზის ჩემპიონია ძიუდოში, სპორტსმენები ხშირად მიმართავდნენ ამ მეთოდს, ასაკის გადაკეთებას, მაგრამ ეს პოლიტიკასთან რა კავშირშია, არ ვიცი. თან ეს მუხლი ამინისტირებული იყო. ეს არ არის გუნდურობა. ამით ქინქლაძეს სურდა ბექა ბაიდაური გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან, თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა გამგებლის თანამდებობაზე და საკრებულოსთან ერთად გამგეობაც ხელში ჩაეგდო. გადახედეთ მონაცემებს, როგორც კი საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნა, მოიმატა ხელფასები და მაქსიმალური პრემიები დაინიშნა. ეს დაინახეს კოალიციაში შემავალმა სხვა პარტიებმაც, ბრმა არავინაა და ზაქრო ქინქლაძე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

**– ეს ყველაფერი იყო ორი წლის წინ, დღეს რატომ**







**„ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში იყვნენ „გადამჯდარი“ ახმეტაზე, „სისხლს წოვდნენ“ გაჭირვებულ მოსახლეობას და „ჭამდნენ“ რაიონს“**

**„დღემდე არ ვიცი რატომ დამიპირისპირდა ეს ადამიანი, ვერ ამოვხსენი. ახმეტაში რამე ცუდი გავაკეთე? თუ რამ ცუდი გავაკეთე, მარტო მისთვის არის ცუდი და ხალხისთვის არა?! “**





**„იმავე აზრზე ვარ დღესაც. 23 წელიწადი ვიჭიდავე და ვფიქრობ, ჩემი საქმე ძიუდოა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# „ჰკითხეთ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს, რა ხდება რაიონში, ვინ არის ზვიადაური, რას აკეთებს ის ახმეტაში და ვინ არის ზაქრო ქინქლაძე, მეტსახელად „ჯორი“

**„გაიგეთ, ზვიადაური არ ნიშნავს და არც ათავისუფლებს არავის! გათავისუფლება რომ მდომებოდა, როცა ჩვენი უთანხმოება დაიწყო, მის შვილს მაშინ გავათავისუფლებდი“**

EXCLUSIVE

**გახდა აქტუალური ეს თემა, დღეს რას გედავებიან?**

– ახლა მისი შვილის გათავისუფლება დამაბრალეს. გაიგეთ, ზვიადაური არ ნიშნავს და არც ათავისუფლებს არავის! გათავისუფლება რომ მდომებოდა, როცა ჩვენი უთანხმოება დაიწყო, მის შვილს მაშინ გავათავისუფლებდი. გამგებლის პრეროგატივაა დანიშვნაც და გათავისუფლებაც, ის ხედავს ვინ აკეთებს საქმეს და ვინ პრემიებს ინიშნავს. მე მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, ერთპიროვნულად რაიონში გადაწყვეტილებებს არ ვიღებ. დღემდე არ ვიცი რატომ დამიპირისპირდა ეს ადამიანი, ვერ ამოვხსენი. ახმეტაში რამე ცუდი გავაკეთე? თუ რამ ცუდი გავაკეთე, მარტო მისთვის არის ცუდი და ხალხისთვის არა?! ... გამოდის ქალბატონი სამნიძე და ამბობს, რომ ნაძირალა ვარ. მე მაგ ქალბატონს პიროვნულად არ ვიცნობ, შესაბამისად, არც თავად მიცნობს. როცა არ იცნობ ადამიანს, სხვის სიტყვებს ეყრდნობი და მას ნაძირალას უწოდებ, ქალბატონია და არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, დაფიქრება მართებს. სანამ პოლიტიკოსი პირიდან სიტყვას ამოუშვებს, უნდა გააანალიზოს, რას ამბობს.

**– და სანამ მუშტს მოიღერებს და სხდომათა დარბაზის რიგიდან რიგში გადაფრინდება, მანამდე არ უნდა დაფიქრდეს პოლიტიკოსი?**

– თავისთავად, უნდა დაფიქრდეს, მაგრამ ერთ კითხვას დაგისვამ, როგორც ქართველ ქალბატონს და არა როგორც ჟურნალისტს, დედა რომ შეგაგინოს ვინმემ, რას მოიმოქმედებ?

**– უმჯობესი იქნებოდა შენი კითხვის ადრესატი ქართველი მამაკაცი ყოფილიყო, რადგან მე მუშტით ნამდვილად ვერ ვუპასუხებდი...**

**– მითხარი, რა გააკეთე ამ ორი წლის განმავლობაში ახმეტელებისთვის?**

– 19 წლის წინ დამწვარი კულტურის სახლი აღვადგინეთ. ჩემი თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ, იმდროინდელ გამგებლის მოადგილეს, ვაჟა ნასყიდაშვილს, რომელიც დღესაც გამგებლის მოადგილედ მუშაობს ახმეტაში. დაგიდასტურებთ, რომ წინა ხელისუფლების დროს, გამოყოფილი იყო თანხა იმისთვის, რომ მთლიანად დაენგრიათ ეს შენობა. სავარაუდოდ, გაყიდდნენ ამ ტერიტორიას და ახმეტას აღარ ექნებოდა კულტურის სახლი. რომ იტყვიან, სულზე მივუსწარით ამ შენობას. მილიონ სამასი-ათასი ლარი დაჯდა ამ შენობის გარემონტება და სიამაყით უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში, მსგავსი კულტურის სახლი არ არსებობს. სამი თვის წინ გავხსენით აღნიშნული შენობა და მხოლოდ „პირველმა არხმა“ გააშუქა ეს ინფორმაცია. დანარჩენი ტელევიზიები კითხულობდნენ, მინისტრები თუ მოვიდოდნენ. ძალიან ცუდი დამოკიდებულებაა, ამხელა რამ გაკეთდა და არავინ გააშუქა... აგრეთვე ჩავატარეთ ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ქისტებში დავაგეთ ხუთკილომეტრიანი გზატკეცილი. გავაკეთეთ ნაპირსამაგრი სამუშაოები. ჯოყოლოსა და ომალოს დამაკავშირებელი ხიდი გავაკეთეთ.

**– შენი სახელობის სპორტული სკოლა არსებობს ახმეტაში, თუმცა ვიცი, რომ ამ რაიონში ძიუდოს სპორტული სკოლის გახსნაზე ოცნებობ.**

– ეს ოცნება ოცნებად არ დარჩება. დრო სჭირდება ამ ყველაფერს. მოლაპარაკება მაქვს მსოფლიო ბანკთან. ახმეტა არის ძიუდოს სამჭედლო, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა იზრდება ამ რაიონში და მინდა მათ გასაქანი ჰქონდეთ. როცა ამას გავაკეთებ, მსოფლიოს ოლიმპიურ ჩემპიონებს მოვიწვევ ჩემს რაიონში და გრანდიოზულად გავხსნით ძიუდოს სპორტულ კომპლექსს. რაც შეეხება უკვე არსებულ სპორტულ სკოლას, გული მწყდება, რომ მწვრთნელებს არ აქვთ შესაბამისი ანაზღაურება, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მუშაობენ. ხელფასებს ვერ ვზრდით იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად პედაგოგებს დაბალი ანაზღაურება აქვთ. მხოლოდ ამ სფეროში ხელფასის მომატება არ იქნება მართებული ჩვენი მხრიდან. არადა, ეს არის სპორტის ის სახეობა, რომელმაც არაერთგზის ასახელა საქართველო. ჩვენ უნდა გავზარდოთ თაობა, რომელმაც ნაკრებში უნდა იასპარეზოს. რაიონებში არსებული სპორტული სკოლები არის სამჭედლო, რომელსაც საფუძველი სჭირდება, თორემ რაც არ უნდა აშენო ზემოდან, საძირკველს ველარ გაამაგრებ, ჩამოიშლება.

**– როგორია ზურა ზვიადაური სპორტული სკოლის, პარლამენტის გარეთ. რაიმე ჰობი, ინტერესები თუ გაქვს?**

– როგორც უკვე გითხარით, 23 წელი სპორტს მივუძღვენი, შესაბამისად, ჩემი ინტერესებიც ამ სფეროს უკავშირდება. თუ ის ოცნება ვერ ავიხდინე, ზემოთ რომ მოგახსენებდით, თბილისში მინდა გავხსნა პატარა დარბაზი, სადაც რთული საპარლამენტო დღის შემდეგ შევალ და ახალ თაობას გავზრდი. ჯანსაღი ცხოვრების წესი ძლიერი ერის გარანტიაა.

**– თავად რატომ დაივიწყე, სპორტული ცხოვრება და ჯანსაღი ცხოვრების წესი?**

– ვინ გითხრათ, რომ დავივიწყე? ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა და ამიტომ მოვიმატე წონაში. შეძლებისდაგვარად ვვარჯიშობ დღესაც. ცხოვრებაში სიგარეტი არ

**„ხელფასებს ვერ ვზრდით იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად პედაგოგებს დაბალი ანაზღაურება აქვთ“**

ჩამიდია პირში. სასმელსაც, როგორც ყველა ქართველი კაცი, ზომიერად, საჭიროების შემთხვევაში გეახლებით.

**– ოჯახზეც მინდა გკითხო, რთული ხასიათი გაქვს, ეს აშკარაა, ოჯახში როგორ გიძლებენ?**

– ეს, ალბათ, უმჯობესია ჩემს მეუღლეს ჰკითხოთ, თუმცა ხშირად არ ვარ სახლში, შეიძლება დაავიწყდა კიდეც, როგორი ხასიათი მაქვს (იცინის). არ ვარ კარგი ქმარი, მაგრამ ეს ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება. მეგობარს როცა ვჭირდები, არ ვეტყვი, დღეს ვახშამი მაქვს მეუღლესთან და არ მცალია-მეთქი. ის ჩემი ცოლია, ყოველთვის ჩემი იქნება და გამიგებს. მეგობარს კი ვერ დავკარგავ.

**– სამთავრობო ღონისძიებებზე, წვეულებებზე, არსად არ ჩნდება შენი მეუღლე, რატომ?**

– ხშირად მეც არ დავდივარ ასეთ ღონისძიებებზე, თავს ვარიდებ ხოლმე. ასეთი ვარ.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორი ხმაურიანი რეფორმა

## ვინ დანიშნავს მთავარ პროკურორსა და უშიშროების პირველ პირს



ქეთი ხატიაშვილი

**ხელისუფლება სერიოზული რეფორმებისთვის ემზადება. პროკურატურისა და შსს-ს რეფორმირების კუთხით. ეს ამ მთავრობის ღირსების საკითხია. შესაბამისად, როდის და რა სახის რეფორმები გატარდება, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

**რეფორმებზე ორი სხვადასხვა ჯგუფი მუშაობს, პროკურატურის რეფორმირებაზე მუშაობს სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭო, შსს-ს გაყოფაზე უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, პროკურატურის რეფორმა მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა გატარდეს.**

– შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პრინციპების დონეზე მოამზადებს რეფორმას და შემდეგ მას საბჭოს წარუდგენს უკვე საკანონმდებლო პროექტის მოსამზადებლად, – აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

ასე რომ, ჯერჯერობით რეფორმასთან დაკავშირებით ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მათ შორის ის მთავარი შეკითხვაც, ვინ დაამტკიცებს მთავარ პროკურორს. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უკვე შეახსენა ყველას 2012 წლის 25 ოქტომბერს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა.

**ადამიანის უფლებათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ განმარტა:**

– ეს იყო მოდელი, რომელიც 2012 წლის 25 ოქტომბერს ახლად არჩეული პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაში წერია და რომლის მიხედვითაც მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის წარდგინებით, საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაამტკიცოს...

ჯერჯერობით არასამთავრობოების მხრიდან საბჭოსთვის პროკურატურის დამტკიცების ორი მოდელია შეთავაზებული:

პირველი მოდელი ითვალისწინებს მთავარი პროკურორის პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ არჩევას. მეორე მოდელის მიხედვით კი, პრეზიდენტი არჩევს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ კანდიდატებს (პრემიერი პრეზიდენტს წარუდგენს არანაკლებ 3 კანდიდატს), ვისაც შემდგომ ასარჩევად პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს.

არასამთავრობოთა მიერ შემოთავაზებული ორივე მოდელის მიხედვით, მთავარი პროკურორი თანამდებობაზე მხოლოდ 1 ვადით შეიძლება იყოს არჩეული, რაც არ უნდა ემთხვეოდეს საპარლამენტო არჩევნების ციკლს. კოალიციამ მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ოპტიმალურ ვადად 7 წელი დაასახელა.

თუმცა, ეს მხოლოდ შეთავაზებული ვარიანტია. ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, პრინციპების დონეზე შეთანხმება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოხდება.

ჯერჯერობით სამუშაო ჯგუფი არ შეკრებილა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ფარგლებში. როგორც კანცელარიაში განმარტავენ, პროცესი საკადრო ცვლილებებმა შეაფერხა და საბჭო მუშაობას ამ მიმართულებით ახლო მომავალში განაგრძობს.

ჯერჯერობით ამ მიმართულებითაც არაფერია გარკვეული. რეფორმამ მთავარ კითხვებსაც უნდა უპასუხოს. კერძოდ, ვინ დანიშნავს უშიშროების სამსახურის უფროსს და ვის ექნება წვდომა საიდუმლო დოკუმენტებზე.

ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ პირების წრეს, ვისაც საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უფლება ექნება. პირველი ტიპის კატეგორიაში ხმალაძის აზრით, უნდა შედიოდნენ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერი. სხვა პირების დაშვების დონე კანონის პრეროგატივაა.

რაც შეეხება უშიშროების სამსახურის (სახელი პირობითია) უფროსის დანიშვნას, ხმალაძის განმარტებით, ეს დამოკიდებულია იმაზე, საპარლამენტო ქვეყანასთან გვაქვს საქმე თუ საპრეზიდენტოსთან. საპრეზიდენტო ქვეყნებში ასეთი სამსახურების პირველი პირები, პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტის მიერ ინიშნებიან, რესპუბლიკური ტიპის ქვეყნებში კი მთავრობა ნიშნავს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან ერთად. შესაძლოა, მხოლოდ პრემიერმაც დანიშნოს.

ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, საქართველო რესპუბლიკური ქვეყანა უფროა, ვიდრე შერეული, საპარლამენტო მოდელისგან კი საქართველო ძალიან შორს დგას.

ვახტანგ ხმალაძე არ ჩქარობს რაიმე კონკრეტული მოსაზრებისა თუ შეხედულების დაფიქსირებას. ის მიიჩნევს, რომ რეფორმებზე შესაბამისი ჯგუფები მუშაობენ და პრინციპების დონეზე შეთანხმებაც სწორედ იქ შედგება.

ასე რომ, წინ საინტერესო და ამავე დროს ხმაურიანი პროცესი გველის.

**უფრო ადრე „პრაიმტაიმმა“ ამ თემაზე უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს რიგით მეორე მდივანთან, დავით სუჯაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. მისი განმარტებით:**

**„არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, განხორციელდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მეორე მხრივ, პოლიციური და სერვისების ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა“**

– არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, განხორციელდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მეორე მხრივ, პოლიციური და სერვისების ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ეს გადაწყვეტილება ემსახურება ქვეყნის უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. ჩვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას უსაფრთხოების ისეთი სისტემა, სადაც შემავალ რგოლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება კოორდინაცია და ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა, რაც უსაფრთხოების სისტემის ეფექტური და მოქნილი მუშაობის საწინდარი იქნება. საბოლოოდ, როგორ ჩამოყალიბდება სტრუქტურა, მოცემულ ეტაპზე, საუბარი ნაადრევია, რადგან ეს უწყებათაშორისი ჯგუფის სამუშაო პროცესის შედეგად გამოიკვეთება. ამასთანავე, გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს წამყვანი და იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც საქართველოს მსგავსი უსაფრთხოების გარემო აქვთ... ამ ეტაპზე რეფორმის განხორციელების კონკრეტული ვადების დადგენა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ბუნებრივია, მას ის დრო დასჭირდება, რაც საკმარისი იქნება რეფორმის კონცეფციისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების სრულყოფილად მომზადებისთვის. მას შემდეგ, რაც შემუშავდება შესაბამისი ნორმატიული ბაზა, ეტაპობრივად დაიწყება მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაია სიდამონიძე: „ვფიქრობ, დღეს ჩვენს ეკონომიკას ძალიან სჭირდება ტურიზმის გააქტიურება, განვითარება და საექსპორტო შემოსავალი“



**„ტურიზმის დეპარტამენტის როლი ისიც არის, რომ მოახდინოს აქცენტირება და ყურადღება გაამახვილოს, რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ტურიზმს ეკონომიკური კრიზისის დაძლევასა და მის განვითარებაში“**

# EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**ბაკურიანსა და გუდაურში ტურისტების რაოდენობა განახევრებულია. იგივე პრობლემაა ყაზგებში, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ ყველაზე მიმზიდველი ზონა იყო უცხოელი ტურისტებისთვის. ადგილობრივები კი სიღნაღში ხუმრობენ, ქუჩები ისეთი ცარიელია 90-იანი წლების ასოციაცია თავისთავად ჩნდებაო...**

სტატისტიკური მონაცემებით, გასული წლის იანვართან შედარებით ტურისტთა რაოდენობა 9%-ით არის შემცირებული, ხოლო ვიზიტორების რიცხვმა 3%-ით მოიკლო. ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია, მათ შორის არც ციფრებში. თუმცა საკუთარ მონაცემებში ისინი მხოლოდ 3%-იან კლებას უთითებენ. რაც შეეხება 9%-ს, გიორგი ჩოგოვაძის უწყება, როგორც ჩანს, ამ ციფრს არ აღიარებს. სამაგიეროდ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 2014 წელს ქვეყანაში ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა, ხოლო 2015 წელს კიდევ უფრო დიდ ტურისტულ ნაკადს ელოდებიან. რამდენად რეალურია მონაცემები, ეს ცალკე საკითხია, თუმცა პროფესიონალები აღნიშნავენ, რომ ტურისტების რიცხვი ჯერჯერობით შეუჩერებლად მიდის კლებისკენ... ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სავიზო რეგულაციები სახელდება, რასაც ეკონომიკის მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილიც კი აღიარებს.

ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ სავიზო რეჟიმის პრობლემა უკვე მოხსნილია და კონკრეტული გეგმაც შემუშავებული, როგორ უნდა გაზარდოს ტურისტთა რაოდენობა და, ზოგადად, როგორ უნდა განვითარდეს ტურიზმი საქართველოში. საინტერესოა გეგმის შინაარსი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ის ჯერ „გასაიდუმლოებულია“. ყოველ შემთხვევაში ტურიზმის დეპარტამენტი მის გასაჯაროებაზე უარს აცხადებს და მოკლე ახსნა-განმარტებებით შემოიფარგლება. ისიც, ზოგადად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და არა კონკრეტულად ხელმძღვანელის, გიორგი ჩოგოვაძის სახელით.

სხვათა შორის მაშინ, როდესაც აკაკი გოგიჩაიშვილმა ჩოგოვაძეს საკუთარ გადაცემაში დაკითხვა მოუწყო, სრულიად საზოგადოება ჩოგოვაძის მხარეს დადგა და გოგიჩაიშვილი ჟურნალისტური ეთიკის არქონაში დაადანაშაულა. არადა კითხვა უმარტივესი იყო, ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წესით, უნდა სცოდნოდა, რა იყო დედოფლისწყაროს ტურისტული დანიშნულება. მით უფრო მაშინ, როდესაც გოგიჩაიშვილმა სავარაუდო პასუხებიც თავად შესთავაზა... უკვე დღეს, შედეგების დადებისა და ტურისტების რაოდენობის გამოანგარიშების შემდეგ, გოგიჩაიშვილის კითხვის არსიც მარტივად აღსაქმელი ხდება... ფაქტია, რომ გიორგი ჩოგოვაძე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას გაურბის.

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:** „2014 წელს საქართველოში ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა. ჩვენს ქვეყანაში შემომავალი საერთაშორისო მოგზაურების რიცხვმა თითქმის 5 მილიონ-ნახევარს მიაღწია. მართალია, წელს პირველი თვის მონაცემებით კლება ფიქსირდება (-3%), წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მაგრამ ეს მონაცემები არ იძლევა პანიკის საფუძველს, მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე გაწერილი გვაქვს მთელი წლის სამოქმედო გეგმა და აქტივობები როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე, რაც სწორედ ტურისტების მოზიდვაზეა ორიენტირებული. საქართველოში დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიების, მათ შორის, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადისა და უეფას სუპერთასის მატჩის ჩატარება. გარდა ამისა, წელს პირველად თბილისში და პირველად კავკასიაში გაიმართება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი, ველოდებით მაღალი რანგის სტუმრებს, სამთავრობო დელეგაციებს და ბიზნესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ცნობადობას. გარდა ამისა, ჯერ არ დასრულებულა ზამთრის ტურისტული სეზონი. ხელოვნური გათოვლიანების სისტემა სეზონის კიდევ უფრო გახანგრძლივების საშუალებას გვაძლევს და, შესაბამისად, ამ რეგიონებშიც ველოდებით ტურისტებს. თუ საერთაშორისო შემოსვლების ტენდენციებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ კლება ძირითადად დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: სავალუტო კრიზისი, რომელიც ფიქსირდება მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რუსეთში, სომხეთსა და უკრაინაში. ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც შარშანაც ახდენდა გავლენას, გახლავთ რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე ომი. საომარი მდგომარეობა უკრაინაში, თავისთავად ცხადია, ამცირებს საერთაშორისო შემოსავლებს უკრაინიდან. ეს, ზოგადად, რეგიონში ქმნის დაძაბულ ფონს. ანალიზი აჩვენებს, რომ საერთაშორისო შემოსვლების კლება სწორედ იმ ქვეყნებიდან შეინიშნება, სადაც სავალუტო, ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისია“.



**ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია, მათ შორის არც ციფრებში. თუმცა საკუთარ მონაცემებში ისინი მხოლოდ 3%-იან კლებას უთითებენ. რაც შეეხება 9%-ს, გიორგი ჩოგოვაძის უწყება, როგორც ჩანს, ამ ციფრს არ აღიარებს.**

დიდი ალბათობით გეგმა საერთოდაც არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, და ისიც ფაქტია, რომ გიორგი ჩოგოვაძის უწყებას 2015 წელს ტურისტების რაოდენობის ზრდის იმედი მთლიანად ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე აქვს გათვლილი. შესაბამისად, არ ჩანს, რა ნაბიჯებს დგამენ თავად, ან რა ღონისძიებებს ატარებენ სფეროს განვითარებისთვის. მით უფრო მაშინ, როდესაც ტურიზმის დეპარტამენტის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია. სხვათა შორის, ბიუჯეტის ზრდის დეტალი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები წინა ხელისუფლებას სწორედ გადაჭარბებული პიარის გამო აკრიტიკებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველოს საიმიჯო კლიპების გადაღებაში მიუღებლად დიდი ოდენობის თანხები იხარჯებოდა, რომელიც წყალში გადაყრილ ფინანსებს უდრიდა... ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, მაია სიდამონიძის განცხადებით, ჩოგოვაძის გუნდი კარგად ვერ აცნობიერებს, რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ტურიზმის სფეროს არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში.

**მაია სიდამონიძე, ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი:**

– ტურისტების ნაკადის შემცირების მიზეზი ძალიან ბევრია, რადგან შემცირების ტენდენცია არა მარტო სტატისტიკურ მონაცემებში, არამედ კერძო სექტორშიც ჩანს. ჩანს, რომ სხვადასხვა სასტუმროებში დატვირთვა შემცირებულია, არც ტურისტულ სააგენტოებშია ისეთი მოთხოვნები ჯგუფებზე, როგორიც ადრე იყო. ამ ყველაფრის მიზეზი, რაც სახელდება და როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლებიდან ვიცი, გარკვეულწილად დაკავშირებულია რეგიონში შექმნილ არასტაბილურ სიტუაციასთან. როგორც წესი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შეკითხვა ისმის ხოლმე, პრობლემებს ქმნის ასევე სავიზო შეზღუდვები. ამ ყველაფერმა კი გარკვეულ ბაზრებზე იმოქმედა, მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა დუბაი. მოლოდინი კი, რომ ეს ბაზრები თუნდაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებით ჩანაცვლდებოდა, არ გამართლდა. მოგეხსენებათ, რა ხდება უკრაინაში. რაც შეეხება რუსეთს, იქ დიდი ეკონომიკური კრიზისია და ტურიზმზე ეს ნამდვილად აისახება. მეორე მხრივ, უარყოფითად მოქმედებს უკვე საქართველოში, ადგილზე შემცირებულია მარკეტინგული კამპანიები, აქტივობები. პრობლემაა ახალ ბაზრებთან დაკავშირებითაც, რადგან წინა წლებში საკმაოდ დიდი






აქტივობები იყო ამ მხრივ. რასაც ვერ ვიტყვით დღევანდელ რეალობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე დიდი კონკურენციაა, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სახელის გარეთ გატანა, მივხვდებით, რომ საკმაოდ ბევრი მიზეზი გროვდება იმის ასახსნელად, რატომ შემცირდა საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა. დიდი იმედი მაქვს, რომ შემცირება სეზონის დადგომისთანავე შეჩერდება და ზრდაში გადავა.

**– თუმცა ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ არაფერი საპანიკო არ არის...**

– ზოგადად, საკითხისადმი პოზიტიური მიდგომა ცუდი არ არის. იმედი მაქვს, რომ მათ სიტყვებს დაეჯერება, იმიტომ რომ, თუ არსებული სურათი საგანგაშო არ არის, მაშინ ეს პრობლემა მალე უნდა გამოსწორდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, კერძო სექტორში პანიკის საფუძველი, რა თქმა უნდა, არის, რადგან აქ კერძო კაპიტალზე, ინვესტიციებზეა საუბარი და რეალურად ეს ბიზნესი კომერციულია. ტურიზმის ადმინისტრაციას დღესდღეობით აქვს ბერკეტები, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ იგივე კანონმდებლობის შემუშავებაში, რომელიც სავიზო შეზღუდვების შემოღებას ეხება. ასევე, აქვთ საშუალება, ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები ბევრ საკანონმდებლო ინიციატივაში, რომელიც უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიას ეხება, და დაიცვან ამ სფეროს ინტერესები მთავრობაში. მეორე მხრივ, ტურიზმის დეპარტამენტს აქვს საკმაოდ დიდი ბიუჯეტი, ბევრად დიდი ბიუჯეტი, ვიდრე ჩემ დროს იყო. მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და შეისწავლონ ბაზრები, სადაც პოტენციალია, რომ, რაც შეიძლება სწრაფად, ამავე სეზონზე მოიზიდონ ვიზიტორები.

**– თავად აღნიშნეთ, რომ აქტივობები წინა ხელისუფლების დროს ბევრად მეტი იყო. სწორედ ამიტომ გაკრიტიკებდათ მაშინდელი ოპოზიცია, ამბობდნენ, რომ ზედმეტად ბევრი ფინანსები იხარჯებოდა პიარში...**

– რადგან მათი მთავარი კრიტიკა იყო ის, რომ ძალიან დიდი თანხები იხარჯებოდა პიარში, ახალი ხელისუფლების პოლიტიკა საწინააღმდეგოა და ისინი მიიჩნევენ, რომ პიარში ფინანსები არ უნდა დაიხარჯოს. მათი გადაწყვეტილება სახეზეა. ცხადია, რომ არ იხარჯება ფინანსები ტურიზმის მიმართულებით და შედეგებიც დადგა. არ ვიცი, დამეთანხმებიან თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სფეროში თანხების ჩადება საჭიროა, რადგან ეს არ არის მხოლოდ ხარჯები, რომელსაც ქვეყანა იღებს. თანხების ჩადებას ძალიან დიდი შემოსავალი მოსდევს. ტურიზმში, ასევე, არის საექსპორტო შემოსავალი. ვფიქრობ, დღეს ჩვენს ეკონომიკას ძალიან სჭირდება ტურიზმის სფეროს გააქტიურება, განვითარება და საექსპორტო შემოსავალი.

**– შეიძლება ვთქვათ, რომ ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და, ზოგადად, დღევანდელი მთავრობა სათანადოდ ვერ აფასებს აღნიშნული სფეროს მნიშვნელობას?**

– გარკვეულწილად, ასევე ხდება სხვა ქვეყნებშიც, სადაც ტურიზმის სფერო სერიოზულად არ არის აღქმული და ტურიზმის მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გათვითცნობიერებული. ბევრს ტურიზმი მხოლოდ და მხოლოდ გართობა და მოგზაურობა ჰგონია. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, ტურიზმის დეპარტამენტის როლი ისიც არის, რომ აქცენტირება მოახდინოს და ყურადღება გაამახვილოს, რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ტურიზმს ეკონომიკური კრიზისის დაძლევასა და მის განვითარებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინდირა ჯგერნაია „ბოიფრენდს“ სკანდალურად დაშორდა

**my View**
თამარ გონგაძე

**უკვე თითქმის ორი თვეა ინდირა ჯგერნაია შეყვარებულს დაშორდა. ჯერ კიდევ „ნიჭიერში“ მონაწილეობის დროს ყურებამდე შეყვარებულმა მოგვცა ინტერვიუ. ვინაობა არც მაშინ გაუმხელია და ამისგან თავი ამჯერადაც შეიკავა. „თავიდანვე ვეცი პატივი მის გადაწყვეტილებას, რომ არ გამესაჯაროებინა მისი ვინაობა. უპირო ადამიანი გამოვალ, ახლა თუ ვიტყვი, ვინ არის. თან დამემუქრა, პრესაში არც ჩემი ფოტო და არც ვინაობა გამოაქვეყნო, თორემ არასდროს გაგახარებო“– ექსკლუზიურ ინტერვიუს გვაძლევს ინდირა.**




სამწლიანი ურთიერთობა „ნიჭიერის“ პერიოდში დაეძაბათ. მეგა შოუს წინ ინდირას დეპრესიული პერიოდი უძლოდა. ამ დროს მომღერალს შეყვარებული გვერდით ედგა და მდგომარეობიდან გამოსვლაში ძალიან დაეხმარა. წყვილი სამი წელი, ქორწინების გარეშე, ერთად ცხოვრობდა. ამის გამო ინდირას ოჯახის წევრებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა. „გვქონდა პრობლემები. ჩვენ ორივე მორიელები ვართ და არავის აზრი არ გავითვალისწინეთ. უფროსი ძმაც ეცადა დამლაპარაკებოდა. ჩემგან ასეთ საქციელს არ იმსახურებდა, მაგრამ იცის, რომ ხელოვანი ვარ და თან ასეთი ბედნიერი. ამიტომ თვითონაც ბედნიერია. მთავარია სიყვარული იყოს, და თუ თეთრი კაბა არ ჩავიცვი და საქორწინო ბეჭედი არ მიკეთია, არ არის ჩემთვის აუცილებელი. ბევრი მინახავს ოფიციალური ქორწინების მერე ორ წელში დანგრეული ოჯახით. ეს არ არის სიყვარული. სიყვარული, პირველ რიგში, შეჩვევაა, რომელსაც მოსდევს ურთიერთგაგება, თანადგომა. მის გვერდით ყველაფერი გინდა“– ეს ინტერვიუ მომღერალმა „პრაიმტაიმს“ დეკემბერში მისცა. დღეს კი დანგრეულ ურთიერთობაზე საუბრობს, ისევ ჩვენთან და ჩვენი მკითხველისთვის.

### „ვნანობ“

**ინდირა ჯგერნაია:** გული მწყდება იმაზე, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ გავიცანი ადამიანი და სულ სხვა ვინმე შემრჩა ხელში. პირველი წელი იდეალური იყო, მეორე წელიც კარგი იყო. ბოლო სამი თვე კი მეგონა, სულ სხვა ადამიანთან ვცხოვრობდი. დღეს მე ძალიან ვნანობ, რომ ამ ადამიანის გულისთვის ჩემი ოჯახის წინააღმდეგ წავედი. ვგულისხმობ იმას, რომ ჩემები ჩემი მასთან ერთად ცხოვრების წინააღმდეგნი იყვნენ. ვნანობ. ეგ ადამიანი არ ღირდა იმად, რომ მე ჩემი ოჯახის წინააღმდეგ წავსულიყავი. მიხარია ის, რომ ქორწინებაში არ ვყოფილვართ. მე რომ შვილი მყოლოდა მისი ხათრით ამ რაღაცების დათმობა მომიწევდა. მარტოხელა დედობაზე გაფიქრებაც არ მინდა.

ჩვენი ურთიერთობა „ნიჭიერის“ პერიოდში დაიძაბა. საუბრებს ჩხუბით ვასრულებდით. ჩვენს სახლში ლეწვა-მსხვრევის ხმა ისმოდა. ამის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ახლა სახლში ხელოსნები მყავს და ჩვენს დალეწილს ვასწორებინებ.

**– მაინც რა გახდა მისი ასე შეცვლის მიზეზი?**

– მე აღარ მრჩებოდა იმის დრო, რომ მისთვის ყურადღების დიდი ნაწილი დამეთმო. ეს გაუგებრობა დროის უქონლობის გამო გაჩნდა. დეპრესიაში მყოფი სახლში ვიჯექი და გვერდით მყავდა. რომ გამოვკეთდი და პროექტში ვმონაწილეობდი, უყურადღებობით პრობლემები შეგვექმნა. შეიცვალა და ისეთი ეჭვიანი გახდა, რომ მის გვერდით ცხოვრება გაუსაძლისი იყო. ქუჩაში წანწალს მიეჩვიეო – ეს იყო საყვედურების დასაწყისი. იყო უაზრო ეჭვიანობს ფრაზები – რატომ გეჯდა გვერდით? ასე ახლოს რატომ დაგიჯდა? რატომ ესაუბრე? ასეთი ელემენტარული რამიდან იმხელა ჩხუბამდე მივდიოდით, წყობიდან გამოვყავდი. ღამით მაღვიძებდა და იგივე კითხვებს მისვამდა, რასაც




**„დღეს ძალიან ვნანობ იმას, ამ ადამიანის გულისთვის ჩემი ოჯახის წინააღმდეგ რომ წავედი“**

დღისით. ეგონა ძილში „სიმართლეს“ დამაცდენინებდა. „ფეისბუქზე“ კითხულობდა კომენტარებს, პასუხებს ჩემს ნაცვლად თვითონ წერდა. ნიკა გვარამიას გადაწყვეტილებით „ნიჭიერში“ 10 ათასი ევრო რომ მოვიგე, „ფეისბუქზე“ ჭორაობა ატყდა – რატომ მისცა ამდენი ფული, საყვარლები ხომ არ არიანო? გაღიზიანდა ამ კომენტარებზე, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, ვერ ეგუებოდა. ამ დროს თვითონ იცოდა, ნიკასთან როგორი მორიდებული ურთიერთობაც მაქვს. მაგრამ ამ ჭორაობას ულრმავდებოდა, ეჭვებში ვარდებოდა, რას იფიქრებენ შენზეო. მარტივად იცხოვრე-მეთქი ვურჩევდი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, გულში იხვევდა ბევრ რამეს. ერთი კვირა დარდობდა, ასე რატომ გითხრესო. ხალხი რომ დიდ ყურადღებას მაქცევდა, გაღიზიანება დაეწყო. გიჟდებოდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. რესტორანში ვიყავი მეგობრებთან ერთად და იქ მოვარდა და „კონცერტები“ ჩამიტარა. უკვე გაუსაძლისი გახდა მის გვერდით ყოფნა. ბევრი სიკეთე გამიკეთა, მძიმე დროს გვერდით მედგა. მასზე დამოკიდებული ვიყავი. მივენდე. მაგრამ ავადმყოფური ეჭვიანობით არც მე, არც ოჯახის წევრები და არც მეგობრები არ დაგვზოგა. ეს ავადმყოფობაა, სიყვარული არ არის. ზოგი კაცის ბუნებაში ეს დევს და ადრე თუ გვიან ამჟღავნებს. თუ პირველი გამოვლინება აპატიე, მერე სულ გამოამჟღავნებს და ჯოჯოხეთში გაცხოვრებს. ამიტომ, ერთხელაც კარი გავუღე და გადი, შენი დანახვა აღარ მინდა-მეთქი, ვუთხარი. არის რაღაც, რასაც ვერ ვპატიობ. მას ვერ წარმოედგინა თუ მე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი. ბოდიშები მიხადა, პატიება ითხოვა, მაგრამ ეს უკვე გვიანია. ერთხელ რომ გატკენს, ის მეორედაც გატკენს და ასე გააგრძელებს. ამიტომ იქვე უნდა გაწყვიტო ურთიერთობა. ძნელია, მის გარეშე ცხოვრება მიჭირს, მაგრამ იმედია, ამ ყველაფერს დავძლევ.

### „მე ძლიერი გოგო ვარ“

**- მესამე კრიზისული წლის ბრალი ყოფილა.**

- ეგ არაფერ შუაშია. მე რომ ვერ გამიგებ, ასეთ მარტივ ადამიანს, თვითონ გაქვს პრობლემა.

**- სახლში ლეწვა გაგვქონდაო და სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფაც ხომ არ ყოფილა?**

- იყო, რასაც ვერასდროს ვაპატიებ. არ დავმალავ და სიტყვიერთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა იყო, როგორც მისგან, ასევე ჩემგანაც. სალანძღავი სიტყვა არ დაგვიტოვებია ერთმანეთისთვის რომ არ გვეძახა. შოკში ჩამაგდო მისმა არაადეკვატურმა ეჭვიანობამ. მტერმა მნახა გაგიჟებული. ძალიან ხისტი ვხდები. როცა ბევრი ადამიანი მცნობს და კომპლიმენტს მეუბნება, ეს შეგნებულმა ადამიანმა ჩვეულებრივ უნდა მიიღო და არა შერცხვენად და თავის მოჭრად. „ფეისბუქზე“ კომპლიმენტი მოუწერიათ და ჩემს ნაცვლად გაუცია პასუხი... თავიდან ვცდილობდი ეს ყველაფერი არ გამემხილა. თუმცა დამალული არაფერი რჩება. ადრე თუ გვიან მჟღავნდება. ეს ჩვენმა ოჯახებმა გაიგეს, ამას მოჰყვა შესაბამისი ზომების მიღება. ოჯახიც დამეხმარა, რომ ამ ურთიერთობისთვის წერტილი დამესვა. ჩემს ძმას სხვა ზომების მიღება უნდოდა, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი ძალებით შევძელი საქმის მოგვარება.

**– შეგეშვა?**

– არ შემეშვა. ეტყობა მაინც ჰგონია, რომ ვაპატიებ. სიტყვიერად ვეტყვი მიპატიებია-მეთქი. როგორც ადამიანი მეცოდება, უჩემოდ რა ტანჯვის გავლაც მოუწევს.

**– თვითონ როგორ გადაიტანე?**

– მე ძლიერი გოგო ვარ, თამუნა! ადამიანები ერთმანეთის სიკვდილს ვეგუებით და დაშორებასაც მოვინელებ.

# მარიტა ჯ

**my View**
თამარ გონგაძე

**მარიტა და ჯეჯი თეატრალურ უნივერსიტეტში ჯგუფელები არიან, გიზო ჟორდანიასა და ნანუკა ხუსკივაძის ჯგუფში. ცნობილი ოჯახის შვილები ორ წელიწად-ნახევრის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. ზუსტად არც ერთს ახსოვს, ამურის ისარმა როდის გაუარათ გულში. 23 წლის მარიტა მსახიობ მარინა ჯანაშიას შვილიშვილია, 21 წლის ჯეჯი ნიკო გომელაურისა და ეკა ნიჟარაძის ვაჟია. როგორც ხედავთ, ორივე ოჯახის ტრადიციას გაჰყვა. წყვილი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში აპირებს გამგზავრებას. ეს წელიწად-ნახევარში იქნება.**





### გერმანიაში

„ამდენი ნერვების შლისთვის და ტკივილისთვის მეცოდებიო, ბებია მეუბნებოდა, არ უნდოდა მსახიობობის კვალზე გავყოლოდი. მართლა არის მომენტი, როდესაც გული გტკივა, მაგრამ არ უნდა შეიმჩნიო და უნდა მოერიო ამ ყველაფერს. დღეს მსახიობისთვის საქართველოში ცუდი სიტუაციაა, სპექტაკლები არ იდგმება. ამიტომ გადავწყვიტეთ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა“ – სულ ახალგაჩენილ იდეას გვიმხელს მარიტა.

**– იდეა ვის ეკუთვნის?**

– მე, ჯეჯი და ჩვენი რამდენიმე მეგობარი ვისხედით, ჩაის ვსვამდით და ვწუხდით, იმაზე რა რთულია ჩვენს ქვეყანაში სამუშაოს პოვნა. იქნებ საფრანგეთში წავსულიყავით-მეთქი, იდეა წარმოვთქვი. მამა იქ ცხოვრობს. ჯეჯიმ თქვა, საფრანგეთში არ გვინდა, გერმანიაში წავიდეთ, რადგან ყველაზე სტუდენტური ქვეყანააო. იდეა მომეწონა და ავიტაცე. ახლა ვამუშავებთ. ოჯახში ვთქვით და თქვენ გეუბნებით, სულ ახალი იდეაა.

### „ჯეჯის შორიდან იცნობდა“

მარიტას მამა, ბექა ჯანაშია, მამის მსგავსად, მხატვარია. დედის გვარზე იმიტომ არის, რომ

**„ჯეჯი ვერ იტანს სამოდელო სფეროს. თავიდან ურთიერთობა რომ დავიწყეთ, მთხოვა, არასდროს წამიყვანო ჩვენებებზეო. გავიდა ხუთი თვე და მეკითხება, რატომ არ მიგყავარ ჩვენებაზეო? თავის პრინციპს გადააბიჯა და ჩემ გამო დათმო თავისი დამოკიდებულება“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანაშიამ საფრანგეთში მამას შეყვარებული ჩაუყვანა



## ორი ცნობილი ოჯახი ერთმანეთს დაუახლოვდა

EXCLUSIVE

„ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია თუნდაც ჩაი დავლიოთ ერთად, რადგან გასართობად წასვლამ ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგა“

„მამა ჯეჯის შორიდან იცნობდა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო პირადად გაეცნო, რომ ახლობლურად და მშობლურად შეეყვარებინა“

„დრო რომ გავიდა, მივხვდი, რომ მომწონდა, ეს მხოლოდ მეგობრობა არ იყო. ამ დროს თურმე ჯეჯის ეგ იდეა მოკლული ჰქონდა“

პატარაობაში საბუთი დაკარგა. 18 წლის იყო სახლის ყიდვისას ეს საბუთი რომ დასჭირდა. უცებ გამოუთქვამს სურვილი, დედა, შენს გვარზე მინდა ყოფნაო. ასე გახდნენ გოცაძეები ჯანაშიები.

**– ეს ბაბუას არ სწყინს?**

– არა, ბაბუა ყველაზე საყვარელია მთელ მსოფლიოში. მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. უბრალოდ რომ საუბრობს, მის ყოველ სიტყვაში დიდ ინფორმაციას იჭერ.

მარიტა მამასთან საფრანგეთში, ლე ჰავრეში ზამთრის და ზაფხულის არდადეგებზე ჩადის. ჯეჯი უკვე გააცნო. ორჯერ მასთან ერთად იყო მამასთან. შობა-ახალწელიწადსაც იქ შეხვდნენ.

„მამა ჯეჯის შორიდან იცნობდა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო პირადად გაეცნო, რომ ახლობლურად და მშობლურად შეეყვარებინა. მამამ სადილები მოამზადა, რაც ჩემთვის სასწაული იყო. მე არ გამომდის. ჯეჯი ჩემზე ბევრად კარგად ამზადებს საჭმელს. მე მხოლოდ კვერცხის შეწვა ვიცი. თუ რაიმეს გაკეთება მომინდა, ვაკეთებ. რეცეპტები არ ვიცი. მგონია, რომ ჩემს სიცოცხლეში ჩახოხბილს ვერასდროს გავაკეთებ. ვერ ვხვდები, როგორ უნდა გავაკეთო ჩახოხბილი? შეიძლება ურთულესი მათემატიკური ფორმულა გავიგო, მაგრამ ამ კერძის მომზადების ვერაფერი გავიგე. ჯეჯის ყველაფერი გემრიელი გამოსდის, შემწვარი კარტოფილიც კი. მისი მომზადებული სენდვიჩი მიყვარს. კვერცხს წვავს სასწაულად გემრილს“.

**– მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებამ შენზე იმოქმედა?**

– რამდენიმე წელია მამა საფრანგეთშია, დედა აქ არის. არ იყო ეს ჩემთვის სტრესული. სხვის ურთიერთობაში ჩარევა არ მჩვევია. არც არასდროს მიფიქრია მათ ურთიერთობაში ჩავრეულიყავი. რახან ასე გადაწყვიტეს, ესე იგი ასეა საჭირო. ერთმანეთს ეკონტაქტებიან და კარგად არიან ერთმანეთთან. ორივე უჩემოდაც მიხედავს თავიანთ ცხოვრებას. არ მიყვარს შვილის გამო ძალით რომ ცდილობენ ოჯახის შენარჩუნებას.

### სიყვარულის ისტორია

**– თქვენი სიყვარულის ისტორია როგორ დაიწყო?**

– დასაწისი არც ერთს არ გვახსოვს. გრძნობა ბუნებრივად მოვიდა. ინტუიციით მეც ვგრძნობდი, რომ მოვწონდი და ჯეჯიც იგივეს გრძნობდა ჩემგან. დასაწყისში, მე მგონი, მე უფრო მომწონდა, ვიდრე მას. უფრო სწორად ჯეჯი არ გამოხატავდა და ამიტომ ვთვლიდი ასე. ემოციები სახეზე მაწერია, ვერ ვმალავ, არ შემიძლია. შესაბამისად, ჯეჯი რომ მომწონდა, მეტყობოდა და ყველა მიხვდა. ჯეჯი მალავდა, ვერ შეამჩნევდი.

**– ხომ არ ავარდა?**

– არა, აღიარა, რომ გნახე მომეწონე, მაგრამ რადგან ვმეგობრობდით, იმ წუთასვე გადავაგდე თავიდან ეგ ამბავიო. დრო რომ გავიდა, მივხვდი, რომ მომწონდა, ეს მხოლოდ მეგობრობა არ იყო. ამ დროს თურმე ჯეჯის ეგ იდეა მოკლული ჰქონდა.

**– რა შეცვალა ჯეჯიმ?**

– ბევრი რამ, რაც არ მეგონა, რომ შეიცვლებოდა. ისევე როგორც მე შევცვალე ჯეჯიში. ჯეჯი ვერ იტანს სამოდელო სფეროს. თავიდან ურთიერთობა რომ დავიწყეთ, მთხოვა, არასდროს წამიყვანო მოდის კვირეულზე, ჩვენებებზეო. გავიდა ხუთი თვე და მეუბნება, რატომ არ მიგყავარ ჩვენებაზეო? გამიხარდა ეს ამბავი. თავის პრინციპს გადააბიჯა და ჩემ გამო დათმო თავისი დამოკიდებულება. სიყვარული და ურთიერთობა დათმობაა. რაც ვიცი, რომ მე არ მესიამოვნება, იმას მასაც არ გავუკეთებ. მე რა დავთმე და ადრე თუ მოდის კვირეულის ავთერფართიზე წავიდოდი და ეს ჩვეულებრივი ფაქტი იყო, ახლა ჯეჯის გარეშე არ წავალ. თუ არ წამოვა, არც მე წავალ. მის გარეშე არაფერი მინდა. მირჩევნია ჯეჯისთან ერთად გავატარო ის საღამო, ვიდრე მარტომ ავთერფართიზე. ეგეთი რაღაცები უკვე გვერდზეა გადადებული. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია თუნდაც ჩაი დავლიოთ ერთად, რადგან გასართობად წასვლამ ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგა.

**– პოდიუმზე როგორ გაფასებს?**

– ჯეჯის უნდა ჰკითხოთ, საკუთარი თავის ქება გამომდის, რაც მეზიზღება ხოლმე. მაგრამ რახან ინტერვიუები არ უყვარს, გეტყვით: ერთხელ მითხრა, პოდიუმზე ისე მომწონხარ, ძალიან ცუდი ადამიანი უნდა ვიყო, ეგ ყველაფერი რომ დაგიმალოო. ეს იყო ყველაზე დიდი კომპლიმენტი, რაც კი ოდესმე ვინმეს უთქვამს. კომფორტული და თბილი ადამიანია. მის გვერდით თავს კარგად გრძნობენ.

**– მოდელის კარიერას რას უპირებ?**

– მოდელობა ჩემთვის პროფესია არასდროს ყოფილა. გარკვეული ასაკის მერე მოდელობას ემშვიდობები. მთელი ცხოვრება ვერ იმოდელებ. მიყვარს, მაგრამ არც ჰობია, და არც პროფესია. გარკვეულ წრეში ამ სფეროთი მცნობენ. იმედია, მომავალში მსახიობად გამიცნობენ.

**– ხშირად ჯეჯი რა კომპლიმენტს გეუბნება ხოლმე?**

– კომპლიმენტს ვერაფრით გამოსძალავ. უნდა გადაირიოს, რომ მითხრას, ლამაზი ხარ ან კარგად გამოიყურებიო. არც მას უყვარს კომპლიმენტის მოსმენა. არ გამოხატავს, მაგრამ თბილი ბიჭია. ცოტა მინახავს მის მსგავსად თბილი ადამიანი.

**– საჩუქარი?**

– სულ ვინახავ მის ნაჩუქარ რაღაც ნივთებს. მაგალითად, პლაჟზე სეირნობისას ზღვის დამუშავებული შუშის ნატეხი მოუცია, მიდიების ნიჟარა, მე მისთვის მნიშვნელობა მიმინიჭებია და ჯიბეში ჩამიდია. ამას წინათ მეცვა პიჯაკი, რომელიც ერთი წელია არ მცმია. ჯიბეში ხელი რომ ჩავყავი პატარა გამხმარი მინდვრის ყვავილი ამოვიღე. ისტორიაც უცებ გამახსენდა. საფრანგეთში მამაჩემს სამსახურთან ველოდებოდით. ეს ყვავილი მოწყვიტა, მეც ჯიბეში ჩავიდე.

**– ნიკოს იცნობდი?**

– სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი და მწყინს ეს ამბავი. ბებიაჩემი მარინა იცნობდა. ძალიან უყვარდა ნიკო. ეკა ჯეჯიმ გამაცნო და ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან. კარგი ქალია. ჯეჯის დასთან და ძმასთან ვმეგობრობ. საოცრად კარგი ბავშვები არიან. მათში გამიმართლა. დღე არ გადის ან მე რომ არ ვესტუმრო ჯეჯის, ან ის არ მოვიდეს ჩემთან. მე უფრო ხშირად ვარ მასთან, რადგან ჯეჯი მთაწმინდაზე ცხოვრობს და თეატრალურიდან საჭმელად მასთან ავდივართ ხოლმე. ეკას გაკეთებული გემრიელი სადილები გვხვდება.

**– ორი ცნობილი ოჯახის დაახლოება გახარებს?**

– ეს სასიხარულოა. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ჯეჯის შემოსვლა. საინტერესო ადამიანია, მისგან ბევრი რამ ვისწავლე და მიხარია, რომ პირველ რიგში ჩემი მეგობარია.



მამასთან ერთად



მარინა ჯანაშია და ჯეჯი გოძელური

„სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი ნიკოს და მწყინს. ბებიაჩემს ძალიან უყვარდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა სკანდალური განცხადების გაკეთე

## ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე: „სოსანაშვილი არ იყო მელაშვილების ისეთი ახლობელი, რომ პანაშვიდზე მისულიყო“



**EXCLUSIVE**

ხათუნა მგალობლიშვილი

**იური ვაზაგაშვილის აფეთქებაში ბრალდებულის საქმე შესაძლოა, მალე კიდევ ერთხელ გახდეს ხმაურის საფუძველი. საქმე ისა, რომ დაკავებული გია სოსანაშვილი საკმაოდ მძიმე სენით არის დაავადებული. ჯანმრთელობის შესახებ პირად ინფორმაციას არ გავასაჯაროებდით, რომ არა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და სოსანაშვილის ოჯახის დასტური.**

მოკლედ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გია სოსანაშვილს თავის ტვინის სიმსივნე სჭირს და ის სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში უშვებს სასჯელის გადავადებას, ან სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლების შესაძლებლობას. სოსანაშვილის ადვოკატი სოსო ჯოგლიძე ამბობს, რომ ის ამ შესაძლებლობის გამოყენებას აპირებს, თუმცა საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, პროგნოზების გაკეთება უჭირს. იურისტების განმარტებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი საშუალებას იძლევა, სასამართლომ მსჯავრდადებულს განაჩენის აღსრულება გადაუვადოს მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე, სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

„შეიძლება მომავალში მომზადდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობის შუამდგომლობა, რა დაავადება აქვს, რა მდგომარეობაშია. მე საბუთები მოვითხოვე კიდეც და მომიტანენ, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირადაა საქმე... ეს ძალიან რეზონანსული საქმეა“, – აცხადებს სოსო ჯოგლიძე.

„პრაიმტაიმისთვის“, ასევე, ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში სოსანაშვილების ოჯახი საგანგებო განცხადების გაკეთებას გეგმავს. ამ ინფორმაციას ბრალდებულის და, ლია სოსანაშვილიც გვიდასტურებს, თუმცა განცხადების შინაარსის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

„როცა საჭირო იქნება, მე თვითონ ვილაპარაკებ, მაგრამ ჯერ დრო გვჭირდება, პრესკონფერენციასაც ჩავატარებ, ბრიფინგსაც და ინტერვიუსაც მოგცემთ, მაგრამ ჯერჯერობით დრო უნდა მოგვცეთ. არასწორი ინფორმაცია ვრცელდება, ერთს ვამბობთ და მეორეს ავრცელებენ“, – აცხადებს ლია სოსანაშვილი.

რას ყვებიან მშობლიურ სოფელში გია სოსანაშვილის შესახებ? ამის გასარკვევად ჩვენ სოფელ საკორინთლოს ვესტუმრეთ. ირკვევა, რომ ადგილობრივები ხელმოწერების შეგროვებას აპირებენ. საკორინთლოელებს 20 იანვარს მომხდარ ტერორისტულ აქტზე ბევრი ვერსია აქვთ და ერთმანეთშიც აქტიურად განიხილავენ, თუმცა ხმამაღლა საუბარს თითქმის ყველა გაურბის, უმჯობესია, გამოძიებას დაველოდოთო... პირად საუბრებში კი ყველაზე აქტიურად სწორედ გია სოსანაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრობენ. როგორც ამბობენ, სოსანაშვილს დაახლოებით ორი წლის წინათ აღმოაჩნდა თავში სიმსივნე და მას შემდეგ მკურნალობის არაერთი კურსიც ჩაუტარებია. ოპერაციაზე უარი განუცხადებია, ვერ გავიკეთებ, მირჩევნია, წამლებითა და ნემსებით ვიმკურნალოო...

ოჯახის ახლობლები ადასტურებენ, რომ გიორგი გამუდმებით აკონტროლებდა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მუდამ წამლებით დადიოდა, თუმცა ავადმყოფობის შესახებ გიორგის მამამ, კაკო სოსანაშვილმა არაფერი იცოდა. მან შვილის დაავადების შესახებ მას შემდეგ გაიგო, რაც ის დააკავეს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კაკო სოსანაშვილი აცხადებს:

„ჩემმა ცოლმა მაჩვენა საბუთები და ახლა გავიგე, ცუდად რომ ყოფილა, ჩვენი გოგო ელაპარაკა ადვოკატს და არ ვიცი, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არც ის ვიცი, ესაჭიროება თუ არა სასწრაფო ოპერაცია“...

**მზია, გიორგი სოსანაშვილის ოჯახის ახლობელი:**

– მეც და ჩემი მეუღლეც კარგად ვიცნობთ გიორგის, ძალიან ახლოს, ჩემი მეუღლის ნამოწაფარი იყო. ხშირად ჩვენთან სახლშიც მოსულა, ჩემს მეუღლესთან.

**– ბოლოს როდის ნახეთ, როგორი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

– შეუძლოდ იყო, ვიცი. ერთხელ სოფელში შევხვდით შემთხვევით ერთმანეთს და ხელში რაღაც საბუთები ეჭირა, მითხრა რაღაც სერიოზული მჭირსო და ტომოგრაფიის სურათი მაჩვენა.

**– ეს როდის იყო?**

– დაახლოებით ორი წლის წინათ

**– სახლში იციან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

– იციან, რომ ვერ იყო კარგად. მეც ვუთხარი, კარგად მიხედე შენს თავს-მეთქი. ბოლოს როცა ვნახე, ვკითხე ჯანმრთელობის შესახებ და მითხრა, ისეთი წამლები და ნემსები დამინიშნეს და მივიღე, რომ, მგონი, უკეთ ვარო.

**– სად მკურნალობდა?**



გია სოსანაშვილი

– თბილისში, აქედან წამლები მიჰქონდა ხოლმე. ვიცი, რომ მკურნალობდა და სერიოზული რამ სჭირდა...

**– ოჯახი ხომ არ აპირებს ხელმოწერების შეგროვებას?**

– ამაზე არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ყველას აქვს სინანული გიორგის მიმართ, რადგან ძალიან კარგი, მშრომელი ოჯახიდანაა, უპატიოსნესი დედა და მამა ჰყავს.

**– ოჯახი ჰყავს?**

– გაშორებულია, მაგრამ ისე, რომ არც ის არ დაოჯახებულა და არც მისი მეუღლე არ გათხოვილა. ვიღაცები ამბობდნენ, პანაშვიდებზე არ დადიოდაო, ტყუილია. ნამდვილად არ იყო უყურადღებო.

**– ხშირად ჩამოდიოდა?**

– ხშირად არ ვიცი, მაგრამ, როგორც სამსახური აძლევდა ამას საშუალებას, ისე, თვეში ერთხელ, ან ორჯერ, ალბათ.

**– იმ პერიოდში, როცა ჯანმრთელობაზე პრობლემები ჰქონდა, მაშინაც მუშაობდა?**

– ასეთი დეტალები არ ვიცი.

**– ოპერაცია ხომ არ გაუკეთებია?**

– არა, ოპერაცია არ გაუკეთებია, წამლებითა და ნემსებით მკურნალობდა. თავად მითხრა, ოპერაციას ვერ გავიკეთებ, ისეთი წამლებით ვმკურნალობ, რომ, მგონი, შეჩერდება პროცესიო.

**– კითხვები გაჩნდა ადვოკატთან დაკავშირებითაც...**

– ამან სოფელში ყველა გაანაწყენა, ვინც ეს კითხვა დასვა მის მიმართ. ამ ოჯახს კიდევ ჰყავს შვილი, გოგო. გოგოს მეუღლე ჰყავს, მუშაობს და უპატრონოდ როგორ დატოვებდნენ ამ ბიჭს?

**– იცნობდა ვაზაგაშვილს?**

– არა, არ იცნობდა, არასოდეს უხსენებია ვაზაგაშვილი.

როგორც ირკვევა, სოსანაშვილის დედაც პოლიციის თანამშრომელია. ის საკორინთლოს პოლიციაში მუშაობს, თუმცა მკვლელობის შემდეგ მას სამსახურში აღარ უშვებდნენ, რამდენიმე დღის წინ კი უფლება მისცეს, საკუთარი სამუშაო გაეგრძ-



კაკო სოსანაშვილი

**გიორგი სოსანაშვილის და: „პრესკონფერენციასაც ჩავატარებ, ბრიფინგსაც მოვაწყობ და ინტერვიუსაც მოგცემთ, მაგრამ ჯერჯერობით დრო უნდა მოგვცეთ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბას გეგმავს გია სოსანაშვილის ოჯახი

## გიორგი სოსანაშვილის ოჯახის ახლობელი: „შეუძლოდ იყო, ვიცი, ერთხელ სოფელში შევხვდით შემთხვევით ერთმანეთს და ხელში რაღაც საბუთები ეჭირა. მითხრა, რაღაც სერიოზული მჭირსო და ტომოგრაფია მაჩვენა“

ელებინა.

**გიორგი სოსანაშვილის თანასოფლელი:**

**– გიორგის დედა სამსახურშიაო, გვითხრეს...**

– დედამისს არ უშვებდნენ სამსახურში და გუშინწინ დაუშვეს, ისე გამიხარდა, ოჯახში ეგ მუშაობს და მეუღლეს მოვლა უნდა, ავადმყოფი კაცია, უამრავი წამალი სჭირდება.

**– რატომ არ უშვებდნენ სამსახურში?**

– პოლიციაა მაინც, ხომ იცით...

**- გიორგის როგორი ურთიერთობა ჰქონდა ოჯახთან?**

- სანამ სკოლაში შევიდოდა, ძალიან ჩაკეტილი ბავშვი იყო, დედამისს არაფერს არ ეუბნებოდა, არც ეტყოდა, არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. რაღაც მოატყუეს და შეაცდინეს.

**– ხელმოწერები შეიძლება შეაგროვონო...**

„ბოლმას“ მეტსახელით ცნობილი სოსანაშვილი საკუთარი სოფლის ყურადღების ცენტრშია, საკორინთლოში ყველა ინფორმაცია, რომელიც 20 იანვრის ფაქტს უკავშირდება, ყველაზე სწრაფად ვრცელდება. ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოსანაშვილი თავის თავში ჩაკეტილი ადამიანი იყო და საკუთარი სამსახურის შესახებ ოჯახის წევრებსაც კი არ უყვებოდა: „ეს მეტსახელიც ამიტომ შეარქვეს, ის ბავშვობიდან ასეთი იყო და თავად მამამისმა დაარქვა“. – აცხადებს გია სოსანაშვილის მეზობელი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

საკორინთლოსგან განსხვავებით, აბსოლუტურად საპირისპირო მოსაზრებებს ავრცელებენ ყარაფილაში. ადგილობრივები დარწმუნებულები არიან, რომ დამნაშავე დაკავებული პიროვნებაა. მათთვის ჯერჯერობით ერთ-ერთი მთავარი „მტკიცებულება“ 19 იანვარს სოსანაშვილის ყარაფილაში გამოჩენაა, მელაშვილების ოჯახში, სადაც ოჯახის წევრის გასვენება იყო. იური ვაზაგაშვილის დის მეუღლის, ავთანდილ ზოზიროვის განცხადებით, სოსანაშვილი არ იყო მელაშვილების ისეთი ახლობელი, რომ პანაშვიდზე და, მით უფრო, გასვენებაში მისულიყო...

**ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე:**

– რაზე მოვიდა აქ, ამ სოფელში იმ დღეს?

**– პანაშვიდზე იყო მოსულიო, ხომ ითქვა...**

– სოსანაშვილი არ იყო ისეთი ახლობელი მელაშვილების, რომ პანაშვიდზე მისულიყო.

**– ბიძაშვილებიც აქვე ცხოვრობენო, თავად თქვით, ხშირად მოდიოდა ნათესავებთან, თუ იცით?**

– არ ვიცი, მაგრამ იმ საღამოს რომ სოფელში იყო ამოსული, ზუსტად ვიცით, ბევრმა ნახა. რომ ამბობენ, გასვენება ადრე დაიწყო და ადრე აიყვანეს იური ვაზაგაშვილი საფლავზეო, ამას რა მნიშვნელობა აქვს? იმ წუთში ხომ არ დაუმონტაჟებიათ ასაფეთქებელი? წინა დღეს იყო, როგორც ჩანს, დამონტაჟებული და მაშინ ამოქმედდებოდა, როდესაც საფლავზე მივიდოდა იური. სოსანაშვილი ჩამოსული რომ იყო იმ დღეს სოფელში, ყველამ იცის, პანაშვიდზეც იყო მისული და იქვე ცხოვრობს მისი ბიძაშვილი და იმასთანაც იყო სტუმრად მისული პანაშვიდის შემდეგ. ყველამ ნახა. მე პირადად არ მინახავს, მაგრამ ბევრმა ნახა.

**– საფლავზე იყო ასული? ნახა ვინმემ?**

– საფლავზე არ ვიცი, იყო თუ არა, მე რომც მენახა, ვერ ვიცნობდი, არ ვიცნობ ამ პიროვნებას.

**– თქვენ თუ იცით, იცნობდნენ ერთმანეთს? ხომ არ უხსენებია როდისმე თავად ბატონ იურის სოსანაშვილი?**

– არასოდეს არ უხსენებია იურის სოსანაშვილი, არ ვიცი ნამდვილად, ყოველ შემთხვევაში არ უხსენებია.

**– საფლავზე თქვენ წინა დღეს რა დროს იყავით ასული?**

– საღამოსკენ ვიყავი ასული და იქ არაფერი არ იყო, სუფთა იყო საფლავი.

**– უკვე დამონტაჟებული რომ ყოფილიყო, შეამჩნევდით?**

– მე პირდაპირ იმ ადგილებზე გავიარე, სადაც მეორე დღეს იურის აფეთქება მოხდა, იქ რომ ყოფილიყო დამონტაჟებული, აუცილებლად ავფეთქდებოდი. წინა დღეს სუფთა იყო, თორემ ამუშავდებოდა. გამოდის, როდესაც მე დავტოვე საფლავი, მერე დაამონტაჟეს.

**– სასაფლაოს ზედამხედველი არ ჰყავს?**

– არა, არ ჰყავს საფლავს ზედამხედველი, მაგრამ პატრული სულ იქ ტრიალებს და აუცილებლად დაინახავდნენ. სულ საფლავის ტერიტორიაზე მოძრაობენ, ის ისეთი ადგილია, საიდანაც მთელი სოფელი ჩანს, სოფელს მთელ წრეს დაარტყამენ ხოლმე და შემდეგ იქ ჩერდებიან. როდესაც მე ვიყავი ასული საფლავზე, პოლიცია იყო, დავინახე.

**– დაკითხეს პატრულის ის წევრები, ვინც იმ ღამეს მორიგეები იყვნენ?**

– კი, დაკითხეს, მაგრამ რა თქვეს, რა ინფორმაცია მიაწოდეს, ეს არ ვიცით.

**– როგორც ვიცით, საფლავზე განათება იყო დამონტაჟებული, რომელიც ფეხის დადგმისთანავე ინთებოდა...**

– ეს განათება ახლაც არის, ოღონდ ფეხის დადგმისთანავე არა, როგორც კი ბნელდებოდა, მაშინვე ნათდებოდა, ავტომატურია.

**– ბოლოს ეს განათება გაფუჭებული იყო, როგორც ვიცით.**

– კი, გაფუჭებული იყო საფლავის განათება, დაახლოებით ერთი თვის წინ შევამჩნიე, რომ აღარ მუშაობდა და მინდოდა კიდეც იურისთვის მეკითხა, მაგრამ ველარ მოვასწარი...

**– გამოითქვა ეჭვი, რომ ეს განათება მიზანმიმართულად იყო გაფუჭებული...**

– კი, იყო ეს ეჭვი და ვინც საფლავზე განათება დაამონტაჟა, ის კაცი მოვიყვანე და დავაშლევინე, აღმოჩნდა, რომ მოკლე ჩართვის ბრალი იყო და გადამწვარა.

**– ანუ ხელოვნურად გაფუჭებული არ იყო?**

– არა, როგორც გააკეთა ამ ადამიანმა, ისე დახვდა ზუსტად, ხელი არ იყო არაფერზე მოკიდებული, მოკლე ჩართვის ბრალი იყო

**– ბოდიში, რომ გეკითხებით, მაგრამ სანდო ადამიანია ეს ხელოსანი?**

– კი, სანდო კაცია.

**– ოჯახის ახლობელია?**

– ძალიან ახლობელი არა, მაგრამ მთელი ოჯახი ვიცნობთ მის ოჯახს და ვენდობით, ახლობელია.

**– ითქვა, რომ აფეთქება არ იყო ისეთი სიმძლავრის, რომ ადამიანი მოეკლაო...**

– რა სისულელეა, გულ-ღვიძლი სულ დაგლეჯილი იყო, თავშიც ჰქონდა მოხვედრილი, როგორ გადარჩებოდა, აბა... მე დაკრძალვაზე გავიგე და რომ ავედი, უკვე გარდაცვლილი იყო.

გია სოსანაშვილის საქმეს სასამართლო დაახლოებით ერთ თვეში განიხილავს. ბრალდებულის ადვოკატი, სოსო ჯოგლიძე, სავარაუდოდ, სწორედ სასამართლო პროცესზე ისაუბრებს დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეზე. მანამდე კი ოჯახი საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებს, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, რა შინაარსის იქნება განცხადება. ერთ-ერთი ვერსიით, ის შეიძლება ბრალდებულის ადვოკატის, სოსო ჯოგლიძის მიერ ნახსენებ ალიბის შეეხოს. როგორც ამბობენ, ვაზაგაშვილის აფეთქების მომენტში სოსანაშვილი მეგობართან ერთად კასპში, ერთ-ერთ სასადილოში იმყოფებოდა. „პრაიმტაიმი“ აღნიშნული სასადილოს ერთადერთ თანამშრომელს ესაუბრა, რომლის განცხადებითაც, გია სოსანაშვილი მაშინაც კი ვერ იცნო, როდესაც ტელევიზიით მის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა: „მისი სახე არაფერს მეუბნება, ვერ გავიხსენე, რომ ის ჩვენთან ყოფილიყო“. მეორე ვერსიით კი, ოჯახი სწორედ გია სოსანაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ აპირებს საუბარს.

**ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე: „მე პირდაპირ იმ ადგილებზე გავიარე, სადაც მეორე დღეს იურის აფეთქება მოხდა, იქ რომ ყოფილიყო დამონტაჟებული, აუცილებლად ავფეთქდებოდი. წინა დღეს სუფთა იყო, თორემ ამუშავდებოდა. გამოდის, როდესაც მე დავტოვე საფლავი, მერე დაამონტაჟეს“**



**ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე: „იყო ეს ეჭვი და ვინც საფლავზე განათება დაამონტაჟა, ის კაცი მოვიყვანე და დავაშლევინე, აღმოჩნდა, რომ მოკლე ჩართვის ბრალი იყო და გადამწვარა“**



ავთანდილ ზოზიროვი

**ავთანდილ ზოზიროვი, იური ვაზაგაშვილის დის მეუღლე: „სოსანაშვილი ჩამოსული რომ იყო იმ დღეს სოფელში, ყველამ იცის, პანაშვიდზეც იყო მისული და იქვე ცხოვრობს მისი ბიძაშვილი და იმასთანაც იყო სტუმრად, პანაშვიდის შემდეგ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხათუნა თორთლაძ



**my View**

**თამარ გონგაძე**





**ავთანდილი მეორე ნახევრის ამპლუაში პირველად ჩავწერე. უკვე რამდენიმე თვეა, ხათუნა თორთლაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. ის მინისტრის ერთადერთი ქალი მოადგილეა, რომელსაც საქართველოს საგარეო უწყებაში მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება აქვს; მას, ბოლოს, საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ეკავა სამინისტროში. წლებია, რაც უნივერსიტეტში დიპლომატიურ სამართალს კითხულობს.**

ავთანდილი პარიზში იყო, როდესაც ხათუნა თანამდებობაზე დაინიშნა. „საოცარი ემოცია მქონდა. შინაგანი შოკი მასაც დაეუფლა მიუხედავად იმისა, რომ ამ სამინისტროში უკვე 12 წელია მუშაობს. უცებ გააცნობიერა, მობილიზება გააკეთა. უცებ ჩაერთო. „ავთანდილ ცქვიტინიძის მეუღლე დაინიშნაო“ პრესამ დაწერა. ალბათ, ამის მოლოდინი იყო. ის საზოგადოებისთვის ამ კუთხით საინტერესოა. მე საპასუხოდ სოციალურ ქსელში ხათუნას CV დავდე და ეს კომენტარები სამუდამოდ შეწყდა. ეს იმიტომ გავაკეთე, გაეგოთ, რომ თანამდებობაზე ჩემ გამო არ დანიშნულა.

ავთო არ მიიჩნევს, რომ პოლიტიკამ ცოლი წაართვა, რადგან ამბობს, რომ დრო სწორად აქვთ ყველაფრისთვის გადანაწილებული. მძიმე გრაფიკის მიუხედავად ახალ წელს დუბაიში ოთხი დღით გაძვრნენ.

**- ამაყი ხართ მეუღლით?**

- მისით ყოველთვის ვამაყობდი. წლების მანძილზე საუკეთესო წყვილად ვითვლებოდით. ჩვენ გამოჩენას მუდმივად ელოდნენ. წლებია ავთანდილის სახე და მუზაა და მისი ხილვა ყოველთვის საინტერესოა. მისი სახით შთაგონების წყარო არც დღეს დამიკარგავს. მისგან მუდმივად მოდის ის მუხტი და ენერგია, რაც ყოველთვის მანთებს. მე და ხათუნა 12 წელია ერთად ვართ, აქედან ქორწინებაში ათი წელი. როდესაც წყვილი ერთმანეთის პარალელურად თავის საქმეში მუდმივად იზრდება, ეს დრო არაფერია. გარკვეულ წლებს გარკვეული ეტაპები მოაქვს და ეს საინტერესოა. მუდმივად ზრდადი ეტაპებია. არის ეტაპები, როდესაც ჩემი კარიერა საოცარი სისწრაფით ვითარდება, ბევრი გეგმაა, სხვადასხვა ქვეყანასთან ვურთიერთობთ. ბაერებთან შოურუმებში ჩვენებები მაქვს. კატასტროფული გრაფიკია. ამ დროს ხათუნას მხარდაჭერასა და გვერდში დგომას მუდმივად ვგრძნობ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომფორტულად ვიყო სამსახურშიც და სახლშიც. ხშირ შემთხვევაში, როდესაც ადამიანები ერთმანეთის ზრდას ვერ ეწევიან, მათი სინთეზი ირღვევა. იწყება კონფლიქტები, სიცარიელე, დაშორება. რაც განსაკუთრებით ხელოვანი ადამიანების ოჯახებს ეხება, დიდხანს ვერ ინარჩუნებენ და წყვილები ერთმანეთის პერიოდულ ცვლაში არიან. ცოტა ხნის წინ ხათუნას კარიერაშიც დაიწყო სერიოზული კარიერული ზრდა. უბრალო სტაჟიორობიდან დაიწყო და ყოველწლიურად ვითარდებოდა. ყველაფერი კანონზომიერად და ეტაპობრივად მოხდა, რაც, ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია კარიერისთვის და შინაგანი მდგომარეობისთვის.

**„არ მახსოვს ყურადღების ქვეშ არ მოქცეულიყოს. მას ასეთი ენერგეტიკა აქვს. ის ის არის, ვინც მე ცხოვრებაში მინდოდა“**

**- რა შეცვალა ხათუნას თანამდებობამ?**

- გაცილებით დატვირთული გრაფიკი აქვს. მე მაქსიმალურად ვცდილობ ყველაფერში ხელი შევუწყო, რომ მან დისკომფორტი არ იგრძნოს, რაც შეიძლება მეორე ნახევრისგან იგრძნოს ადამიანმა. რთული იყო გარდერობის რადიკალურად შეცვლა. სილუეტები შედარებით გამკაცრდა, ელეგანტური გახდა, დაიხვეწა და მინიმალისტურია. თუმცაღა მისი ქალურობა არ დავკარგეთ. აცვია კაბები, ქვედაბოლოები, შარვლები. ბევრმა პოლიტიკოსმა ქალბატონმა თავის თავზე უნდა იმუშაოს. ამის ნაკლებობა არის და მაგალითები ნათელია.

**- რა ფერებია ახლა მის გარდერობში?**

- თანამედროვე ტონალობები - შავი, ლურჯი, ნაცრისფერი, კანისფერი, მუქი ბორდო, მუქი მწვანე. ტანსაცმელი არ უნდა იყოს მჭახე ფერების და, სიმართლე გითხრათ, არც არასდროს უყვარდა ჟოლოსფერი პიჯაკით სამსახურში სიარული.

**- როგორი გადახა ახალმა სამსახურმა?**

- გრაფიკი და პასუხისმგებლობა საათებში გაიზარდა. ვცდილობ, რომ საღამოობით დაღლილობა მოვუხსნა, ჩაის ვუმზადებ. დილით ყავას ვუდუღებ. მეორე ნახევარს არ უნდა აგრძნობინო, რომ მისი დაკავებულობით ძალიან წუხდები. ჩვენ დღის განმავლობაში ერთმანეთს ვეხმიანებით, შესვენებაზე ერთმანეთს ვნახულობთ, საღამოს ისედაც ერთად ვართ, დილით ერთად ვაცილებთ ტუსიას სკოლაში. საღამოს მის მომზადებულ გაკვეთილებს აუცილებლად ვიბარებთ. ვცდილობთ ორი-სამი დღით გავიდეთ ქალაქგარეთ. თუ კარგად გაანაწილებ დროს, ყველაფრის მოხერხება შეიძლება.

**- ჯერ არ დაგიწუწუნიათ?**

- მე გურული იუმორი მაქვს და შემიძლია ეს არასაწყენად იუმორით აღვნიშნო. ჩემი საოცარი გრაფიკის გამო მასაც იგივე პრეტენზიის გამოთქმა შეუძლია ჩემი მისამართით. ზოგჯერ ფიზიკურად არ ვარ ქვეყანაში. ორივე ხელს ვუწყობთ ერთმანეთს განვითარებაში და გვინდა ქვეყანასაც წაადგეს ჩვენი შრომა. მე ქვეყნის სახელი გამაქვს ჩემი პროდუქციით, ხათუნა საერთაშორისო პოლიტიკაში თავისი საქმის კეთებით ეხმარება საქართველოს.

**- პიროვნულად როგორია?**

- მოწესრიგებული ადამიანია. ძალიან ძლიერია. განსაკუთრებული ოჯახის შვილია და ეს მის შინაგან სამყაროშია. მისი შემოსვლით ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, თუნდაც ხედვა. ზუსტად ვიცი, რომ ის ჩემი მეორე ნახევარია. 30 წლის ვიყავი, როდესაც ცოლად შევირთე. მანამდე ზუსტად ვიცოდი, როგორი ქალი უნდა მომეყვანა ცოლად. და კაბის შესაკერად რომ მოვიდა, მივხვდი, რომ ეს ის ქალია. მივხვდი, რომ ყველაფერი უნდა გამეკეთებინა იმისთვის, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო.

**- გახსოვთ როგორი კაბა შეუკერეთ?**





- შავი კაბა, დიდი წითელი ვარდით, რომლითაც არც ერთი აღფრთოვანებული არ ვიყავით, მაგრამ ორივე ერთმანეთის აღმოჩენით ვიყავით ბედნიერები.

**- შორიდან არაგახსნილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.**

- ის, არც მსახიობია და არც პოპულარული პიროვნება „ექშენი“ რომ სჭირდებოდეს და ყველასთვის გახსნილი იყოს. არაჩვეულებრივი გარეგნობა აქვს, ინტელექტი და თავდაჯერებულობა ეტყობა. არ მახსოვს ყურადღების ქვეშ არ მოქცეულიყოს. მას ასეთი ენერგეტიკა აქვს. ის ის არის, ვინც მე ცხოვრებაში მინდოდა. იცით რა უკვირთ, კიდევ ერთად არიანო? მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი რომ გარდაიცვალა, წამოვიდა ხმები, ერთმანეთს გაშორდებიანო.

**- ბადრის გამო მოიყვანა ცოლადო, ამასაც ამბობდნენ თქვენზე.**

- ეს სასაცილოც არის და რაღაც მომენტში საწყენიც.

**- არ გქონიათ კრიზისული პერი-**



**„რთული იყო მისი გარდეროზის რადიკალურად შეცვლა. სილუეტები შედარებით გამკაცრდა, ელეგანტური გახდა, დაიხვეწა“**

**„როდესაც ადამიანები ერთმანეთის ზრდას ვერ ეწევიან, მათი სინთეზი ირღვევა. იწყება კონფლიქტები, სიცარიელე, დაშორება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის მეორე ნახევარი

EXCLUSIVE

## ავთანდილ ცქვიტინიძე: „მისით ყოველთვის ვამაყობდი. წლების მანძილზე საუკეთესო წყვილად ვითვლებოდით. ჩვენ გამოჩენას მუდმივად ელოდნენ. წლებია, ავთანდილის სახე და მუზაა და მისი ხილვა ყოველთვის საინტერესოა“

„სოციალურ ქსელში ხათუნას CV დავდე და ეს კომენტარები სამუდამოდ შეწყდა. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ გაეგოთ, თანამდებობაზე ჩემი გამო არ დანიშნულა“



„ზუსტად ვიცი, რომ ის ჩემი მეორე ნახევარია. 30 წლის ვიყავი, როდესაც ცოლად შევირთე. მანამდე ზუსტად ვიცოდი, როგორი ქალი უნდა მომეყვანა ცოლად. და კაბის შესაკერად რომ მოვიდა, მივხვდი, რომ ეს ის ქალია“





**ოდი?**

- ეს მაშინ დგება, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ზრდაში ვერ ეწევიან. ჩვენ ეს არ გვქონია. მუდმივად საინტერესო ეტაპებს გავდივართ. ვერ ვიცლით იმისთვის, რომ კრიზისი დავუშვათ. მსოფლიო კრიზისიც გვეყოფა, რამენაირად ვიმყოფინებთ :)

**- სიყვარულის შესანარჩუნებლად რისი კეთებაა საჭირო?**

- ამისთვის აუცილებელია ორი დღით ოჯახი ერთად სადმე გაძვრეს. აქვე ახლოს, კახეთში, ერთად გააკეთონ თუნდაც ბლინები, ხაჭაპურები, ერთად გაისეირნონ. ამ დროს ხედავ, რომ ამის დათმობა არანაირად არ გინდა და ეს შენია. როდესაც თავს კითხვას უსვამ - კიდევ უნდა ვიყო თუ არა მასთან ერთადო, თავს გარედან უნდა შეხედო. გონებაშიც არ უნდა დაუშვა, რომ წყვილი ცალ-ცალკე ეძებდეს სიტუაციას, გამოსავალს, ექსპერიმენტებს, თუ ეს მას არ უნდა. უნდა მიხვდე, ვიღაც ადამიანი ამ ყველაფრის დათმობად გიღირს თუ არა. პრობლემები ძალით რატომ უნდა შექმნა? ბედნიერება წამიერი შეგრძნებაც არის და მუდმივიც, უბრალოდ, უნდა დაინახო. ბედნიერი შეიძლება სულ იყო, როცა საქმეს აკეთებ, დილით შვილს სკოლაში აცილებ, საღამოს ერთი სული გაქვს მიხვიდე და ცოლს დაელოდო, ან ის გელოდოს. ერთად ვახშმობა, მის გვერდით გაღვიძება - ბევრი ნიუანსია, როდესაც თვალს ახელ და ცხოვრება გიხარია.

**- უმადურობაში გამოგიჭერიათ თავი?**

- ადამიანები ვართ უმადურები. 41 წლის ვარ და ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტი გეგმა მქონდა-მეთქი გავიფიქრებ ხანდახან. როცა ვერ ხედავ, ღმერთი დაგანახებს, სხვა გაჭირვებულ ადამიანს, ან ქუჩაში ან ეკლესიაში - როგორ შეიძლება იყო. მაშინვე გაფხიზლებს. ჩემი კარიერა ურთულეს პერიოდში დავიწყე - შუქი არ იყო, ტრანსპორტი არ იყო, კორპუსებში შეშის ღუმელებს დგამდნენ და ვის რაში აინტერესებდა მოდა. მაგრამ არა, თურმე ხალხს გახალისება და ზეიმი უნდოდა. ამ პერიოდს ხშირად ვიხსენებ.



ეს შემთხვევით არ მომხდარა. უნდა გამევლო. ნებისმიერ ადამიანს აქვს შანსი ფეხზე დადგეს თუ მთელი გულით უნდა. სხვისი მოლოდით არ უნდა იცხოვრო. დილით 7 საათზე ადგომა მიხარია, მუზები არ მასვენებს, ესკიზებს ვაკეთებ და მოვდივარ სამსახურში, ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მიყვარს. ამის არდანახვა როგორ შეიძლება?!

**- ანასტასიამ შეგცვალათ?**

- მე არ მახსოვს რა ხდებოდა ანასტასიამდე ჩემს ცხოვრებაში. ფსიქიკა გეცვლება მშობელი რომ ხდები. მე მის დაბადებას დავესწარი. ეს რას ნიშნავს, ენით ვერ გადმოსცემ. აფექტია, არ იცი, რა ხდება შენს ცხოვრებაში. ქალი ამ მისიის გამო გმირია, საოცრებაა. ამ ტკივილის გადატანა მხოლოდ ქალს შეუძლია. ქალი ბევრს იღებს თავის თავზე. სამუშაოდ არიან წასულები, ამ დროს მამაკაცი სახლშია და სადღეგრძელოს სვამს - ახლა ასე უნდა ვიყო მეო? ამისთვის კი არაფერს არ აკეთებს. ანასტასია ცხრა წლისაა, კარგად ხატავს, კარგად სწავლობს. მშობლიურთან ერთად კარგად ფლობს რუსულს, ფრანგულს და ინგლისურ ენებს. რამდენიმე კვირის წინ სამეჯლისო ცეკვებში პირველი ადგილი აიღო. ლექსებს მხატვრულად ამბობს. სპექტაკლებში გატაცებით, ემოციურად თანამაშობს, ხან ბოროტი ჯადოქარია, ხან სხვა გმირი. შეძლებისდაგვარად სულ ვესწრები მის წარმოდგენებს, მინდა ვუგულშემატკივრო, ვიყვირო. მშობელი ამით უნდა სუნთქავდე. მიკვირს ადამიანების, როდესაც შვილების ასეთ სიხარულს არ იზიარებენ და ძიძები ესწრებიან მათ წარმოდგენებს. ბავშვს მშობლის ემოცია სჭირდება და ამახსოვრდება. წლების მერე უკვირთ ხოლმე, ნეტა, სად გამეპარაო?

**- რა პროფესიას გინდათ გაჰყვეს?**

- მე მინდა ჩემს პროფესიას გაჰყვეს. კარგი ხედვა აქვს, ფანტასტიკურად ხატავს. არ მიჭირს შვილის ქება. ეს ბავშვმა უნდა იცოდეს. მე მინდა ჩემი საქმე აირჩიო, მეორეა - ანასტასია რას აირჩევს. ჩვენ გვერდით ვუდგავართ.





„ვცდილობ, რომ საღამოობით დაღლილობა მოვუხსნა, ჩაის ვუმზადებ. დილით ყავას ვუდუღებ. მეორე ნახევარს არ უნდა აგრძნობინო, რომ მისი დაკავებულობით ძალიან წუხდები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრეზიდენტი ისევ სკანდალში გაეხვია

ქეთი ხატიაშვილი

**რით დაგვამახსოვრებს თავს გიორგი მარგველაშვილი. ამ საკითხზე ჯერ ვერ ვიმსჯელებთ, წინ მას პრეზიდენტობის კიდევ სამი წელი აქვს. თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტენდენცია გამოკვეთილია – მარგველაშვილი ხმაურიანი და სკანდალური პრეზიდენტია.**

ახლა მორიგი სკანდალი მწიფდება და ამის ნიშნები უკვე გამოიკვეთა კიდეც. ვინ შეცვლის კოტე კუბლაშვილს? პასუხისთვის, როგორც ჩანს, პოლიტიკა ცოტა ხნით ყირაზეც კი დადგება. ყირამალას მთავარი გმირებიც უკვე გამოჩნდნენ – დავით საგანელიძე და ზაქარია ქუცნაშვილი ერთმანეთს ისე დაუპირისპირდნენ, თითქოს ერთ ჯგუფში კი არა, სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკებში იყვნენ.

თუმცა, თემას დავუბრუნდეთ.




## რას საყვედურობენ მარგველაშვილს ექსპერტები



## ევა გოცირიძე, ნინო გვენეტაძე თუ ანა დოლიძე – ვინ გახდება პრეზიდენტის რჩეული

პრეზიდენტმა კანდიდატურის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებით თავიდანვე უცნაური მეთოდი შეარჩია. ამ პროცედურამ ერთი ანეკდოტიც კი გამახსენა. მამა შვილს ხორცის მცირე ნაჭერს დაუდებს თეფშზე, ბავშვი მას სწრაფად გადაყლაპავს და მამას მეორე ნაჭერს მოსთხოვს. ხორცის ნაჭრის ნაცვლად, მამა მას ეტყვის: რას ყლაპავდი, გეგლახავებინა ცოტა ხნით პირშიო...

ხორცის მცირე ნაჭერივით აგლახავა ეს საკითხი პრეზიდენტმაც. მას იმდენად მცირე უფლებები აქვს, რომ შესაძლოა, ცდილობს, საკუთარი მნიშვნელობა რომელიმე კონკრეტულ თემაზე მაქსიმალურად გააპიაროს. ამიტომაც ჯერ პარტიებსა და არასამთავრობოებს შეხვდა და მთელი პროცედურა გაიარა კრიტერიუმების გამოსავლენად. ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო კანდიდატის მაქსიმალური დისტანცირება პოლიტიკური პროცესებიდან.

კრიტერიუმების დადგენის შემდეგ, დაანონსდა პრეზიდენტის საგანგებო ბრიფინგი, სადაც გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ ახლა ყველას შეუძლია, კანდიდატები წარუდგინოს პრეზიდენტსო. და კანდიდატების ცვენაც დაიწყო.

მოკლედ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის შერჩევის პროცესი და პროცედურაც სანახაობად უფრო იქცა, ვიდრე საქმედ. საბოლოო ჯამში, გაირკვა, რომ პრეზიდენტმა საერთოდაც არ იცის, როგორ, რა კრიტერიუმებით შეარჩევს თავად უკვე იმ ერთ კანდიდატს, რომელსაც პარლამენტს წარუდგენს.

ეს ისტორია ძალიან ჰგავს ვეტოს დადებას. მაშინაც, პრეზიდენტმა ორჯერ დაადო ვეტო ფარული მოსმენების შესახებ კანონს. პარლამენტში უმრავლესობაც კი ორად გაიყო. ერთ-ერთმა დეპუტატმა პირად საუბრებში მითხრა: მეგონა, პრეზიდენტს საკუთარი პროექტი ჰქონდა, მეგონა, რომ ის, რასაც მისი ადმინისტრაცია შემოიტანდა, განხილვისა და მხარდაჭერის ღირსი იქნებოდა, თუმცა, საბოლოოდ, გაირკვა, რომ პრეზიდენტმა არა მხოლოდ თავად ვერ წარმოადგინა ვერაფერი, აი, საერთოდ ვერაფერი, ამ პროცესსაც შეუშალა ხელი და ვადები შეგვიზღუდა.

როგორც ჩანს, ახლაც იგივე ხმაური და იმედგაცრუება გველის წინ. პარლამენტში უმრავლესობა უკვე გაიყო. პრეზიდენტმა კი არ იცის, წარდგენილი კანდიდატებიდან როგორ, რის მიხედვით შეარჩევს კანდიდატს. ადმინისტრაციას აქ პასუხი არ აქვს.

ექსპერტების მოსაზრებით, ასეთი პროცედურების არჩევით, მარგველაშვილმა მთლიანად მოიხსნა პასუხისმგებლობა. ახლა მას შეუძლია თქვას: და რა გინდათ ჩემგან? კრიტერიუმებიც თქვენ განსაზღვრეთ და კანდიდატებიც თავად წარმოადგინეთ. მე მხოლოდ გამტარი ვიყავიო.

სხვათა შორის, გამტარის ფუნქცია მაქვსო, პრეზიდენტმა ადრეც თქვა. მაშინ როცა ღარიბაშვილმა კაბინეტის შემადგენლობა წარუდგინა პარლამენტს. შემადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში სწორედ პრეზიდენტმა შეიტანა. მაშინაც მარგველაშვილმა თქვა, რომ მას გამტარის ფუნქცია აქვს.

ანუ ამ გამტარობით ის ყოველ ჯერზე პასუხისმგებლობას იხსნის.

ექსპერტების შეფასებით, ვინც არ უნდა წარადგინოს პრეზიდენტმა იმ 28-კაციანი სიიდან, პარლამენტში ყველა ჩავარდება. საგანელიძე-ქუცნაშვილის დაპირისპირება უკვე ამის მანიშნებელია.

საერთოდ, კანდიდატურის შერჩევის პროცესშიც ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. მაგალითად, თუკი ერთ-ერთ კრიტერიუმად შეირჩა კანდიდატის აპოლიტიკურობა, მაშინ გაურკვეველია, რატომ წარადგინეს თავისუფალმა დემოკრატებმა შალვა შავგულიძის კანდიდატურა? ან რატომ მიიღო მისი კანდიდატურა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ?

თუმცა, ირაკლი ალასანიას პარტია აქ მარტო არ ყოფილა. პოლიტიკასთან შეხებაში მყოფი პირები სხვებმაც დაასახელეს. მაგალითად, ნინო გვენეტაძე, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის“ სახელით მაჟორიტარად იყრიდა კენჭს ხაშურში. მაგალითად, ზაქარია ქუცნაშვილი, რომელიც ბოლო დრომდე აქტიურ პოლიტიკაშია.

მარგველაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობასთან, ოპოზიციასთან და არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციების შედეგად, ოთხი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა – პრინციპულობა, მენეჯერული თვისებები, პარტიული გავლენისგან თავისუფლება და პროფესიონალიზმი. სერიოზული ექსპერტების შეფასებით, ამ კრიტერიუმებს სრულად არც ერთი ის კანდიდატი არ აკმაყოფილებს, ვინც უკვე წარდგენილია.

უკვე არის ვერსიები, ვის წარდგენას გეგმავს პრეზიდენტი, თუმცა ამჯერად მოვლენებს წინ არ გავუსწრებთ და თითოეული მათგანის განხილვას არ შევუდგებით.

თუმცა, ვიტყვით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რამდენად შეძლებს ის რეფორმების გატარებას, საზოგადოებაში ნდობისა და სისტემის შიგნით ავტორიტეტის მოპოვებას.

ასე რომ, გიორგი მარგველაშვილს დიდი პასუხისმგებლობა აქვს თავის თავზე აღებული და როგორი „გამჭვირვალე“ პროცესიც არ უნდა შექმნას, საბოლოოდ პასუხისმგებელი მაინც თავად არის. ექსპერტები პრეზიდენტს ურჩევენ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის შესარჩევად ახალი პროცედურა დაიწყოს.

**P.S. გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე დიდი შანსები მაინც ქალებს აქვთ. არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტი პარლამენტს სწორედ ქალის კანდიდატურას წარუდგენს. მათ შორის სახელდებიან: ევა გოცირიძე, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოში მუშაობის გამოცდილებაც აქვს; ნინო გვენეტაძე, რომელმაც სასამართლო, სხვა 5 მოსამართლესთან ერთად დატოვა, რითაც სააკაშვილის მმართველობის დროს მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლა გააპროტესტა; და ანა დოლიძე, რომელიც საიას თავმჯდომარეობდა. ამის გარდა, კონკურსში მონაწილეობს კიდევ ორი ქალბატონი, რომელთანაც ერთი არჩილ კბილაშვილის ოჯახის წევრია და მეორე მასთან ერთად პროკურატურაში მოღვაწეობდა. ვისზე შეარჩევს პრეზიდენტი ყურადღებას, ჯერ უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის ფსონს იურიდიული ფაკულტეტის დეკანზე დადებს. მოკლედ, ვარაუდი ბევრია, ვაკანსია – მხოლოდ ერთი. ექსპერტები პრეზიდენტს ახალი პროცესის წამოწყებას ურჩევენ. მათ მიაჩნიათ, რომ შერჩეულ კრიტერიუმებს არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს.**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოსო ცინცაძე: „კლასიკური იმპრესარიო გვყავს კულტურის მინისტრად, ბუღალტერი კი – განათლების მინისტრად, მეტი რაღა უნდა ვთქვა?..“

**„ალასანია გამოდის და კონტრდაზვერვას მოუწოდებს, შეისწავლეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებს ფული საიდან აქვთ, ამას ასე ღიად პუტინიც არ ამბობს“**



EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

**მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმება ჯერ ვერ შედგა, ისინი ორ მტრულ ბანაკად არიან გაყოფილნი. ეს არის დღეს მთავარი კრიზისი საქართველოში. და სანამ ასეა, გამოსავალი არც ვადამდელი არჩევნებია და არც საკადრო ცვლილებები... სანამ მთავარი პოლიტიკური ძალები თამაშის ერთიან წესებზე არ შეთანხმდებიან, მანამდე ძნელია ისაუბრო სტაბილურობაზე. სანამ პოლიტიკოსები გუნდურად თამაშს არ ისწავლიან, მანამდე „გოლი“ ავტოგოლი იქნება...**

**და სანამ ქართული პოლიტიკა ჯერ კიდევ ძალიან შორს არის პოლიტიკური სტანდარტებისგან, ექსპერტები ცდილობენ, გამოიცნონ, როგორ განვითარდება მოვლენები.**

**„პრაიმტაიმს“ ექსპერტი სოსო ცინცაძე ესაუბრა. საუბარი ვერტიკალზე მოსალოდნელი ცვლილებებით დავიწყეთ:**

– ვფიქრობ, საკადრო ცვლილებები განსახორციელებელია. განათლებისა და საგარეო საქმეთა მინისტრები გასაშვებები არიან. ფაქტობრივად, ეს მათი დანიშვნის დღიდანვე იყო ცნობილი. დანარჩენებს ვერ გეტყვით, ეს ჩემი პროფესიის სფეროს შორდება. ფინანსთა მინისტრზე ვერაფერს გეტყვით, ვერც ეკონომიკის მინისტრზე. აქ ობივატელის დონეზე შემიძლია ვიმსჯელო. ანუ რადგან ეკონომიკა ცუდია, ეკონომიკის მინისტრი არ ვარგა, ან რადგან ლარი ეცემა, ფინანსთა მინისტრი არ ვარგა. ეს არ იქნებოდა სწორი. ამას შეიძლება ობიექტური მიზეზები აქვს, რაც არაპროფესიონალისთვის მიუწვდომელია.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ქვეყანას საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია, მინისტრი აბსოლუტურად არაადეკვატურია...

**– მაგალითების მოყვანა შეგიძლიათ?**

– მაგალითად, რუსეთთან ვერ მოხერხდა დიალოგის რეჟიმში გადასვლა და მოლაპარაკება. მართალია, რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს ვერ დააბრუნებს, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს დიალოგი, რომელიც სტიმულს მისცემს რუსეთს, რომ ეს მავთულხლართები აღარ გადმოიწიოს?

გარდა ამისა, პრემიერის განცხადებები, იგივე დიდ აბრეშუმის გზაზე, საგარეო პოლიტიკის ნაწილია... არარეალურია – დიდი აბრეშუმის გზა ჩინეთმა 2013 წელს უკვე აამუშავა და 2014 წელს მატარებლების უკვე მეორე შემადგენლობა გაუშვა ესპანეთში... ჩვენთან შემოდგომაზე კონფერენციას ატარებენ.

აღარაფერს ვამბობ ჩვენს საზღვრებზე... რუსეთს თავი დავანებოთ, საზღვარი აზერბაიჯანთანაც კი არ გვაქვს დადგენილი...

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მეცნიერება აღარ არსებობს, რაც ლომაიამ დაიწყო – ქართული მეცნიერების ნგრევა, სხვა მინისტრებმაც წარმატებით გააგრძელეს... და ახლა ასეთივე წარმატებით აგრძელებს ეს ბუღალტერი ქალბატონიც.

ანუ კლასიკური იმპრესარიო გვყავს კულტურის მინისტრად, ბუღალტერი კი – განათლების მინისტრად, მეტი რაღა უნდა ვთქვა?..

**– არის მინისტრი, რომლის მიმართაც პოზიტიური განწყობა გაქვთ?**

– პოზიტიურად ჯანდაცვის მინისტრს ვუყურებ...

**– უფასო დაზღვევის მიუხედავად?..**

– იცით, რა? დაზღვევის სისტემას ამერიკა 200 წლის განმავლობაში აწყობდა, ისევე როგორც ევროპა... საერთოდაც, მსოფლიოში დაზღვევა და ბანკები უთოფო ყაჩაღები არიან...

**– დიახ, აწყობდა 200 წელი, თუმცა, უფასო დაზღვევაზე არ აწყობდა...**

– უფასო დაზღვევა არც არსებობს... დააკვირდით ფსიქოლოგიურ მომენტს. შეწუხებული სახე მხოლოდ ერთ მინისტრს აქვს, დანარჩენებს ბედნიერი სახეები აქვთ... ნახეთ სხვა მინისტრები... ვერ ატყობთ, რომ შეწუხებულია, რომ რაღაცაზე დარდობს და ფიქრობს... რაც შეეხება დაზღვევას, მეც არ მომწონს... რა თქმა უნდა, ათასი თაღლითური კომპანიაა...

**– რამდენად შესაძლებელია, მინისტრთა კაბინეტი შეიცვალოს?**

– ეს ვადამდელ არჩევნებთან არის დაკავშირებული. თუ ივანიშვილმა ვადამდელი არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა, მაშინ ეს უნდა შეიფუთოს კონსტიტუციურად...

თუმცა, მეორე უკიდურესობა არის ის, რომ ქვეყანა კრიზისშია და პასუხისმგებელი არავინაა. თურმე, ყველა ჩვენი გასაჭირი საგარეო ფაქტორებით არის განპირობებული.

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასები 70%-ით დაეცა, ჩვენთან კი ბენზინი 5%-ით გაიაფდა და ესეც საერთაშორისო მოვლენის ბრალია? ამიტომ ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს.

თუმცა, თუ ბიძინამ გადაწყვიტა, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მძიმე ვითარება იქნება და „ქართულ ოცნებას“ რეიტინგი კიდევ უფრო დაუვარდება, მაშინ კაბინეტს შეცვლის... ისე კი, ვერ ვხედავ ამის აუცილებლობას.

**– „ქართული ოცნებისგან“ შეიქმნება ერთი გუნდი?**

**„რაც შეეხება გუნდებს, არის ლაპარაკი მარგველაშვილის, ვასაძის ლიდერობაზე, მაგრამ არა, ეს ძალა არ არის“**

– არა, ივანიშვილმა თამასა ძალიან მაღლა ასწია პოლიტიკაში... პოლიტიკა ყველგან ფულზეა დამოკიდებული, იგივე არჩევნები... ჩვენთან ეს ძალიან გაძვირდა. იმიტომ რომ უდაბნოში არის ერთი გიგანტი – ივანიშვილი... თამასა მაღალია. ივანიშვილს შეუძლია დახარჯოს ერთი მილიარდი, სხვას რა შეუძლია?.. ახალი ძალის ჩამოყალიბება ძვირი დაჯდება... თუ ახალი ოლიგარქი არ გამოჩნდა.

**– მე ვგულისხმობ, „ქართული ოცნების“ შიგნით თუ გამოიკვეთება ერთიანი გუნდი...**

– არა, „ქართული ოცნება“ – ეს არის ხელოვნური ეკლექტიკა, სადაც 2-3 ადამიანიც კი არ არის ფასეულობებითა და ღირებულებებით ერთიანი. ისინი სხვადასხვა პრინციპებისა და მორალის მქონე ადამიანების ნაკრებია... „ქართული ოცნება“ პარტია კი არა, კოალიცია იყო, ეს იყო ფრონტი, მათი მთავარი ამოცანა სააკაშვილის გადაგდება იყო. და, კანონით, პარლამენტში შევიდნენ თუ არა, უნდა დაშლილიყვნენ.

რაც შეეხება გუნდებს, არის ლაპარაკი მარგველაშვილის, ვასაძის ლიდერობაზე, მაგრამ არა, ეს ძალა არ არის.

თავისუფალი დემოკრატები ნახეთ. ალასანია, ეს ნომერ პირველი თავისუფალი დემოკრატი, გამოდის და კონტრდაზვერვას მოუწოდებს, შეისწავლეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებს ფული საიდან აქვთო, ამას ასე ღიად პუტინიც არ ამბობს... მე თვითონ ვუსმინე ალასანიას, ეს რომ თქვა. ეს არის კუდიანებზე ნადირობა... მით უფრო, როცა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ამაზე ღიად ლაპარაკობს, რა თავისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებზეა საუბარი?

რაც შეეხება მთავრობის, როგორც წარმატებული პოლიტიკური ძალის პერსპექტივას, ეს ყოველთვის სოციალური მდგომარეობაზეა დამოკიდებული. გაართმევს თავს ღარიბაშვილი ამ კრიზისს და, რასაკვირველია, შანსებიც ექნება. თუ მას იგივე დაემართება, რაც სააკაშვილს – ყოვლისშემძლეობის სინდრომი, ეს ცუდი იქნება. ჩემთვის მიუღებელია, როცა ქვეყნის პრემიერი ნაციონალებზე ამბობს, ეს არის დამნაშავე ძალაო.

**– გეთანხმებით ამაში...**

– დიახ, ეს მიუღებელია. ნაციონალებს 20% უჭერს მხარს, ამათ კი ნუ ლანძღავ, იმ 20%-ზე იმუშავე და გააკეთე ისე, რომ ნაციონალებმა ნაკლები პროცენტი მიიღონ.

საერთოდ, გამსახურდიადან დღემდე ჩვენი საზოგადოება სულ იმედგაცრუების გზით მიდიოდა. გამსახურდიას რომ მხარდაჭერა ჰქონდა, მასეთი სხვას ვის ჰქონდა? მაგრამ სამოქალაქო ომის დროს ისე გადააგდეს, რომ ორი კაციც არ გამოვიდა მის დასაცავად, შევარდნაძესაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა... მიშა რომ მოვიდა, მთელი საქართველო მიშა-მიშას ყვიროდა. მერე, ბიძინა-ბიძინას ყვიროდნენ, ახლა საქართველოში აღარავის სახელს აღარ ყვირიან...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა გაფრთხილება მისცა ას



**my View**
ნინო მჭედლიშვილი



**ამჯერად, ასტროლოგ დავით ბუტიკაშვილს, ლელა წურწუმიას მონაცემები გავუგზავნეთ. როგორც უკვე იცით, ბატონმა დავითმა არ იცის, კონკრეტულად რომელ ცნობილ ადამიანზე უწევს საუბარი. აი, რა თქვა მან მომღერალზე.**

**- არ ვიცი ქალია თუ კაცი, მაგრამ ორივე შემთხვევას განვიხილავ.**

თუ ქალია, მაშინ მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო მოსალოდნელია ხელოვნება იყოს, კერძოდ, სასცენო ხელოვნება, იქ, სადაც თავისი ინდივიდუალობის გამოვლენით იზიდავს საზოგადოების ყურადღებას, ამაზე მიუთითებს ვენერა ვერძის ზოდიაქოში, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ძალზედ კარგად გამოხატავს საკუთარ ინდივიდუალობას და ამით იხვეჭს პოპულარობას. დაღმავალი კარმული კვანძი სასწორის ზოდიაქოში ასევე მიუთითებს ხელოვნების თანდაყოლილ ნიჭზე...

28 ან 30 წლის ასაკამდე პერიოდში მას უწევდა სიძნელეების დაძლევა, რომლებმაც მას ასწავლეს უფრო აქტიურად და ღიად გამოეხატა საკუთარ ინდივიდუალობა და ამის შემდეგ ის უკეთესად ახდენს საკუთარი ნიჭის რეალიზაციას. ამ ასაკის შემდგომ იწყებს ის უკეთეს კარიერას. ამაზე მის ჰოროსკოპში მიუთითებს სატურნი ვერძის ზოდიაქოში. ამ პლანეტამ სრული ციკლი შეასრულა 28 წლის 30 წლის ასაკის შესაბამის პერიოდებში.

**- რომელი ზოდიაქოს ნიშნები თამაშობენ მის ცხოვრებაში დადებით როლს?**

- მის ცოხვრებაში დადებით როლს ხშირად ითამაშებენ ადამიანები, რომლებიც დაბადებულნი არიან მერწყულის და სასწორის ზოდიაქოს ნიშნით, არა აქვს მნიშვნელობა რა ურთიერთობები აკავშირებს მას ამ ადამიანებთან, ამ ადამიანების ლოგიკა ხშირად დაემთხვევა მისი წარმატებების გზას. ამიტომ ამ ადამიანების იდეები და რჩევები ხშირად წარმატებების მომტანი იქნება მისთვის. მერკურის ტრიგონი ურანთან მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანი თავისი საუბრის, ნიჭის ან ხმის წყალობით ყველაზე კარგად გამოხატავს საკუთარ ინდიუვიდუალობას, ამიტომ თუ ქალია, ეს შეიძლება იყოს მსახიობი, ტელეწამყვანი ან მომღერალი, ხოლო თუ კაცია, ვინაიდან მარსი იმყოფება მორიელის ზოდიაქოში, ეს შეიძლება იყოს იურისტი, ფსიქოლოგი ან ასევე ჟურნალისტი. მიუხედავად იმისა, რომ მზის მიხედვით ის მერწყულია, მისთვის დამახასიათებელია მშვილდოსნის ზოდიაქოს თვისებებიც. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე მშობელი დაბადებული იყოს მშვილდოსნის, ვერძის და ლომის ზოდიაქოს ნიშნით.

**- რას იტყვით მისი ხასიათის თვისებებზე?**

- ურთიერთობებში ის საკმაოდ პირდაპირია. ნებისმიერ შემთხვევაში გარშემომყოფებმა კარგად იციან თუ რა შეხედულების არის ის ამა თუ იმ ადამიანზე. მთვარე მშვილდოსანში მიუთითებს, რომ არ არის გამორიცხული მის ცხოვრებაში იყოს პერიოდები, როდესაც მას უცხოეთში მოუწევს ან უწევდა ხანგრძლივი ცხოვრება. შესაძლოა, რაიმე უძრავი ქონების პატრონი გახდეს უცხოეთში. მისი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მოულოდნელი ცვლილებები, მაგალითად, ასეთი ადამიანის ცხოვრებაში მოულოდნელად შეიძლება გაჩნდეს წარმატებების მომტანი შესაძლებლობები, მაგრამ ასევე მოულოდნელად შეიძლება შეწყდეს წარმატებები. ამაზე მის ჰოროსკოპში მიუთითებს იუპიტერის და ურანის შეერთება. ეს შეერთება იმაზეც მეტყველებს, რომ ასეთი ადამიანი საკუთარი მიზნების და სურვილების რეალიზაციას დაოჯახების შედეგად აღწევს, მაგრამ არა ნაადრევ ასაკში დაოჯახების შემთხვევაში. თუ ასეთი ადამიანი 28 წლის ასაკამდე არის დაოჯახებული, შესაძლოა ეს ოჯახი დანგრეულიყო, რადგან ამ პერიოდში მას მოუწევდა სერიოზული სიძნელეების დაძლევა ამ ოჯახურ ურთიერთობებში. 28 წლის ასაკის შემდგომ, როდესაც სატურნი ერთ სრულ ციკლს შეასრულებდა მის ჰოროსკოპში, დაოჯახება მისთვის წარმატებების მომტანი იქნებოდა და წარმატებების მიღწევის შესაძლებლობებს გააფართოებდა მის ცხოვრებაში. მარსი მორიელში მიუთითებს, რომ მას შეუძლია, როდესაც საჭიროა, ჩრდილში იყოს და გააქტიურდეს მაშინ, როდესაც ეს ყველაზე წარმატებული იქნება მისთვის...



**„ვიღაცებს უკვირდათ, რატომ არ შევქმენი ოჯახი ამ ასაკამდე“**

**- რას მეტყვით მის პირად ცხოვრებაზე?**

- რადგან ვენერა იმყოფება კარდინალურ ზოდიაქოში, მე-4 ან მე-5 სახლში (ვინაიდან დაბადების დრო ზუსტად არ ვიცით), ასეთ ადამიანს თავად გარემოებები ახვედრებს ისეთ სიტუაციაში, სადაც ჩნდება პირადი ოჯახის მოწყობის საუკეთესო შესაძლებლობა და ამ ადამიანის ოჯახური ურთიერთობები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება. აგრეთვე, ვენერას ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანი ოჯახურ ურთიერთობებში ან დომინირებს, ან დომინირების საშუალებას მეუღლეს ანიჭებს. შუალედური მდგომარეობა ნაკლებად არის მოსალოდნელი. თუმცა, ეს არანაირად არ არღვევს მის ოჯახურ იდილიას.

**- რომელი ზოდიაქოს ნიშნები უქმნიან მას პრობლემებს?**

- მის ცხოვრებაში პრობლემები შეიძლება გამოიწვიონ კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა ადამიანებმა. ამ ადამიანების ლოგიკა ხშირად შეეწინააღმდეგება მისი წარმატებების გზას. ამიტომ ის უკეთესი მრჩეველია ამ ადამიანებისთვის ვიდრე პირიქით. შავი მთვარე (კარმული ვალების პლანეტა) მის ჰოროსკოპში იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მოსალოდნელია კარმული ვალების გასტუმრებამ მოუწიოს სანათესაოსთან ურთიერთობებში, კერძოდ, შესაძლოა, ასეთ ადამიანს ხშირად უწევდეს რაიმე დახმარების გაწევა სანათესაოს მიმართ. აგრეთვე, თუ ასეთი ადამიანი მართავს ავტომობილს, სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით 9-ის ჯერად ასაკებში (ეს არის 18, 27, 36, 45, 54, 63 და ა.შ. წლის ასაკები). უმჯობესია, ამ ასაკების შესაბამის პერიოდებში საჭესთან არ დაჯდეს.

**- რომელი წლებია მისთვის ყველაზე წარმატებული?**

- ყველაზე წარმატებული პერიოდი უახლოეს მომავალში მისთვის იქნება 2016 წლის სექტემბრიდან - 2017 წლის სექტემბრამდე, თუმცა თუ რაიმეს წამოწყება შეძლო 2014 წლის 17 ივლისიდან - 2015 წლის 12 აგვისტომდე პერიოდში, მოსალოდნელია ეს წამოწყებებიც მისთვის წარმატებების მომტანი აღმოჩნდეს. პერიოდი 2015 წლის 12 აგვისტოს შემდგომ სასიკეთო იქნება ფინანსური შემოსავლების სფეროში, მაგრამ სასურველია გაითვალისწინოს, რომ ამ პერიოდში საკუთარი სურვილების აყოლამ მოსალოდნელია გადაჭარბებული ფინანსური დანახარჯები მოუტანოს. ვინაიდან იუპიტერი მის ჰოროსკოპში იმყოფება რეტროგრადულ მოძრაობაში სასწორში, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებები ასეთ ადამიანთან მოდის მაშინ, როცა უნდა მოვიდეს. არა აქვს აზრი რაიმეს დაჩქარებას მის ცხოვრებაში. წარმატებების მისაღწევად უმჯობესია ის ჩამოყალიბდეს თავიდან საკუთარ მიზნებში, თუ რისი მიღწევა სურს და შემდგომ ამ მიზნებისკენ მოძრაობა დაიწყოს საკუთარ თავზე მუშაობით, ანუ იმ თვისებების გამომუშავებით და იმ აუცილებელი ცოდნის ან ინფორმაციის მოპოვებით, რომელიც ამ მიზნების განხორციელებისათვის სჭირდება და როდესაც ამ მხრივ გარკვეული სამუშაო ჩატარებული ექნება საკუთარ თავზე, ცხოვრება მას თავად შესთავაზებს ამ მიზნების განხორციელების საუკეთესო შესაძლებლობებს.

**„არასდროს გამჩენია სურვილი მამულიჩასგან დამესვენა“**

**- ლელა, ზოგადად რა დამოკიდებულება გაქვთ ასტროლოგიასთან?**

**ლელა წურწუმია:** ზომიერი, ნორმალური. ყველა ადამიანი ინდივიდია, ყველას აქვს თავისი ინდივიდუალური თვისებები, ჩვევები, თუმცა საერთო ყოველთვის აქვთ ერთი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს. ამდენად, გარკეული ინფორმაცია მაქვს მერწყულის შესახებ. ბევრი რამ, რაც ბატონმა დავითმა ჩემს შესახებ თქვა, აქამდეც არ იყო უცხო.

**- თქვენ უკვე გაეცანით ბატონი დავითის ინტერვიუს, უბრალოდ, მე ფრაგმენტულად შეგახსენებთ ამონარიდებს თქვენი დახასიათებიდან. თქვენ დამეთანხმეთ ან უარყავით... 28-29 წლის ასაკამდე სირთულეები ჰქონდა ცხოვრებაში... რას უკავშირდებოდა ეს სირთულეები?**



- ზოგადად ქვეყანაში იყო რთული პერიოდი. ჩემი სტუდენტობის პერიოდში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები. შესაბამისად, არ იყო ადვილი თავის დამკვირდება. ახლა ბევრი საშუალებაა იმსთვის, რომ ადამიანი ცნობილი გახდეს. მაშინ არ იყო ამდენი არხი, ამდენი კომუნიკაციის საშუალება. მხოლოდ ერთი ცენტრალური არხი არსებობდა და ძალიან მწირი იყო ჩვენი პროფესიის ადამიანებზე ინფორმაცია. ყველას არ შეეძლო სცენაზე გასულიყო და ემღერა. ალბათ, ამ სირთულეებს გულისხმობდა ბატონი დავითი. ჩემს ცხოვრებაში ადვილად არაფერი მოსულა. 5 წლიდან ვმღერი, მთელი ბავშვობა სცენაზე მაქვს გატარებული. ყველა სცენაზე ნამღერი მაქვს: ფილარმონიის, კონსერვატორიის, რუსთაველის თუ ოპერის თეატრის. ბევრი ვიწვალე, ვიშრომე, რომ ვყოფილიყავი ის, ვინც ვარ.

**- საკმაოდ პირდაპირია ურთიერთობაშიო...**

- ასეა, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ ზომიერება დავიცვა. თუნდაც, როცა მწვავე თემაზე ვკამათობ, ვცდილობ ვიყო კორექტული, მაგრამ მიყვარს პირდაპირობა, ამას ვერ უარვყოფ.

**- ნებისმიერ შემთხვევაში გარშემომყოფებმა, კარგად იციან თუ რა შეხედულების არის ის ამა თუ იმ ადამიანზე...**

- (იღიმება)... ვერ ეცოდინებათ. ასეთი გახსნილიც არ ვარ. ეს იციან მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებთანაც წლები მაკავშირებს.

**- გამორიცხული არ არის, ამ ადამიანის ცხოვრებაში იყოს პერიოდი, როდესაც მას უცხოეთში მოუწევს ან მოუწია ცხოვრებამ...**

- უცხოეთში ხშირად მიწევს წასვლა, ზოგჯერ გასტროლით, ზოგჯერ ტურისტულად, თუმცა, არა მგონია რომელიმე ქვეყანაში დავსახლდე, გამორიცხულია, არ შემიძლია. გამაკვირვა იმანაც, რომ შესაძლოა, უცხოეთში რაიმე უძრავი ქონების მფლობელი გავხდე. ჯერჯერობით ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

**- დაოჯახების შემდეგ აღწევს მიზნებსა და სურვილებსო...**

- ამაში ნამდვილად ვერ შევედავები ბატონ დავითს, ნამდვილად ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაში. იმას რასაც ახლა მამულიჩა აკეთებს, ვაკეთებდი მე. რთულია მომღერლისთვის შეითავსო პროდიუსერის ფუნქციებიც. როგორც კი მამულიჩა გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ის იყო კარგი საყრდენი ჩემთვის. ყველაფერთან ერთად ამ ადამიანმა კარგად შეისწავლა ჩემი პროფესია და ასე მოვდივართ ერთად. ჩვენ არ ვართ მხოლოდ ცოლ-ქმარი, ჩვენ ვართ კარგი პარტნიორები.

**- ამბობენ, წყვილმა ზოგჯერ უნდა დაისვენოს ერთმანეთისგანო. თქვენ, ალბათ, ამას ვერ მოახერხებთ...**

- რა გითხრათ, ასტროლოგმა, ნინო ხომერიკმა მითხრა ერთხელ, შენ და მამულიჩას კარმული ქორწინება გაქვთო.

**- ეს რას ნიშნავს?**

- იმას, რომ ერთი მთელი ვართ ორივე ერთად. არასდროს გამჩენია სურვილი, მისგან დამესვენა.

**- თუ 28 წლის ასაკამდე შექმნიდა ოჯახს, აუცილებლად დაენგრეოდაო. იყო ალბათობა, რომ ამ ასაკამდე შეგექმნათ ოჯახი?**

- ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, იყო მცდელობები, მაგრამ ძირითადად პრეტენზია ჰქონდათ ჩემს პროფესიასთან. ვინაიდან სერიოზულად ვუყურებდი ჩემს პროფესიას, ამ ადამიანებს უფრო ადვილად ვთმობდი, ვიდრე პროფესიას. ვიღაცებს უკვირდათ, რატომ არ შევქმენი ოჯახი ამ ასაკამდე. ალბათ, იმიტომაც რომ მსუბუქად არ ვუყურებდი ოჯახის ინსტიტუტს.

**- მას შეუძლია, ჩრდილში იყოს და გააქტიურდეს მაშინ, როდესაც ეს ყველაზე წარმატებული იქნება მისთვის.**

- მართალია, ინტუიცია მკარნახობს, როდის უნდა ვიყო აქტიური და როდის - პასიური.

**- მისი ოჯახური ურთიერთობები აუცილებლად ხდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში...**

- ბუნებრივია, პოპულარული ადამიანების ცხოვრება ყოველთვის არის საზოგადოების ინტერესის სფერო,



**„ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, იყო მცდელობები, მაგრამ ძირითადად პრეტენზია ჰქონდათ ჩემს პროფესიასთან. ამიტომ, ვინაიდან სერიოზულად ვუყურებდი ჩემს პროფესიას, ამ ადამიანებს უფრო ადვილად ვთმობდი, ვიდრე პროფესიას“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტროლოგმა ლელა წურწუმიას

„ასეთი ადამიანი ოჯახურ ურთიერთობებში ან დომინირებს, ან დომინირების საშუალებას მეუღლეს ანიჭებს. შუალედური ფორმა არ არსებობს“






„21 წელია საჭესთან ვზივარ და კარგი მძღოლი ვარ. კაცივით დამყავს მანქანა, ქალივით - არა“

თუმცა მე მაინც ვცდილობ ეს დაფარული იყოს, არ მიყვარს პირადი ცხოვრების გადმოფენა, სააშკარაოზე გამოტანა. პირადი არის პირადი.

**- ასეთი ადამიანი ოჯახურ ურთიერთობებში ან დომინირებს, ან დომინირების საშუალებას მეუღლეს ანიჭებს. შუალედური ფორმა არ არსებობს. გამოტყდით, რომელია დომინანტი ოჯახში.**

- (იღიმება) უნდა ვაღიარო, შუალედური ფორმა მართლაც არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ვარ დომინანტი.

**- მიუხედავად იმისა, რომ გათამამებული გყავთ, ზედმეტად უვლით?**

- არ ვიცი ამას გათამამება ჰქვია თუ არა, ჩემი ბუნებაა ასეთი, როგორც შეაჩვევ ისევე მოგთხოვს ბოლომდე. მე ვარ ასეთი, ზედმეტად მოწესრიგებული. ყველაფერი უნდა ვიცოდე, სად რა დევს, რომელ საათზე მოდის სახლში, რომელ საათზე მივდივართ. რომელ საათზეა ფრენა, რამდენი დრო სჭირდება ფრენას, რამდენია ლუფტი გადაჯდომის, ადგილზე რომელ საათზე იქნება, რამდენია განსხვავება დროში საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის, რომელშიც მიფრინავს. მით უმეტეს თუ ჩემს საქმეს ეხება. გარდა იმისა, რომ ვარ მერწყული, წლის მიხედვით ვარ მამალი. მამლის წელში დაბადებული ადამიანები არიან სამხედრო პირები. მამალს უყვარს წესრიგი. მერწყულ მამლებს, უფრო კაცური თვისებები აქვთ ვიდრე ქალის. ამიტომ უნდა ვიცოდე ყველაფერი წინასწარ.

**- კარმული ვალების გასტუმრებამ შეიძლება მოუწიოსო სანათესაოსთან ურთიერთობაში, კერძოდ, ასეთ ადამიანს, შესაძლოა, ხშირად უწევდეს რამე ტიპის დახმარების გაწევა ნათესაობისთვის.**

- ესაც მართალია, მიწევს ყოველთვის.

**- წარმატებები ამ ადამიანთან მოდის მაშინ, როცა უნდა მოვიდეს. არ აქვს აზრი დაჩქარებას.**

- ზუსტად ასეა.

**- დასასრულ, გაფრთხილებთ ბატონი დავითი. კონკრეტულ ასაკებს გეუბნებათ, როცა უნდა მოერიდოთ საჭესთან ჯდომას, რადგან დიდია ავარიის ალბათობა. მართავთ საჭეს?**

- კი, 21 წელია საჭესთან ვზივარ და კარგი მძღოლი ვარ. კაცივით დამყავს მანქანა, ქალივით - არა (იცინის). შეიძლება ქალებს ჩემი ეს სიტყვები გულზე მოხვდეთ, მაგრამ ზოგადად სუსტი სქესი მაინც მოიკოჭლებს ამ საკითხში. თუმცა, ამ გაფრთხილებას აუცილებლად გავითვალისწინებ.

# „მისტერ ვალენტინი 2015“ გამოვლინდა – „ღვთის წყალობაა, რომ გავიმარჯვე“

**my View**
**ნინო მჭედლიშვილი**

**13 თებერვალს „ქორთიარდ მერიოტმა“ უმასპინძლა კონკურსს, „მისტერ ვალენტინი 2015“. მეექვსე წელია „მისტერ ვალენტინი“ ტარდება საქართველოში. იდეის ავტორი გია ჯაჯანიძე გახლავთ. წინა წლებში კონკურსს ქეთა ნაჭყებია ატარებდა. სამწუხაროდ, ქეთა გარდაიცვალა და 2013 წლიდან დღემდე, უკვე მესამედ, „ბესტ მოდელსი“ ატარებს კონკურსს.**

საღამოს „მისტერ ვალენტინი 2015“ თორნიკე ტყემალაძე და ტელეწამყვანი, თამუნა მუსერიძე უძღვებოდნენ. წლის ვალენტინის ასარჩევად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჟიური შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ: გია ჯაჯანიძე, ნუკი კოშკელიშვილი, ნინო ნადირაძე, ნინო იოსელიანი, ლიზა ვადაჩკორია, მაკა შალიკაშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ოთო ფოლადაშვილი, ჯულიანა ბარგნარი, ხატია შამუგია, ანი ჯაჯანიძე, მსახიობი თამარ მაყაშვილი, მომღერალი თამთა ჭელიძე, მსახიობი ნინო მუმლაძე... ღრმა დეკოლტე ეცვათ, თამუნა მუსერიძესა და ნუკი კოშკელიშვილს.

კონკურსანტები სამი ლუქით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე: ყოველდღიური სამოსით, საცურაო კოსტიუმითა და კლასიკური ლუქით. პირველი გამოსვლის მერე, საღამოს წამყვანმა ჟიურის მონაწილეების შეფასება სთხოვა. ისეთი ბიჭები იყვნენ, სულ ნერწყვებს ვყლაპავდიო, ღიმილით დასძინა ნინო კუზანოვამ.

განსაკუთრებულ აპლოდისმენტებსა და ოცავიებს პოდიუმზე გამოსვლისას იწვევდა მეცხრე ნომერი, გიგა ლაზარეშვილი, რომელიც თითქმის ყველა მხარდამჭერი კომპანიის რჩეული გახდა, მაგრამ არა „მისტერ ვალენტინი“. რაღა დაგიმალოთ და ჩემი ფავორიტიც ეს ბიჭი იყო.

**გიგა ლაზარეშვილი:**

- 23 წლის ვარ. „იმიჯ ცენტრის“ მოდელი გახლავართ. მანამდე ვთანამშრომლობდი „კატრინთან“. აქამდე მსგავს კონკურსებში არ მიმიღია მონაწილეობა. სიმართლე გითხრათ, პოდიუმი უცხოა ჩემთვის. უფრო ფოტომოდელი ვარ, სარეკლამო რგოლებში ვმონაწილეობ.









**- თორნიკე, მალე გამარჯვებული გამოცხადდება, ვადა გაგივიდა, როგორ გრძნობ თავს?**

**თორნიკე ტყემალაძე:** ვადა გამივიდა, როგორც „მისტერ ვალენტინს 2014“-ს, მაგრამ მე მაინც ვარ ერთერთი ვალენტინი და ყოველთვის ვიქნები.

**- შარშანდელ კონკურსს თუ შევადარებთ, წლევანდელ მონაწილეებზე რას იტყვი?**

- მონაწილეებიც, სიტუაციაც, ორგანიზებაც წელს ბევრად კარგია. გულიც კი მწყდება, რომ წელს არ ვიღებ მონაწილეობას.

**- ფავორიტები გყავს?**

- გიგა ლაზარეშვილი და პაატა მიგინეიშვილი მომწონს.

ამასობაში ჟიურიმ გადაწყვეტილება მიიღო, რაც კონკურსის ორგანიზატორმა, კახი ხაბეიშვილმა სცენიდან გააჟღერა. „მისტერ ვალენტინი 2015“ 18 წლის ლევან სოლოღაშვილი გახდა. ვიცე მისტერ ვალენტინი - ალექსანდრე გელაშვილი. კონკურსანტები სხვადასხვა ნომინაციებშიც გამოავლინეს და მხადამჭერმა კომპანიებმა პრიზებით დააჯილდოვეს. კონკურსის ბოლოს ჟიურის რამდენიმე წევრს გავესაუბრეთ.

**ნუკი კოშკელიშვილი:** ძალიან კარგი ბიჭია გამარჯვებული, მაგრამ მე უპირატესობას ვანიჭებდი ალექსანდრე გელაშვილს, რომელიც „ვიცე მისტერ ვალენტინი“ გახდა. ცხარე დებატები გვქონდა, ჟიურის ხმები გაიყო, 8-6-ზე.

**ლიზა ვადაჩკორია:** მეც, ნუკიც და ნინო იოსელიანიც იმ ექვს ხმაში ვიყავი, რომელიც გელაშვილის გამარჯვებას ემხრობოდა. ამიტომ ეს „მისტერ ვალენტინი“ ჩემი არჩეული არ არის, როგორც წინა „მისტერ ვალენტინი“. არასოდეს არ მიჯერებენ (იცინის).

**გია ჯაჯანიძე:** მე სიმბოლურად ვიყავი ჟიურის თავმჯდომარე. ჟიურის წევრების იმედი მქონდა. ვეთანხმები მათ გადაწყვეტილებას. არ დავეძებ (იცინის).

**მაკა შალიკაშვილი:** მე პირველი ნომერი მომწონდა, ზურა ჰქვია, გვარი არ მახსოვს. მომწონს კიდევ გიორგი მუხრანელი. ეტყობა სხვა კრიტერიუმებით აფასებდნენ, არ ვიცი. თუმცა გამარჯვებულიც კარგი ბიჭია.

**„მისტერ ვალენტინი 2015“, ლევან სოლოღაშვილი:** გამარჯვების იმედი მქონდა, თუმცა ღირსეული კონკურენტები მყავდა. უფლის წყალობაა, რომ გავიმარჯვე... 18 წლის ვარ, თეატრალურზე მინდა ჩავაბარო. „იმიჯ ცენტრის“ მოდელი გახლავართ, „ელიტ მოდელ ლუქის“ ფინალისტი.

**- კახი, „იმიჯ ცენტრის“ მოდელმა გაიმარჯვა, ხომ არ გახდება გამარჯვებული შენი სააგენტოს მოდელი?**

**კახი ხაბეიშვილი:** პირველ რიგში, ვულოცავ „იმიჯ ცენტრს“ ამ გამარჯვებას. როგორც ხედავთ, ჩვენ კოლეგიალურები ვართ სხვა სააგენტოს მოდელებთან. იგივეს ვურჩევდი სხვა სამოდელო სააგენტოებსაც. რაც შეეხება სააგენტოს გამოცვლას, ეს გამარჯვებულის სურვილზეა დამოკიდებული. კონკურსში გამარჯვება მას თავის სააგენტოსთან კონტრაქტის გაწყვეტას არ ავალდებულებს.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პარაოლიმპიურ კომიტეტზე ბრძოლა დასრულებულია

## ლევან ოდიშარია უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტის პოსტზე აღადგინა



**EXCLUSIVE**

მაგდა კლდიაშვილი

**საქართველოს პარაოლიმპიურ კომიტეტზე მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც ორ წელზე მეტი გრძელდებოდა, დასრულებულია. მომჩივანმა მხარემ, ლევან ოდიშარიას სახით, რომელიც მის უკანონო გადაყენებას კანონის ძალით აპროტესტებდა, სამი ინსტანციის პროცესი მოიგო. უზენაესმა სასამართლომ 30 იანვარს საბოლოო განაჩენი გამოაქვეყნა, რომლითაც ირკვევა, რომ თავის დროზე 2012 წლის 27 იანვარს წესდების უხეში დარღვევით მოხდა ლელა აფციაურის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა. რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ ლევან ოდიშარიამ დაამტკიცა, რომ ის მართალი იყო და სულ მალე კუთვნილ პოსტს დაიბრუნებს.**

სამივე ინსტანციის სასამართლომ, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ორი წლის განმავლობაში პარაოლიმპიურ კომიტეტს, წესდების უხეში დარღვევით, არალეგიტიმური ხელმძღვანელობა მართავდა.

როგორც ლევან ოდიშარია ამბობს, თავის დროზე ეს იყო შეთქმულება ლეგიტიმური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე ადამიანმა დაგეგმა. სცენარის ძირითადი მოთამაშეები კი გია ძნელაძე, დავით მაისურაძე, ალექსანდრე ტალახაძე, შალვა მაისურაძე, რატი იონათამაშვილი და ლელა აფციაური იყვნენ.

ლევან ოდიშარია: „ყველაფერი 2012 წლის პირველ დეკემბერს დაიწყო, როდესაც საიდუმლოდ დაგეგმილ სამკაციან შეკრებაზე მოიშალა კომიტეტის ლეგიტიმური გამგეობა, მიიღეს წესდების ახალი რედაქცია და შეზღუდეს პრეზიდენტის უფლებამოსილება. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, საჯარო რეესტრში ცვლილებები არ შესულიყო, 2013 წლის 5 თებერვალს რეესტრმა, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით, რომელიც მოგვიანებით გახდა გასაგები, მაინც განახორციელა უკანონო გზით მიღებული წესდების ახალი რედაქციის რეგისტრაცია. სწორედ ეს რეგისტრირებული მონაცემები გახდა მოგვიანებით საფუძველი, ჩატარებულიყო კომიტეტის ე.წ. რიგგარეშე არჩევნები, სადაც აირჩიეს ე.წ. პრეზიდენტი ლელა აფციაური და გამგეობის არალეგიტიმური შემადგენლობა. სამწუხაროდ, ხანგრძლივი დრო დასჭირდა კომიტეტში სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ახლა ახალი რეალობაა და ახალი გამოწვევები, რასაც, მიუხედავად ორწლიანი ჩავარდნისა, ახალი გუნდის დახმარებით, თავს ეფექტურად გავართმევთ“.

პარაოლიმპიური კომიტეტის ლეგიტიმური პრეზიდენტი, რომელიც კუთვნილ პოსტს მაქსიმუმ სამ კვირაში გადაიბარებს, აცხადებს, რომ სპორტსმენები იმ წნეხისგან განთავისუფლდებიან, რასაც ძველი, არაკანონიერი გზით მისული ხელმძღვანელობისგან განიცდიდნენ, რომლებმაც პარასპორტსმენები ორ მხარედ – მათ მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაყვეს.

„სწორედ ეს იყო მიზეზი მათ „მოწინააღმდეგე“ სპორტსმენებზე განხორციელებული არაერთი ზეწოლისა, რომელიც ამ პერიოდში დაფიქსირდა. ეს გამოიხატებოდა ხელფასებით მანიპულირებაში, შეჯიბრზე არგაშვებასა თუ სხვადასხვა სახის მუქარებში. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. მომავალში, ძირითადი პრინციპი, რომლითაც კომიტეტი იხელმძღვანელებს, იქნება სამართლიანობა და თანასწორობა. ყველა სპორტსმენს, კომიტეტის შესაძლებლობების ფარგლებში დაუფასდება მიღწევა“, – აცხადებს ოდიშარია.

გარდა იმისა, რომ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლევან ოდიშარია პოსტს დაიბრუნებს, უკვე ყოფილ, არალეგიტიმურ კომიტეტს ოდიშარიას სასარგებლოდ დაეკისრა 1768 ლარის გადახდა, ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის დასაფარად.

ლევან ოდიშარია მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში მხარს უჭერდა, განსაკუთრებით კი იმ სპორტსმენებისა და მწვრთნელების, რომლებიც ყოფილი ხელმძღვანელობის ზეწოლის მსხვერპლნი არ გახდნენ და არ დანებდნენ.

„პრაიმტაიმი“ რამდენიმე კვირის წინ წერდა, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა ლევან ოდიშარია სამსახურიდან დაითხოვა, მიზეზი კი ის იყო, რომ მინისტრმა მისგან პარაოლიმპიურ კომიტეტზე სამართლებრივი დავის შეწყვეტა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოდიშარიას გუნდი სამინისტროს აფციაურის ლობირებასა და მფარველობაში ადანაშაულებდა, თუმცა ახლა, სასამართლო გადაწყვეტილებით, ოდიშარია პარაოლიმპიურ კომიტეტში დაბრუნდა.

„პრაიმტაიმი“ ლელა აფციაურს ამ საკითხზე გასულ წელს ესაუბრა, მაშინ აფციაური ოდიშარიასა და მის გუნდს ადანაშაულებდა და მათ მატყუარებს უწოდებდა, მიუხედავად მაშინ უკვე არსებული ორი სასამართლო ინსტანციის განაჩენისა.

საბოლოო განაჩენის შემდეგ „პრაიმტაიმი“ ლელა აფციაურს ისევ დაუკავშირდა.

როგორც პარაოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს.

**„ყველაფერი 2012 წლის პირველ დეკემბერს დაიწყო, როდესაც საიდუმლოდ დაგეგმილ სამკაციან შეკრებაზე მოიშალა კომიტეტის ლეგიტიმური გამგეობა, მიიღეს წესდების ახალი რედაქცია და შეზღუდეს პრეზიდენტის უფლებამოსილება“**


საქართველოს უზენაესი სასამართლო
განჩინება
საქართველოს სახელით

სარეზოლუციო ნაწილი:

„თქვენ ჩემზე კარგად იცით ეგ ამბები. რა კომენტარი გაინტერესებთ, ამ გადაწყვეტილებას არ ვაღიარებ. ეს იყო უსამართლო გადაწყვეტილება და კომენტარს არ ვაკეთებ არაფერზე“, – განაცხადა აფციაურმა.

სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ლევან ოდიშარია პარაოლიმპიურ კომიტეტში 2-3 კვირის ვადაში დაბრუნდება.

**„ამ გადაწყვეტილებას არ ვაღიარებ. ეს იყო უსამართლო გადაწყვეტილება და კომენტარს არ ვაკეთებ არაფერზე“**



# ბოლნისის „სიონი“ რუმინეთის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა

მაგდა კლდიაშვილი

**ბოლნისის „სიონი“ თურქულ შეკრებაზე რუმინეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და მასთან მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო. როგორი ამბავია? – იმ პირობებში, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არ აქვს იმის ფუფუნება, ასეთი დონის ნაკრებებს შეხვდეს, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი კლუბი ასეთი დონის მატჩის „გაჩარხვას“ ახერხებს. ახერხებს ერთია და ბურთის ფლობა 61/39-ზე იყო პირველი ტაიმის შემდეგ. „სიონმა“ რუმინეთის ნაკრებს არაფერი დაუთმო და მათი მთავარი მწვრთნელის აღფრთოვანებაც დაიმსახურა, მთავარი მწვრთნელი კი შეაქო და ამბიციური გუნდი მოუწონა.**

„პრაიმტაიმი“ ამ შეხვედრას ადგილზე დაესწრო და უშუალო თვითმხილველი გახდა მინდორზე განვითარებული მოვლენებისა. გადაჭარბებული არ იქნება შეფასება, რომ „სიონმა“ მეტოქეს ტოლი არ დაუდო და გენერლის ჩინის მქონე რუმინეთის ნაკრების თავკაცი, ანგელ იორდანესკუ პირველი ტაიმის შემყურე საკმაოდ აფორიაქებული და აღელვებულიც ვიხილეთ.

ზამთრის შესვენებაზე ახალგაზრდა მწვრთნელმა, ლადო ბურდულმა აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა და, გუნდში დარჩენილ რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად, სინთეზი მოახდინა. თანამედროვე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ძნელად თუ გაიხსენებთ სხვა ისეთ შემთხვევას, რომ ასეთი დონის მეტოქეს ქართულმა გუნდმა ბურთი გადაუმალა და მატჩის მიმდინარეობის მთავარი ინიციატორი თავად იყო. „სიონმა“ კი ეს შეძლო.

პირველივე სახიფათო მომენტი სწორედ ქართულმა გუნდმა შექმნა. ქებურიაზე დანიშნული საჯარიმო ბოლნისელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ენდრიუმ სახიფათოდ ჩააწოდა, თუმცა რუმინელთა დაცვა საიმედოდ გაისარჯა. იქიდან გამომდინარე, რომ ბურთს ქართველი ფეხბურთელები აკონტროლებდნენ, იორდანესკუს გუნდმა აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთა და რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრა „სიონის“ კარს. პირველი ტაიმი ბურდულის გუნდის უდიდესი უპირატესობით დასრულდა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ანგელ იორდანესკუმ ცვლილებები განახორციელა, ლადო ბურდულმა კი ეს მოგვიანებით გააკეთა. შეხვედრის 66-ე წუთზე, კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე დუმიტრაშმა იყოჩაღა და ანგარიში გახსნა. შეცვლაზე შესულმა ქართველმა ფეხბურთელებმა მატჩი გაამწვავეს და შეხვედრის მიწურულს ხიფათიც შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, თუმცა შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გა-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხში დანახული პროგრესი

სულა.

მატჩის შემდეგ „პრაიმტაიმი“ რუმინეთის ნაკრების თავკაცს, ანგელ იორდანესკუს გაესაუბრა, რომელმაც „სიონის“ მთავარ მწვრთნელს მიულოცა, რომ ასეთი ამბიციური გუნდი ჰყავს და აღნიშნა, რომ მისი გუნდის ფეხბურთელებს მალე ბევრი გაიცნობს.

„ამ თამაშმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იმიტომ, რომ ჩემი გუნდისთვის ეს შედარებით რთულად ამოსახსნელი მატჩი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თქვენს გუნდს საქართველოს ჩემპიონატში ახლა კარგი პოზიცია არ უკავია, მასთან თამაში ძალიან გაგვიჭირდა. „სიონი“ ამბიციური გუნდია, მე ვულოცავ თქვენს მწვრთნელს, მას ამბიციური გუნდი ჰყავს“, – განაცხადა იორდანესკუმ.

როგორ მოახერხა „სიონმა“ რუმინეთის ნაკრებთან მატჩის „გაჩარხვა“ და რის ხარჯზე შეძლო უპირატესობის მოპოვება? მატჩის დასრულების შემდეგ „პრაიმტაიმი“ **ლადო ბურდულს ესაუბრა:**

– უკვე მესამე წელია, თურქეთში, ანტალიაში, კერძოდ კი, ელეკში ერთსა და იმავე სასტუმროში, ერთი და იგივე ფირმით მოვდივართ. ეს დავით ყენიასა და „ენდა ჯგუფის“ დამსახურებაა. ის ჩვენ გუნდთან მეგობრობს. პირველივე წელს კარგი პირობები და სპარინგ-პარტნიორები შემოგვთავაზეს, ამის შემდეგ გრძელვადიან ურთიერთობაზე შევთანხმდით და ქართული გუნდებიდან პირველები ვართ, ვისაც „ენდა ჯგუფთან“ ამდენი ხნის ურთიერთობა აქვს. აქედან გამომდინარე, ასე ვთქვათ, გარკვეული პრივილეგიებით ვსარგებლობთ. იოლი არ არის, ქართულ გუნდებს კარგი მოწინააღმდეგე უშოვო, რადგან მათთან თამაში ბევრს არ სურს. თუ ვინმესთან უნდათ თამაში, ეს თბილისის „დინამოა“, რომელიც ფლაგმანია და ყველა იცნობს. გვიყურეს და ნახეს, როგორ ლამაზ და ქართულ, ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობთ. არ წაგვიგია დიდი ანგარიშით. გასულ წელს, „ბატესთან“ 2:1 წავაგეთ და ერთი წლის თავზე შევთანხმდით, რომ წელს ისევ ვითამაშებდით ერთმანეთთან, იმდენად კმაყოფილი იყო ბელარუსთა მთავარი მწვრთნელი. ეს ყველაფერი „ენდა ჯგუფისა“ და დავით ყენიას დამსახურებაა. ჩვენ ვთამაშობთ ლამაზ, სანახაობრივ ფეხბურთს და არ გაგვიჭირდა, მოგვეძებნა 6 გუნდი და ნახეთ, როგორ ძლიერ გუნდებთან ვითამაშეთ – ბელორუსის „ბატე“, რუმინეთის ნაკრები, უზბეკეთის „ლოკომოტივი“, რომელიც აზიის ჩემპიონთა ლიგას თამაშობს. ბოლო თამაში მოლდავური „შერიფის“ წინააღმდეგ გვქონდა, ვერც ერთი გულშემატკივარი ვერ იტყვის იმას, რომ სუსტ გუნდებს ვეთამაშეთ.



„გამოგიტყდებით, ტყუილის თქმა მომიხდა, ვუთხარი, კანდიდატები არიან-მეთქი. იორდანესკუმ პირდაპირ მითხრა, რომ რუმინეთის ნაკრები ჩვენთან კარგ ვარჯიშს ელოდა, აქედან გამომდინარე, მას კარგი გაკვეთილიც ჩაუტარეს ჩემმა ბიჭებმა“

EXCLUSIVE

**– ქართველ ფეხბურთელებს არ აქვთ ძლიერ და ელიტარულ მეტოქეებთან თამაშის ფუფუნება. შიშის ფაქტორი არ იყო რუმინეთთან მატჩის წინ?**

– თამაშის წინ მარტო ტექნიკური დარიგებები არ გვაქვს. გვინდა, ბიჭებს ფსიქოლოგიური პოტენციალი ავუმაღლოთ და ვაგრძნობინოთ, რომ ზებუნებრივი ძალები არ არსებობს, რომ ყველა ადამიანს შეუძლია მაღალ დონემდე ავიდეს. ეს არის ტვინში ჩასადები. ჩემი პირველი სიტყვები ის იყო, რომ საფრანგეთის და ძალიან ბევრი მაღალი დონის ნაკრებებთან მაქვს ნათამაშები და თეთრი შურით მშურდა ჩემი ფეხბურთელების, რომ მათ გვერდზე არ ვიდექი და არ ვთამაშობდი. მათ ვუსურვე, შეხვედრა ისე დასრულებულიყო, რომ 7-8 ფეხბურთელი მენეჯერმა შეგამჩნიოთ და ახალი სეზონი ძლიერ გუნდებში დაიწყოთ-მეთქი. ეს ადამიანებიც უბრალო ადამიანები არიან და მათთანაც შეიძლება თამაში. ამ ლაპარაკით, ვფიქრობ, მათ ზეწოლა მოეხსნათ და ვერც ერთ მოთამაშეზე ვერ ვიტყვი, რომ რამე შეეშალა.

**– პირველი ტაიმის შემდეგ ძალიან საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა. ბურთის ფლობა 61/39-ზე იყო „სიონის“ სასარგებლოდ. ელოდებოდი, რომ თუნდაც მინიმალური ანგარიშით დამარცხდებოდით?**

– იმ საუბრის შემდეგ, მათ შთავაგონე, რომ ყველასთან შეიძლება თამაში, ლამაზი, შემტევი ფეხბურთის ჩვენება და არა დაცვაში ყოფნა ორი ტაიმი და წართმევაზე თამაში. ამის შემდეგ, მათ თავდაჯერება შეემატათ და ყველა მათგანმა კარგად წარმოაჩინა თავი.

**– თამაშის დასრულების შემდეგ იორდანესკუმ „სიონს“ ამბიციური გუნდი უწოდა და აღფრთოვანება ვერ დამალა. თქვენ ერთმანეთსაც ესაუბრეთ, რა გითხრა მან?**

– ძველი მეგობრები მოიკითხა, ვოვა გუცაევი გაიხსენა და სხვა ფეხბურთელები, ძველი თაობის. იმედი გამოთქვა და მომავალშიც დიდი სურვილი აქვს „სიონთან“ თამაშის. მკითხა, 6-7 ფეხბურთელი, ალბათ, ახალგაზრდული ნაკრების წევრიაო და გამოგიტყდებით, ტყუილის თქმა მომიხდა, ვუთხარი, კანდიდატები არიან-მეთქი. იორდანესკუმ პირდაპირ მითხრა, რომ რუმინეთის ნაკრები ჩვენთან კარგ ვარჯიშს ელოდა, აქედან გამომდინარე, მას კარგი გაკვეთილიც ჩაუტარეს ჩემმა ბიჭებმა. ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ არ ნერვიულობდა.



ფოტო: გიორგი ჯიქია



**– მიუხედავად მარცხისა, რა პროგრესი დაინახა ლადო ბურდულმა?**

– შეკრებაზე შეიძლება მოძებნო მესამე-მეოთხე ლიგის გუნდი, ან ახალგაზრდული შემადგენლობის ფეხბურთელები და მათ დიდი ანგარიშით მოუგო, მაგრამ ჩვენ ეს გზა არ ავირჩიეთ. ფეხბურთი ისეთი რამეა, მეტოქე აუცილებლად უნდა დააფასო. მასე მოგვივიდა „საბურთალოსთან“. 7:0 წავაგეთ, დაუფასებლობის გამო. შეიძლება 10-ჯერ დაარტყა კარში, მაგრამ სანაცვლოდ ერთი გოლი მიიღო. ასე იყო რუმინეთის ნაკრებთან და გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ეს, როგორც იცით, იორდანესკუმაც აღნიშნა.

„პრაიმტაიმი“ ბელეკში „ენდა ჯგუფის“ წარმომადგენელს, დავით ყენიასაც ესაუბრა, რომელმაც განმარტა, როგორ მოხდა რუმინეთის ნაკრებსა და ბოლნისის „სიონს“ შორის ამხანაგური მატჩის შეთანხმება.

**დავით ყენია:**

– ნებისმიერი გუნდი გაძლევს თავის განრიგს, როდის, რა რიცხვებში სურს თამაში. რუმინეთის ნაკრებს 10 თებერვალს სურდა თამაში. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციას ქართული გუნდი შევთავაზეთ. შეიძლებოდა, სხვა გუნდიც ყოფილიყო, მაგრამ „ენდას“ უკვე სამი წელია, „სიონთან“ აქვს ურთიერთობა, მისი ხელმძღვანელობით ჩამოდის და გადის შეკრებებს თურქეთში. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ჩვენი კომპანიის იმიჯი, გადახედა „სიონის“ შემადგენლობას, ვინ იყო და რა გუნდი. ეს ხომ რუმინეთის ნაკრებია და ჩვეულებრივი გუნდი არაა, ასე ადვილად არ გეთამაშება. ძლიერი მეტოქის შერჩევა ქართული გუნდებისთვის ყოველთვის ჭირს. რა თქმა უნდა, ჩვენს ფირმას თავისი პრესტიჟი აქვს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან და რუმინეთის ნაკრებთან სპარინგი ასე გადაწყდა. ჩვენი ფირმის საქმეა, როცა ქართული გუნდი ჩვენი მეშვეობით შეკრებაზე მოდის, კარგი სპარინგები დავუგეგმოთ და გუნდებიც კმაყოფილები დარჩნენ. „სიონმა“ შთამბეჭდავი რაღაც გააკეთა რუმინეთის ნაკრებთან. იორდანესკუც მოხიბლული დარჩა. „ბატეც“ არ ელოდებოდა ასეთ თამაშს. „შერიფთანაც“ არ ყოფილა ურიგო შეხვედრა. იმედია, ასეთი სპარინგები უფრო მეტად გამოადგება ქართულ გუნდებს. რაც უფრო მეტი ასეთი ამხანაგური მატჩი გაიმართება, ევროსარბიელზე მეტად უკეთესი შედეგები გვექნება, რადგან იქ ისეთი დონის გუნდები გვხვდებიან, მიჩვეული უნდა იყო შენც. ქართულმა გუნდებმა ასეთი მოწინააღმდეგეებით ორი შეკრებაც რომ გაიარონ, კარგი გაკვეთილი იქნება და ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვნად წაადგება.

ანტალია, ბელეკი

„რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ჩვენი კომპანიის იმიჯი, გადახედა „სიონის“ შემადგენლობას, ვინ იყო და რა გუნდი. ეს ხომ რუმინეთის ნაკრებია და ჩვეულებრივი გუნდი არაა, ასე ადვილად არ გეთამაშება“



„იოლი არ არის, ქართულ გუნდებს კარგი მოწინააღმდეგე უშოვო, რადგან მათთან თამაში ბევრს არ სურს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N6 (307) ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



# მარიტა ჯანაშიამ საფრანგეთში მამას შეყვარებული ჩაუყვანა

exclusive



# ხათუნა თორთლაძის მეორე ნახევარი

ავთანდილ ცქვიტინიძე: „მისით ყოველთვის ვამაყობდი. წლების მანძილზე საუკეთესო წყვილად ვითვლებოდით. ჩვენ გამოჩენას მუდმივად ელოდნენ. წლებია, ავთანდილის სახე და მუზაა და მისი ხილვა ყოველთვის საინტერესოა“

## ინდირა ჯგერნაია „ბოიფრენდს“ სკანდალურად დაშორდა



„სიტყვიერთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა იყო. ჩვენს სახლში ლეწვა-მსხვრევის ხმა ისმოდა. ახლა სახლში ხელოსნები მყავს და ჩვენს დალეწილს ვასწორებინებ“

exclusive

## ზურაბ ზვიადაურის პოლიტიკური და არაპოლიტიკური ცხოვრება



exclusive

## რა გაფრთხილება მისცა ასტროლოგმა ლელა წურწუმიას



exclusive



„ათი წელია ერთად ვართ. გავიარეთ ყველანაირი პერიოდი. არ ვიცი, რატომ რჩებიან ადამიანები ერთად, ან რატომ შორდებიან ერთმანეთს. იყო პერიოდი ამერიკაში წავედი, გუკა აქ დარჩა. იმდენად ჩემიანი და ჩემი ნაწილია, რომ როცა გუკა არ არის, ძალიან მწყინდება“

exclusive

# ნუცა კუხიანიძე – „მინდა ამერიკაში წავიდე, ვიმსახიობო, მომენატრა“



# ჯემალ ღაღანიძის ცხოვრებისეული გამოცდილება

„ჩუმად მომნათლეს, უფანჯრო ოთახში, რომ არავის დავენახეთ“

exclusive



# „მისტერ ვალენტინი 2015“ გამოვლინდა – „ღვთის წყალობაა, რომ გავიმარჯვე“

exclusive



# პაატა ბურჭულაძე: „იუბილეს ყველა მე მილოცავდა, მე კი მთელ საქართველოს ვულოცავ“

ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება